

კვირის პალიტრა



N26(55) 28/VI.-4/VII.2001. ფასი 60 ო.

ყველაზე ასაღბაზრდა ენერგომაგის კრიმინალური წარსული

1168
2001

რისი
პრობლემა აქვს
ნანა ლეჟავას

ზაფხული, ზღვა,
ქალები და
იპოლიტე





რომა რცხილაძე:

**— მას უამდებ 32 წელი გავიდა
და დაიჯერებთ? — ერთხელას
არ უამხვედრია არსად, იმ
ქალისტვის თვალის არ მომიკრავს...**

გვ.15

მინიატურები

„გლარბო, ღაბერხა?!“ 3

პერსონა

ჯანიანი ოპოზიციონერი
თავის გარეგნობას უჩივის 4

რეკონსტრუქცია

ყველაზე ახალგაზრდა ენერგომაგისტრის
კრიტიკალური წარსული 7

პროგნოზი

„მოსაპრებელს“ კი იღებენ, მაგრამ
ზგანას ხომ ასწორებენ! 10

სასარგებლო აზრები

აშორიგებების ენციკლოპედია 11

შემოქმედი

ღათო მაღრაძე:
„ის ციხეში იტყვის და მე
- პარლამენტში?!..“ 12

პირველი სიუჟეტული

რომა რეხილაძე:
„სანამ ცოცხალი ვარ,
ის გოგო მემასხროვება“ 15

ქოლვა

„რისკიანი ვარ... ვამაყობ,
რომ ბრონოში ჩასვლა
და მასხალოვთან
შეხვედრა მოვახერხებ“ 16

ტანტი

ერთგული მკითხველი 18

ფოტოგრაფია

რატომ ყოვნდება შევარდნაზე
ხელის ჩამორთმევისას? 19

კრიტიკა

- ქალს პოლიციელის
მკვლელობისთვის ასამართლებენ 22
- „გოგო მემასხროვება“
შინიდან მისმა მეგობარმა
გაიყვანა“ - ახსნა
გარდაცვლილის დედა 24

ანტიფაქტისა

ინფორმაციულ-შევეცხებითი
ქოლვა გოგა ღვალის
შუბის წიგნაკიდან 26

ნაფიქციო ანბანი

ვალტო 26

მედიკალიზაცია

როდის ახსნადება შიშო მღვიმელის
ქალიშვილის ოცნება? 28


შეამოწმეთ თქვენი ყოფილი

ტესტი ერუდიციისა 29

ფსიქოლოგიური თამაზი

როგორია თქვენი
სულიერი მდგომარეობა? 30

**ჯანიანი ოპოზიციონერი
თავის გარეგნობას უჩივის**



– პოლიტიკოსობა ძალიან უნაურია „ხელობაა“: თუ ერთხელ აპყვევი, ამ მდგომარეობიდან ვეღარ გამოხვალ. ვთქვათ, გინდა, ქუჩაში გახვიდე, სკამზე ჩამოჯდე, უბრალოდ, ნაყინს შეეცე და სხვა არაფერზე იფიქრო. არ გამოვა! მოგიჯდება ვინმე და... რას შერეებით, ხალხნო, როდისღა გვეშველებათ...

4

**ყველაზე ახალგაზრდა ენერგომაგისტრის
კრიტიკალური წარსული**

ერთმა ახალგაზრდამ ყელზე დანა მომაბჯინა: ქურთუკი გაიხადე, – მითხრა. აბა, იმის გული-სთვის თავს ხომ არ მოვაკვლე-ვინებდი და დავნებდი. იარაღი, „კაბურაში“, უბესთან მქონდა და ქურთუკის გახდისას, საშუალება მომეცა, იარაღი ამომეღო და პაერში და ძირს მესროლა.



7

**ქალს პოლიციელის
მკვლელობისთვის ასამართლებენ**



მუხიანის დასახლებაში უცნაური და გრაგიკული შემთხვევა მოხდა: ქალმა დანით სასიკვდილოდ დაჭრა პოლიციელი – 29 წლის კახა სულაძე. პროკურატურის ინფორმაციით მან დანა იქვე მყოფ კახა სულაძის ბიძაშვილს – მინდია სულაძესაც დაარტყა.

22

**„ვამაყობ, რომ ბრონოში ჩასვლა და
მასხალოვთან შეხვედრა მოვახერხებ“**

უცნობი კაცი მომიახლოვდა და მკითხა: ნანა, რა ხდება, ომი არ იწყებთ?! ეს რა იყო, იცით? კინაღამ სიცოცხლე გავიგუდე, მაგრამ მათი დამშვიდება კი მომიხდა: ნუ გეშინიათ, უშიშროების მინისტრს მგონი, რაღაც შეეშალა და არც ისე ცუდად არის საქმე-მეთქი.



16

საზვარო

სოლომის ზღვის საილუმოეპიანი 32

წიგნები

30 ივნისი წიგნა ვალვა
ახალციხელის ხსენების ღვა 34

ისტორია

ეპიგრაფი ქართველ ეპიგრაფთა
პირველი ტაღის სსოვრებიდან 35

დასაუღი და სასჯელი

ბელისწერა თუ იღალი -
მეორე ცღაგე მოკვდინებუნდი... 38

მოგზაურის დღიურები

„ნაკოლი“ უნბრელმა
პოლიციელმა მომცა 41

რომანი

ნიკო აშკარელი.
ბელისწერა (ბაბრეკელება) 44

პარსკლავი

მონიკა გელუჩი -
პროფესიონალი პაპიკრი 48

ავტო

საავტომობილო ამერიკის
ახალი სახე 50

ესკიზები

სიცოცხლის მოტრფილეს
ბანუყრელ მეგზურად
სიკვდილი ახლდა... 52

ჯანმრთელობა

- თუ ბასუქება ბინდათ 54
- C ვეპატიბი 54
- ექიმის რჩევები მძღოლებს 55
- წარბები 55

ადამიანი-ღაგეღა

ღიადი და ცოღვილი
ურენკ სინატრა 56

უჩეკაბული ნაგი

ზღვის ნაპირთან მოთვალთვალა
იპოლიტე ანუ
ბუნებრივი რეაქცია 60

საანორდი

კვირის (2-8 ივლისი) 61

პროსკოპი

ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტანტი

როგორ ატარებთ
თავისუფალ ღროს? 63

კალენდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანა: გიორგი შორშოღიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შორნალი „გზა“
გამოდის კვირაში მრთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის კალიტრის“ დამატება
ურნალი ზელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის აუტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შორნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორი“

ეპიგრაფი ქართველ ეპიგრაფთა პირველი ტაღის სსოვრებიდან



ურანგ ადვოკატთა მისალმების ფორმა - „მონ დიო“ ქართველი ეპიგრაფის სასამართლო პროცესიდან წარმოიშვა.

პროცესი იმით დამთავრდა, რომ გაამართლეს და მოწიწებითაც გაათავისუფლეს ქართველი პაგრიოტი, ამავ დროს - მწერალი, პოეტი, კარიკატურისტი სიმონიკა ბერეჟიანი.

35

რატომ მოვინდებუ უეპარდნაკე ხელის ჩამორთმევისას?

ამ ფოტოში 1200 დოლარი გადამიხადეს. ამერიკელებმა ფოტო გადაღებიდან 6 წლის შემდეგ გამოიყენეს. მე მაშინ უკვე საქართველოში ვიყავი. დამირეკეს და მოხვევს ნებართვა მის დაბეჭდვაზე. თანხმობის შემდეგ კი ეს ფული გამომიგზავნეს.



19

მონიკა გელუჩი - პროფესიონალი პაპიკრი



მომავალი კინოვარსკვლავი იგალიის ცენტრში - პაგარა ქალაქ პერუჯოში გაიმარდა. „ჩვენს კვარტალში ყველა ერთმანეთს იცნობდა - იხსენებს მონიკა. - როცა გავიზარდე, ვამჩნევდი, რომ მუღმივად მიცქერდნენ: მამაკაცები - სხვანაირი თვალით, ქალები კი - სულ სხვაგვარად“.

48

ბერისწერა

- დედა! - ენერგიულად წამოღვა ნინო. - მე ახლა მივდივარ და მხოლოდ მაშინ დავბრუნდები, როცა მამაჩემს დავჭირდები.


- სად მიდიხარ? - შეკრთა თამარი.

- არ ვიცი, შეგატყობინებთ.



44

„ზღაპრი, დაგეზა?!“



კომუნისტები პროფესიონალი მეზღაპრეები იყვნენ და მათი ერთ-ერთი „საფირმო“ ზღაპარი ესეც იყო – მალე ისეთ ცხოვრებას ავაშენებთ, რომ მილიცია, სასამართლო და პროკურატურა საჭირო აღარ იქნება, რადგან საბჭოთა ადამიანი აღარც იჭურდებს, აღარც იყაჩაღებს და მკვლელობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო...

კომუნისტებმა და მათმა ზღაპრებმა ჩაილურის წყალი დალიეს დიდი ყანწით, მაგრამ „მეზღაპრეობა“ გენეტიკურ კოდში ჩაეწერა ზოგიერთს და დღესაც აშფოთებს ამ კეთილშობილი ხელოვნების ლამაზი მუზა – ასე გაამრავალფეროვნა ჩვენი ნაცრისფერი ცხოვრება ისეთმა შედეგებმა, როგორც არის: „მილიონი სამუშაო ადგილის ზღაპარი“, „ლეგენდა სტაბილუ-ზაციაზე“, „მუდმივი ელექტროენერჯის მითი“, „ამბავი ჩრდილოეთიდან მზის ამოსვლისა“ და სხვა... მათ შორის არის ყველასათვის ნაცნობი და უკვე ფოლკლორულ ნიმუშად ქცეული „თარგამაძის ბიჭების გმირობანი“.

ყველაზე კარგი ის არის, რომ ამ ზღაპარს დღითი დღე ემატება ახალ-ახალი ისტორიები „ჩურჩხელებისანი ვაჟკაცებისა“ თუ „ხელფასზე მცხოვრები პოლკოვნიკების შესახებ“.

ხშირად ყოფილა, რომ რეალურად მომხდარი ფაქტი თავისი ექსტრაორდინალურობის გამო ლეგენდად ქცეულა და საუკუნეების შემდეგ ისტორიკოსები თავს იმტვრევენ და დისერტაციებს წერენ მათ შესახებ, „ზღაპარია თუ ნამდვილი“, თუმცა ლეგენდად ქცევა სულაც არ აკნინებს, პირიქით უფრო ხაზს უსვამს აღნიშნული ამბის არაჩვეულებრივობას და ხშირად – უნიკალობას.

ჰოდა, სანამ ლეგენდად ქცეულა და მეზღაპრებს შეულამაზებიათ, ორიოდე დღის წინ მომხდარი ამბავი წერილობით დავაფიქსიროთ და თაობების წინაშე ვალი მოვიხადოთ (ჩვენც ქართველები ვართ, ბოლოს და ბოლოს – ძმები გრიძების დედა არ ვატირე?!).

მაშ ასე: იყო და არა იყო რა, პრეზიდენტის უკეთესი რა იქნებოდა – იყო ეს პრეზიდენტი, ჰყავდა ნაზირ-ვეზირები, ჰქონდა რაღაც ქვეყანასავით და იყო თავისთვის...

ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, დიდი და მდიდარი ქვეყნის პრეზიდენტებს ემეგობრებოდა, მათნაირი ქვეყანა ვერ ააშენა, მაგრამ იმით მაინც ყოველთვის სჯობდა, რომ იქ ყოველ ოთხ, მაქსიმუმ – რვა წელიწადში იცვლებოდნენ პრეზიდენტები, ეს კი – იყო და იყო და იყოოო... ის ახალ-ახალი პრეზიდენტებიც რაღაც „პატივისმავარს“ სცემდნენ, რადგან თავიანთ მამაპაპათაგან თქმულებად ახსოვდათ, რომ ამან იმათ ქვეყანას რაღაც კარგი გაუკეთა, თუმცა კონკრეტულად რა – აღარ ახსოვდათ...

ამ პატივისცემის პროგრამაში შედიოდა აქაური ნაზირ-

ვეზირებისა (ანუ მინისტრების) და მათი რჩეულების ვითომ საქმიანი მოგზაურობები „ზღვებისქითეთში...“

ერთხელაც – 2001 წლის ზაფხულის დასაწყისში, ჩვენს საუბრებში არაერთხელ ნახსენებმა „წესრიგის ვეზირმა“ თავისი რჩეული ბიჭებიდან კიდევ უფრო რჩეული 48 ტალიკ-ტალიკი ბიჭი შეარჩია და „დიდ მეგობარ“ ქვეყანას აწვია „ჩურჩხელების“ სმარებაში უკეთ დასასოცატებლად.

ჩავიდნენ, გადარიეს იქაურები – დედა, ეს რა ვნახეთო..., ვაი, ბენიერი თქვენი ქვეყანაო... მერე უთხრეს: ახლა ცოტა გააიარგამოიარეთ, თვალს წყალი დააღვეინეთ და ხვალდან საქმეს შეეუდგეთო.



გოიმები! რა იცოდნენ, რომ ნარჩევი „ჩურჩხელისტები“ საქმეს იმ დღესვე შეუდგებოდნენ – მათ მეორე დღისთვის გადადება არ უყვარდათ.

იმავე საღამოს მთელ მსოფლიოში გავრცელდა ცნობა (ეს უკვე ხუმრობისა და ზღაპრების გარეშე): ქართველმა პოლიციელმა, რომელიც ამერიკაში სტაჟირებაზე ჩასულ 48 მოწინავე კოლეგას შორის იყო და ისინი თავად მინისტრმა შეარჩია საკუთარი შეხედულებისამებრ (ამის „შეხედულებები“ ნახეთ!!!), პოლიციის აკადემიის შორიანხლოს მდებარე მაღაზიაში ტანსაცმელი მოიპარაო!

„არ არსებობს უმიზეზო შედეგი და არ არსებობს მიზეზი შედეგის გარეშე!“ – ორიათას ხუთასი წელია ლოგიკის – როგორც მეცნიერების ამ მთავარ აქსიომას ძვრავერ უყო ისტორიულმა კატაკლიზმებმა.

ჩვენ ხალხს კი მარტივად გამოუსახავს ეს სიბრძნე ანდაზაში: „მგლისა ბატკანი – ვის გაუგია?!“

ისე, მტრები ჰყავს საქართველოს ან კიდევ, უბრალოდ ვერ გაუგეს იმ კაცს: რამდენიმე თვის განმავლობაში პოლიციის აკადემიაში უნდა ესწავლა, ის მაღაზიაც იქვე, ე.ი. „მის ტერიტორიაზე“ იყო – ამიტომ წილი ეკუთვნოდა. ჰოდა, მივიდა და რაც „ერგებოდა“ – აიღო!

P.S. ცხოველები ორმოში ჩაცვივდნენ. სუთი დღე გავიდა, მოშივდათ. ლომმა თქვა: „ვისაც ყველაზე დიდი პირი აქვს, ის შევჭამოთო. ნიანგმა „ტუჩები“ მოპრუწა და ზღარბს მიუბრუნდა: „დაგეზა, ზღარბო?!“

ასეა: „აბობოქრდება“ ახლა ჩვენი „ლომი“ – დიდპირას შეჭმას ბრძანებს და ნიანგი ზღარბს მიჩჩეებს შესაჭმელად. უბედურება ის არის, რომ ლომი თვალდახუჭული ჭამს და ვერ ხედავს მსხვერპლს – რა, დიდი აქვს და რა – პატარა.

პროპოკატორი

რუსულან ლებანიძე

ქვეყანაში, სადაც პოლიტიკოსს მსახ-
იობზე უკეთ იცნობენ, საქმე ნორმალუ-
რად ვერ არისო — ასე ფიქრობს ტრადი-
ციონალისტთა ლიდერი აკაკი ასათიანი,
რომელიც ამ ინტერვიუზე მხოლოდ ხან-
გრძლივი სატელეფონო „დებატების“ შემ-
დეგ დავითანხმე.

— ბატონო აკაკი, ტრადიციო-
ნალისტების პრეზიდენტთან პირისპირ
შეხვედრას რაიმე, კონკრეტული შედე-
გი მოჰყვა თუ თქვენც, გიორგი
თარგამაძისა არ იყოს, „რაც შეიტ-
ანეთ, ის გამოიტანეთ“?

— განსაკუთრებული არაფერი მომხ-
დარა. უბრალოდ, ეს იყო უშუალო შეხ-
ვედრა და აზრთა გაზიარება, ჩვენთვისაც
და მისთვისაც სასარგებლო.

— ერთი წლის წინათ მერებისა
და გამგებლების არჩევითობაზე პრეზ-
იდენტი თავად ლაპარაკობდა. დღეს
კი თავისსავე ნათქვამს აბათილებს.
როგორ ფიქრობთ, გადაამწყვეტი
ნაბიჯისთვის ჯერ ვერ მოემზადა?

— სურვილი არა აქვს და ვერ მოემზა-
და. მე მგონი, ამით თავი ძალიან უხერხ-
ულ მდგომარეობაშიც ჩაივლო. მისი და-
პირება ხომ ყველას ახსოვს.

— შარშან მინისტრთა კაბინე-
ტის ჩამოყალიბებაში უმრავლესო-
ბას თქვენ არწმუნებდით, ახლა
ლამის პირიქით ხდება. ეს „აინონა-
დაინონა“ მაინც როდემდე უნდა
ითამაშოთ?

— მე არაფერში დარწმუნება არ
მჭირდება, რადგან იმავე აზრისა ვარ, რაც
შარშან მქონდა. უმრავლესობა კი, ჩემს,
ასე ვთქვათ, „დასარწმუნებლად“, ჩემივე
არგუმენტებს იყენებს. ოღონდ, ზოგი რამ
ამ არგუმენტებიდან — მაგალითად, მერე-
ბისა და გამგებლების არჩევითობა, —
რატომღაც ჯიუტად „ავიწყდება“. თანაც,
თუ ეს არგუმენტები სწორი და მისაღები
იყო, შარშანვე მიეღოთ. ეს ხომ მათაც
წაადგებოდათ და ქვეყანაც ასე აღარ
დაიქცეოდა.

— სხვათა შორის, მინისტრთა
კაბინეტი და პრემიერ-მინისტრის პოს-
ტი ზვიად გამსახურდიას დროსაც
იყო, მაგრამ ამას ხელისუფლების
დამხობისა და ქვეყნის დაქცევისთვის
ხელი ნამდვილად არ შეუშლია.

— მაშინ სახელმწიფო გადატრიალე-
ბა სულ სხვა მიზეზით მოხდა და არა
ქვეყნის საპარლამენტო სახელმწიფოდ
ჩამოყალიბების გამო.

— თქვენგან გამიგონა, მინის-
ტრთა კაბინეტი — სავაზიროს სახით



ჯანიანი ოპოზიციონერი თავის გარეგნობას ურიპის

— თამარ მეფესაც ჰყავდაო.

— ჰყავდა, აბა რა! პრემიერ-მინისტრი
მაშინ ავთანდილ ლომისთავისძე იყო, ფი-
ნანსთა მინისტრი კი — შოთა რუსთავე-
ლი.

— როგორ ფიქრობთ, ჩვენი
დღევანდელი მინისტრები — ვთქ-
ვათ, ფინანსთა მინისტრი — თუ
„რუსთაველობენ“?

— ნოლიდელი კარგი ბიჭია და ბევრ
რამეში, ალბათ, მართალიცაა, მაგრამ „ვეფხ-
ისტყოსანსა“ და შოთა რუსთაველამდე,
უხეშად რომ ვთქვათ, ვერ „ქაჩავს“...

— ამით იმის თქმა ხომ არ
გინდათ, რომ მოქმედი მინისტრე-
ბისთვის ადგილი მომავალ მინისტრ-
თა კაბინეტში ნაკლებადაა?

— რა ვითხრათ, ზოგი, ალბათ, გამოდგება,
ზოგიც — არა. მინისტრთა კაბინეტი გუნ-
დურად უნდა დამტკიცდეს. ეს კი, უკვე
ჩემი პრობლემა არ არის. უმრავლესობის
ანუ მმართველი პარტიის გადასაწყვეტია.
დღეს ხომ მართვაც მათ ხელშია და
რეფორმების გატარება-არგატარებაც...

— ისე, თუ თქვენს გამონათქ-
ვამს დავუჯერებთ, საქართველოს
უახლესი ისტორიის მანძილზე რე-
ალურ რეფორმებს მართო ლავრენ-
ტი ბერია თუ ატარებდა. ამით რას
გულისხმობდით? საქართველოში ახ-
ალი ბერიას მოსვლის დრო ხომ
არ დადგა?

— მართალი ვითხრათ, არ მახსოვს...
ალბათ, იმას ვგულისხმობდი, რომ თბილისი,
ვთქვათ, დღემდე ბერიას დაგეგმარების
მიხედვით ვითარდება. აფხაზეთშიც ბე-
რიას რომ არ გაეკეთებინა რაღაც-რაღა-
ცები, დღეს იქ რამე სადავო კი არა,
ჩვენზე სალაპარაკოც აღარაფერი დარჩე-
ბოდა. ცუდი ის არის, რომ მეთოდები

ჰქონდა საეჭვო და მიუღებელი. ბერია
მე ორი ბაბუა დამიხვრიტა და, ცხადია,
მის მხარეზე ვერაფრით ვიქნები.

— ბერიას რეფორმატორობა
რალაში მდგომარეობდა?

— კი, ბატონო, გეტყვი. 1953-ში,
სტალინის შემდეგ, ბერია წარმოადგინა
რეფორმების დიდი პაკეტი, რომელშიც
მომხრე იყო, ვთქვათ, რესპუბლიკებში საკ-
უთარი არმიების ჩამოყალიბებისა, გაერო-
ში გაწევრებისა და თვით გერმანიის გაერო-
თანებისაც კი. თქვენ წარმოიდგინეთ, მისი
გამოსვლის ლექსიკონიც კი ზუსტად
ისეთი იყო, როგორც მოვიანებით, „პერ-
ესტროიკის“ მამის — გორბაჩოვისა: „პერ-
ესტროიკა“, „დემოკრატიზაცია“, „უსკო-
რენიე“... ყოველივე ამას ვგულისხმობდი,
ალბათ, თორემ მონარქიის მომხრე კაცმა
ბერია ვინატრო, გამორიცხულია...

— მონარქიამდე თავადაც ბრ-
ძანებთ, რომ ჯერ შორია, ჩვენი
დღევანდელი „მეფეების“ თამასუ-
ქებს კი აღარავინ ენდობა, სადღაა
გამოსავალი?

— სწორედ ეგაა მთელი უბედურება,
რომ დღეს ყველას მეფობა სურს. სურ-
ვილი კარგია, მაგრამ საფუძველიც ხომ
უნდა ჰქონდეს. ყველაფრის განკარგვა
და ყველას დანიშვნა რომ გინდა, რა
უფლებით? როგორ? შევარდნაძეების
დინასტია განა საქართველოში ვინმეს
გაუგონია? და ეს მაშინ, როცა თვით
მონარქიულ ქვეყნებშიც კი — შვედეთში,
ჰოლანდიაში, ინგლისში — სინამდვილე-
ში ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული
წყობაა. მონარქი კი ქვეყნის სიმბოლოა
და მეტი არაფერი. მეც ვფიქრობ, რომ
ასეთი სიმბოლო ოდესმე ჩემს ქვეყანასაც
დამშვენებდა. სიმბოლო-მეთქი, ვამბობ და

არა ერის ბედის ერთპიროვნული გადაწყვეტი. თუმცა, ჩვენში ამის გაკეთება უფრო ძნელი იქნება.

— ჩვენში უფრო ადვილი, ჯერ-ჯერობით, პრეზიდენტის მიერ აგდებული ქვისთვის თავის შეშვერა-არშეშვერაა — მგონი, ასე თქვით ერთხელ, არა?

— დიახ. ქვა აგდებულია და ჟვანიას თავი — შეშვერილი.

— როგორ ფიქრობთ, „დაეცემა“?

— ალბათ. თუმცა, შეიძლება, „ასცდეს“ კიდევც... ეს შევარდნაძეზეა დამოკიდებული.

— მართლა იცით თქვენ და პრეზიდენტმა რაღაც ისეთი, რაც სხვებმა არ იციან?

— რას იზამ, მართლა ასეა, ვიცით. სხვებმა არ იციან, ჩვენ ვიცით.

— ხომ არ გაგვიხსენდით, მაინც რა იცით?

— არა, კარგა ხანს ვერ ვიტყვი...

— გამსახურდია-ასათიანი და შევარდნაძე-ჟვანია — ასეთ შედარებაზე რას იტყვით?

— ზვიადს და მე ბევრად უფრო ახლო ურთიერთობა გვქონდა, უფრო მეტიც, თანამებრძოლები ვიყავით. ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობაც ბევრად უფრო ნაკლები იყო, ვიდრე შევარდნაძესა და ჟვანიას შორის. ჩვენ უფრო ვუსმენდით და ვუგებდით ერთმანეთს...

— მაგრამ „უძლები შვილის“ მომენტიც, ორივე შემთხვევაში მუსირებს... მეტიც, ბევრი ამბობდა და დღესაც ამბობს — ასათიანმა ზვიადს უღალატაო...

— როგორ ფიქრობთ, მე რომ მისთვის მეღალატა, არ იტყოდა? ბოლოს, ზვიადი რომ ბუნკერში იყო და მე — ქობულეთში, სამთავრობო აგარაკზე, იქ რომ მისი გაზავნილი არ ვყოფილიყავი, ერთხელ მაინც არ იტყოდა, რომ მიღალატა და აღარ ჩამოდისო?..

— როგორც ამბობენ, ზვიადს ძალიან დახვეწილი იუმორი ჰქონდა.

— კი. ოღონდ, საჯაროდ არასოდეს ავლენდა, რადგან თვლიდა, რომ, როგორც პრეზიდენტი, მაინც უფრო მკაცრი უნდა ყოფილიყო. თუმცა, შინაურულ ატმოსფეროში შესანიშნავი მომღზენი იყო, საუცხოოდ მღეროდა და უკრავდა...

— ანეკდოტიც ხომ დადიოდა ზვიადსა და მის როიალზე...

— ის ანეკდოტი, სხვათა შორის, პირველად მე მოუყვები. მოკვდა სიცილით. საერთოდაც, ხშირად ვუყვებოდი მასზე

გავრცელებულ ანეკდოტებს. სხვები ვერ უბედავდნენ. მე კი, ერთად რომ დავსხდებოდით, თავად მკითხავდა: ჩემზე ახალი არაფერი გაგიგონიაო? ერთხელ თავად დამირეკა, ამოდი, რაღაც უნდა გაჩვენო. ავედი. ხელში რაღაც ფურცელი ეჭირა და მეორე ხელით სანახევროდ ფარავდა. „გრუს“ — რუსეთის სამხედრო დაზვერვის აქაური ქვედანაყოფის მიერ გავრცელებული პროკლამაცია აღმოჩნდა. მიტინგზე მდგარი, ხელშემართული ზვიადი ესაბა და ეწერა: **Фашист №1**. გამეცინა. გეცინებაო? — მკითხა, პროკლამაციას ხელი მოაცილა და რას ვხედავ, ზვიადის გვერდით მე არ ვხატვივარ წარწერით: **Фашист №2**. აჰ, ეს კი უკვე აღარ მოგეწონა, არაო? — მითხრა. სამწუხაროდ, ის პროკლამაცია არ გამოვართვი. გვერდიგვერდ მდგარი ორი ასეთი „ფაშისტი“ ხომ ბევრს არ უნახავს.

— გამსახურდიასა და შევარდნაძის გვერდიგვერდ დგომა თუ წარმოგედგინათ ოდესმე?

— მე, მაგალითად, ვთვლი, რომ კარგი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ხასიათებიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელი იყო.

— ბათუმურ ალიანსს „პოლიტიკური აჯაფსანდალი“ რატომ უწოდეთ?

— პოლიტიკურად, მართლაც აჯაფსანდალი იყო და იმიტომ. საერთოდ კი, საარჩევნო ბლოკია და არა პოლიტიკური.

— ახალი მემარჯვენების სახით, ახალი „პოლიტიკური აჯაფსანდალი“ ხომ არ გვემუქრება?

— არა, რატომ... მათ, უბრალოდ, სხვა მიზნები აქვთ — ახალი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავენ და ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა. ისე, ნორმალურ ქვეყანაში იცით, რა მოხდებოდა? ისინი მხარს მე, ანუ მათი ინტერესების გამომხატველ პარტიას დაუჭერდნენ.

— თავად თუ ფიქრობთ, მათ მხარდაჭერასა და თანაშემრომლობაზე?

— ვფიქრობ. ოღონდ, მანამდე დიდი გზის გავლა მოუწევთ, უნდა დაგვარწმუნონ, რომ ნამდვილად მემარჯვენე პოზიციებზე დგანან.

— ისე, თავად თქვენ, სადღა დგახართ? პრინციპში ხომ, უკვე მემარჯვენეობაც გყავს და მემარცხენეობაც...

— ჩვენ? სწორედ ჩვენ ვართ ნამდვილი მემარჯვენეები. და

ამას ჩვენი კავშირის თერთმეტწლიანი ისტორია ადასტურებს.

— მაშინ გამოდის, რომ იდეებს იდეებზე გპარავენ?..

— მოიპარონ. ოღონდ საქმე გააკეთონ და მოიპარონ. ჩვენ იდეები კიდევ ბლომად გვაქვს. არ გამოგველევა. თანაც, ჩვენც ყველა გვიცნობს და სხვებსაც.

— ნათქვამია, კაცი რომ ბოლომდე გაიცნო, მასზე სამი რამ უთუოდ უნდა იცოდეს: როგორ დაიბადა, როგორ იქორწინა და, თქვენ ღმერთმა დიდხანს გაშორეთ, როგორ მოკვდაო...

— მართალია. დაბადებას რაც შეეხება, ხუთი კილო და ორასი დავიბადე და ყოველთვის ძალიან ბუთხუზა და სასაცილო ბავშვი ვიყავი. ერთი მაშინდელი საიდუმლოც უნდა გაგიმხილოთ. იმ წლებში კომუნისტები გაზეთ „კომუნისტის“ პირველ გვერდზე, რუბრიკით — „ბედნიერი ბავშვობა“, ბავშვების ფოტოებს ბეჭდავდნენ ხოლმე. პირველ სკოლაში ვსწავლობდი და ფოტოს მეც ხშირად მიღებდნენ. ასე რომ, მაშინდელი „კომუნისტი“ რომ ნახოთ, ლამის ყველა პირველ გვერდზე მე ვარ გამოჭიმული და „ბედნიერ კომუნისტურ ბავშვობას“ განვასახიერებ. არადა, კომუნისტებს ბავშვობიდან ვერ ვიტანდი...

— ქორწინებით როგორღა იქორწინეთ?

— სიყვარულით, რა თქმა უნდა... და გარდაცვალებითაც, ალბათ, ბედნიერი გარდაცვალებები, რადგან ვთვლი, რომ პოლიტიკოსს ძალიან უნდა მოხელოს ღმერთმა, რომ თავისი ქვეყნის გათავისუფლებაში მიაღებინოს მონაწილეობა. ამაზე უფრო დიდი რამ მე, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია.

— გამოდის, რომ პოლიტიკოსობა მართლაც სათქვენო საქმეა.

— პოლიტიკოსობა ძალიან უცნაური „ხელობა“: თუ ერთხელ აჰყვები, ამ მდომარეობიდან ვეღარც შინ გამოხვალ და

„მონარქი ქვეყნის სიმბოლოა და მეგი არაფერი...“ ბულგარეთის ექსპეფე სიმეონ მეორესთან ერთად



ველარც გარეთ. სამსახურზე ხომ აღარ არის ლაპარაკი. ვთქვათ, გინდა, ქუჩაში გახვიდე, სკამზე ჩამოჯდე, უბრალოდ, ნაყინს შეექცე და სხვა არაფერზე იფიქრო. არ გამოვა! მოგიჯდება ვინმე და... რას შვრებით, ხალხნო, როდისღა გვეშველებო...

— მერედა, განა ცუდია, როცა ადამიანები გცნობენ და თქვენგან შველის იმედიც აქვთ?

— საღღაც წავიკითხე, ერთი მსახიობი წერდა: იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკოსს მსახიობზე მეტად იცნობენ, საქმე კარგად ვერ არისო. აბოსოლუტური სიმართლეა. ჩვენს ქვეყანაშიც ხომ ლამის ყველა პოლიტიკოსს ცნობენ და ბევრს იცნობენ კიდევ. ფართო საზოგადოებისთვის ნაცნობ მსახიობებს კი თითებზე ჩამოთვლი. და ეს აშკარად არანორმალური ვითარების ამსახველია. მადლობა ღმერთს, ფეხბურთელებს მაინც ცნობენ, თუმცა, იმათაც უკვე რის ვაივავლახით.

— ვიცი, ფეხბურთთან ბევრი საინტერესო მოგონება გაკავშირებთ...

— კი. მესამე კლასში ვიყავი, ჩვენი „დინამო“ ტაშკენტში ჩემპიონობაზე თამაშობდა. ჩვენი სკოლის დირექტორი და მოადგილეც ფეხბურთის დიდი მოტრფიალენი იყვნენ და დირექტორის კაბინეტში რადიოტრანსლაციას უსმენდნენ. იმდენად მინდოდა ანგარიშის გაგება, რომ გაკვეთილიდან გამოვიპარე, ამ ორ, მაშინ ჩემთვის ყველაზე მრისხანე და ბუმბერაზ კაცს კარი შევუღე და რა ანგარიშია-მეთქი, ვკითხე. იმდენად გაოგნდნენ, რომ ერთით ერთია და ჩვენები უტყვევო, ლამის ერთხმად მიპასუხეს. მეც — ძალიან კარგი-მეთქი, ვუთხარი და წამოვედი. ეს ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი ყველაზე სამასსოვრო დღე იყო.

— პუტკუნა რომ იყავით, ამის გამო კომპლექსი არ გქონდათ, ბიჭები არ დაგცინოდნენ?

— იმხელა ვიყავი, რომ ვერ დამცინოდნენ...

— ჩხუბი თუ გიყვარდათ?

— არა, მაგრამ, ჩემი „მასშტაბების“ გამო, ხშირად მიწევდა.

— მაშინ ჩხუბიც უფრო ვაჟკაცური იქნებოდა...

— ჰო, ძირითადად, მუშტი-კრივი იყო...

— დანა და სხვა იარაღი არ ყოფილა?

— დანა კი იყო. მე, მაგალითად, ორჯერ დამჭრეს კიდევ. სროლა კი ნამდვილად იშვიათობა იყო.

— თქვენი ყველაზე დიდი ნაკლი რა არის?

— ჩემი ცხოვრება რომ გარკვეულ რეჟიმში ვერაფრით მოვაქციე.

— ყველაზე დიდი ღირსება?

— ეს საზოგადოების განსასჯელია და არა ჩემი. ისე, მე არ მივეკუთვნები იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც, ასე ვთქვათ, მარტონხელა მგლებივით არიან. საზოგადოებას უფლება აქვს, ჩემი ცხოვრებით დაინტერესდეს და მის შესახებ გაიგოს კიდევ. თორემ ისე, პოლიტიკოსს შეიძლება მომგებიანი ნიღაბი ჰქონდეს მორგებული, სინამდვილეში კი მთლად „ჯანზე“ ვერ იყოს...

— პირადად თქვენს „ჯანს“, პირდაპირი მნიშვნელობითაც, არ უნდა უჩიოდეთ. კაი პურისმჭამელი კაცის შთაბეჭდილებასაც აშკარად ტოვებთ...

— ეს ყველაფერი ჩემი გარეგნობის ბრალია, რაც ხელს ძალიან მიშლის. ბევრს ჰგონია, რომ უსათუოდ უზომო ჭამა-სმამი უნდა ავყვე, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ალბათ, ვიღაც-ვიღაცებზე მეტს ვსვამ და ნაკლებად ვთვრები, მაგრამ, საერთოდ, ღვინის ნელ-ნელა წრუპვა და საუბარი უფრო მიყვარს. ამიტომ, რომ კახურ სუფრას არაფერი მირჩევნია: გამოზომილად სვამენ, არავის არაფერს აძალებენ...

— ჭამა თუ გიყვართ?

— დიდად არა. მსუქანი, ურეჟიმო ცხოვრების გამო ვარ.

— მეუღლე გემრიელ კერძებს გიმზადებთ?

— მე უფრო პრიმიტიული კერძები მიყვარს: შემწვარი კარტოფილი, მჭადი და ყველი, თუმცა, უარს არც ხინკალზე ვამბობ...

— საკუთარი გარეგნობით კმაყოფილი ხართ?

— აღტაცებული ნამდვილად არა ვარ.

თუმცა, თავს იმით ვინუგეშებ, რომ, როგორც რუსები იტყვიან, **МОГЛО БЫТЬ И ХУЖЕ**. არადა, ერთხელ, ცოტა კი გამიკვირდა, მაგრამ სიმპათიურ პოლიტიკოსებში მეხუთე ადგილზე გავედი. ისე, ახალგაზრდობაში, სანამ გავსუქდებოდი, ამერიკული ვესტერნის გმირს ვგავდი.

— გახდომა აღარ გიცდიათ?

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს ძალიან ძნელი საქმეა. რეჟიმის დაცვა რომ შემეძლოს, კიდევ ჰო, თორემ მთელი დღის ნაშიმშილარმა, ღამით სამად-სამი ლუკმაც რომ შევჭამო, მაინც მასუქებს...

— თქვენი ბიჭებიც თქვენ გგვანან?

— უმცროსი — კი, იმხელაა, ლამის მე და ჩემს უფროს ვაჟს — ორივეს ერთად — გვაჯობოს.

— რა ხელობის კაცები არიან?

— უფროსი ისტორიკოსია. თანაც, ვფიქრობ, საკმაოდ კარგი ისტორიკოსიც. უკვე მეუღლესაც ჰყავს. მალე შვილიშვილსაც მარუქებენ. უმცროსი ჯერ სკოლაში სწავლობს.

— ყველაზე დიდი ჭორო, რომელიც თქვენ შესახებ გსმენიათ?

— რა გითხრათ... ერთხანს, მაგალითად, გაუთავებლად მესმოდა: სახლს იშენებს, სახლს იშენებსო. ვირწმუნებოდი, არ ვიშენებ, საიდან მოიტანეთ-მეთქი? ბოლოს გავიგე, თურმე, კახი ასათიანს გაუყიდა ბინა და ის იშენებდა სახლს. მეორედ ვიღაც სხვა ჩემი მოგვარის სახელი მომაწერეს. ახლა მართლა ვაპირებ ახალ სახლში გადასვლას, მაგრამ რატომღაც, აღარავინ ჭორობს ამაზე.

— რა გინდათ, იგორა ჭორომა, იგორა და სასიამოვნო რეალობად გაქცათ...

— კი, მაგრამ ზოგი ისეთი ჭოროა, ვერაფრით გაიგებ, საიდან და რატომ მოდის.

— თქვენზე ნათქვამი ყველაზე დიდი სიმართლე რომელია?

— მეეჭვება, ვინმემ ვინმეზე და, მათ შორის, ჩემზეც, მთელი სიმართლე იცოდეს.

— თავად თუ იცით?

— მე თვითონ ბევრი რამ ვიცი და მარტო ჩემს თავზე არა.

— მაშინ, ალბათ, ისიც გცოდინებათ — პარლამენტო, ისევ თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბეჭემოტების გადაფრენითა და ნიანგების უფლებების დაცვით“ კიდევ რამდენ ხანს იქნება დაკავებული?

— მანამ, სანამ „ბეჭემოტები“ და „ნიანგები“ იარსებებენ...



ქუჩებში მოსივრნე უპატრონო ძაღლების გარდა, ჩვენს ქალაქში სხვა კატეგორიის ძაღლებიც არსებობენ (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით). ეს ადამიანის მეგობარი, ცხოვრებისგან განუყოფელი ჯიშის მქონე ცხოველი არსებობს. უპატრონოებს დილაადრიათ გამოჰყავთ ხოლმე სასეირნოდ და უნდა ნახოთ, რა ამბავად

მოაბიჯებენ ერთმანეთის გვერდით. მონათესავე ჯიშისა და „დიდებული“ წარმომავლობის ძაღლებს მათი პატრონები ხშირად დაუმეგობრებიათ და დაუნათესავებიათ კიდევ. ეს კი არა და, ჯიშის ძაღლის ყოლა თანამდებობაზე დანიშნული და შეძლებული კაცის აუცილებელ ატრიბუტადაც იქცა.



ყველაზე სასურველ მსახურად მოსახელმწიფოს ქრონიკალიუმი წარსული

ბორა ტყეშელაშვილი

ამიტომაც იყო, რომ მეუცნაურა, როცა ვაკის პარკში ერთ უჯიშო ძაღლთან („დვარნიაშკას“ რომ ეძახიან) მოსივრნე, ჩემი ძველი რესპონდენტი – საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის ვენერალური დირექტორი **დავით ჯიბლაშვილი** დავინახე. მიუახლოვდი და თავიც შევახსენე. დათო (უშუალო მიმართვის ფორმაზე თავიდანვე შევთანხმდით) იშვიათი, არტისტიკული ნიჭით დაჯილდოებული მთხრობელი აღმოჩნდა და ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა სამინისტროში სავამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად მუშაობისას თავს გადახდენილი ისეთი კურიოზები მიაჩნო, რომ უფლება ვთხოვე, მისი ნაამბობი გამომეჩვენებინა. დამთანხმდა.

თუმცა, მოდით ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვით...

— დათო, ამ უჯიშო ძაღლს რომ ასეირნებ, ეტყობა, ჯიშისაზე ფული არ გეყო...

— ფული არაფერ შუაშია. უბრალოდ, მიყვარს ძაღლები და ოჯახშიც ყოველთვის გვყავდა. სხვათა შორის, ყველა ძაღლი, როგორც შენ თქვი, უჯიშო იყო და შემთხვევით ხვდებოდა ხოლმე ჩვენს ოჯახში...

— ცხოვრების პირობები როგორი აქვთ ხოლმე თქვენს ძაღლებს?

— ძაღლის ბედი აქვს, სწორედ ჩემს ძაღლებზე შეიძლება თქვას კაცმა. რასაც ოჯახის წევრები ვჭამთ, იმავე ვაჭმევთ და ხშირად ვაძალებთ კიდევ. დაბანას

და ჩაცმა-დასურვას ხელს იკითხავთ... მე როცა არ მცალია, დედაჩემს გამოჰყავს ხოლმე სასეირნოდ...

— აქვე ცხოვრობ? — არა, ავლაბარში. ჩემი ბათურა თბილისის სხვადასხვა პარკში დამყავს. მინდა ქალაქს იცნობდე. შაბათ-კვირას კი ქალაქგარეთაც კი გამყავს ხოლმე მუხლის გასაშლელად.

— ალბათ ბათურა ერთგულებით გასასუბობთ და მამაცად იცავს თქვენს ბინას!

— ისე ამას რა ვუთხარი! შშიშარაა. ამას წინათ, მაგარი ჭექა-ქუხილი ატყდა და ისე შეეშინდა, რომ საწოლის ქვეშ შეძვრა. ყურადღება არ მიმიქცევია, ველოდებოდი, როდის გამოძვრებოდა. როცა აღარ გამოჩნდა, საწოლის ქვეშ შევიხედე — თურმე გაჭედდიოდა და ძლივს გამოვიყვანეთ... სხვათა შორის, ჩვენს ოჯახში მცხოვრებ „დვარნიაშკებს“ შორის დამყარებული სიცოცხლის ხანგრძლივობის რეკორდი თქვენსეუტი წელია...

— დათო, იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისა და გამოძიებლად მუშაობის დაწყებას, ზოგჯერ რომ დაგემთავრებინა და კინოლოგად გემუშავა, არ სჯობდა?

— არა, არა (იცინის). იურიდიულის დამთავრების შემდეგ ჯემალ გახაკიძემ წამიყვანა სამინისტროში. მისი შევლის მეგობარი ვიყავი, მიცნობდა და იცოდა, რომ კარგად ვსწავლობდი. იქ მუშაობის დაწყებისთანავე ისეთი ამბები გადამხდა, ხანდახან დღესაც ვფიქრობ — ხომ არ დამესიზმრა-მეთქი.

— მაინც რა ამბები იყო

ასეთი?

— ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა. 1992 წლის დეკემბრის ბოლო იყო. მე და ჩემი მეგობარი სამინისტროს ეზოში მდგარ ავტობუსებთან გამოგვიძახეს და მხოლოდ ის გამოგვიცხადეს — ოპერაციაზე მიდიხართო. ჩვენ გარდა, უამრავი ადამიანი ირეოდა და ძაღლი უპატრონოს ვერ ცნობდა. მე და ჩემმა მეგობარმა ყველაზე თბილი ავტობუსი შევარჩიეთ, აველით და უკანა სავარძლებზე მოვკალათდით. უცებ, სპეცრაზმელები ამოვარდნენ, შავი ნიღბებით, წინა სკამებზე დასხდნენ და დავიძარით. ჩვენ რატომღაც ხმა არ ამოვივლია. თურმე სხვა ავტობუსში ჩავმსხდარვართ და შევნიღბოსნებთან ერთად, სოფელ რუისში, სპეცოპერაციაზე მოვხვდით. მიველით თუ არა იმ სახლამდე, სადაც ყაჩაღები იყვნენ გამაგრებულები (ჩვენ არაფერი ვიცით), ატყდა სროლა, მაგრამ რა სროლა! ავტობუსს გვერდებზე სულ რაკარუკი გაუდოდა. მაშინვე დავექეით იატაკზე. სპეცრაზმელები ჩახტნენ და დავრჩით ასე დაწოლილები. სამი საათის განმავლობაში, სანამ ოპერაცია არ დამთავრდა, თავი არ აგვიწვეოდა... მაგრამ ციოდა, სულ ძილად გავითოშეთ. ავტობუსში ამოსულ სპეცრაზმელებს ვთხოვეთ, ქარელის პოლიციაში დავეტოვებინეთ.

— თბილისში რატომ აღარ გამოპყვევით?

— ჯერ ერთი, ლამის ლოლუები გვეკიდა — იმის თქმა დამავიწყდა, რომ სამსახურიდან კოსტიუმებით გამოვედი, — და გვეგონა, თბილისამდე ვერც ჩამოვალწევდით, თანაც, ისინი მგონი, პირდაპირ თბილისში არც მოდიოდნენ.



„ოპერაციებზე“ ის ახლა თვითმფრინავით მგზავრობს ხოლმე

— **ქარელში თუ გიშველეს?**

— ახლავე გეტყვი. ჩამოვედი თუ არა ავტობუსიდან, გაა გულუა დავინახე. მართლა კარგი ვაჟკაცი იყო... მივკარდი აკანკალებული — რამე ჩამაცვი-მეთქი... მოდიო, მითხრა, და თავისი მანქანის საბარგულიდან დაბამული „ბუშლატი“ და რაღაც ქული მომცა. შევიფუთე. გავთბი და პოლიციის შენობაში დავიწვე სიარული. სადაც შევიდოდი, ყველგან წამოხტებოდნენ და მხედრულად მესალმებოდნენ. თავიდან გამიკვირდა, მივიხედე — არც ჩემ უკან იდგა ვინმე და არც გვერდით... თურმე, იმ შენობაში შტაბი ყოფილა გახსნილი, გაას კი თავისი საკუთარი „ბუშლატი“ მოუცია — გენერლის სამხრეებიანი და გენერალი ვეგონე. ისე მომეწონა ეს პროცესი, რომ ქული კარგად ჩამოვიფხატე (რომ არ ვეცნე ვინმეს) და ზოგ ოთახში (განსაკუთრებით, სადაც პოლიციის მაღალჩინოსნები ისხდნენ), სამსაშუკრ შევედი... გაა მალე მიმიხვდა მაიმუნობას, თავისი „ბუშლატი“ გამსხადა და სხვა ჩამაცვა.

— **გაა გულუას, როგორც ჩანს, მანამდეც იცნობდით?**

— კი. სტუდენტობის პერიოდში, II კურსზე ვიქნებოდი (მაშინ ჯერ კიდევ კომუნისტები იყვნენ ქვეყნის სათავეში), მე, ბესო მორჩილაძემ და გაა გულუამ შევადგინეთ წერილი და, როგორც მომავალმა თურისტებმა, შინაგან საქმეთა მინისტრს, შოთა გორგოძეს გავუგზავნეთ, რომელშიც კრიტიკა იყო გამოთქმული და ისიც ეწერა, რომ პოლიციელი არც ერთი პარტიის წევრი არ უნდა იყოს. სამინისტროში ერთ-ერთ პასუხსავებ თანამდებობაზე ჩემი ნათესავი და სეხნია დავით ჯიბლაშვილი მუშაობდა. ბატონ შოთას ის ვგონა წერილზე ხელის მომწერი და კინაღამ სამსახურიდან გაათავისუფლა. იმ კაცის გამო შევედი შოთა გორგოძესთან და ვუთხარი: ხელმოწერა

მისი კი არა, ჩემი იყო-მეთქი.

— **ნარკოტიკების მომხმარებლებთან გექნებოდათ შეხების ნერტილები...**

— რა თქმა უნდა, მქონდა, თუმცა, სანამ ამ ამბავს მოგიყვებოდეთ, როგორც ჩვეულებრივმა მოქალაქემ და ყოფილმა გამომძიებელმა, მინდა გითხრათ, რომ ეს მართლაც სახარელი

სენია. ჩემი ამბის მთავარი მოქმედი პირი კი, ჩვენს ქვეყანაში ერთი ძალიან ცნობილი კაცის ქალიშვილია.

— **გულუბრყვილო შეკითხვა, მაგრამ მაინც უნდა დაგისვით: ვისზეა საუბარი?**

— რომ დავისახელოთ და მისი ვინაობა გამოვამზეუროთ, დიდი უსიამოვნება შეგხვდებათ თქვენც და მეც, თანაც, ველარაფერს დავამტკიცებთ...

— **კარგი, მაშინ ინკოგნიტოდ დარჩეს.**

— ამ ცნობილი კაცის, ცნობილი შვილი, ორ მეგობართან ერთად, ნარკოტიკების საყიდლად აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრისპირა რაიონში გაემართა. იმ ორმა ბიჭმა იქვე გაიკეთა „წამალი“, ქალმა კი ნარკოტიკებიანი პაკეტი სხულის მეტად უხერხულ ადგილას დამალა. პოლიცია ყველაფერში ბედოვლათი კი არ არის: მივიღეთ 100%-იანი ინფორმაცია. დავაკავეთ ყველანი და სანამ ქალბატონის ნათესავები ვაი-უშველებელს ატეხდნენ და აქეთ „დავირხვედნენ“, გაჩნდნენ და ყოველგვარი კანონის დაცვით, გავაფორმეთ მისი დაკავება. ქალი, რა თქმა უნდა, გვემუქრებოდა და აბსოლუტურად შესაძლებელიც იყო, მუქარა აესრულებინა კიდევ, თუმცა, იცი, ყველაზე ძალიან რამ გამაკვირვა?

— **მაინც რამ?**

— მისი პასპორტი რომ ვნახე, ოჯახური მდგომარეობის გრაფაში, დაკავებამდე სამი დღით ადრე, ოფიციალური ქორწინების გაფორმების დამადასტურებელი შტამში ჰქონდა დარტყმული. იქვე, მის მულღეს კალმით ჰქონდა მიწერილი: ჩემო უძვირფასესო და უსაყვარლესო, მთელი ცხოვრება შენ მეყვარები და, იმედი მაქვს, კარგი ქართული ოჯახი გვექნებაო...

— **გაუშვით?**

— არა. ხელწერილით გავათავისუფლე. პირობა ჩამოვართვი, რომ ქალა-

ქიდან არ გავიდოდა და როცა დაურეკავდი, დაკითხვაზე გამოცხადდებოდა. რამდენჯერმე დაურეკე და მართლაც, დროულად მოდიოდა. მერე აქეთ მაწუხებდა — თვითონ მირეკავდა და მეკითხებოდა, მოვიდე თუ არაო... არ ვიცი, მერე რაც მოხდა, ჩემს ბედს უნდა დავაბრალო თუ იმის უბედობას.

— **რა მოხდა ასეთი?**

— ახლობელმა ცოლი მოიყვანა და საქორწინო მოგზაურობაში ისრაელში მიდიოდა ნეფე-პატარძალი. ქორწილის შემდეგ აეროპორტში პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპამდე მივაცილე და ვეშვიდობები. უცებ, ცხელავ, ამას წინათ ჩემ მიერ დაკავებულ ცნობილ ქალბატონს: თავსაფარი მოუხვევია, ხელში ჩანთები დაუკავებია და თვითმფრინავისკენ მიბაკუნობს. ახლა, უნდა ივაჟაკო-მეთქი, ვუთხარი საკუთარ თავს!.. იქვე დავადე ხელობრიკილები, მანქანაში ჩავსვი, სამინისტროში მივიყვანე და ერთი ამბავი ავტეხე — გაფრთხილების მოუხედავად, ქვეყნის საზღვრის დარღვევას აპირებდა-მეთქი. იმ ქალბატონის საქმე უფროსობამ გადაიბარა, მე კი დამიბარეს და შეკითხვებიანი — საიდან გაიგეო? ვიშუშავე და იქიდან-მეთქი. მერე ჩვენ რატომ არ გვაცნობო? წამები წყვეტდა ყველაფერს და გადაწვევით, პირდაპირ ტრაპთან ჩავსაფრებოდი. კი გამიჭირდა, მარტო ვიყავი, მაგრამ გავუძელი-მეთქი. ყოჩაღო, შემაქვს (იცინის)... ახლა არ გეგონოს, სულ ასე ხდება. ერთხელ, კრიმინალების გამო, საცხოვრებელიც კი გამოვიცვალე.

— **ეგ ალბათ დიდი ხნის წინ იყო?**

— კი. თუ არ ვცდები, 1993 წელი იყო. ყაზბეგის გამზირი და ასათიანის ქუჩა რომ იკვეთება, იქ მაღალი შენობაა. მერვე სართულზე ვცხოვრობდი. ერთ საღამოს გვიან ვბრუნდებოდი. ის იყო, საღარბაზოში შევედი, რომ თავზე დამადგნენ და ერთმა ახალგაზრდამ ყელზე დანა მომაბჯინა: ქურთუკი გაიხადეო, — მითხრა. აბა, იმის გულისთვის თავს ხომ არ მოვაკვლევინებდი და დაწებდი. იარაღი, „კაბურამი“, უბესთან მქონდა და ქურთუკის გახდისას, საშუალება მომეცა, იარაღი ამომეღო და ჰაერში და ძირს მესროლა.

— **მაგრად გივაჟაკიაო ხომ არ დააკავე კიდევ?**

— დამაცადე, გეტყვი. ავედი სახლში ჩვეულებრივად და ეს ამბავი დავივიწყეთ. ოთხი დღის შემდეგ ვილაკები მომადგნენ და ქვევით ჩამოდიო, მეუბნებიან. ჩავედი. თურმე, მთელი უბნის „კოლდა“

მოურეკავთ. გეზაგრავესო და — საქმის გარჩევა დამიწყეს.

— იცოდნენ, გამომძიებელი რომ იყავი?

— იცოდნენ, მაგრამ ყველაზე უცნაური სხვა რამეა: თავს დამქსნენ, დანა ყელზე მომაბჯინეს, მათ შესაშინებლად ჰაერში ვისროლეს და შარს აქეთ მდებდნენ — შენ, ძმაო, აქ, უბანში ჩვენი ნებართვის გარეშე რომ ისვრი, „ბესპრედელი“ ხომ არ გგონიაო?! ჩემი სიმართლე კი დავამტკიცე, მაგრამ პერიოდი იყო ისეთი, მაინც მომიწია იქიდან გადასვლა: არ მასვენებდნენ.

— ვინ იყვნენ და კიდევ რა მოხდა ასეთი?

— რომელი შეიარაღებული სტრუქტურის წარმომადგენლებიც იყვნენ, ამის მიხედვით შენთვის მომინდვია. მე კი, ორიოდე კვირაში, ისევ სადარბაზოსთან დამხვდნენ და მანქანა წამართვეს. თუმცა, სიგნალიზაციის ჩართვა მოვახერხე და მერვე სართულიდან ვუყურებდი, წაყვანა რომ ვერ მოახერხეს და მერე როგორ დაცხრილეს. მოგვიანებით კი, მე რომ არ ვიყავი, ბინაშიც შეაღწიეს და გამჭურდეს კიდეც. თუმცა, მიმანია, რომ ღმერთი სამართლიანია და ყველა ის პირი, ვინც ამ ამბებში მონაწილეობდა, დღესდღეობით ან დასჯილია, ან გაქცეულია, ან კიდეც — მკვდარი.

— შენი ოჯახის წევრები როგორ ეგუებოდნენ ასეთ თავგადასავლებს?

— სხვა რა გზა ჰქონდათ?! ბებიჩემი რომ კინაღამ გამოვიკვდა ერთხელ, იმ ამბავსაც მოგიყვები. ერთ-ერთი ოპერაციის შემდეგ, საქართველოში სამოგზაუროდ ჩამოსული რუსი გოგონა გავათავისუფლეთ, რომელიც ქმართან ერთად მოუტაციათ კრიმინალებს. ქმარი შეუშინებიათ და რუსეთში გაუშვიათ გამოსასყიდი თანხის ჩამოსატანად. სამინისტროში რომ მივიყვანეთ, შევიტყვეთ, რომ ქალი ფეხმძიმედ ყოფილა და მოზრდილი მუცელიც „ელო“. არც ფული ჰქონდა და არც საბუთები, ვინმეს დროებით უნდა ეპატრონა მისთვის და ეს მისია მე ვიკისრე: ბებიჩემთან ოქროს უბანში წავიყვანე და ვუთხარი — ეს გოგონა რამდენიმე დღით აქ იყოს და მოუარე-მეთქი.

— სხვა გამოსავალი არ გქონდა?

— იცი, იმ გოგონას ისეთი სახელი ერქვა, რომ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი (ჩაფიქრდა). სახელს არ გეტყვი, გლადკოვა იყო გვარად... მოდი, ისევ ამ ამბავს

მოგიყვები... ბებიჩემი ძველებურ თბილისურ ეზოში ცხოვრობს და როგორც ასეთ ეზოებში ხდება ხოლმე, მეზობლებს დიდი გავლენა აქვთ ერთმანეთზე. ეტყობა, ბებიჩემს ჩააწყვეთეს: გოგონა დათოსგანაა ფეხმძიმედ და ცოლად მოჰყავსო. გამიგიჟდა ბებია: რუსი რძალი რად მინდა, ეს ამბავი თუ მართალია, შენ გამოგაცხადებ ჩემს მკვლელადო...

— დიდხანს დარჩა თქვენთან?

— რამდენიმე დღეში ქმარმა ფული გამოუგზავნა და გავამგზავრეთ. მერე მირეკავდა ხოლმე — სტუმრად მინდა ჩამოსვლაო, მაგრამ ბებიჩემმა შეუთვალა, შენი ფეხი არ დავინახო აქ დადგმულიო და გაწყდა ჩვენ შორის კავშირი.

— ამბობენ, დავით ჯიბლაშვილი და სულხან მოლაშვილი დიდი მეგობრები არიანო.

— ჩვენ ერთმანეთი სახელმწიფოს მეთაურის აპარატში გავიცანით და იმის მერე ვმეგობრობთ.

— სახელმწიფოს მეთაურის აპარატიდან ენერგეტიკის სისტემაში როგორ მოხვდი?

— მაშინ თემურ გიორგაძე იყო მინისტრი. გადაწყდა, რომ მის ერთ-ერთ მოადგილეს ენერგოსისტემის უსაფრთხოების მიმართულებით ემუშავა. ამ ვაკანსიაზე, რამდენიმე კანდიდატურიდან მე შემარჩიეს და 1998 წელს დავინიშნე სათბობენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ უსაფრთხოების დარგში.

— რას ნიშნავს უსაფრთხოების დარგში?

— ჩემს მოვალეობაში, რა თქმა უნდა, ის არ შედიოდა, რომ ელექტროგადაცემის ბოძებთან დარაჯად დავმდგარიყავი და ისინი დამეცვა. ძირითადად, თვალი უნდა მედევნებინა ამ დარგში ქვეყნისათვის უსაფრთხო კონტრაქტების დადებისთვის.

— რა ნოდება გაქვს?

— ვიცე-პოლკოვნიკი ვარ.

— არ გინდებთ სოლმე სურვილი, ძველ პროფესიას დაუბრუნდეთ?

— იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან, იურიდიულ მოღვაწეობას გავაგრძელებ. იურისტობა ალბათ ჩემი მოწოდებაა, რადგან სამედიცინო

ტექნიკუმიდან სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში კი არა, უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განვაგრძე.

— ე.ი. ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი რომ გაუქმდეს, გაგინარდებთ კიდევ?

— საბითუმო ბაზარს ენერგეტიკაში მიმდინარე რეფორმების ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი ექსპერტებიც თვლიან. მეც მიმანია, რომ ეს სამსახური აუცილებელია დღესდღეობით. ერთ საინტერესო კურონს მოგიყვებით. ამ გაზაფხულზე ინგლისელ კოლეგებთან, უცხოელების დაფინანსებით გავემგზავრეთ — გამოცდილების გასაზიარებლად. და იმ დღეს, როცა იქ ჩავფრინდით — 27 მარტს — ინგლისის ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი გაუქმდა. შეიძლება, მომავალში ჩვენთანაც ასე მოხდეს, მაგრამ ამჟამად მისი არსებობა აუცილებელია.

— რა სახსრებით არსებობს თქვენი სამსახური?

— იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩვენგან ყიდულობენ ენერჯიას, დიფერენცირებული საწევრო გადასახადები აქვთ (50 ათასიდან — 90 ათას ლარამდე). ეს წელიწადში მილიონ-ნახევრამდე გამოდის, რაც ოფისის შენახვისა და ხელფასებისთვის გვეყოფნის.

— კომპანია „ელექტროგადაცემის“ თბილისის ფილიალის გაფიცულ თანამშრომლებზე რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა?... მართალია ეგ ხალხი... ხელფასები გვაქვს გადასახდელი მათთვის და უახლოეს პერიოდში ერთი თვისას გავუსტუმრებთ... მეტის საშუალება არა გვაქვს, რადგან მოსახლეობიდან (განსაკუთრებით რეგიონებში) მოხმარებული ენერჯიის საფასურის ამოღება ისევ ძალიან ჭირს.

— თქვენ თუ გაქვთ დენის ფული სრულად გადახდილი?

— მასე რომ არ იყოს, შეგვგვამდნენ... (ძალიან აწყობუტუნდა — ბათურას სახლში დაბრუნების დრო იყო).

— ყურები რატომ აქვს ბათურას დაჭრილი?

— მეც დამინტერესა და გამოვიკვლიე. მეც ხვარის ჯიშისა ჰქონებია პირველ პატრონს და ყურები დაუჭრია (იციანის).. ეგ სულ სხვა ამბავია... სხვა დროს მოგიყვები... ახლა უნდა წავიდე... კარგად იყავი!

— კარგად!





„მოსაკრებელს“ კი იღებენ,

მაგრამ გზასაც სომეხს ასწორებენ!

ლანი ბრეკელიშვილი

— თავიდან მომეწონა კიდეც: ამ ადგილას გზა საკმაოდ დანგრეულია და ყოველ გავლაზე თითო ნაწილს ვტოვებდი ხოლმე, — მეუბნება ერთ-ერთი „მარშრუტკის“ მძღოლი. — მაგრამ მერე, ერთი-ორჯერ ისეთი შიში ვჭამე, მაგათი არც გზის გასწორება მინდა და არც არაფერი. ოცი თეთრის გულისთვის ლამის მანქანის ქვეშ გივარდებიან, კაცო, ეგეთი არაფერი მინახავს... თან, ჩემი გაჭირვებაც მეყოფა — დღეში ათას გიჟსა და გადარეულს ვხვდები... მოდიხარ ფიქრში გართული და თითქოს, მიწიდან ამოიზარდა... თან იმ ადგილას მოსახვევია, თან დაღმართი, თან ხიდის ქვეშ შედიხარ... ცოლო არა ვარ, გვერდი რომ ვერ ავუქციო და გაჭირვებაში გაზრდილი ბავშვი შევიწირო?!

— როგორც ვიცი, საგზაო ფონდს, გზების შეკეთებისთვის ყოველწლიურად მოზრდილ თანხას უნდა უხდიდეთ...

— კარგი, რა, თუ ჩემი ძმა ხარ... მთელი ქალაქი გადათხრილია. ამდენ ფულს იღებ, შე კაი კაცო, ნამუსი არა გაქვს? აქა-იქ მაინც „დააკერე“, კაცმა მანქანაში კისერი რომ არ მოიტეხოს... მანქანის ნაწილის გაფუჭებას არ ვჩივი... ამ ბავშვებმაც რა უნდა ქნან? უპატრონობისა და უნამუსობის ბრალია ყველაფერი, თორემ გზა რომ წესიერი იყოს, რომელ

ჭკუათმყოფელს მოუვიდოდა თავში აზრად აქ დგომა და „ხრეშით“ გზის სწორება...

ბავშვებთან გასაუბრება დავაპირე, მაგრამ ხიდთან ჩასულს აღარავინ დამხვდა.

— ახლახან წავიდნენ, ერთი მუჭა ხურდა ფული მაჩვენეს — დღეს ამის მეტი აღარაფერი გამოვაო... — გამოძეულაპარაკა იქვე, ხიდის გაღმა მდებარე ბენზინგასამართი სადგურის დარაჯი.

— ხშირად მოდიან ხოლმე?

— ხშირად კი არა, დღე და დამე აქ არიან. ცოტა ფულს რომ მოაქუჩებენ, აგერ, მეტროს სადგურთან, გადიან და საჭმელს ყიდულობენ...

— ბევრი არიან? ერთი და იგივე ბავშვები მოდიან თუ სხვადასხვა?

— რა ვითხრა... მე მგონი, ერთი ოჯახია. ქვემოდან ხრემს ეზიდებიან ურიკით. საიდან, არ ვიცი, მაგრამ ის ბავშვი ისეა ხოლმე გახვითქული, კარგა შორს უნდა იყოს... მერე, აგერ, ხიდის ძირში, ორმოებს ავსებენ და ნიჩბებით ასწორებენ.

— ნიჩბებიც თან მოაქვთ ხოლმე? ალბათ აქვე, ახლომანლო ცხოვრობენ...

— არა, არა მგონია.

დიდუბის მეტროსთან, იქ, სადაც თორნიკე ერისთავის ქუჩა წერეთლის გამზირისკენ უხვევს, თბილისელი მძღოლი ამ ბოლო დროს საკმაოდ უცნაურ სურათს ნაანუდებოდა: რამდენიმე ბავშვი, საგზაო სამუშაოებში იყო ჩართული — ვინ „ხრემს“ ეზიდებოდა, ვინ გზას ასწორებდა... ერთ-ერთი „მოზარდი“ კი შუა გზაზე, მედიდურად იდგა ნიჩბით ხელში და გამველელი მანქანებისგან, ძირითადად, სამარშრუტო ტაქსებისგან და სატვირთო მანქანებისგან „საგზაო მოსაკრებელს“ იღებდა... იმ ადგილას, თავდაღმართში გზა მკვეთრად უხვევს და გამოუცდელმა მძღოლმა შეიძლება უბედურებაც დაატრიალოს — მით უმეტეს, რომ ჩამოკონკილი პატარა „საგზაო მუშაკები“ ჭინკებივით დახტიან შუა გზაზე, რათა მძღოლებს ხურდა ფული დასტყუონ...

აქ კაი ხანია, რაც ვმუშაობ და ეგ ბავშვები ადრე არ მინახავს... ისე, შემჩნეული მაქვს — ბავშვები რომ გზაზე არიან, მოშორებით, ცოტა ზემოთ ერთი ქალი დგას ხოლმე და უყურებს. იმ დღეს ერთი ბავშვი „მარშრუტკას“ პირდაპირ წინ ჩაუხტა — უბედურების მოლოდინში თვალები დავხუჭე. ამხელა კაცი ვარ, ეგეთი შიში ჯერ არ მიჭამია... მძღოლს რომ არ ემარჯვა, ნაღდად გაიტანდა...

მუხრუჭების ხმაზე სხვებიც გამოცვივდნენ — რომ მივედი, ეს ერთი ცილა ბავშვი გაფითრებულ მძღოლს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა — შე დამპალო, სწორ გზაზე რომ დადიხარ, ფული არ უნდა მომცეო?!

სულ გააგიჟეს საწყალი კაცი. სტაცა იმ ბავშვს ხელი, მაგრამ მე რომ ვამბობდი, შორიდან ქალი უთვალთვალეს-მეთქი, აფთარივით მოვარდა, შე ასეთ-





ისეთი, ბავშვი არ მიცემო, თორემ თავს გაგინებავო... მერე, დანარჩენი ბავშვებიც აღრიალდნენ და „მარშრუტკას“ ქვები დაუშინეს... ეს ამდენი ხალხი პირდაღებული ვიდექით, ისეთი რამეები მოხდა... მძლოლს ისლა დარჩენილა, თავისთვის ეშველა...

— ქართველები არიან?

— კი, ნამდვილად ქართველები არიან. ეტყობა, ძალიან უჭირთ... იმ ამბის მერე საგზაო პოლიციაც იყო მოსული. ქალი არ გამოჩენილა. ეხვეწნენ ამ ბავშვებს, ემუდარნენ... დიდი ადამიანივით პასუხობდნენ, — სად წავიდეთ, მშვიდრები დავიხოცებითო...

მოგვიანებით ბავშვებიც გამოჩნდნენ. მივუახლოვდი. აშკარად უნდობლად მიყურებდნენ. რაღა დამრჩენოდა — გულითადად გაეულიძე და რიხით დავიწყე, — ყოჩაღ, ბავშვებო, რა კარგი საქმე წამოგიწყიათ-მეთქი...

სულ ოთხნი იყვნენ, გოგონა 10-12 წლის იქნებოდა, ბიჭები კი უფრო პატარები ჩანდნენ.

— ჯერ ერთი, ჩვენ არ წამოგვიწყია, მეორეც — შენ მაინც ფეხით დადიხარ და რაში გაინტერესებს, კარგია თუ ცუდი?

დავბენი, მაგრამ სათქმელს თავი მაინც მოვაბი:

— უბრალოდ, აქეთ მოვდიოდი და გამეხარდა, გზას რომ ასწორებთ. არ უნდა მეთქვა? მაგრამ შუა გზაზე მანქანა რომ დაგეჯახათ, არ გეშინიათ?

გოგონამ პასუხად რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ბიჭმა მკლავზე მოქაჩა და თან მე შემომიბღვირა, თან იმას ჩაულაპარაკა: თავი გაანებე, ვერა ხედავ, იმათი მოგ ზავნილიაო?

ცოტა ხანს კიდევ იტუტუნეს რაღაც,

შემდეგ ბუზღუნ-ბუზღუნით მოაგროვეს ნიჩბები და ხიდის გვერდით ბექობს აუყვნენ. მეც აღარ გამოვიკიდებოვარ. ან კი, რა მეთქვა, — აქ ნუ დადგებით და წამოლით, საჭმელს მე ვაჭმევთ-მეთქი?.. — როდემდე ვაჭმევდი?...

ეგებ, ვასაკვირი ამ ამბავში არც არაფერი იყოს — საქართველოში ხალხი უკვე დიდი ხანია, ბელისა და ღვთის ანაბარადა გამოტოვებული... ჩვენში უკვე მიღებულ სენტენციად ითვლება ის, რომ ყველამ საკუთარ თავს უნდა მიხედოს — ანუ ობოლი და უპოვარი ქუჩაში უნდა დაჯდეს სამათხოვროდ, სანამ გაიზრდება. რომ გაიზრდება, თავის სარჩენად ქურდობა და ძარცვა-გლეჯა დაიწყოს: სახელმწიფოს უჭირს და მისთვის არ სცალია... ჩინოვნიკმა, რაც შეიძლება, მეტი მოიპაროს, რადგან სახელმწიფოს უჭირს — მას ვერც ხელფასს მისცემენ და ვერც პენსიას...

პატარებს რაც შეეხებათ — მათაც, სახელმწიფოსგან მივიწყებულებმა, თავს თვითონ გამოუნახეს საქმე და სახელმწიფოსგან მივიწყებულ გზაზე დადგნენ — სახელმწიფოსგან მივიწყებული „მარშრუტკების“ ძალად დამხმარებად...



რეაქციონარი



მტერი, რომელიც ააშკარავებს შენს შეცდომებს, უფრო სასარგებლოა, ვიდრე მეგობარი, რომელიც მათ ფარავს.

ლეონარდო და ვინჩი

ხუმრობაც ზომაზე იხმარე, როგორც მარილი.

პითაგორე სამოსელი

ცილისწამება დაშნაზე საშიში იარაღია, რადგან, მისგან მიყენებული ჭრილობა ყოველთვის განუკურნებელია.

პენრი ფილდინგი

არ შეილახო ღირსება — ყელს მოგებჯინოს სულიცა,
არ ჩაიდინო ბოროტი, არ დაემონო სურვილსა!

პანჩატანტრა

წიგნის სიბრძნე სულელს უფრო ასულელებს.

მოლიერი

უნდა ქალმან და ყმაწვილმან დაჰხუროს ბაგე კბილსა...

არცა ვინ თვით სხვა გაკილოს, არც სხვისგან გაიკილოსა.

დავით გურამიშვილი

რაც სიჭაბუკეში შევცოდეთ, სიბერეში დავგვხვდება.

ერაზმ როტერდამელი

სიმართლის სხივს ვერავითარი ნისლი ვერ გაუძლებს.

ფეოდორ დოსტოევსკი

შიში ადამიანს ხან ფეხებზე ფრთებს გამოასხამს, ხან მიწაზე დააკრავს.

მიშელ მონტენი

არღნიტ და ქალაქური სიმღერებით შესვდა მწერალი და პარლამენტარი დათო მალრაძე ძველი თბილისის მყუდრო ქუჩაზე მიწვეულ სტუმრებს: მისი ახალგა-მოცემული ლექსების კრებულის — „მეფური ნაკლი“ პრეზენტაციაზე ბევრ ნაცნობ სახეს შესვდებოდათ: პოლიტიკოსებს, მწერლებს, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებსა და, რა თქმა უნდა, მეგობრებს, რომელთა შორის „მხედრონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანიც გახლდათ. ვიდრე მასპინძელი ვენტვის მოიცლიდა, სწორედ მას გავესაუბრეთ.



ის თბილისი იქნას და ქუჩა — პარლამენტში?!

ნელი სპიტიბერიძე

— ნიგნის პრეზენტაციაზე, როგორც მკითხველი, ისე მოსვენებით თუ მეგობრის მხარდაჭერისთვის? მოგწონთ დათოს ლექსები?

— პოეზიაში მოვიკოჭლებ და შემფასებლის როლს ვერ ავიღებ. მისი ყველაფერი ჩემთვის ძალიან ძვირფასია. ჩემი ახლობელია, ჩემი მეგობარია და, რაც მთავარია, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო ადამიანია.

მოკვდი, როგორც მეგობარი და როგორც მკითხველი. ასეთი ღონისძიებები მეტად საჭიროა. ჩვენი ახალგაზრდობა არ კითხულობს არაფერს, მხოლოდ ტელევიზია, ვიდეოკასეტები... წიგნს ფართო პროპაგანდა სჭირდება.

— რა თვისება მოგწონთ თქვენს მეგობარში?

— ჯერ ერთი, წესიერება და პატიოსნება და, ამავე დროს, ვაჟკაცობა. ჩვენმა პოლიტიკოსებმა თავის დროზე ვერ შეაფასეს მისი ბუნება, ნიჭი. კულტურის მინისტრი იყო და თავისით წავიდა, უხმაუროდ. არავის უკითხავს და უთქვამს — სად მიდიხარ, კაცო, ასეთი ადამიანი საჭიროა — ახალი შეხედულებებით, ახლებურად მოაზროვნე,



უმწიკვლო, პატრიოტი. იმის მაგივრად რომ გვერდში დასდგომოდნენ... ვითომც არაფერი, არავინ თქვა — რას აკეთებ?

— დათო თქვენი რეკომენდაციით დაინიშნა კულტურის მინისტრად?

— ჰო, კი, ჩემი რეკომენდაციით.

— თქვენი მეგობრობა საიდან დაიწყო?

— მე ელეგუჯასთან (მამამისთან) ვახლობლობდი. დათოს პატარობიდან ვიცნობ, ზემელზე ცხოვრობდნენ და სტუმრად რომ მივდიოდი, ვნახულობდი. ახლოს, უკვე მოწიფული კაცი, თაბუკაშ-

სულ ერთ-ერთ ნაკრებში ექვსი მწერლის პატარა წიგნია თავმოყრილი: გურამ ღონანაშვილის, რევაზ ინანიშვილის, ვაჟა გიგაშვილის, ბაადურ ბალარჯიშვილის, ნუგზარ შატაიძისა და დათო მალრაძის.

„მეფური ნაკლის“ ფურცლებზე დათო მალრაძეს ახალთან ერთად, ძველი ლექსებიც დაუბეჭდავს. „პეროვსკაიას ქუჩის მოტივები“ თბილისურ სურნელს გაგრძობინებს. როგორც შეხვედრაზე მოსულუბმა აღნიშნეს, მის შემოქმედებაში უხვად არის ძველთბილისური და აზიური, ისეთი, როგორც დღევანდელი დღეაო. „სეკუნდანტები ღუელის დროს არ ამოქნარებენ“, „კვითხულო მენიუს, ვით სატრფოს წერილს“, „რა უცნაურად ვმდიდრდები უგროშო სილატაკეში“ და სხვა მრავალ საინტერესო სტრიქონს შეხვდებით დათოს შემოქმედებაში. მასთან საუბარი დოქტორ ჯაბათი დავიწყეთ, რადგან დათო მალრაძის სახელი კარგა ხანია მჭიდროდ დაუკავშირდა „მხედრონს“ და ეს, პარლამენტში მოქცავშირის სიით შესვლამაც კი ვერ გააფერმკრთალა.

— ჩვენი ურთიერთობა ძალიან ძველი დროიდან დაიწყო, იქამდე ჩემი მეხსიერება ვერც წვდება. გადმოცემით ვიცი — რომ დაგზადებულვარ, ფუნიკულიორზე სუფრა გაუშლია ცხონებულ მამაჩემს და მგონი, ბატონი ჯაბა თამადა იყო. ჩემი ნათლია არის ჟანი სიხარულიძე — ბატონი ჯაბას ბავშვობის მეგობარი. ჩემი ამქვეყნად მოვლინება ერთად აღუნიშნავთ. შემდეგ, სხვათა შორის, აღარ მქონია ურთიერთობა, ვიდრე ცნობილი ქართველები არ დაიწყო საქართველოში.

— თქვენ „მხედრონის“ წევრი იყავით?

— როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, არ ვყოფილვარ „მხედრონში“, მაგრამ იდეაში, ვმონაწ-

გადმოცემით ვიცი — რომ დაგზადებულვარ, ფუნიკულიორზე სუფრა გაუშლია ცხონებულ მამაჩემს და მგონი, ბატონი ჯაბა თამადა იყო

ვილების ოჯახში გავიციანი. თაბუკაშვილების სახლში რომ გაიცნობ კაცს, ის აუცილებლად კარგი კაცია.

... „უბის წიგნების“ გრიფით გამო-

ილეობდი და კვლავაც მივიღებ მონაწილეობას, სანამ ჯანი მექნება.

— იდეაში რას გულისხმობთ?

— „ქულზე კაცის“ იდეას ვგულისხმობ. არ ეწყინება და, ეს იდეა არც ბატონი ჯაბასგან დაწყებული და არც ჩემგან, არც ქაქუცა ჩოლოყაშვილისგან — საუკუნეების სიღრმიდან მოდის, ბატონის აჯანყებიდან... როცა რეგულარული არმია არ არსებობდა და „ქულზე კაცის“ პრინციპით უნდა გადაერჩინა თავი ჩვენს ერსა და ბერს. ახლა მაშინდელი პრინციპი გაგრძელდა: ჩამოყალიბდა „მხედრონის“ ორდენი, რომელმაც გააერთიანა ის ბიჭები, ვისაც უშურველად, უანგაროდ შეეძლო სამშობლოსთვის თავდადება და დაედეს კიდევ მე მათი ხსოვნის ერთგული ყოველთვის ვიქნები.

— **მაშინ, როდესაც თქვენ „მხედრონში“ გაერთიანდით, რამ მოითხოვა „ქულზე კაცი“?**
— ომი იყო, მოგეხსენებათ...

— **თბილისის ომს გულისხმობთ, პრეზიდენტ გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ?**

— არა, მანამდე დაძაბული სიტუაცია იყო, დენტის სუნი ტრიალებდა ყველგან... შემდეგ აფხაზეთის ომი დაიწყო, დაიკარგა ტერიტორიები...

— **იყავით აფხაზეთში?**

— კი, ბატონ ჯაბას ჩავაკითხე ოჩამჩირეში, მერე სოხუმში გადავედი... ომი სწორედ იმან წაგვაგებინა, რომ აფხაზეთის დასაცავად „ქულზე კაცი“ არ იყო. „უქულ“ ხალხმა წააგო ეს ომი, ვინც არ იომა, ომი მათ წააგეს და არა მათ, ვინც ბრძოლის წინა ხაზზე იყო. თავიანთი ღებრტირობის დასაფარავად, მთელი რისხვა იმ ხალხს დაატეხეს, ვინც თავი დაღო სამშობლოსათვის...

— **თქვენი ოჯახი გაგვაცანით, თქვენი შვილები.**

— მყავს ორი ქალიშვილი — ნატო და ელენე, მეუღლე — ნესტან ციციშვილი, პროფესიით ფილოლოგია.

— **სად გაიცანით თქვენი მეუღლე, როგორ დაიწყო სიყვარული?**

— ჩემს მეუღლეს ბავშვობიდან ვიცნობდი, მაგრამ შეყვარებულების ამპლუაში ცოტა მოგვიანებით შევხვდით. როგორ — მოგვიანებით? 21 წლის ვიყავი და ის 17-ის, როცა ჯვარი დავიწვრეთ.

— **ერთ უბანში ცხოვრობდით?**

— არა, მე ვერელი ვარ, ის ვაკეში ცხოვრობდა, თუმცა მისი ოჯახი — ძვე-

ლი, ტრადიციული ოჯახი იყო და ადრე ისინიც ვერაზე ცხოვრობდნენ (ახლანდელ ჯანაშიაზე).

— **პირდაპირ ჯვრის დასაწერად ხომ არ წაიყვანდით, ალბათ იყო მანამდე სიყვარულის ახსნა...**

— სიყვარულის ახსნა და ასეთი რამეები არასოდეს მიჭირდა...

— **ნუთუ არასოდეს გაგჭირვებიათ?**

— იცით, თუ მიყვარდა ქალი, არ მრცხვენოდა ჩემი გრძნობების და არც დამალვას ვცდილობდი.

— **მაშინ პირველი სიყვარულიც გესსომებათ...**

— პირველი სიყვარული — ის გოგო კი მახსოვს, მაგრამ რა ერქვა და რა გვარი იყო, ვეღარ ვივარებ. ეს, რა თქმა უნდა, საბავშვო ბაღში იყო. იქიდან მოყოლებული, სულ შეყვარებული ვიყავი.

— **თქვენი მეუღლე არ ეჭვიანობდა ასეთი მოსიყვარულე გულის გამო?**

თუ მიყვარდა ქალი, არ მრცხვენოდა ჩემი გრძნობების და არც დამალვას ვცდილობდი...

— არა, ეჭვიანი ადამიანი არ არის. საერთოდაც, საეჭვიანოდ მაინცდამაინც არ ჰქონია საქმე. მე იმ შეყვარებულების პერიოდზე ვლაპარაკობ, სანამ ის ჩემი ცოლი გახდებოდა (დათო თავადაც ვერ იკავებს ღიმილს).

— **შემდეგ?**

— იმის შემდეგ, რა ვიცი... ამ თემებზე ასე ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. თავაზიანი დამოკიდებულება ქალებთან ყოველთვის მქონდა, თავაზიანობამ კი ეჭვი რატომ უნდა გამოიწვიოს, არ მესმის. საერთოდ, ღირსების მქონე ადამიანი როგორ შეიძლება ეჭვიანი იყოს?!

— **თქვენ არ ხართ ეჭვიანი?**

— არა, ღმერთმა დამიფაროს! მაშინ ჩემს ღირსებაზეც უარი უნდა ვთქვა. ჩემთვის მიუღებელია ასეთი რამ.

— **თქვენ პენკლუბს ხელმძღვანელობთ. ვინ არიან მისი წევრები, რას საქმიანობთ?**

— პენკლუბში 50-მდე წევრია, ძირითადად — მწერლები, რამდენიმე ჟურნალისტიც გავაწევრეთ. ეს არის მო-

ქალაქობრივი და საავტორო უფლებების დამცველი ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესს — ლიტერატურის ინტეგრაციის პროცესს. ვუშვებთ გაზეთ „ქომაცს“, რომელმაც იმ ოჯახებში შეაღწია, სადაც, ვფიქრობდით, რომ უნდა შეეღწია: ძველ ოჯახებს ვგულისხმობ. რაღაც პერიოდი, ფინანსური პრობლემების გამო „ქომაცს“ გამოსვლა შეწყდა, მაგრამ ახლა უკვე ისევ ვფიქრობთ მის გამოცემას — ამჟამად ჟურნალ-გაზეთის ფორმატით გამოვა, პენკლუბის ეგიდით.

პენკლუბმა რამდენიმე კონფერენციაც მოაწყო სხვადასხვა თემაზე: „ხელოვანი და ხელისუფლება“, „გამარჯვებული მსხვერპლი“ — რეპრესიების მსხვერპლთა ოჯახების წევრებთან შეხვედრა...

სხვათა შორის, ბატონი ჯაბა პატიმრობაში რომ იყო, პენკლუბის საერთაშორისო კონგრესის მომართვა ჩამოვიტანე საქართველოში, რომელიც ესარჩლებოდა მას და ხელისუფლებას მი-

მართავდა მოწოდებით, რომ არ დარღვეულიყო სამართლებრივი ნორმები მის მიმართ. თუმცა, სამწუხაროდ, მაინც დაირღვა.

— **თქვენ დღეს პარლამენტის წევრი ხართ, დეპუტატი გახდით მაშინ, როცა თქვენი მეგობარი — ჯაბა იოსელიანი პატიმრობაში იმყოფებოდა და თუ არ ვცდები, მოქალაქეთა კავშირის სიით გახვედით.**

— დიახ, დეპუტატი მოქალაქეთა კავშირის სიით გავხდი, მაგრამ სიაში ვიყავი, როგორც უპარტიო, ასეც იყო მიწერილი ჩემი გვარის გასწვრივ. ეს ჩემი პირობა იყო, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ და პრეზიდენტმა შემომთავაზეს, მათი სიით მეყარა კენჭი.

— **პრეზიდენტის სურვილი იყო სიაში თქვენი შეყვანა?**

— აბა, ჩემი სურვილით ვინ სად ჩამწერდა?!

— **კიდევ რაზე შეთანხმდით, გარდა პარტიულობისა?**

— როგორც აღნიშნეთ, ბატონი ჯაბა



მაშინ საპატიმროში იყო. ვთქვი: მე და ბატონი ჯაბა მეგობრები ვართ, იმ ხელისუფლებაში ერთად ვიყავით. ახლა ის ციხეში იჯდეს და მე პარლამენტში – სწორად არ მიმაჩნია-მეთქი. მაშინ იყო ნათქვამი პრეზიდენტის მხრიდან, რომ როგორც კი ჩაივლიდა არჩევნები, ამ უსამართლობას მოვევლებოდა. ასეც მოხდა.

— **გი. პირობა შეასრულა?**

— შეასრულა, მაგრამ ეს გამოუვალე მდგომარეობით ნაკარნახევი პირობა იყო.

რადგან ვთვლი, რომ ასეთი ზომები ჯაბა იოსელიანის მიმართ არ უნდა მიეღო.

— **თუ ნანობთ რაიმეს განვლილი ცხოვრებიდან?**

— უამრავ რამეს. ნამდვილად არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიგს, რომლებიც ამბობენ – უკან რომ დამაბრუნა, ისევ ამ გზით ვივლიდიო. ბევრ რამეს ვნანობ, ბევრ რამეს სხვანაირად გავაკეთებდი...

— **თქვენი ლექსების ახალი კრებული ახლახან მიიღო მკითხველმა. სურვილის მიუხედავად, პოეზიის ბევრი მოყვარული მას ვერ შეიძენს...**

— სამწუხაროდ, რეალობა ასეთია. ვისაც ფული აქვს, ის რესტორნებში და კაზინოებში ხარჯავს და არც ლექსი აინტერესებს და არც წიგნი. ის კი, ვისთვისაც სულიერი ღირებულებები და წიგნი ბევრს ნიშნავს, ისეთ მდგომარეობაშია, მის შესაძენად ფულს ვერ გადაინახავს. არადა, უფასოდ (ახლობლებს არ ვგულისხმობ) ავტორი წიგნს ვერავის მისცემს, რადგან ყველა ხარჯს გამომცემელი აფინანსებს.

ისე კი, ხალხი არასოდეს ჩივის – ღვინოა ძვირი, ან არაყი, ან ლუდიო... წიგნს რომ ფასი არ ჰქონდეს, არც ეს ივარგებს. ალბათ დადგება დრო, სიტუაცია გამოსწორდება და...

— **როდის გრძნობთ ხოლმე, რომ ნერა გინდათ? განსაკუთრებული შთაგონება თუ გჭირდებათ ამისთვის?**

— ყოველთვის, როცა წერის სურვილი მიჩნდება, უკვე ვიცი, რისი დაწერა მინდა. ისე, მოუფიქრებლად კალამი არასოდეს ამიღია და არ დავმჯდარვარ მაგიდასთან იმ აზრით – ჯერ არ ვიცი, რას დაწერ და მერე მომაფიქრებამეთქი. რაც მიგროვდება, იმაზე ვწერ, ჯერ არშექმნილის სურნელს წინასწარ ვგრძნობ ხოლმე...

საცდუნებლისთვის ფართე გზებია, გზა ამტკვერა ქარმა თონეთის, ორდენებისთვის ლაფში წვებიან მუღლევები ქალბატონების.

— **წერს დათო მალრაძე და არ შეიძლება არ დაეთანხმო მას, რომ „საცდუნებლისთვის“ დღეს მართლაც ფართო ასპარეზია.**

მოულოდნელი შუნიშობა

ერთ ტემპერამენტიან ფრანგ მკერავს, საყვარელი გოგონა – საუცხოო ტანის მანეკენი ჰყავდა. ბუნებრივია, ლამაზმანი ძალიან ამაყობდა თავისი სხეულის პროპორციებით, დიეტასაც იცავდა და სპეციალურ ვარჯიშებსაც არ ივიწყებდა. მაგრამ ერთ ნაკლებმშვენიერ დღეს შეყვარებულმა კაცმა შეიტყო, რომ გოგონა მას დალატობდა. მის გონებაში ფრიად ორიგინალური შურისძიების იდეა გაჩნდა: მკერავმა საყვარლის ბინაში შეაღწია და მთელი მისი ტანსაცმელი რამდენიმე სანტიმეტრით დააპატარავა. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში აღმოჩნდებოდა ლამაზმანი, რომელსაც არც ერთი სამოსი არ მოერგო, რაც იმას მოასწავებდა, რომ მას ერთბაშად მოუმატია წონაში!..



ნიფხების გამოფენა

ინგლისის ქალაქ მანჩესტერში უჩვეულო ექსპოზიცია გაიხსნა: ფოტოსტატმა ემა პარქსმა მას „საყვარელი ნიფხავი“ უწოდა და ქვედა საცვალში გადაღებული 90-მდე ადამიანის (მათ შორის ბევრი ცნობილი პიროვნება) სურათები გამოფინა. პარქსს ამ საშუალოს შესასრულებლად ნახევარი წელი დასჭირვებია, იდეის წარმოშობა კი ასე ახსნა: ბევრ ადამიანს აქვს საყვარელი ნიფხავი, რომელსაც, მისი აზრით, იღბალი და ბედნიერება მოაქვს. „ამ გამოფენით მინდოდა

მეჩვენებინა, რომ ისეთ უბრალო ნივთს, როგორც არის ნიფხავი, შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ადამიანისთვის და, შესაბამისად, ბევრს მეტყველებდეს მასზე“. ამის დასადასტურებლად ემას ლონდონში გაცნობილი ერთი საფეხბურთო ფანატის მაგალითი მოჰყავს, რომელიც, მისი საყვარელი „არსენალის“ თამაშის დღეს, ყოველთვის ერთსა და იმავე „იღბლიან“ ტრუსს იცვამს, რომელსაც ამ გუნდისთვის გამარჯვება მოაქვს ხოლმე...

ეკა ლომიძე

— მახსოვს, აბა რა! და სანამ ცოცხალი ვარ, მემახსოვრება ის გოგო — თითქოს ყველას მსგავსი, მაგრამ მაშინ ჩემთვის მაინც ერთადერთი და სრულიად გამორჩეული, იდუმალი სამყაროდან მოვარდნილი სხივივით შემომანათა და... მერე წავიდა. თუმცა, ბოლომდე არ გამქრალა — ისევ ანთია პატარა ნაპერწკალი გულში და დროდადრო თავს მახსენებს ხოლმე.

— როდის იყო ეგ ამბავი, სიყვარულის „კომეტა“ როდის დაგეჯახათ პირველად?

— 15 წლისა ვიყავი, მუსიკალურ სასწავლებელში რომ დავიწყე სწავლა. ხომ იცით, ეს რა დროა ბიჭისთვის! დაკაცების პროცესში შედის, ყველაფერს სხვაგვარად, მძაფრად აღიქვამს და განიცდის. 1986 წელი იყო. კიევის ქუჩაზე დავინახე პირველად მარინა. მაშინვე მომაჯადოვა. ვიგრძენი გულის სხვანაირი ტოკვა და წამებში თითქოს მთელი სამყაროც შეიცვალა. ლამაზი, თბილი და აღერსიანი მეჩვენა ყველა.

— მასაც შეუყვარდით?

— დიახ. ორივე ერთი გრძნობით ვიყავით ანთებულები. არაფერი აღარ მახსოვდა დელამიწის ზურგზე. წარმოიდგინეთ, როგორ მძულდა დაღამება, და რა სიხარულს მანიჭებდა გათენება — იმ დღეს ხომ მარინას ვნახავდი. ახლა აღარც მახსოვს ჩვენი ურთიერთობის წვრილმანი დეტალები, მაგრამ მახსოვს, რომ იმ გოგონათი იწყებოდა და მთავრდებოდა ცხოვრება ჩემთვის.

— ისე სევდიანად ჰყვებით, რომ ველარ ვზედავ გკითხვით — რა ბედი ენია თქვენს პირველ სიყვარულს?

— 1970 წელს მამამისი ჩაერია ჩვენს ცხოვრებაში ბოროტად და 17 წლის გოგო, ბევრად უფრო ასაკოვან კაცზე გაათხოვა.

— რატომ, თქვენ არ მოსწონდით?

— არა. მამამ შვილი საქმიან ინტერესებს ანაცვალა — ანგარებით გაათხოვა.

— წარმომიდგენია, რა დაგე მართებოდათ ორივეს...

— არ ვიცი, ის როგორ იყო, რამ გადაატანინა ეს დიდი ტკივილი. ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ძალიან გამიჭირდა ფიქრებთან,



რომა რცხილაძე:

სანამ ცოცხალი ვარ, ის გულში მუდამ სიყვარულია

განცდებთან ბრძოლა... დღეს უკვე უფრო იოლად ვუყურებ ყველაფერს და იმასაც ვფიქრობ, რომ შეიძლება ასე უნდა მომხდარიყო...

— აღარ გაგონდებოთ, აღარ გენატრებათ ხოლმე?

— მას შემდეგ 32 წელი გავიდა და დაიჯერებთ? — ერთხელაც არ შემხვედრია არსად, მაშინ, როცა თბილისის ქუჩებში შემთხვევით დაფიქსირებული სახეები უცხოეთშიც კი მიცვნიდა და სრულიად უცნობი ადამიანები ახლობლებივით მომიკითხავს. იმ ქალისთვის კი თვალ-იც არ მომიკრავს...

— არც მისი ცხოვრების შესახებ გსმენიათ რამე?

— ვიცი, რომ არაჩვეულებრივი ოჯახი აქვს და ისევ ისეთი ლამაზი და მომხიბლავია.

— სურვილი არა გაქვთ, რომ ნახოთ?

— (იცინის) ო, ეს ჟურნალისტები, როგორი ხალხი ხართ! რას მეკითხებით? შეიძლება, ასეთი სურვილი არ მქონდეს?!

— გასაგებია, რომ ძალიან გიყვარდათ, მაგრამ ის გოგო ხომ არ ყოფილა თქვენთვის პირველი და უკანასკნელი სიყვარული?

— ჰო, რა გრძნობაც 15 წლის ასაკში დამეუფლა, დღესაც მისი

საქართველოში ერთადერთ მუსიკალურ „სპილოს“, კონცერტის დაწყების წინ კულისებში ჩაფუსაფრდი: ვიფიქრე — ამ დროს უფრო საგსე იქნება გრძნობებითა და განცდებით და სიყვარულზეც უკეთ ისაუბრებს-მეთქი. არ შევმცდარვარ — „ნატვრის სის“ ავტორი, მუსიკოსი რომა რცხილაძე საგრიმიოროში ჩემთან ერთად განმარტოვდა და ტკბილ-მწარე მოგონებების ზღვაში გადაეშვა. „სიყვარული ერთადერთი გრძნობაა, რომელიც ადამიანებს სიხარულითაც ავსებს და ტკივილიანი განცდების ტყვეობაშიც აქცევს“, — დასაწყისში მითხრა ბატონმა რომამ და ნუთიერი გარინდების შემდეგ, დაინყო:

ტყვე ვარ. თუმცა ის ქალი უკვე წაშლილი ფიქრია. მთელი ცხოვრება სიყვარულის გარემოცვაში დავრჩი. იქნებ სიყვარული სულაც ცალკე სამყაროა, სადაც ცხოვრების უფლებას დღემთი გვაძლევს... მოკლედ, რაც არის — ძალიან მაგარია და ვერაფერი შეეღრება. რაც შეეხება დღევანდელობას — ახლა ჩემი მეუღლე, ნინო „განაგებს“ სიყვარულს ჩემში.

— როდის აღმოაჩინეთ, რომ ვისაც ეძებდით, ის ნინო იყო?

— 40 წლის ვიყავი, როცა ნინო გავიცანი, მაგრამ სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს გვიან მოხდა. ნინოს მაშინ შევხვდი, როცა ღმერთს სურდა, ასე მომხდარიყო.

— ამბობენ, სიყვარული ქორწინების შემდეგ ხუნდება და ქრებაო...

— ჩემი ძალიან ახლობელი მეგობარი, ბატონი გიგა არველაძე მეუბნებოდა ამას წინათ — შენ და ნინოს რომ გიყურებთ, მგონია, სულ სამიოთხი დღის დაქორწინებულები ხართ, თქვენი ქორწინებიდან თითქოს დრო არ გასულაო... მართლა ასეა. სუნთქვას რომ შევწყვეტ და სხვა სამყაროში გადავინაცვლებ, იქაც დელამიწაზე ნაპოვნი გრძნობის ცეცხლი და მოგონება გამყვება...

„რისკიანი ვარ...“

არ უყვარს მატყუარა, უპასუხ-ისმგებლო ადამიანები და ყვავილები. სამაგიეროდ, სიურპრიზებზე და საჩუქრებზე „ჭკპუა ეკიტიბა“, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, მაინც ახალი „პროფესია“ — დედობა მოსწონს... დედა კი „რუსთავი 2“-ის წამყვანი ნანა ლიქაშვია ცოტა ხნის წინ გახდა: მასა და მის მეუღლეს — მუსიკოს ზაზა კახიანს „ბუთსუზელა“, ცისფერთვალება ქალიშვილი — 7 თვის ნინუცა ჰყავთ.



ვამაყობ, რომ ბროზნოში ჩასვლა და მასხალოვთან შეხვედრა მოპასუხსე“

ქეთი სეფიაშვილი

ბავშვობიდანვე ჟურნალისტობაზე ვოცნებობდი, სხვა პროფესიაზე არც კი მიფიქროვო, — მითხრა ნანამ და საუბარი სტუდენტობის დროინდელი არცთუ ისე ტკბილი მოგონებით დაიწყო:

— უნივერსიტეტის ჟურნალისტისკის ფაკულტეტი 1994 წელს დავამთავრე და მაშინვე რუსთავში, ახალჩამოყალიბებულ ტელეკომპანიაში დავიწყე მუშაობა. სტუდენტობის პერიოდი დღემდე დიდი ტკივილით მახსენდება. თითქოს დაწყველილი იყო ჩვენი ჯგუფი: მეორე კურსზე ვიყავით, როდესაც დათო ჯორბენაძე და ზაზა როინიშვილი დანით მოკლეს. დღემდე არ დამთავრებულა სასამართლო პროცესი. სამოცი კაცი „შეგვშალა“ იმ ერთმა დანის დარტყმამ... 6 თვის შემდეგ კიდევ ერთი ჯგუფილი გარდაგვეცვალა, მერე კიდევ სხვა და ასე, თითქმის მთელი სტუდენტობა დაკრძალვებზე, ორმოცებზე და წლისთავებზე დავდიოდით. მახსოვს, ჯგუფელმა ქუთაისში ქორწილში დაგვაპატიჟა და როდესაც იქ ჩავედით, კიბეზე თურმე თავდახრილი ავდიოდი — მეგონა, ისევ სამხედრო მივიდიოდით...

— როგორც ე.წ. მეოთხე ხელისუფლების უკვე გამოცდილი წარმომადგენელი რას ფიქრობთ — როგორი უნდა იყოს პროფესიონალი ჟურნალისტი?

— პირველ რიგში, ობიექტური და მომბეზრებელი — რა თქმა უნდა, კარგი გაგებით. ზოგ რესპონდენტს არ უყვარს, ჟურნალისტი თავს რომ აბეზრებს, მაგრამ უამისოდ ჩვენს საქმეს ვერ გააკეთებ. ჟურნალისტი რისკიანიც უნდა იყოს და „ჟილკიანიც“, თორემ ვერაფერს მიადწევს ვერც ცხოვრებაში და ვერც პროფესიულ საქმიანობაში.

— თქვენ თვითონაც ასეთი რისკიანი და აბეზარი ჟურნალისტი ხართ?

— ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, ასეთი ვიყო. რამდენად ვახერხებ, ალბათ მაყურებელი უკეთ შეაფასებს. ისე, როცა რესპონდენტს არ სურს შენთან შეხვედრა და ამა თუ იმ საკითხზე კომენტარის გაკეთებას გაურბის, რას იზამ?! ის მასალა, რასაც „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები დიდი შრომისა და ზოგჯერ რისკის ფასად მოიპოვებენ ხოლმე და არც ერთ სხვა არხს

არა აქვს, უკვე თავისთავად მეტყველებს, რომ „რუსთაველები“ ყველანი ძალიან აბეზარები ვართ... რისკიანიც ხშირად ვყოფილვარ. ვამაყობ იმით, რომ როგორც მოვახერხე გროზნოში ჩასვლა და მასხალოვთან შეხვედრა. მაშინ საკმაოდ დიდი იყო რისკის ფაქტორი.

— ცხოვრებაშიც ასეთი რისკიანი ხართ?

— კი, სხვათა შორის, ძალიან რისკიანი ვარ — თუნდაც გადაწყვეტილებების მიღებაში: შემიძლია მოულოდნელად რაღაც ისეთი ნაბიჯი გადავდგა, რომელიც არაპოპულარულია სხვების თვალში, მაგრამ თუ საჭიროდ ჩავთვლი, მაინც ჩემსას გავაკეთებ.

— რა გრძნობა გქონდათ, როდესაც პირველად დაჯექით კამერის წინ?

— შიშისა და უზომო კომპლექსის გარდა, სხვა არაფერი. ძალიან მინდოდა, როგორმე ეს კომპლექსი დამეძლია. მალე დაეძლიე კიდევ.

— ყველაზე სენსაციური განცხადება, რომელიც ეთერიდან გაგიკეთებიათ?

— ბოლოდროინდელ ამბავს და მასთან დაკავშირებულ ერთ კურიოზსაც

მოგიყვებით: 26 მაისს უშიშროების მინისტრმა რომ დაგვაჯერა – აქოდა, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას აქვს ადგილიო, „რუსთავი 2“-ზე ყოველ ერთ საათში სპეცგამოშვება გადიოდა... დაახლოებით ისეთი ფონი შეიქმნა, რომ ხალხი ლამის, სანგრების თხრასა და იარაღის ძებნას იწყებდა. ჩემი სპეცგადაცემები რომ დამთავრდა, საოცრად დაღლილი დაკბრუნდი რუსთავში, მივედი სახლში და რას ვხედავ – მთელი ეზო ხალხით არის სავსე, თითქმის მთელი რუსთავი იქ არის. სახლში ავედი, პიჯაკი გავიხადე, ძალიან „მხიარულად“ – საზაფხულო „ნარიდში“ გამოვეწვეე, ჩემი შვილი „კენგურუში“ ჩავსვი და სასეირნოდ გავედი. არაჩვეულებრივ გუნებაზე ვიყავი. არ დამავეწყდება ხალხის გაცხებული სახეები, თვალები თითქოს შუბლზე აუვიდათ: ქალი, რომელიც ნახევარი საათის წინ ეკრანიდან ყვიროდა, – სახელმწიფო გადატრიალებაა და თავს უშველეთო, ეზოში ბედნიერი ღიმილით დასეირნობს და ბავშვს ეთამაშებაო?! – აი, რა ეწერათ სახეზე.

უცნობი კაცი მომიხლოვდა და მკითხა: ნანა, რა ხდება, ომი არ იწყებაო?! ეს რა იყო, იცით? კინაღამ სიცილისგან გავიგუდე, მაგრამ მათი დამშვიდება კი მომიხდა: ნუ გეშინიათ, უშიშროების მინისტრს მგონი, რაღაც შეეშალა და არც ისე ცუდად არის საქმე-მეთქი.

— ალბათ ოჯახისა და მეუღლისთვისაც ბევრი დრო არ გრჩებათ. არ გსაყვედურობთ ხოლმე ამის გამო?

— ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის და ამიტომ, პრობლემებიც არ გვაქვს. თან, ზაზა წინასწარვე იყო შეგუებული, რომ ასე იქნებოდა: არც უფიქრია, ნანას ცოლად რომ შევირთავ, სამსახურს თავს დაანებებს, სამზარეულოში დაჯდება და მარტო სადილების კეთებით იქნება დაკავებული... შეძლებისდაგვარად ვცდილობ, დრო ისე გავანაწილო, რომ ყურადღება არც მას და ნინუცას მოვაკლო. ნინუცაც ძალიან განიცდის უჩემობას. ნ თვე, ფაქტობრივად, სულ ერთად ვიყავით, ხელსაც კი არავის ვაკიდებინებდი ბავშვისთვის. ახლა, სამსახურში რომ მივდივარ, დედაჩემთან ვტოვებ (დროებით მშობლებთან ერთად ვცხოვრობთ) და როგორც კი



არაჩვეულებრივი გრძნობაა დელობა, სანამ შენ თვითონ არ გამოცდი, ვერაფრით წარმოიდგენ


დამინახავს ხოლმე, ჩემ გარდა არავისთან აღარ მიდის – პატარა ლეკვივით „იღრინება“... არაჩვეულებრივი გრძნობაა დელობა, სანამ შენ თვითონ არ გამოცდი, ვერაფრით წარმოიდგენ.

— ცხოვრების მეგზურს როდის შეხვდით?

— (იცინის) მგონი დამავიწყდა კიდეც, როდის შეხვდით ზაზას. ძალიან ღიმილი ხნის – 7-8 წლის წინ გავიცანი. ზაზაც რუსთაველია. ბევრი საერთო ნაცნობი გვყავდა და ისე, შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს. მერე გერმანიაში წავიდა და 5 წელი იქ ცხოვრობდა. როდესაც ჩამოვიდა, ზშირად მოდიოდა ხოლმე ტელევიზიაში – ჩვენთან მეგობრები ჰყავდა. რამდენჯერმე სწორედ ტელევიზიაში შეხვდით ერთმანეთს. მერე როგორღაც მოახერხა და ბარშიც დამპატიყა. დაოჯახება კი ძალიან სწარაფად გადავწყვიტეთ – სულ რამდენიმე თვეში. ორივემ ზურგჩანთები ავიღეთ და ზაზას სოფელში – სამტრედიის რაიონში წავედით.

— ე.ი. გაიბარეთ?

— ასე გამოვიდა. მაშინ 28 წლის ვიყავი, ზაზა – 36-ის. რაღა დროს ჩვენი გაპარვა იყო, მაგრამ მაინც ასე დაერქვა... არადა, არავისაც არ გავპარვივართ – უბრალოდ, ერთად ყოფნა გვინდოდა, მაგრამ რაღაც ცერემონიების თავი არ გვქონდა და ამიტომ, უხმაურად დავქორწინდით. სამსახურში რომ აღარ მივედი, მეორე დღესვე დამირეკეს და კატეგორიულად განმიცხადეს: გათხოვება არ ვიცით, სამ დღეში სამსახურში უნდა გამოცხადდეო! რას ვიზამდი? მესამე დღეს



შვილზე ისეთი „გაგიჟებული“ მამა, როგორც ზაზაა, ჯერ არ მინახავს

მართლაც, სამსახურში ვიყავი.

— მშობლები ხომ არ გაგინანწყენდნენ?

— არა, რატომ ეწყინებოდათ?! მამა-ჩემი ზუმრობდა თურმე: მაგათ ასაკში უკვე ძილში იპარებიან ხოლმე და კიდეც კარგი, ეგენი სამტრედიისში გაიპარნენო... ჩემი მშობლები ძალიან კარგად იცნობდნენ ზაზას და ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ მქონია.

— გათხოვებამდე ალბათ ბევრი თაყვანისმცემელი გყავდათ, ზაზამ მაინც რით მოგსიბლათ?

— თაყვანისმცემლების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩიოდი. ზაზამ რით მომიხილა? ალბათ თავისი უშუალობით. ზაზა ისეთია, რომ აბსოლუტურად ყველას ხიბლავს.

— ე.ი. არაერთ ქალს დანყვიტეთ გული, არა?

— (იცინის) რას იზამ, ფაქტი ჯიუტია!.. ისიც ჩემი უშუალო და ხალასი ბუნებით მოიხიბლა...


— როგორია თქვენთვის იდეალური მამაკაცი?

— ახლა რომ ვითხრათ, იდეალური მამაკაცი ასეთი და ასეთია-მეთქი და ზაზას მონაცემებს არ დაემთხვეს, ხომ ეწყინება და ხომ დამენგრევა აწყობილი ოჯახი?! ეს, რა თქმა უნდა, ზუმრობით. საერთოდ კი, ვფიქრობ, ქალისთვის იდეალური მამაკაცი ის არის, ვინც უყვარს. რომ ვთქვა, გათხოვებამდე რაღაც პუნქტები მქონდა ჩამოწერილი – როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი მამაკაცი-მეთქი, მოგატყუებთ. ალბათ იდეალურ მამაკაცად რომ მივ-

მართკული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1) სად შეიქმნა პირველი ჯიპი?



- ა) ამერიკაში;
- ბ) საფრანგეთში;
- გ) გერმანიაში.

2. ვინ თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ უკრაინულად?



- ა) ნიკოლა ბაჟანმა;
- ბ) დავით გურამიშვილმა;
- გ) ლესია უკრაინკამ.

3) სად დაიბადა ტინა ტოლდოტი?



- ა) მექსიკაში;
- ბ) იტალიაში;
- გ) ესპანეთში.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

იჩნეე ზაზა კახიანი, იმიტომაც არის ჩემი ქმარი. ზაზა ძალიან ყურადღებიანია. შეილზე ისეთი „გაგიჟებული“ მამა, როგორც ზაზაა, ჯერ არ მინახავს. 37 წლის არის და ხომ წარმოგიდგენიათ, პირველი შვილი ამ ასაკში რასაც ნიშნავს. ფაქტობრივად, სამსახურში დამშვიდებული იმიტომაც ვარ, რომ ნინუცას მამამისი წუთითაც არ შორდება, სულ ერთად არიან. მუშაობის განრიგიც ხელს უწყობს – საღამოს 9-დან 12 საათამდე მუშაობს. თავისი ჯგუფი ჰყავს და პეროვსკაიაზე, რესტორანში უკრავს. ხანდახან კი დაიწუნუნებს ხოლმე: ნეტავ, თუ ღირს შენი სამსახური იმად, რომ ნინუცას დედის სითბო მოაკლდესო...

— მოკლედ, ბედნიერი ქალი ხართ?

— კი, ვთვლი, რომ ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ (ნანა იქვე მდგარ მაგიდას სამჯერ გამეტებით უკაკუნებს ხელს: აქაოდა, ჩემს ბედნიერებას ავი თვალი არ ეცესო...)

— საუბრისას თქვით — ადრე კარგი დიასახლისი ვიყავი და გემრიელ სადილებს ვამზადებდი, ახლა კი სამსახურისა და ბავშვის მეტი აღარაფერი მახსოვსო. მეუღლეს თქვენი მომზადებული სადილი არ ენატრება?

— ენატრება-მეთქი, ვერ ვიტყვი, იმიტომ, რომ ჯერ არც კი გაუსინჯავს! მხოლოდ ინტერვიუებიდან იგებს, რომ თურმე მისი ცოლი გემრიელ ნამცხვარსა და ხაჭაპურს აცხობს და ალბათ ნერწყვიც კი ეყვლება ხოლმე, მაგრამ რას იზამს?!

— ყოველთვის კარგად გამოიყურებით. ალბათ დიდ დროს უთმობთ ხოლმე საკუთარ გარეგნობას?

— რომ ვთქვა, ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ-მეთქი, ტყუილი იქნება. სალონში წასასვლელად ხშირად ვერც ვიცლი. რუსთავეში ჩემს მეგობარს საკუთარი სალონი აქვს და ჩვეულებრივ, სწორედ ის არის ჩემი გაჭირვებით ტალკვესი. მე და ჩემს კოლეგას — ნინო ორჯონ-

იკიძეს ყოველთვის დროის პრობლემა გვაქვს: დილით, ათის ნახევარზე უკვე სამსახურში უნდა ვიყოთ, თორმეტ საათზე კი — ეთერში ვართ... ბევრს ჰგონია, მაყურებლისთვის მნიშვნელოვანი სწორედ ტელეწამყვანის გარეგნობაა. მე ასე არ ვფიქრობ. გარეგნობა კი არა, უმთავრესი ის არის, რასაც ლაპარაკობ! ტელეწამყვანისგან ალბათ ისეთი ენერგია უნდა მოდიოდეს, რომ მაყურებელი აიძულოს, მოუსმინოს მას.

— ჩაცმულობაზე რას იტყვით?

— გვაქვს გარდერობი, რომელიც უკვე ყველა ტელეწამყვანს მიავიწყდა და არც ერთი ჩვენგანი აღარ იყენებს. ისევე ჩვენ თვითონ ვახერხებთ რაღაცას... პარიზიდან, სამწუხაროდ, ნამდვილად ვერ ვიწერთ ტანსაცმელს. ამის დიდი სურვილი კი გვაქვს, მაგრამ შესაძლებლობა — ნაკლებად...

— პოპულარობამ გარკვეულწილად, სომ არ შეგცვალათ?

— არა, ვარსკვლავობის სენით დაავადებული არა ვარ და არც არასდროს ვიქნები. ქუჩაში მცნობენ და ეს ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ცხვირი მაღლა ავწიო — რა მაგარი ტიპი ვარ-მეთქი — სისულელე იქნება. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და აბსოლუტურად ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობ. სამსახურის დამთავრებისთანავე „მარშრუტკაში“ ვჯდები და რუსთავეში მივდივარ. ახლა მანქანის ყიდვას ვაპირებ — ბავშვთან უფრო მალე მივალ ხოლმე. მოწონებით ბევრი კარგი მანქანა მომწონს, მაგრამ ყიდვით ალბათ „მაღალიტრაჟკას“ რომ



„მაღალიტრაჟკას“ რომ ეძახიან, ისეთს ვიყიდი: უფრო პრაქტიკულია და იმიტომ.

— ჭორები თუ გსმენიათ საკუთარ თავზე?

— რამდენიც გინდათ. ჭორები ხომ პოპულარობის თანმდევი. რუსთავეში განსაკუთრებით, ძალიან ბევრი უსიამოვნო ჭორი მომიგონეს — ხან ვისზე „გამათხოვეს“ და ხან ვისზე. თავიდან ძალიან განვიცდიდი და ყოველდღე დეპრესია მქონდა. მერე თანდათან მივეჩვიე...

ნანა ქიბიშაური

— საუბარი საზღვარგარეთ გატარებული წლებით მინდა დავიწყოთ. როგორი როლი აკისრია იქაურ ფოტორეპორტიორს?

— ყოველ შემთხვევაში, არა ისეთი, როგორიც აქ. მე ამერიკაში მომიწია მუშაობა. იქ ფოტორეპორტიორობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი და ელიტური პროფესიაა. ფოტო, რომელიც მაღალტირაჟიანი გაზეთის ან ჟურნალის გარეკანზე ხვდება, 5-დან 10 ათას დოლარამდე ღირს. შიდა გვერდებზე მოთავსებული ფოტოსურათების მინიმალური ფასი კი, 50 დოლარია. უცხოეთში გამოძვალ ყველა ჟურნალ-გაზეთის თავისი ფოტორედაქტორი ჰყავს. ეს რანგით მესამე პოსტია — გამომცემლისა და რედაქტორის შემდეგ. პასუხს აგებს, როგორც გაზეთში მოთავსებული ფოტომასალის შინაარსსა და ხარისხზე, ასევე მთლიანი ტირაჟის გაყიდვის მაჩვენებლებზეც, რადგან ითვლება, რომ გაზეთსა თუ ჟურნალს, ყიდის ეფექტური ფოტო, რომელიც ხშირ შემთხვევაში, გარეკანზეა გამოტანილი. უცხოელი კოლეგების ფონზე, ჩვენი ფოტოკორესპონდენტები მართლაც დამამცირებელ მდგომარეობაში იმყოფებიან. მე ვერ დავასახელებ საქართველოში ვერც ერთ ჟურნალსა და გაზეთს, სადაც ფოტოკორესპონდენტს ისე აფასებენ, როგორც მის პროფესიას შეეფერება. ბოსნიისა და ფოტორეპორტიორის ურთიერთობასთან დაკავშირებით კი, ერთ მაგალითს მოვიყვან. მაშინ „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოს სან-ფრანცისკოს ბიუროში ვმუშაობდი. კალიფორნიაში ხანძარი მოხდა. მე მოხერხებული პოზიცია დავიკავე და ძალიან შთამბეჭდავი ფოტომასალაც გადავიღე. მოხდა ისე, რომ ეს მასალა ყველაზე ოპერატიულად მე მივაწოდე სააგენტოს. როდესაც დადლილი და შებოლილი ბიუროში დაგბრუნდი, მითხრეს, რომ ლიფტის კართან ნახევარი საათია ფეხმოუცვლელად დგას ბოსი და მადლობის სათქმელად მელოდება. არ დავიჯერე. გაიღო ლიფტის კარი და მართლაც, შეჭვარტლული ფოტორეპორტიორი „ასოშიეიტედ პრესის“ მილიონერმა ბოსმა გულში ჩაიკრა და მადლობა გადაუხადა. ეს ჩემთვის ისეთი სტიმული იყო, რომ მზად ვიყავი, ცეცხლმოკიდებული სახლი გარედან კი არა, შიგნიდანაც გადამეღო. ამერიკაში დიდი გამომცემლობების მეპატრონენი ისევე აღიქვამენ თავიანთ ჟურნალ-გაზეთებს, როგორც საკუთარ თვალს ან ხელს. თავისთან დასაქმე-

მსოფლიოს 100 საუკეთესო ფოტორეპორტიორს შორის დასახელებულ სერგო ედიშერაშვილს მიაჩნია, რომ საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა შედეგად არ გახდება მანამდე, სანამ ჩვენთანაც ისევე არ „გამოიჩეკებიან“ და გამრავლდებიან პაპარაცები, როგორც საზღვარგარეთ. კაცს, რომელმაც 15 წლის ასაკიდან დაიწყო ფოტორეპორტიორობა, ალბათ, სიზმარიც დაეჯერება (მისი საგაზეთო ნათლობა „ნორჩ ლენინელში“ მოხდა), არადა, ამ ბოლო დროს, „საქინფორმის“ ფოტოარქივთან არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების გამო, ხელმძღვანელების სახით, ოპონენტები გამოუჩნდნენ.



რატომ ყოვნდება შევარდნაში ხელის ჩამორთმევისას?



ბულ ჟურნალისტებსა და ფოტორეპორტიორებს კი, როგორც საკუთარი ხელის თითებს, მოკლედ, თავისთავად ნაწილს, რადგან იქ მესაკუთრული გრძნობები ჩვენზე მეტად აქვთ განვითარებული. საპასუხოდ, ჟურნალისტიცა და ფოტორეპორტიორიც ისევე აღიქვამს თავის გაზეთს, როგორც თავის სახლს, თავშესაფარს. საქმისადმი მაღალპროფესიული და პატრიოტული მიდგომა ამ პრინციპს ეფუძნება. ჩვენთან ფოტორეპორტიორი არის ადამიანი,

ვისაც რედაქტორი ფულს უხდის და ამიტომ ისე უნდა გადაიღოს ფოტო, როგორც რედაქტორს უნდა. ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ ის შემოქმედი კი არა, შემსრულებელია. ასეთი მიდგომის დროს ფოტორეპორტიორიც მხოლოდ ჰონორარისთვის მუშაობს და პირველი შეთავაზებისთანავე, ყოველგვარი გულისტკივილის გარეშე მიდის იქ, სადაც თუნდაც 10 დოლარით მეტს გადაუხდიან.

— იქნებ, ჩვენთან არც არაა



ისეთი პროფესიონალები, ვისაც რედაქტორები ძნელად შეელევინან?

– არც ეს არის გამორიცხული. თუმცა, სულ მალე, თუ ჩვენი გეგმა განვახორციელებთ და ფოტოაკადემია ჩამოვაყალიბებთ, ფოტორეპორტიორთა მოსამზადებელ კურსებსაც გავხსნით, სადაც ყოველ რედაქციას საშუალება ექნება, საკუთარი ფოტოკორესპონდენტები გამოგზავნოს და ჩვენი გამოცდილებაც აითვისოს. სწორად დამიფიქსირებია ფოტოკორესპონდენტები, რომლებიც ერთი კაცის გადასაღებად 3ნ-ჯერ აჩხაკუნებენ ფოტოაპარატს და თავს აბეზრებენ. ეს არაპროფესიონალიზმის ნიშანია. დგებიან იქ, სადაც არ უნდა დადგნენ – კუთხიდან, საიდანაც არანაირი ფოტო არ გამოვა. აქვთ დაცვასთან პრობლემები და ერთი შეხვლა-შემოხლა. პროფესიონალი დაცვას ან ემორჩილება, ან გამოეპარება. ექსცესებისა და მიტინგების დროს თავზე ამტვრევენ ფოტოაპარატს, ართმევენ ფირს – ესეც არაპროფესიონალიზმის ნიშანია. არ დარჩენილა ომი, ან მსოფლიოს რომელიმე ცხელი წერტილი, მე და ჩემს ფოტოაპარატს რომ არ წაგვეშუშოს, მაგრამ არც ერთს არანაირი პრობლემა არ შეგვექმნია. ამის მიუხედავად, არც ის გამჭირვებია, რომ მსოფლიოს 100 საუკეთესო ფოტორეპორტიორს შორის მოგხვედრილიყავი. ერთადერთი პრობლემა, რომელიც მექმნება, ჩემ მიერ გადაღებული შილიფად ჩაცმული (ან საერთოდ ჩაუცმელი) მოდელების ქმრები და შეყვარებულები არიან, რომლებსაც ვერაფრით ვაჯერებ, რომ მე სიშიშვლეს „არ ეხედავ“. მე ვარ ხელოვანი, რომელსაც სხეულზე შუქ-ჩრდილების სწორად განაწილება შეუძლია. შემოიძლია სხეულისა და ბუნების შერწყმის ან კონტრასტის ფონზე გამოკვეთო ის, რისი წარმოჩენაც ჩემს დამკვეთს, ამ შემთხვევა-

ში – მოდელს სურს. მეც არ ვიცი, როგორ ვახერხებ მათ დარწმუნებას იმაში, რომ არანაირ დუბლს არ ვინახავ.

– რომელია თქვენ მიერ გადაღებული ყველაზე ძვირად ღირებული ფოტო?

– ალბათ ციმბირელი ომის ვეტერანი. ამ ფოტოში 1.200 დოლარი გადამიხადეს. ამერიკელებმა ფოტო გადაღებიდან 6 წლის შემდეგ გამოიყენეს. მე მაშინ უკვე საქართველოში ვიყავი. დამირეკეს და მიხოვეს ნებართვა მის დაბეჭდვაზე. თანხმობის შემდეგ კი ეს ფული გამომიგზავნეს.

– თქვენს ფოტოებში ამდენს თუ იხიდიდნენ ამერიკელები და მაინც საქართველოში ჩამოხვედით, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ უფრო მომგებიანი წინადადება შემოგთავაზეს?

– საქართველოში მოგების გულისთვის მხოლოდ უცხოელები ჩამოდიან. მე – სამშობლოში დავბრუნდი. აქ იყო ჩემი ოჯახი, ჩემი ხალხი. „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოდან წამოსვლის დროს დიდი წინააღმდეგობა შემხვდა: არ უნდოდათ ჩემი გამოშვება, რაღას არ მთავაზობდნენ. მერე ხერხს მივმართე – თავი მოვიავადმყოფე. სხვა გზა არ იყო: ბოლოს ჩემი გამოგზავრებისთვის საჭირო საბუთები თვითონვე მომიწესრიგეს და თვითმფრინავის ტრაპამდე საკაცით მიმიყვანეს. სანამ არ ავფრინდით, არ ვიჯერებდი, რომ საქართველოში ვბრუნდებოდი.

– საქართველოში კი, ყველაზე ფოტოგენურ პოლიტიკოსთან მუშაობა გელოდათ, არა?

– დიას, შევარდნამე ძალიან ფოტოგენურია. ის შინაგანად არტისტული კაცია, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. პატივს სცემს ფოტორეპორტიორებს და არ ეხარება მათ წინ პოზირება.

– შევარდნამე ფოტოგრაფების წინაშე პოზირებს?

– დიას, პოზირება ეტიკეტის დაუწერელი კანონია, რომელსაც პოლიტიკოსები და ფოტორეპორტიორები თანაბრად იცავენ. მაგალითად, შეხვედრების დროს ხელის ჩამორთმევისას შევარდნამე ყოვნდება და მუშაობის საშუალებას გვაძლევს. რაც არ უნდა ცუდ ხასიათზე იყოს, ჩვენთვის იცინის. შეიძლება, სხვები ვერც ხვდებიან, რომ ის სიცალი ჩვენთვისაა განკუთვნილი. ბევრი პოლიტიკოსი თუ პრეზიდენტი ჩვენს პროფესიულ საქმიანობას გულგრილად ეკიდება და გვაიძულებს, საათობით ველოლოთ საჭირო კადრს. უცხოელ კოლეგებსაც სწორად აღუნიშნავთ, რომ შურთ ჩვენი, რადგან საიდანაც არ უნდა გადაიღო ჩვენი პრეზიდენტი, სურათი მაინც გამოგვივა.

– ამაშიც გაგვიმართლა ქართველებს, არა?

– რატომაც არა?! ეს მაინც შურდეთ ჩვენი...

– ახლა ის გვითხარით, ყველაზე დიდი რისკის ფასად, რომელი ფოტო გადაიღეთ?

– ვმუშაობდი ჩეჩნეთში, აფხაზეთში, სუმგაითში, ყარაბაღში... ომის დროს ექსტრემალურ სიტუაციაში იმყოფება ფოტოგრაფი და მუდმივად სტრესული მდგომარეობა აქვს. ამდენი ომით, ეტყობა, მეც გადაღლილი ვიყავი და ჩეჩნეთში, ცხოვრებაში ყველაზე სარისკო პროფესიული „იალიში“ მომივიდა, რომელმაც კინაღამ მიმსხვერპლა კიდეც – როდესაც ბუდიონოვკის საავადმყოფოდან ბასაევის გამოსვლის დროს, დერეფანი გაკეთდა, სადაც სხვა ფოტორეპორტიორებმა მოიყარეს თავი, მე კი „იკარუსზე“ ავედი და ზემოდან ვიღებდი. მაშინ „როიტერისთვის“ ვმუშაობდი. ერთ-ერთმა თანამშრომელმა დამინახა და შემომძახა – რას შერები, სნაიპერი გესვრისო! მართლაც, სანტიმეტრში ამცდა ტყვია.

– პაპარაცული ფოტოებიც გექნებოთ გადაღებული?

– ჩემს საიდუმლო არქივში ძირითადად, სუფრასთან გადაღებული ფოტოსურათებია. თუმცა, ჩემს გადაღებულ ფოტოებს პაპარაცულს მაინც ვერ დავარქმევ. მათთან, ვისაც მე ვიღებ, შინაურ ფოტორეპორტიორად ვითვ-





ლები. ეს რა პაპარაცობაა? მივესალმები ნამდვილ პაპარაცულ მოძრაობას. ჩვენთან კორუფციასთან ბრძოლა მანამდე არ გახდება ეფექტური, სანამ პაპარაცები არ გამოჩნდებიან. მაშინ ხელისუფლების წარმომადგენლები თავისუფლად ვეღარ დახარჯავენ რესტორნებში ასეულობით დოლარს, თუ მათ ჩასაფრებული პაპარაცების შიში ექნებათ. ამდენი მათხოვრის ფონზე, ბოჰემურ განცხრომაში მყოფი ხელისუფალი „გემრიელი“ გადასაღებიც კია. პაპარაცებს იმიჯი პრინცესა დაიანას სიკვდილის შემდეგ უფრო გაუფუჭდათ. მათ უბრალოდ, ადამიანური ზომიერების გრძნობა ვერ დაიცვეს, თორემ მთლიანობაში, მათ საქმიანობაში, პირადად ჩემთვის, მიუღებელი არაფერია. პაპარაცი ეს არის „სინაგლის“, ხელოვნებისა და სიმართლის ნაზავი. იმედს ვიტოვებ, მომავალ თაობაში მანც გამოჩნდებიან ჩვენზე გამბედავები. იქ, სადაც პაპარაცები არიან, ძალიან ბევრ ფულზეა ხოლმე საუბარი: პაპარაცების მიერ მოპოვებული კომპრომატი ძალიან ძვირად ფასობს.

— **თქვენი აზრით, ჩვენებური პაპარაცების პირველი მსხვერპლი ვინ იქნება?**

— ისინი თითოეულ ცნობილ ადამიანს „გამიფრავენ“ — ყველას, ვინც ჩვენი ხალხი უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე მიიყვანა, თვითონ კი, სხვათა სიღარიბეზე გამდიდრდა. საქართველოში ძალიან ბევრია ასეთი.

— **უცხოეთში კანონი გარკვეულწილად, იცავს კიდევ პაპარაცს.**

— იქაური კანონები ვიცი, მაგრამ სიმარ-

თლე გითხრათ, აქაური არც წამიკითხავს. იქ ვიცოდი: მდელიზე წამოწოლილი შეყვარებული წყვილი რომ გადამეღო და ფოტო სადმე გამომეჭევენებინა, აუცილებლად მიჩივლებდნენ და გაზეთს, ათასობით დოლარის გადახდა მოუწევდა. ჩვენთან ყველაფერი პირობითია: ბოლომდე არავენ იცის, რისი უფლება აქვს და რისი არა. მასამ არც ის იცის, როდის ირღვევა მისი უფლება და როგორ დაიცვას ამ შემთხვევაში თავი. ასეთივე დღეში არიან რეპორტიორები. ამ ქვეყანაში ხომ ყველაფერი კანონით კი არა, ძმაკაცის ძმაკაცის მეშვეობით ვგარდება...

— **ბატონო სერგო, თქვენ „საქინფორმის“ ფოტოარქივის შინაურულ პრობლემებზეც უკვე ხმამაღლა და საჯაროდ საუბრობთ.**

— ხმამაღლა ვსაუბრობ, რადგან ფოტოარქივი, სადაც 1800-მდე ნეგატივი, ათასობით ფირი და ათიათასობით ფოტოა დაცული, მართლაც კატასტროფულ მდგომარეობაშია. ნეგატივი შეიცავს ვერცხლს და შენახვისთვის განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს. მაგალითად, არ შეიძლება ნეგატივი ცვლად ტემპერატურაზე ინახებოდეს. ასევე დაცული უნდა იყოს განათებისა და დასხვიებისაგან. აქ დაცული ფოტოქრონიკა, 1912 წლიდან დღემდე შექმნილი უნიკალურ დოკუმენტურ მასალას წარმოადგენს. ეს უკვე ისტორიული მემკვიდრეობაა, რომლის მოვლაც ჩვენ, ნებისმიერი მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად უნდა შევძლოთ.

— **და ამის საჯაროდ განცხადების გამო გაგათავისუფლეს თანამდებობიდან, არა? როგორც გავიგე, საქართველოს ნომერ პირველ ფოტოსამსახურს ახალი უფროსი ჰყავს.**

— არა, უბრალოდ მე 9 წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი ამ სამსახურს და, ცოტა არ იყოს, გადავიღაღე. თვითონ მოვითხოვე გათავისუფლება. მე ცოტა ამბიციური კაცი ვარ. მინდა, რომ ყველაფერი „ფოტოქრონიკისთვის“ კეთდებოდეს. ახალ ხელმძღვანელობას თავისებური ხედვა აქვს, მე — ჩემბური. ამ აზრთა სხვაობას ყველაზე მეტად, ჩვენი თანამშრომლები განიცდიან. ახალ ხელმძღვანელთა ახალგაზრდული ენერჯია და ჩვენი პროფესიული გამოცდილება ალბათ მოგვეცემს საშუალებას, ერთობლივად გადავწყვიტოთ ის პრობლემები, რაც დროთა განმავლობაში „საქინფორმის“ ფოტოარქივში დაგროვდა.

— **ეს საკმაოდ დიპლომატიური განცხადებაა. შევარდნაძესთან მეგობრობას უკვალოდ არ ჩაუვლია: თქვენ ხომ მის „პირად ფოტოგრაფად“**

მოგიხსენებენ.

— აქ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ შევარდნაძისაგან მართლაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება. რაც შეეხება მის „პირად ფოტოგრაფობას“, ჩვენ საქართველოში ერთადერთი სამსახური ვართ, ვინც პრეზიდენტის ფოტოიმიჯზე ზრუნავს. უცხოეთში ფოტომასალის გავრცელებას ჯერჯერობით მხოლოდ „იტარტასის“ მეშვეობით ვახერხებთ. თანამედროვე ფოტოგრაფია ბევრი პრობლემის წინაშე დგას. კონკურენცია რომ გავუწიოთ უცხოეთის სააგენტოებს, ისეთებს, როგორიცაა „როიტერი“, „ასოშიეიტედ პრესი“ და სხვა, საჭიროა მთლიანად ციფრულ ტექნოლოგიაზე გადასვლა. ამის შემდეგ უნდა შემუშავდეს სააგენტოს სტრატეგია, რომლის საშუალებით ვეცდებით, „დავამარცხოთ“ ჩვენი კონკურენტები. ეს — რაც შეეხება ტექნოლოგიას, მაგრამ ყველაზე მთავარი მანც კარგი ფოტოსურათებია.

— **გამიგია, რომ ქალი რეპორტიორები მამაკაცებთან შედარებით უფრო მოხერხებულები არიან.**

— ეს უდავო ჭეშმარიტებაა. ამ საქმეში მათ თავიანთი დიპლომატიით უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ. მთელ მსოფლიოში იგრძნობა ტენდენცია, რომ სულ მალე ფოტორეპორტიორთა შორის ქალები უფრო მეტნი იქნებიან ვიდრე კაცები. წამოვიდა კიდევ ერთი ახალი ტენდენცია, ავანგარდული ფოტოხელოვნება. აი, მაგალითად, დახეული ფოტოსურათები ფერად ფონზე რომ დაყარო და ხელახლა გადაიღო. ჩემთვის ეს მკვდარი ხელოვნებაა, მიუღებელიც კი, მაგრამ როგორც იტყვიან, გემოვნებაზე არ დაობენ.

— **რატომ არ აწყობთ თქვენი ნამუშევრების პერსონალურ გამოფენას?**

— პერსონალური გამოფენა არასოდეს არ ყოფილა ჩემი ოცნება. ერთადერთი, რაც მინდა უახლოეს მომავალში გავაკეთო, არის ფოტოალბომის გამოცემა თბილისზე და თბილისელებზე. აი ამის შემდეგ უკვე ვიფიქრებ პერსონალურ გამოფენასზე.




მეზი სანავა

2000 წლის 16 აპრილს, თბილისში, მუხ-
ანის დასახლებაში უცნაური და ტრაგიკუ-
ლი შემთხვევა მოხდა: ქალმა დანით დაჭრა
პოლიციელი. დაჭრილი – 29 წლის კახა
სულაძე საავადმყოფოში მეორე დღეს გარ-
დაიცვალა. ქალი 44 წლის თბილისელი
ზოია აშოთია აღმოჩნდა. მისი თქმით, მთვრალმა
პოლიციელმა მას გაუპატიურება დაუპირა.
იგი იძულებული გახდა, დანით, რომელსაც
სიფრთხილის გამო სულ თან დაატარებდა,
თავი დაეცვა. პროკურატურის ინფორმაცი-
ით მან დანა იქვე მყოფ კახა სულაძის
ბიძაშვილს – მინდია სულაძესაც დაარტყა.
თუმცა, ეს უკანასკნელი მსუბუქად დაიჭრა
და გადარჩა.

აღნიშნულ საქმეს ამჟამად საოლქო სასა-
მართლო განიხილავს. ზოია აშოთიას გლდან-
ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ გან-
ზრახ მკვლელობის მცდელობისა და სხეუ-
ლის მიძიმე დაზიანებისათვის, 8 წლით თავისუ-
ფლების აღკვეთა მიუსაჯა. დაღუპულის
ნათესავები ასეთი განაჩენით უკმაყოფილონი
დარჩნენ და წინასწარ გამოძიებაში საქმის
დაბრუნების მოთხოვნით საოლქო სასამართ-
ლოს მიმართეს. ისინი ზოია აშოთიას კახა
სულაძის განზრახ მკვლელობაში ადანა-
შაულებენ და მისთვის შესაბამისი მუხლით
გათვალისწინებული სასჯელის შეფარდებას
მოითხოვენ.

განსაჯვლი ამ ბრალდებას კატეგორიუ-
ლად უარყოფს. მისი თქმით, კახა სულაძე-
ესთან ან რომელიმე მის ახლობელთან, მანამ-
დე მას არანაირი ნაცნობობა არ ჰქონია.
ზოია აშოთიასა და მისი შვილის – ლევან
გველესიანის ჩვენებების მიხედვით, 2000 წლის
16 აპრილს მოვლენები ასე განვითარდა: შა-
ბათს, ღამით, დაახლოებით 1 საათისთვის ღელა-
შვილი ქორწილიდან ფეხით მოდიოდა. ქორ-
წილი მუხიანის დასახლებაში იყო. ზოია
აშოთიამ გადაწყვიტა, თავის დასთან წა-
სულიყვნენ სახლში და დამე იქ გაეთათ,
რადგან სამსახური იქვე ახლოს ჰქონდა.

ღუმბაძის პროსპექტს რომ მიუახლოვდ-
ნენ, ქუჩაზე, სავალი ნაწილის შუაში მამაკაცი
შენიშნეს, რომელიც შარდავდა. შვილს, 17



ქალს პოლიციელის გველეხისთვის ასაგართლებენ

„იმი ჩემს გაუპატიურებას ეცადა, მე კი თავი დავიცავი“

წლის ლევან გველესიანს დედის წინაშე
უუხერხულა ასეთი სურათის დანახვისა და
როცა მამაკაცს ცოტათი მიუახლოვდნენ, უს-
აყვედურა: ქალი მახლავს, ასე რაბომ იქცევი,
სირცხვილიაო. ამ დროს იგი ძირს დაიხარა,
რათა ფენსაცმელში ჩავარდნილი კენჭი ახო-
ვლო, ამის გამო დღემდე მას ცოტათი გაუსწრო.

ზემოთ ხსენებული მამაკაცი ზოია აშო-
თიას მივარდა და შეურაცხყოფილი სიტყვე-
ბით მიმართა, თან სქესობრივი კონტაქტის
დამყარება შესთავაზა. მხრებშიც სწვდა, მა-
გრამ როცა აშოთიამ მას წინააღმდეგობა გაუწია,
ქალს ხელი ჰკრა და ძირს დააგდო. დავარ-
დნილს სცემდა და აქეთ-იქით დაათრევდა. ამ
დროს ზოია აშოთიამ ვიბიდან დანა ახოლო
და თავის დაცვის მიზნით, მოიქნია. დანა
მამაკაცს მუცელში მოხვდა. ყველაფერი სულ
რამდენიმე წამში მოხდა იქვე შორიასლოს
მეორე უცნობი იდგა, რომელიც დაჭრილ-
ისკენ დაიხარა. მას მანამდე არც ცემაში
მთულია მონაწილეობა და არც მათი გაშვლე-
ბა უცდია. ამასობაში, მათთან ლევან გველესი-
ანი მივარდა და – რას შვრებით, დედაჩემოო
– დაიყვირა. ზოია აშოთიამ შვილს ხელი
მოჰკიდა და ორივენი გაიქცნენ.

მეორე დღეს პოლიციის თანამშრომლებმა
ღელა-შვილს მიაკითხეს და განყოფილებაში
წაიყვანეს. როგორც სამართალდამცავები აღნი-

ნის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების
ინსპექტორი – მეორე დღეს საავადმყოფოში,
გაკეთებული ოპერაციის მიუხედავად, გარდა-
იცვალა.

გარდაცვლილის სხეულზე ჩატარებული
სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზის დასკე-
ნის თანახმად, ჭრილობა სიცოცხლისთვის
საშიში იყო, თუმცა სიკვდილის მიზეზი ჭარ-
ბი სისხლდენა აღმოჩნდა. საქმის მასალებში
არსებობს მე-8 საავადმყოფოს ექიმების ჩვენებები,
სადაც წერია, რომ დაჭრილი კახა სულაძე
ძალიან მთვრალი იყო და მათ ოპერაციის
გაკეთების საშუალებას არ აძლევდა. ამის
გამო, მას სპეციალურად ხელწერილიც დაადე-
ბინეს. ზედმეტი მოძრაობის შედეგად სუ-
ლაძის ორგანიზმში განვითარდა სისხლდენა
და ოპერაციის დაუყოვნებლივ გაკეთება აუცი-
ლებელი გახდა. ოპერაცია ჩატარდა, თუმცა
ავადმყოფს ამან ვეღარ უშველა.

კახა სულაძის გარდაცვალების ამ მიზეზს
კატეგორიულად უარყოფს მისი მეუღლე –
მეგი სულაძე: „ეს ინფორმაცია პროკურა-
ტურის თანამშრომლებმა სპეციალურად
გაავრცელეს, ალბათ, იმიტომ, რომ მოსყიდ-
ვლები არიან. ფაქტია, რომ ჭრილობა
სასიკვდილო იყო და კახას ვერანაირმა
ოპერაციამ ვერ უშველა“.

დაღუპულის მეუღლე, რომელიც აცხა-
ლებს, რომ შემთხვევის უშუალო თვითმხილ-
ველია, 2000 წლის 16 აპრილს მომხდარ
ფაქტს სულ სხვაგვარად აღგვიწერს:

„ეს უბედურება ღამის 1 საათზე მოხდა
და 16 აპრილი ამიტომაც არის მითითებუ-
ლი. ყველაფერი 15 აპრილს დაიწყო. იმ
დღეს, რადგანაც შაბათი გახლდათ, ჩემი ქმარი
სახლში იყო, არ მუშაობდა. სიყვარულის
დღესასწაულის აღსანიშნავად, მეზობელმა
მამაკაცებმა გადაწყვიტეს, ერთად ექიფათ და
კახასაც დაუძახეს. კახაც ჩავიდა. კარგა
ხნის შემდეგ ჩვენთან მეზობლად მცხოვრები
ომარ რაშოიანი ამოვიდა. ისიც ბიჭებთან
ერთად ქეიფობდა. კახას მისთვის იარაღი



შნავენ, მათი ვინაობა
ოპერატული ღონისძი-
ებების შედეგად, ერთ
დღეში დაადგინეს.
აღმოჩნდა, რომ ზოია
აშოთიას მიერ
დაჭრილი კახა სუ-
ლაძე – მცხეთა-
მთიანეთის რეგონ-
ული პოლიციის სამ-
მართველოს ნარკომა-

მოკლული
კახა სულაძე

გამოუტანება – ჩემს ცოლს მიეცით. ომარ-
მა პისტოლეტი დამიტოვა და წავიდა.

ცოტა ხნით ადრე ჩვენთან სტუმრად
ჩემი ქმრის ბიძაშვილი – მინდია სულაძე
მოვიდა. იმ პერიოდში ჯერში მსახურობდა,
მაგრამ რამდენიმე დღით თავი გაითავისუ-
ფლა და გვესტუმრა. უკვე გვიანი იყო, 1
საათი ან 2-ის ნახევარი იქნებოდა, როცა
გადავწყვიტე, კახასთვის დაძმება. აივანზე
გავვლი და დავიანახე, რომ იგი კორპუსის წინ
იღვა, თანაც ეტყობოდა, ძალიან მივრალი
იყო. მინდიას ვიხსოვ, ჩადი და ამოიყვანე, არ
იციის, ჩამოსული რომ ხარ და თან შენი
ნახვაც გაუსარღება-მეთქი. მინდია წავიდა, მე
კი ისევ აივანზე გავვლი. იქიდან ორივეს
კარგად ვხედავდი. კახა იმდენად მივრალი
იყო, რომ მომარდვა პირდაპირ ქუჩაში დაი-
წყო. ამ დროს, ქუჩის მეორე მხარეს მომვა-
ლი ქალი და ბიჭი შეენიშნე. ქალს მინდის-
ფერი პიჯაკი და შავი შარვალი, ბიჭს კი –
თეთრი საწიმიარი ეკვა. მათ უეცრად ქუჩა
გადმოჭრეს და კახასა და მინდიას მიუახ-
ლოვდნენ. ბიჭი კახას მხრებში სწვდა და
უბიძგა. ჩემი ქმარი ძირს დავარდა, მინდია
მისკენ დაიხარა, რათა წამოეყენებინა, მაგრამ
ამ დროს ქალმა ხელი მოიქნია და მინდიას
ყვირილიც გაისმა – მტონი, დამჭირესო!.. ამ
სიტყვების გაგონებაზე, მიუხედავად იმისა, რომ
7 თვის ფეხმძივი გახლდით, შინ შევვარდი
და მე-8 სართულიდან ძირს, კიბეზე დავეშვი.
ქუჩაში რომ გავვლი, ჩემი ქმარი, დაჭრილი,
ძირს ევლი. ქალი და ბიჭი არსად ჩანდნენ.
მე კვივლი ავტეხე, ხალხიც მოგროვდა და
დაჭრილები მამინე საავადმყოფოში წავიყვ-
ანეთ. მინდიას მსუბუქი ჭრილობა აღმოაჩნდა,
კახას კი თებრაცია დასჭირდა, მაგრამ იმდენ-
ად მძიმედ იყო დაჭრილი, რომ ამანაც არ
უშველა და გარდაიცვალა.

დარწმუნებული ვარ, რომ ზოია ამოთიამ

ჩემი ქმარი განზრახ მოკლა. ამის საბაბს ის
სატელეფონო ზარები მძღოვს, რომელსაც
მკვლელობის წინა პერიოდში ჰქონდა ადვ-
ილი. ვიღაც უცნობი ქალი რეკავდა, ყურ-
მღოს მე ვიღებდი, ის კი ხან იმუქრებოდა, ხან
მეუბნებოდა – ვის უჩნ მეორე შვილს, ნეტავ
იცოდეთ? სამწუხაროდ, ჩემს ტელეფონის
აპარატს ნომრის ამომცნობი არა აქვს და იმ
ქალის ვინაობას ვერ ვადგენდი. ახლა კი
ვევწვობ, რომ ის ზოია ამოთია იყო. ამ ქალს
იმდენად ცუდი რეპუტაცია ჰქონდა მთელ
რაიონში, რომ ადვილად შესაძლებელია, კახ-
ას მიმართ რაღაც დაინტერესება ჰქონოდა...
თანაც, თუ ჩემი ქმრის მოკვლა არ უნდოდა
ან, როგორც თვითონ ამბობს, კახა მის გაუპა-
ტიურებას ეცადა, რატომ გაიქცა იქიდან და
მიიმალა? რატომ არ მიმართა პოლიციას,
რომელიც შემთხვევის ადგილიდან ძალიან
ახლოს მდებარეობს?“

საგულისხმოა, რომ ზოია ამოთია კახა
სულაძესთან ერთად მინდია სულაძის ყოფ-
ნას უარყოფს და მის ნაცვლად, გარდაცვლი-
ლის მეზობელს – ომარ რაშოიანს ასახ-
ელებს. ამოთიას თქმით, აღნაგობითა და გარ-
ეგნობით, შემთხვევის ადგილას მყოფი მეორე
მამაკაცი რაშოიანს ჰგავდა. იმავეს აცხადებს
ლევან გველეხიანიც. რაშოიანი ამბობს, რომ
შემთხვევის ადგილას ის საერთოდ არ ყოფი-
ლა, ხოლო მინდია სულაძე ბიძაშვილთან
ყოფნის ფაქტს ადასტურებს.

ალიონა კახელი, განსასჯელის ად-
ვოკატი:

„დაზარალებულს ცრუ მოწმეები მოჰყავს.
მათ ერთადერთი ინტერესი აქვთ: რაც შეი-
ძლება მეტად დაუმძიმონ დანაშაული ზოია
ამოთიას. რაშოიანის დასახელება მათ, რა
თქმა უნდა, ხელს არ აძლევს, იმიტომ, რომ
მას სხეულზე ჭრილობის არანაირი კვალი
არა აქვს. ამოთიას ხომ მეორე უცნობი არ



ბრალდებული ზოია ამოთია

დაუჭრია? მინდია სულაძის სხეულზე კი
ჭრილობა დააფიქსირეს, რომელიც, როგორც
ჩანს, სულ სხვა დროს აქვს მიღებული“.

თუმცა, საქმის მასალებში არსებობს ექსპერ-
ტიზის დასკვნა, სადაც მინდია სულაძის
ჭრილობაა აღწერილი და დადასტურებუ-
ლია, რომ იგი იმავე დანით არის მიყენებული,
რომლითაც კახა სულაძის სხეულზე დაფიქ-
სირებული ჭრილობა.

ზოია ამოთიას ადვოკატი აღნიშნული
ექსპერტიზის დასკვნის სამართლიანობას
ეჭვქვეშ აყენებს. პარალელურად კი დაზარალებუ-
ლის ადვოკატი – გულიკო გაბაიძე ზოია
ამოთიას მკაცრად დასჯის გარდა, მისი შეი-
ლის – ლევან გველეხიანის სისხლის სა-
მართლის პასუხისმგებამ მიცემას მოითხოვს.

გულიკო გაბაიძე:

„დედისათვის ლევან გველეხიანი სასა-
მართლოს წინაშე შეუსაბამო სტატუსით –
მოწმის სახით არის წარდგენილი. არადა, მან
დედამისთან ერთად მიიღო მონაწილეობა
დანაშაულში, რომელსაც ერთი ადამიანის
სიცოცხლე ემსხვერპლა, მეორე კი სასწაუ-
ლებრივად გადაარჩა. ვფიქრობ, რომ გველეხი-
ანი ბრალდებულად უნდა იყოს ცნობილი,
რადგან იგი წინასწარი განზრახვით, ხულოგ-
ნური ქვენაგობით თავს დებს მათ.“



პედოფილი განაჩენს ელიც

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ იოჰანესბურგში
სერიული მოძალადის პროცესი მიმდინარეობს. ერთ-ერთი
რესტორნის 39 წლის შეფ-მზარეულს, ორი შვილის მამას, 7-
დან 14 წლამდე ასაკის 32 ბავშვის გარყვანაში ედება ბრალი.
ის ძალიან მომხიბლავ მამაკაცად ითვლებოდა და ამას თავისი
ბოროტი ზრახვებისთვის იყენებდა. როგორც წესი, მომავალ
მსხვერპლს რაიმე მისამართის მიგნებაში სთხოვდა ხოლმე
დახმარებას, შემდეგ კი, ლაპარაკ-ლაპარაკით, უეცარიად ადგი-
ლას შეიტყუებდა გოგონას... პოლიციელები მთელი წლის
მანძილზე დაიძებდნენ სერიულ მოძალადეს, მის დაკავებაში კი
გადამწყვეტი როლი ერთმა შემთხვევამ ითამაშა: როგორც
გაბრკავა, პედოფილი, თავის რამდენიმე მსხვერპლთან ერთად,
ერთსა და იმავე ბარში შედიოდა, სადაც მათ ნაყინითა და
წვენით უმასპინძლებოდა. ერთმა პოლიციელმა, იმ ბარში
მოხვედრისას, 13 წლის გოგონასთან მჯდომი მამაკაცი შენი-
შნა და რაღაც იეჭვა. დანარჩენი კი უბრალო საქმე იყო...

სიყვარულით დაბრუნებული ბერიკახი

77 წლის ჰარი რობინმა აღიარა, რომ ბანკის გამარცხისკენ
76 წლის მეგობარი ქალის სიყვარულმა უბიძგა: „რომეომ“ ვერ
აიტანა ის, რომ თავის „ჯულიეტასთან“ შეხვედრებისას, ძალზედ
მწვავედ განიცდიდა საკუთარ მატერიალურ შეზღუდულობას.
თადარიგში გასული პროფესიონალი მცველი, დიდი ხნის წინ
დაქვრივდა და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოვლენილმა სიყ-
ვარულმა გონება დაუბინდა. რობინის თქმით, შეყვარებული
მასზე გაცილებით შეძლებული იყო, ამიტომ მას ეშინოდა, ქალი
არ გაჰტყუებოდა. ამან უბიძგა ჰარის, რამდენიმე ბანკი „შემოეგ-
ლო“, თუმცა მისმა ნადავლმა, საბოლოოდ, სულ 8.702 დოლარს
მიადწია. სასამართლოზე, რომელიც სავარაუდოდ, მას 3 წლამ-
დე პატიმრობას მიუსჯის, ჰარი რობინმა მოკლედ გამოხატა
მომხდარისადმი თავისი დამოკიდებულება: „ერთადერთი, რაც
შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ დიდი სირცხვილის გრძნობას
განვიციდი“.

„გოგიტა მოსაკლავად შინიდან პოსტა ეგვოგარკა გაიყვანა“

–ახსნაღვს გარდახველილის დედა


მეზი სანავა

გასულ კვირას სასამართლოს წინაშე, თბილისში დროებით მცხოვრები 23 წლის აბო (ამბროსი) მექერიშვილი წარდგა. მას ორი მძიმე დანაშაული – განზრახ მკვლელობის მცდელობა და განზრახ მკვლელობა ედება ბრალად. ამ ბრალდებების დამტკიცების შემთხვევაში, კანონის შესაბამისად, განსასჯელს 10-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან შესაძლოა, სამუდამო პატიმრობაც კი ელის. ყველაზე მძიმე და საშინელი, ჩადენილ ქმედებებში ის გახლავთ, რომ აბოს მსხვერპლნი, ორივე შემთხვევაში, მისი თანატოლები და მეგობრები აღმოჩნდნენ. ჯერ აკაკი ჯიქიძის, მერე კი გოგიტა (გიორგი) ზურაბიშვილის მკვლელობის განზრახვამდე იგი, როგორც პროკურატურის თანამშრომლები აცხადებენ, შურისძიების სურვილმა მიიყვანა. თუ რისთვის იდია შური აბო მექერიშვილმა, არავინ ამბობს. ამის შესახებ განსასჯელი, მოწმეები და თვით დაზარალებულიც დუმს...

2000 წლის 3 თებერვალს, თბილისში, სათამაშო სახლ „ბინგოში“, რომელიც წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარეობს, მეგობრები შეიკრიბნენ. ცოტა ხანში ორ მათგანს – შალვა მჭედლიძესა და აკაკი ჯიქიძეს ერთმანეთში კამათი მოუვიდათ. კამათში აბო მექერიშვილიც ჩაერია. მან შალვა მჭედლიძეს დაუჭირა მხარი. მჭედლიძე და ჯიქიძე სიტყვიერი შეურაცხყოფიდან ერთმანეთის ცემაზე გადავიდნენ. ამ დროს ისინი უკვე ქუჩაში იყვნენ გასულები. შალვა დარტყმის შედეგად ძირს დაეცა. ამის დანახვისას აბო, რომელიც საკმაოდ ნასვამი იყო, გაბრაზდა და აკაკი ჯიქიძეს გულში დანა ჩაართყა (როგორც გამოძიებამ დაადგინა, მექერიშვილს დანა იმ დღეს თან ჰქონდა). მძიმედ დაჭრილი ჯიქიძე ასფალტზე დავარდა. აბომ იქაურობა მაშინვე დატოვა და მიიშალა.

გულმკერდის არეში მიყენებული ჭრილობა აკაკი ჯიქიძის სიცოცხლეს დიდ საფრთხეს უქმნიდა, მაგრამ იგი სიკვდილს მისთვის დროულად გაწვეულმა სამედიცინო დახმარებამ გადაარჩინა. სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს.

პროკურატურის მიერ გამოძიებული ეს დანაშაული სასამართლოს ჯერჯერ-



გოგიტა ზურაბიშვილი

მკვლელობის მიზეზს საიდუმლოდ ტოვებენ

ობით არ გადაუმოწმებია. ამის მიზეზი, დასაკითხად დაბარებული მოწმის – შალვა მჭედლიძისა და დაზარალებულის, ქ. სამტრედიასი მცხოვრები აკაკი ჯიქიძის სასამართლოში გამოუცხადებლობა გახდა.

საქმის მასალების მიხედვით, შემთხვევის მომენტიდან აბო მექერიშვილი იმალებოდა და პოლიციამ მის კვალს ვერ მიაგნო. თუმცა, იმავე მასალების თანახმად, აკაკი ჯიქიძის დაჭრიდან რამდენიმე დღეში დანაშაულზე შინ, საკუთარ ბინაში იმყოფებოდა და მეზობლებსა და ახლობლებთან ერთად ქეიფობდა. იმ დღეს მან ახალი დანაშაული ჩაიდინა.

2000 წლის 15 თებერვალს, თბილისში, კონსტიტუციის ქუჩაზე, მექერიშვილების მეზობლად მცხოვრებ მარიკა ჩალათაშვილს დაბადების დღე ჰქონდა. იმის გამო, რომ ვიწროდ ცხოვრობდა, გადაწყვიტა, სუფრა მექერიშვილების ბინაში გაეშალა და სტუმრებიც იქ მიეღო.

ღამის 1-ის ნახევარზე, უკვე 16 თებერვალს, აბო მექერიშვილმა სტუმრები გაცვილა. როცა შინ ბრუნდებოდა, დაახლოებით 1 საათზე ე.წ. ბნელ ხილთან მას მეგობარი – გოგიტა ზურაბიშვილი შეხვდა. „ხანმოკლე საუბრის შემდეგ, პირად საკითხებთან დაკავშირებით მათ ჩხუბი დაიწყო“ – წერია საბრალდებო დასკვნაში. ჩხუბის მიზეზის შესახებ მასალებში მეტი არაფერია ნათქვამი.

მთვრალმა მექერიშვილმა უცებ უბიძან ხანჯალი ამოიღო და ზურაბიშვილს

მუცლისა და თეძოს არეში რამდენჯერმე ჩაართყა.

იქვე, შემთხვევით, ზურაბიშვილის მეგობარი ლევან ჩულოვეი აღმოჩნდა. ქუჩაში მიმავალს ჩხუბის ხმა შემოესმა, ხმაურს მიჰყვა და დაინახა, რომ მისი ნაცნობი – აბო მექერიშვილი გოგიტას ერხუბებოდა. აბომ ხანჯალი მასაც მოუქნია. ამ მომენტში ჩულოვეი ძირს დავარდნილი მეგობრისკენ იყო დახრილი და ხანჯალი ზურგში, ხერხემლის არეში მოხვდა. მექერიშვილი მაშინვე გაიტყა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

ორივე დაჭრილი საავადმყოფოში მოათავსეს. ჩულოვეის ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა და იგი სიკვდილს გადაურჩა. გოგიტა ზურაბიშვილი კი იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ ოპერაციის მიუხედავად, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

პოლიციამ აბო მექერიშვილი მალევე დააკავა. იგი არც ერთ ბრალდებაში თავს დანაშაულად არ ცნობს. განსასჯელი სასამართლოს მოწმეების დაკითხვის შემდეგ მისცემს ჩვენებას. წინასწარი გამოძიებიდან ცნობილია, რომ ის შემთხვევის დღეს, სახლიდან გამოსვლის დროდ ღამის 1-ის ნახევარს ასახლებს. დაზარალებული ლევან ჩულოვეი კი აცხადებს, რომ მოჩხუბრები მან ღამის 11 საათისთვის შენიშნა.

ლევან ჩულოვეი:

„აბო და გოგიტა ჩემს მეზობლად ცხოვრობდნენ. გოგიტასთან ვმეგობრობდი, აბოს კი უბრალოდ ვიცნობდი. 15 თებერვალს, ღამით, 11 საათისთვის რკინიგზის ტერიტორიაზე მდებარე პურის საცხობისკენ წავიდი, პური უნდა მეყიდა. სანამ საცხობამდე მივიდოდი, ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა, გოგიტას ხმა ვიცანი. იქით გავიხედე, საიდანაც ხმაური ისმოდა და დავინახე, რომ ბიჭები ერთმანეთს ერხუბებოდნენ. მათ მივუახლოვდი, განათება ქუჩაში არც ისე კარგი იყო, მაგრამ სახეები მაინც გავარჩიე. გოგიტას აბო მექერიშვილი ერხუბებოდა. რის გამო ჩხუბობდნენ, არ ვიცი, მაგრამ ძალიან აგრესიულები იყვნენ, ერთმანეთს ავინებდნენ. მათგან სულ რაღაც 2-3 მეტრში ვიყავი, როცა აბოს ხელში ხანჯალი დავინახე. მან ხანჯალი უცებ მოიქნია და გოგიტას მუცელში ჩაართყა. მაშინვე გოგიტას მივ-

ვარდი, მოხრილი იყო, მე მისკენ დავიხარე მისანმარებლად და სწორედ იმ მომენტში ხანჯალი ზურგში მეც მომხვდა. როცა ტკივილი ვიგრძენი, თავი ავწიე და დავიინახე, რომ აბო გარბოდა. მას არ გავკიდებოვარ, იმწუთას გოგიტაზე ვფიქრობდი. იგი პურის საცხობთან თრევათრევით მივიყვანე და იქ მომუშავეებს დახმარება ვთხოვე. მათ ტაქსის გაჩერება დააპირეს. ამ დროს საცხობში



გოგიტა ზურაბიშვილის დედა

გოგიტას დედაც მოვიდა, საიდან გაიგო მომხდარის შესახებ, არ ვიცი. სამივენი ტაქსით საავადმყოფოში წავიდით. გოგიტას გზაში ვეკითხებოდი – რა მოხდა, რისთვის იჩხუბეთ-მეთქი, მაგრამ მეტყვევლების უნარი დაკარგული ჰქონდა და ვერაფერი გვითხრა. საავადმყოფოში მას ოპერაცია გაუკეთეს. მე მსუბუქი ჭრილობა მქონდა, უბრალოდ დამიმუშავეს და სახლში წამოვედი. საავადმყოფოში, უსახსრობის გამო, ვერ დავრჩი.“

გოგიტა ზურაბიშვილის დედას – დოდო ხუციშვილს ლევან ჩულოვეის სიტყვების არ სჯერა. უფრო მეტიც, შვილის მკვლელობაში იგი სწორედ ჩულოვეს ადანაშაულებს.

დოდო ხუციშვილი:

„იმ დღეს ლევანმა აბოს სახლში რამდენჯერმე მოაკითხა. ჯერ დილით მოვიდა, გარეთ გაიყვანა და რაღაცას ელაპარაკებოდა. მერე კი, საღამოს ისევ მოაკითხა და წაიყვანა. დარწმუნებული ვარ, სპეციალურად შეახვედრა აბოს, იცოდა, ამ შეხვედრას რაც მოჰყვებოდა. მიზეზს ვერ ვეტყვი, თვითონ მას უნდა ვკითხოთ, რისთვის მოაკვლევინა... აბოს მე საერთოდ არ ვიცნობდი. ის კი ვიცოდი, რომ მისი მშობლები კონსტიტუციის ქუჩაზე, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ. კარგა ხანს მეც, ისევე როგორც სხვა მეზობლებს, გვევონა, რომ მათ შვილი არც ჰყავდათ. ბინაში, რომელიც დაქირავებული ჰქონდათ, მარტო ცხოვრობდნენ. რამდენადაც ვიცი, გურჯაანიდან თბილისში საშუალოდ არიან ჩამოსულები.“

ძალიან ყურადღებიანი დედა ვიყავი, ერთადერთ შვილს ვზრდიდი და ყოველთვის მაინტერესებდა, ვისთან მეგობრობდა იგი. აბო მაინცდამაინც არ მომწონდა და გოგიტას ვთხოვდი, მასთან ნუ დადიხარ-მეთქი. არ მიჯერებდა. იმ საღამოს მშვიერი იყო, კარტოფილი შევუწვი

და მინდოდა, პურის საყიდლად გამეშვა. ამ მიზნით გარეთ, ქუჩაში გავედი, იქნებ, სადმე თვალი მოვკრა-მეთქი. სწორედ იმ დროს შევნიშნე, რომ ვიღაც ბიჭები მოდიოდნენ. გოგიტა ძალიან მაღალი იყო და უცებ ვიცანი. დავუძახე და ვთხოვე, პური ეყიდა. ბიჭებმა არ გამოუშვეს, რაღაცაზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ისე ბნელოდა, რომ კარგად ვერ ვგავარჩიე, რამდენი იყვნენ. იქვე მამაკაცი იყო ჩამუხლული, სივარეტს ეწეოდა. როგორც მითხრეს, აბოს მამა ყოფილა. მე ცოტა ხნით შინ შევედი, გარეთ რომ გამოვკვი, მეზობელმა მითხრა – ბიჭები დაუჭრიათ და „სასწრაფოთი“ მიჰყავთ...“

ივანე მექერიშვილი, განსასჯელის მამა:

„ღამის 1-ის ნახევარი იქნებოდა, როცა მე და ჩემმა შვილმა – აბომ სტუმრები გაეაცილეთ. როცა ვბრუნდებოდი, გზაში ჩულოვეი და ზურაბიშვილი შეგვხვდნენ. მე სახლში წავედი, აბო კი მათთან დარჩა. გარეთ იდგნენ და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. ამასობაში მე დამძინა. ცოტა ხანში ცოლმა გამაღვიდა – აბოს ვიღაც ბიჭები დაუჭრია და ჩქარა წამოდიო. ჩვენ ყველანი საავადმყოფოში წავედით.“

განსასჯელის მამის თქმით, ლევან ჩულოვეი თავიდანვე გოგიტა ზურაბიშვილთან იყო. ამას ადასტურებს მოწმე – მარიკა ჩალათაშვილი და განსასჯელის და – მზია მექერიშვილიც.

რისთვის წაიღო სახლიდან ხანჯალი აბო მექერიშვილმა, თუკი მხოლოდ სტუმრების გაცილება უნდოდა? გან-

სასჯელი და მისი ახლობლები ამ ფაქტს ასე ხსნიან:

ერთ-ერთ სტუმარს – მაია დემურაშვილს თავისი მეგობარი, დანარჩენებისთვის უცნობი გოგონა მოჰყვა (მის ვინაობას არც ერთი მოწმე არ ასახელებს, აცხადებენ, რომ არ ახსოვთ). მან აბოს კედელზე, ხალიჩაზე დაკიდებულ ხანჯალზე მიუთითა, სთხოვა ჩამოეღო იგი და მისთვის ეჩუქებინა. აბომ უარი უთხრა – ეს სუვენირია და საერთოდ, რაც კედელზე ჰკიდია, ჩემთვის ძალიან ძვირფასი ნივთია, ვერაფერს ჩამოვხსნიო. სტუმარმა უპასუხა – თუ არ მაჩუქებ, იცოდე, მაინც მოგპარავო. ამ სიტყვებზე აბომ კედლიდან ხანჯალი ჩამოხსნა და უბეში ჩაიღო. ხანჯალი უბიდან მამინაც არ ამოუღია, როცა სუფრა აიშალა და სტუმრებს აცილებდა.

გარდაცვლილის ნათესავები მოწმეთა ნათქვამს არ ენდობიან და თვლიან, რომ მექერიშვილის ახლობლები მხოლოდ იმას ცდილობენ, განსასჯელს როგორმე მკვლელობის წინასწარი განზრახვის ბრალდება ააცილონ.

არც პროკურატურის, არც რომელიმე მხარის წარმომადგენლები მკვლელობის შესაძლო მიზეზზე გაკვრითაც კი არ საუბრობენ, თუმცა გარდაცვლილის მეზობლებში გავრცელდა ხმა, რომ აბო მექერიშვილმა გოგიტა ზურაბიშვილსა და ლევან ჩულოვეს ჩხუბი თავისი დის – მზია მექერიშვილის გამო დაუწყო. ამბობენ, ლევან ჩულოვესა და მზია მექერიშვილს სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდათ, რაც აბო მექერიშვილს არ მოსწონდა.

მზია მექერიშვილმა, ისევე, როგორც, ლევან ჩულოვემ, ეს ფაქტი კატეგორიულად უარყო. ■



ლევან ჩულოვეი

გოგიტა ზურაბიშვილი

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ვაიკიკის სახელგანთქმული პლაჟი კუნძულ ჰავაიზე მდებარეობს.
2. ინჟინსკარტა და იქედნე მთელ დედამიწაზე ერთადერთი კვერცხისმდებელი ტუბო-წოვრები არიან.
3. მასეო და მარტი ერნესტო ჩე გევარას თანამებრძოლები იყვნენ.
4. ამაზონიის ჯუნგლებში მცხოვრები ხის გომბეშო, როცა მოებრიანება, მაშინ იცვლის სქესს.
5. სიცოცხლის ბოლო წლებში ჩერჩილი დაყრუვდა და დეპრესიამ მოიცვა. P.S. როდესაც მისმა ქალიშვილმა, დაიანამ თავი მოიკლა, დასუსტებულ და დაუძლურებულ ყოფილ პრემიერ-მინისტრს მომხდარი ტრაგედიის დეტალები არ გაუშხილეს.
6. ქლიავისა და ბლის ხეები ვარდისებრთა ოჯახს მიეკუთვნება.
7. არ არსებობს არც ერთი ერთნაირი თოვლის ფიფქი.
8. კანბალების აზრით, ქალები მამაკაცებზე უფრო გემრიელები არიან.
9. სქაიპუკი, ჰელკუტი, ბირკეტი, პანტერა, ჰუგარი, ტაიგერი, ფანტომი, ჰორნერი – ეს სია ამერიკული ავიაგამანადგურებლების ჩამონათვალია.
10. მასწობელა გველი ანაკონდა სიგრძეში 9 მეტრს აღწევს და 450 კილოგრამამდე იწონის. P.S. ესპანელები მას მატატორის (ხარების მკვლელს) ეძახიან.



11. 1986 წლის 29 ივნისს აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა ნულს ქვემოთ დაეცა და თოვლი მოვიდა.
12. ჟირაფს ფეხის ერთი დარტყმით შეუძლია თავის ქალა ჩაუმსხვრიოს ლომს.
13. იაპონიის აბანოებში ქალთა და მამაკაცთა განყოფილებები არ არსებობს. იქ ყველა ერთად იბანს.
14. ეგრეთ წოდებული ლურჯი მანკის დროს ავადმყოფს გული მკერდის მარჯვენა მხარეს აქვს განთავსებული.
15. თავის უკვდავ ნაწარმოებში იაროსლავ ჰაშევი შევიკის პირით მოგვითხრობს ერთი დედაბრის ამბავს, რომლის შვილიც ეკლესიამ დედის უპატრონოდ მიტოვებისათვის შეაჩვენა. საწყალობა ქალმა ბერი იყვირა, ჩემს შვილს არ მიუტოვებთ, ავსტრალიაშია ბედის საძებნელად წასული და იქიდან ფულსაც მიგზავნისო, მაგრამ ვინ დაუჯერა?!.. – აბატი ეუბნებოდა, სისულელეს ნუ ჩმახავ, სახარების მიხედ-



პალტო

ბოჩა ბყეშელაშვილი

– ერმილე, ხედავ რა ბიჭი ვარ? – ეუბნებოდა მეზობლად მცხოვრებ ბიძაშვილს ზურიე და ახალ ტვიდის პალტოს იცვამდა. – თითქმის ისეთია, შენ რომ უნდა ჩაიცვა, ბადრიას რომ გამოართვი – ოღონდ, ოდნავ მუქია, მგონი.

– კარგი ახლა, კარგი, წავიდეთ, თორემ უკანა გზაზე დაგვიღამდება, ადრინადა მივიდეთ და დაღამებამდე წამოვიდეთ, რაც არ უნდა იყოს, პირველად მივდივართ შენ დის ოჯახში და ზრდილობიანად მევიქცეთ, პალტოც დროულად უნდა დავუბრუნო ბადრიას, ზვალე დილით სხვაგან მივდივარო.

– მართალი ხარ, ერმილე, – კარადის გრძელ სარკეში იხედებოდა და თან ლაპარაკობდა ზურიე. – ნუ ჩავიხრჩობით ღვიწინში.

– ისე, ნაზიკამ შემატყობინა, დიდი ამბით გელოდებიან, სოფლის მთავარი თამადაც ჰყოლიათ დაპატიჟებული.

– აუ, რას ამბობ?! – სხარტად შემოტრიალდა, – ეგ არ ვიცოდი. აბა, მე და შენ მარტო შევერკინოთ ვაღმელებს. ბულუა მაინც წავკევიანა, ხარივით სვამს და კაცმა რომ თქვას, საქმეც არაფერი აქვს.

– კაი ახლა, რაღა დროისა?

ერმილემაც ჩაიცვა პალტო. ორივემ კაშხე გაიკეთა და კეპი დაიხურა.

– აა, ავი ჩაიდე ჯიბაში, – მიაწოდა ერთი კოლოფი პაპიროსი „ლაიკა“ ზურიემ ბიძაშვილს, – ერთი შენ გქონდეს და ერთი მე. ასანთი ზომ გაქვს?

– ასანთიც მაქვს და „საჩიგალკაც“,

ნახე, – უჩვენა სანთებელა, – ბადრიას გამოვართვი პალტოსთან ერთად და „გავაზაპრავეკე“ კიდეც. მოყვრებში თავი უნდა მევიწონოთ. ამით რომ მოუკიდებ, მაინც სულ სხვაა.

– აბა, ერთი მომიკიდე.

– რას ჰქვია, მოგიკიდო?! – გაუწყრა ერმილე – ბადრიამ გამაფრთხილა, კვესი აქვს ცოტა და ნაპერწკლებს გაუფრთხილდით. – პალტოს გულის ჯიბეში შეინახა სანთებელა.

ეზოში დაფენილ თოვლის დაკლაკნილ ბილიკს გაუყვინენ. ზამთრის სუსხი იყო. იმერული სოფლის ოდა სახლებიდან ბუხრის კვამლი ტაატით მიიწევდა ცისკენ. თეთრად გადაპენტილიყო არემარე. ბიჭები ეზოდან სოფლის შარაზე გამოვიდნენ და ერთმანეთის გვერდიგვერდ გაუყვინენ გზას. მეზობელ სოფლამდე, სადაც ზურიეს და, ნაზიკა გათხოვდა, ფეხით საათ-ნახევრის სავალი მაინც იყო. ჩქარობდნენ, შუადღისთვის მაინც რომ მისულიყვნენ.

ჭიშკრიდან მასპინძელს გასძახეს და ორსართულიანი სახლის კარიდან შეთქმულებივით გამოცვივდნენ მასპინძლები. ყველას მაინც სიძემ დაასწრო: პირველად ცოლისმძას გადაეხვია და სტუმრები სახლში შეიპატიჟა. ეტყობოდა, რომ აქაურებიც საგულდაგულოდ გამოპრანჭულიყვნენ და ღობის იქითა მეზობლებიც კი პალტოებსა და გამოსასვლელ პიჯაკებში იყვნენ. იმერული თავაზიანობით მიიკითხ-მოიკითხეს ერთმანეთი და სუფრასაც მიუსხდნენ. დიდხანს გაგრძელდა ქეფი. სტუმრებმა რამდენჯერმე დაა-

პირეს წასვლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. გვარიანად იყო შედამებული, როცა, ბოლოს და ბოლოს, ხმაურიანი გამოთხოვების შემდეგ, მასპინძლებმა პალტოები ჩააცვეს მოყვრებს, ჭიშკრამდე მიაცილეს და გზა დაულოცეს.

ლიდინ-ლიდინით ბრუნდებოდნენ შინ.

— ერმილე, ჩემი სიძის ნათესავ-მეზობლები არ ჩანან ცუდი ხალხი, — თავაულებლივ ჩაილაპარაკა ზურიემ, მთვარეს გახედა და პაპიროსს მოუკიდა.

— ხო, ტკბილი ხალხია, — დაუდასტურა ბიძაშვილმა და გულისპირი მოილელა.

— რომელი საათია?

— სადაცაა, თორმეტი გახდება, — მთვარის შუქზე დახედა საათს.

— ცოტა ადრე უნდა წამოვსულიყავით, — თქვა ერმილემ და სოფლამდე დარჩენილ გზას გახედა. თხუთმეტიოდე წუთიღა დასჭირდებოდათ.

— ადრე კი არა, დარჩენა სჯობდა, კარგი იქნებოდა, პალტო რომ არ გქონდეს დასაბრუნებელი. ისინი გააგრძელებდნენ ალბათ.

— ვახს, გამოვშტერდი ამხელა კაცი!

— რა მოგივიდა, ერმილე?

— „ზაჟიგალკით“ მოკიდება დამავიწყდა. სუფრასთან ასანთით ვუკიდებდი პაპიროსს. ფუი, შემირცხვა თავი! გაწყრა ზურიე და თავი სინანულით გააქნია.

— ახლა მაინც მომიკიდე.

— კი, გენაცვალე, — უთხრა ერმილემ და პალტოს გულის ჯიბეში ჩაიყო ხელი.

— ვაიმე! — თვალეზღაყეტილი, ერთ ადგილზე გაშეშდა.

— რა მოგივიდა?

— ჯიბეში აღარ მიღვეს, — უპასუხა და ყოველი შემთხვევისთვის, ყველა ჯიბე მოიქექა, — რა ვქნათ ახლა?

— ეტყობა, პალტო აგერია.

ჩაფიქრებულები თოვლში იდგნენ და მთვარის შუქზე შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— უნდა დავბრუნდეთ! — მტკიცედ თქვა ერმილემ.

— სხვა გზა არა გვაქვს! — კვერი დაუკრა ზურიემ და ადგილზევე შებრუნდა 180 გრადუსით.

უკან მიბრუნებულ სტუმრებს, მასპინძლები ისევ სუფრასთან დახვდნენ. მიზეზი რომ შეიტყვეს, ყველამ ერთად დაუწყეს პალტოებს ძებნა.

— ერმილე, მეიწიე აქეთ — განზე გაიხმო ბიძაშვილი ნაზიკიამ. — ბიჭო, მგონი, შენ რომ გაცვია, ეგ ზურიეს პალტოა.

ერმილემ პალტოზე დაიხედა და წამოიყვირა:

— აუჰ, მართალი ხარ, მარა, ჩემი სადღაა?

— შენი, მე მგონია, ზურიას აცვია...

ცალკე, სხვებისგან შეუძინეველად უნდოდათ გაეხმოთ ზურიე, მაგრამ არ გამოუვიდათ: ყველამ შეიტყო მათი პალტოების ამბავი. ატყდა სიცილ-ხორხოცი — დიდ-იან-პატარიანად ჩაბჭირდა ყველა. თუმცა, გონიერმა იმერლებმა ამ მოვლენას მამინვე მოუძებნეს ასსნა: ზოგიერთი სადღეგრძელო არ შეგვისვამს და ეტყობა, ღმერთმა ამიტომ მოგაბრუნათო.

ისევ გახურდა ქეიფი. სიძე-ცოლისძმა ერთმანეთს სიყვარულსა და ძმობას ხმამაღლა უმტკიცებდა, არც სხვები ისხდნენ ჩუმად. გამთენიისას, მამლების ყვივლზე გაახსენდათ სტუმრებს, რომ წასვლის დრო კარგა ხანია დამდგარიყო და ფაციფუცით გამოემშვიდობნენ მასპინძლებს — გვაგვიანდებაო, დაიძახეს, და ჩქარი ნაბიჯებით გადაიარეს ეზო. დაღმართს დაუყვნენ.

თეთრი ფანტელები ციდან ეშვებოდა და ძირს დადებულ თოვლს ნარნარად ეფინებოდა. ლამაზი იყო მიდამო, მაგრამ სილამაზის აღქმის უნარი ორივეს დაკარგული ჰქონდა. მთვრალეები ბარბაცით მიუყვებოდნენ გზას და ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ.

— ბადრია! ბადრია! — მიადგნენ მეზობლის ჭიშკარს. ბახუსისგან დამძიმებულიები, ხელიხელგადახვეულები იდგნენ და ირწეოდნენ. ერთმანეთს იკავებდნენ, რომ არ წაქეულოყვენ.

— მოვდივარ! მოვდივარ! — გამოსძახა ბადრიამ და ჭიშკრისკენ გამოიქცა.

— აა, ძმაო! აღარ მინდა შენი პალტო!

— გაინადა და თოვლზე დაუდო ერმილემ.

გაოცებულმა ბადრიამ თვალეზღაყეტილი მოკარგა.

— ვისია, ბიჭო, ეს დაკემსილი პალტო?! ასეთი გაგატანე?! სად წვილეთ ჩემი პალტო?! — ბადრიას ღრიალმა სოფელი შემდრა. მან ღობიდან სარი ამოაძრო და ბიჭებისკენ დაიძრა.

უცებ გამოფხიზლდნენ ერმილე და ზურიე... სოფლის დათოვლილ გზაზე მიბოდნენ.

— ვაი, შენს პატრონს?! — ხვნემა-ხვნეშით ეუბნებოდა ზურიე — ერთ ქეიფში ორჯერ როგორ უნდა აგერიოს პალტო!

— დაგხოცავთ, თქვენნი! — ყვირილით მისდევდა მათ ბადრია.

— საით გავიქცეთ, ერმილე?!

— ნაზიკიასკენ ეიღე გეზი! — მთელი სერიოზულობით უპასუხა ერმილემ...

ინფორმაციული-მედიაციური კოლაჟი

ეორი დღის უბის წიგნაკიდან:

ვით, არავითარი ავსტრალია არ არსებობსო.

16. „კასატკას“ ქართულად ცელნამგალა ვეშაბი ჰქვია. ეს ცხოველი კარგად იწვრთნება და მისი მონაწილეობით მრავალი შოუ ეწყობა. P.S. ერთ რამედ ღირს იმის ნახვა, ეს უზარმაზარი ქმნილება მიცემული დაგვლების შესრულების შემდეგ, როგორ მიცურდება მწვრთნელთან და პირს უღებს, რათა ამ უკანასკნელმა მაღლიერების ნიშნად ენაზე მოჰფხანოს.

17. საცირკო ხელოვნების ჟანრს, როდესაც აკრობატი არამყარ საყრდენზე — მოშვებულ ან დაჭიმულ მათეულზე, დაუმარებელ კიბეზე, ან პარტნიორის მხრებზე იცავს წონასწორობას, ეკვილიბრისტიკა ეწოდება.

18. ძველ ეგვიპტელთა რწმენით, საიქიოში უზენაესი მსაჯულის, ოსირისის წინაშე წარმდგარი მიცვალებულის გულს სასწოროზე წონილენ. სასწოროს მთორე პინაზე ბუმბული იღო. თუ გული (ანუ ცოდვები) გადაწონიდა, ცოდვებს ურჩხული შეჭამდა.

19. სამხედრო მფრინავის მოსამზადებლად ამერიკის შეერთებული შტატები რამდენიმე მილიონ დოლარს ხარჯავს. სამხედრო-საავიაციო სკოლას კურსანტების მხოლოდ 40% ამთავრებს. დანარჩენები დიდ დატვირთვას ვერ უძლებენ და სასწავლებლიდან მიდიან.

20. იტალიურ მხატვრულ ფილმ „ჭირვეულის მორჯულებაში“ აღრიანო ჩელენტანოს უზნეო პერსონაჟის, ელია კოდონიოს, არანაკლებ უზნეო ძალი, შოტლანდიური ნაგავი გახლდათ.

21. პირველი ლექსი სტალინის ილია ჭავჭავაძემ დაუბეჭდა.

22. ვახუშტი კოტეტიშვილი და მისი მეგობარი, სევა ელიავა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან შაბათობაზე ნერგების დასარგავად იყვნენ წასულნი. ადგილები, სადაც ორმოები უნდა ამოეთხარათ და ხეები დაერგოთ, წინასწარ ჰქონდათ მონიშნული. თითქმის ყველა ცდილობდა, ცოტა „წაეხალტურებინა“ და ამ ადგილებს შიგადაშიგ ტოვებდა. სევას მეტისმეტი მოუვიდა გამოტოვება და მას თავზე ეღუარდ შევარდნაძე დაადგა — რატომ ტოვებო?... მეშინია, ბატონო ეღუარდ, მგელი არ გაჩნდესო — გაუღიმა სევამ.



კარი სანდომიანმა მანდილოსანმა გამიღო. თავდაპირველად ის მეგონა მასპინძელი, მაგრამ როცა სანოლზე წამომჯდარი მოხუცებული დავინახე, რომელიც შორიდან მილიმოდა, მივხვდი — შიო მღვიმელის ქალიშვილი სწორედ ის იყო.



ამ დროს ქეთევან ქუჩუკაშვილი შიო მღვიმელის ქუჩაზე ცხოვრობდა

ლელა კურტანიძე

„ყოველთვის მიხარია სტუმრის მოსვლა; ამ ბოლო ხანს ადამიანები ვეღარ იცლიან ერთმანეთისთვის, ჩემთანაც იკლო მნახველმა. აქა-იქ თუ გავახსენებ ვინმეს... ვერც ვერავის ვამტყუნებ, ყველას თავისი გასაჭირი აქვს. როცა მეუბნებიან, ბავშვები და მოხუცები ქუჩაში დგანან და მათხოვრობენო, გული მიკვდება. ნუთუ მართალია?!“ — მეკითხება ქეთევან ქუჩუკაშვილი და ვატყობ, მოუთმენლად ელის პასუხს.

— მართალია, — ვუბნები. გულშეწოებული ვზივარ და მის ოთახს ვათვალიერებ. აქ ყველაფერი უწესრიგოდ არის მიმოფანტული. შიო მღვიმელის არქივი (ხელნაწერები, წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და დღემდე გამოუქვეყნებელი მოთხრობები თუ ლექსები), ცხადია, ერთ კარადაში ვერ მოთავსდებოდა: ვიცი, რომ ქალბატონი ქეთევანი ამ ერთოთახიან ბინაში ქირით ცხოვრობს. ბედის ირონიით, აქ შვიდი წლის წინ აღმოჩნდა, როცა ნათესავი შეევედრა, ვალეები მაქვს და თუ დროზე არ გადავიხადე, მომკლავენო... სამაგიეროდ, მზრუნველობას არ მოგაკლებ და ამ ბინის სანაცვლოდ სხვას ვიყიდიო...

მოხუცებულები ხშირად ბავშვებს ჰკვანან მიაძიებობით, მით უმეტეს, როცა



ლიტერატურის მუზეუმში შენახული არქივი „მეგდარია“, მე კი „ცოცხალი“ მუზეუმის გახსნაზე ვოცნებობ

როდის ახსადდება შიო მღვიმელის ქალიშვილის ოცნება?

ცხოვრების გზა სუფთა გულით გაუვლიათ და... ქალბატონი ქეთევანიც ენდო გაჭირვებულს, ხელი გაუმართა, ხოლო სანაცვლოდ, გულგრილობა მიიღო. ყველაზე ხშირად, მეზობელი აკითხავს — აი ის, კარი რომ გამიღო. ქალბატონი ლანა უშადებს სადილს, ცოტას მიუღებებს კიდევ იქაურობას. დღეები კი მიქრიან, შიო მღვიმელის ქალიშვილის ოცნებას არა და არ შეესხა ფრთები.

ქეთევან ქუჩუკაშვილს არ სურს მის „გამაბედნიერებელ“ ნათესავზე ლაპარაკი და მხოლოდ ერთს ამბობს: „ეჰ, არ უნდა დამეტოვებინა ის სახლი, შიო მღვიმელის ქუჩაზე“. მამის კვალზე შემდგარ მწერალს ქარელის რაიონი ფულით დაეხმარა, რომელიც წლების განმავლობაში ნელ-ნელა დაიხარჯა და ძირითადად ბინის ქირას მოხმარდა.

— იქნებ სჯობდა, იმ ფულით ერთოთახიანი ბინა გეყიდათ, თუნდაც გარეუბანში?

— ყველა ამას მეუბნება, შვილო! მაგრამ სად წავიღო მამაჩემის არქივი? ეს ოთახი დიდია და ნათელი, თანაც აქ იმიტომ მიჩვენებია, რომ ახლოსაა შიო მღვიმელის ქუჩა. იმ ფულით, რაც გამოგიგზავნეს (მადლობის მეტი რა მეტქმის?), გლდანში ან ვარკეთილში თუ ვიციდდი ბინას. ერთ პატარა ოთახში კი წარმოუდგენელი იქნებოდა მუზეუმის მოწყობა, თანაც შიო მღვიმელის სახლ-მუზეუმი, მის ძველ სახლში თუ არა, ახლომხლო მაინც ხომ უნდა იყოს? აი, ამიტომ ვარჩიე ამ გაჭირვებაში ყოფნა.

— კი, მაგრამ, დახმარების ფული რომ გაგითავდებოდათ, მერე რა უნდა ქნათ?

— უკვე გამითავდა, შვილო, გუშინ მაისის ქირა გადავიხადე და აწი აღარც ვიცი, რა მეშველება. ამ რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთი სკოლის დირექციამ შემომთავაზა შიო მღვიმელის სახელობის ფონდის შექმნა. ძალიან გამიხარდა, მაგრამ როცა გავიგე, რომ ბავშვებს უნდა დაეღოთ „შესაწირი“, ვიუარე. მამაჩემი ხომ საფლავში გადატრიალდება ამის გამოვინე...

— მწერალთა კავშირის ან ლიტერატურის მუზეუმის ხელმძღვანელობა არაფერს გთავაზობთ?

— მწერალთა კავშირი მეხმარება ისე, როგორც შეუძლია. დამენიშნა „ლიტერატურული პენსია“ (25 ლარი), რომელსაც ყოველთვის სრულად ვერ ვიღებ. ლიტერატურის მუზეუმიდან კი არქივის მოვლა-პატრონობა შემომთავაზეს. ამაზეც უარი ვთქვი, რადგან ლიტერატურის მუზეუმში შენახული არქივი „მკვდარია“, მე კი „ცოცხალი“ მუზეუმის გახსნაზე ვოცნებობ, სადაც აღვადგენ მამისეულ სამუშაო ოთახს და ხელნაწერებს გამოვფენ.

— თქვენ კვლავაც აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეებით...

— სიარული აღარ შემიძლია, შვილო! ამ შვიდი წლის წინ ფეხი მოვიტყეე, სრულად ვერ ვიმკურნალე და დღემდე დროდადრო გაუსაძლისი ტკივილები მაწუხებს. წერით კი, სულ ვწერ. საშინელი იყო 1999 წელი, გახსოვთ ალბათ, შეუქი სანატრელი გვქონდა. რაც გამაჩნია, ყველაფერი მეცვა, საბანიც მეხურა, ქალაქებით და კალმისტრებით „შეიარ-

ადებული“ ვიყავი და დილიდან დაბნელებამდე ვწერდი. კარგი მოთხრობა გამოვიდა, „საღამოები სასადილო ოთახში“ – ასე ჰქვია ჩემს ახალ მოთხრობას, რომელიც თანამედროვე ოჯახის ყოფას ასახავს.

— თქვენი საბავშვო პიესა თურმე გოგი თოდაძესაც მოსწონებია...

— დიახ, გოგომ და მისმა „ბერიკებმა“ სიურპრიზი მომიწვეს. ამას წინათ მესტუმრნენ, ლოგინიდან წამომაყენეს და წამიყვანეს ხორავას სახელობის სახლში. მართლაც კარგი სპექტაკლი გამოვიდა „წიფლა“. ასე დიდი ხანია არაფერი გამხარებია.

ქეთევან ქუჩუკაშვილის ყოველი დილა იმედით თენდება, იგი მამის არქივის ერთ-ერთ გული „დარაჯია“ და სჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს (ეს დღე კი აუცილებლად იმ ბედნიერ მარტში მოვა, როცა შიოლბას აღნიშნავენ), დაუთმობენ ორ პატარა ოთახს, სადაც მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას გამოამზეურებს. მანამდე კი, წერს და, კიდევ... მამას ესაუბრება. „თითქოს ყველაფერს გრძნობს მამაჩემი... როცა ძალიან მიჭირს, მაშინ მესტუმრება ხოლმე, გამაღიძებს თავისებურად, თბილად და სიყვარულით. მისი დიმილი მიმსუბუქებს მძიმე პერიოდს... ასე ხდება დღემდე, ასე იქნება მომავალშიც, სანამ ამქვეყნად ვივლი, – მეუბნება ქალბატონი ქეთევანი. მან ძალიან ლამაზი წიგნი უძღვნა მამის ხსოვნას, რომელსაც უწოდა – „მამა მოდის ჩემთან, კოსტავას ქუჩა №60-ში“.

ეს წერილი კი ქეთევან ქუჩუკაშვილის მოგონებებით მინდა დავასრულო:

„მამა, ტყვილად დამიწვებ ძებნას შიო მღვიმელზე. მე ახლა კოსტავას ქუჩა №60-ში დაქირავებულ ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობ... ეზოში დაბაღ, ბებერ ვაშლის ხესთან შენა დგახარ დაფიქრებული და ვერ გადაგიწყვეტია, შემოხვიდე ჩემთან თუ – არა. მე ვიყურები იქითკენ, სადაც შენ მეგულები. ხომ ვიცი, ხის ჩრდილი მატყუებს, მაგრამ ეს ტყუილი ისეთი ტკბილია და ისე მჭირდება, სულ-მოუთქმელად ვებღაუჭები. როგორ მინდა, ერთი დღე მაინც, დილიდან საღამომდე დარჩე ჩემთან, მე ყველაფერს ვამბობ, რაც შენთვის ახალი და მოულოდნელი იქნება... მე ჩავახედებ ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ცხოვრებას აღარა ჰგავს. შენ მირჩევ, როგორ გავატარო დარჩენილი დრო, როგორ დავიჭირო თავი ხალხთან. შენა გგონია, ყურადღებასა ვთხოვლობ, ამისი არც უფლება მაქვს და არც სურვილი, მე გაჩუმებული, უსიტყვოდ მივდევ დღეებს...

...სადაცელი დღეა, ქარიანი, წვიმიანი, დიდრონი, შავი ღრუბლები ისეა ჩამოწოლილი, ჯერ შუადღეც არ არის და საღამო გეგონება. გაყინული ვზივარ ცივ ოთახში და ასოები გამომაყვს ქალაღზე. ამ დროს ფეხის ხმა მესმის. მამა მოვიდა. ნეტავი, ტირილი არ მომერიოს და ცრემლები არ წამომივიდეს. არ უნდა გაიგოს მამამ, რა ძალიან მიჭირს ამ დაქირავებულ ბინაში ცხოვრება.

საფერფლე სავსეა ნამწვით. ეტყობა, კარგა ხნის მოსულია მამა. გაჩუმებული ხის, არ მეკითხება, რატომ აღარ ვართ იმ ქუჩაზე, სადაც სულ ჩუმად, სულ ჩუმად ისევ ისმის მისი ფეხის ხმა, სადაც ზაფხულში აკაციის თეთრი ყვავილით იფინება იქაურობა, ხოლო შემოდგომაზე წვრილი ყვითელი ფოთოლი აკრავს ასფალტს...

ჩაი დაუდგი ფინჯნით და ჩემთვისაც დავისხი. ყვავილებიანი ლამაზი ღამტყერული შაქარი მივიტანე და პური დავჭერი. კრიჭაშკრულები ვისხედით, დაღონებულები და უბედურები... არ უნდა გადავსულიყავით შიო მღვიმელის ქუჩიდან“.

შიო მღვიმელი ცოლ-მვილთან ერთად



ბესტიკური დიხი

1. რომელი არ არის მამაკაცის სასიამოვნო ხმა?



- ა) ტენორი;
- ბ) ბარიტონი;
- გ) სოპრანო.

2. სტალინის ლიტერატურული ფსევდონიმი იყო:



- ა) კობა;
- ბ) სოსელი;
- გ) სოსო.

3. ფოთის უძველესი სახალხო დედაა:





- ა) დოსკურია;
- ბ) პიტიუნტი;
- გ) ფაზისი.

4. რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანი იყო ნიკოლოზ გარათაშვილის:



- ა) ბიძა;
- ბ) ნათლია;
- გ) ცოლისძმა.



როგორია თქვენი სულიერი მდგომარეობა? როგორია თქვენი სულიერი მდგომარეობა? როგორია თქვენი სულიერი მდგომარეობა? როგორია თქვენი სულიერი მდგომარეობა?

აღნიშნული ფსიქოლოგიური თამაში დაგეხმარებათ გაერკვეთ, რა ხდება თქვენს სულში!

მოძრაობა დაიწყეთ №1 წრიდან (სურათზე) და პასუხი გაეცით პირველ კითხვას. შემდეგ გადაადგილდით იმ მიმართულებით, რა ასოთიც აღნიშნულია თქვენ მიერ შერჩეული პასუხი. თუ პასუხია ა, გააყვებით ა-ისარს, თუ პასუხად ბ ვარიანტს შეარჩევთ, მაშინ ბ-ისარს და ა.შ. აღნიშნეთ რგოლი, რომელშიც მოხვდებით და უპასუხეთ მასთან ამ ნომრით აღნიშნულ კითხვას: თუ ისარმა №4 რგოლში მიგიყვანათ, მე-4 კითხვას გაეცით პასუხი და ასე განაგრძეთ მოძრაო-

ბა. უპასუხეთ მხოლოდ იმ შეკითხვებს, რომლებზეც გადაადგილდებით ისრების მეშვეობით. ჩანერეთ ცხრილში თქვენ მიერ პირველი კითხვის შემდეგ გავლილი ყველა რგოლის ნომერი და თითოეული ნომრის მიხედვით პასუხებში თქვენი სულიერი მდგომარეობის შესახებ შეიტყობთ.

--	--	--	--	--	--

1) რას წარმოადგენთ პირველ რიგში სიტყვა „წყლის“ გაგონებაზე?

- ა) ჩანჩქერს ან ჩქარი დინების მქონე მდინარეს;
- ბ) მდინარეს, ტბას, აუზს ან საბანაოდ გამოსადეგ სხვა ადგილს;
- გ) ტყის ნაკადულს ან ანკარა ტბას.

2) რისი წარმოდგენა შეგიძლიათ უკეთესად?

- ა) ქარში მოშრიალე თავთავეების;
- ბ) ხეხილის ბაღის.

3) რისი წარმოდგენა შეგიძლიათ უკეთესად?


- ა) მწვანე, ფოთლოვანი ტყის;
- ბ) უდაბნოს ყვითელი ქვიშის.

4) ფერთა რომელი წყვილი გზიზღავთ უფრო მეტად?

- ა) სტაფილოსფერი-ყვითელი;
- ბ) ცისფერი-მწვანე;
- გ) რუხი-ოქროსფერი.

5) რას წარმოადგენთ პირველ რიგში, სიტყვა „ვეფხვის“ გაგონებაზე?

- ა) მის ზოლიან ტყავს;
- ბ) ვეფხვისკენ შემართულ თოფს.
- გ) რას წარმოადგენთ პირველ რიგში, სიტყვა „ვეფხვის“



გაგონებაზე?

- ბ) მის ზოლიან ტყავს;
- გ) საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვას.
- 7) თუ ნაკლებად დასახლებულ ადგილას მოგინიათ გამგ-

ზავრება, რას წაიღებთ პირველ რიგში თან?

- ა) იარაღს;
- ბ) ზამთრის ტანსაცმელს;
- გ) სამგზავრო აფთიაქს.
- 8) თუ კრიტიკულ სიტუაცია-

გაეცანით პასუხებს:

ში ვინრო მდინარის გადაღახვა აუცილებელია, როგორ მოიქცევით?

ა) ქვეზე ხტუნვა-ხტუნვით გადახვალთ;

ბ) გატოპავთ.

9) თუ კრიტიკულ სიტუაციაში ვინრო მდინარის გადაღახვა აუცილებელია, როგორ მოიქცევით?

ა) დაუწყებთ ძებნას ხიდს;

ბ) გადახტებით წყალში და გაცურავთ.

10) რას წარმოიდგენთ პირველ რიგში, სიტყვა „დათვის“ გაგონებაზე?

ა) რბილ სათამაშოს;

ბ) ჩრდილოეთის დათვის;

გ) შიშის მომგერელ დათვ გრიზლის.

11) სასიეროდ ტყეში თუ დადინართ, რისი პოვნა გაგახსარდებოდათ?

ა) მათრახის;

ბ) გასაღების.

12) ზღვაზე თუ სეირნობთ, რისი პოვნა გაგახსარდებოდათ პლაჟზე?

ბ) ხურდა ფულის;

გ) ქოლგის.

13) ქუჩაში სეირნობისას, შემთხვევით მიწაზე დაგდებულ საფულეს თუ დაინახავთ, როგორ მოიქცევით?

ა) აიღებთ;

ბ) დაინტერესდებით, არის თუ არა ახლომანლო მისი პატრონი;

გ) სწრაფად აუქცევთ გვერდს იმის შიშით, რომ საეჭვო სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ.

14) რას წარმოიდგენთ პირველ რიგში, სიტყვა „შენობის“ გაგონებაზე?

ა) მაღალსართულიან სახლს;

ბ) ჩვეულებრივ საცხოვრებელ კორპუსს.

15) რას წარმოიდგენთ პირველ რიგში, სიტყვა „შენობის“ გაგონებაზე?

ა) ციხე-დარბაზს;

ბ) უბრალო საცხოვრებელ ბინას.

16) თუ იძულებული გახდით ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებათაგან რას ამოარჩევდით?

ა) საშიში მღვერებისგან გაქცევას;

ბ) დანაღმულ ველზე გავლას;

გ) ციცაბო მთაზე ასვლა-ჩამოსვლას.

2) თქვენში ბევრი იდუმალბაა თავმოყრილი. მეტი კონტროლი გაუწიეთ საკუთარ თავს, ეს საშუალებას მოგცემთ, იყოთ უფრო თავდაჯერებული. ახლო მეგობრების წრეში ბევრად მხიარული ხართ, ვიდრე ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობაში.

3) ყველაფერი იმის მაჩვენებელია, რომ დაფარულ აზრებს ისე იყენებთ, როგორც კოხირს თამაშში. უფრო ადვილი იქნებოდა, მღელვარება და საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა ცოტათი მაინც რომ გამოგემჟღავნებინათ.

4) თქვენი ცხოვრება ბედნიერი ბავშვობის შთაბეჭდილებების ფონზე მიმდინარეობს. აუსრულებელი ოცნება პრაქტიკულად არ გაგაჩნიათ. ემოციურად გაწონასწორებულ ადამიანთა ტიპს მიეკუთვნებით.

5) იმდენს იბრძობებთ, რომ სტრესული სიტუაციისგან თავის არიდებას ალბათ ვეღარ შეძლებთ. თქვენ ხშირად გაუაზრებელი რეაქცია გაქვთ – ეს კი კონფლიქტის საფუძველი ხდება. ასეთი მოქმედების სათავე თქვენში ღრმად არის ჩაბუდებული და დაფარული.

6) უფრო კარგად გაიაზრეთ თქვენი გეგმები და მიზნები. როცა რაღაც არ გამოგდით, ყოველთვის პანიკას ნუ მიეცემით. ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ თქვენ განიცდით გადაულახავ შიშს რაღაც აუხსნელი მოვლენის წინაშე.

7) ქვეცნობიერად კონფლიქტური სიტუაციები დიდხანს არ მიგყვებათ, ადამიანების წინაშეც ისეთი წარდგებით ხოლმე, როგორც სინამდვილეში ხართ – ჰარმონიული და თბილი გრძობებით სავსე.

8) ქვეცნობიერად რაღაც გკარნახობთ, რომ ღროდარო აგრესიულობის გამოვლენაა საჭირო. თუ ამ გრძობის მიჩქმალვა დაგჭირდათ, პირველ რიგში, საკუთარი სიხარბე უნდა დაძლიოთ.

9) ქვეცნობიერად გაქვთ მომავლის შიში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სრულიად უსაფუძვლოდ, ყველაფერზე წინასწარ ღელავთ.

10) ცოტაოდენი მედიდურობა ცუდი სულაც არ არის, მაგრამ ყურადღებით იყავით – ხშირად ისეთი

აზრიც გიჩნდებათ, რომელშიც მედიდურობის გრძობა მეტისმეტად არის წამოწეული წინა პლანზე.

11) ცხოვრების პირობებთან შეგუება არ გიჭირთ, იცით, როგორ მიიღოთ ის, რაც გჭირდებათ, მაგრამ სექსის საკითხებში მოიკოჭლებთ და ეროტიკის სიყვარულისგან გარჩევა გიჭირთ.

12) გრძობები მუდამ გკარნახობთ, როგორ შეინარჩუნოთ დისტანცია საქმიანი ურთიერთობის დროს – განსაკუთრებით, როცა ურთიერთობა საწინააღმდეგო სექსის ადამიანთან გიწევთ.

13) გონებაში მუდამ გყავთ იდეალი, რომელსაც ყველაფერში ბაძავთ. ამიტომ ხშირად, რეალობის გრძობას კარგავთ და მომხდარს სათანადოდ ვერ აფასებთ.

14) თქვენი მოთხოვნილება და სურვილი მუდამ სჭარბობს შესაძლებლობებს. ეს კარგად გესმით, საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ და ცდილობთ, არ გაუშვათ ხელიდან ის, რაც განსაკუთრებით გაინტერესებთ.

15) ეცადეთ, ყველა ის შესაძლებლობა გამოიყენოთ, რასაც ცხოვრება გაძლევთ.

16) მყარი ფსიქიკა გაქვთ, თქვენთვის უცნოა მღელვარება და ნერვიულობა. გადაწყვეტილებების მიღებაში ხშირად გონებით უფრო ხელმძღვანელობთ, ვიდრე გრძობით. საკუთარ ძალებში დარწმუნებული ხართ, მაგრამ ზომიერების ფარგლებში.


17) დაფარული აზრები გკარნახობთ, რომ თქვენი თავდაჯერებულობა დღითი დღე უნდა გაიზარდოს. იქნებ ცდებით, როცა წარმატების საზომად ფულს თვლით და არა ბედნიერებასა თუ სიყვარულს.

18) იქნებ სჯობდეს, თქვენს მეგობრებსა და ახლობლებს მეტი დრო დაუთმოთ. ძალიან გიყვართ საკუთარ თავში ჩაკეტვა, მაგრამ ფრთხილად იყავით: შეიძლება ამან მომავალში მარტოობა მოგიტანოთ.

19) დიდი წარმატების მიღწევაზე ფიქრი არ გასვენებთ. ეს წარმატება კი თქვენთვის ფული კი არა – სიყვარულისა და უსაფრთხოების გრძობაა.

სოლომონის საიდუმლო

ოდესღაც ეს დედამიწაზე ყველაზე ცოდვილ ადგილად ითვლებოდა. ამჟამად იქ ყველაზე საოცარი ზღვაა — მასში არასოდეს დაიხრჩობით, მაგრამ შეიძლება ადვილად გამოესალმოთ სიცოცხლეს: ამისათვის სულ ნახევარი ჭიქა მწარე-მარილიან წყლის გადაყლაპვაა საკმარისი.



მკვდარი ზღვის მარილიან წყალში წოლა, როგორც ჰამაკში, ისე შეიძლება

პატარა მდინარეებით იკვებება. ზღვიდან კი წყალი არსად გაედინება, მხოლოდ თანდათანობით ორთქლდება და ამის შედეგად მარილის კონცენტრაცია მატულობს. ამ ორთქლების გამო მკვდარი ზღვის თავზე მუდამ ჰკიდია ნისლის ღრუბელი, აღმოსავლეთ სანაპიროზე კი იორდანის მთების გამოსახულება ყოველთვის გაფერმკრთალებულია.

იუდეველები მას უმეველესი დროიდან მარილის ზღვას უწოდებდნენ. მკვდარი კი, ლეგენდის თანახმად, მას პირველად ჯვაროსნებმა დაარქვეს. XI საუკუნეში იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ ჯვრის რაინდებმა სულა წმინდა მიწის სამხრეთისკენ განაგრძეს. მათი გზა იუდეველთა უდაბნოზე გადიოდა. წყურვილითა და ორმოცგრადუსიანი სიცხით გატანჯულებმა, უზარმაზარი ტბა დაინახეს, უცებ შემოიძარცვეს ტანსაცმელი და სიხარულის ყიჟინით წყალში ჩაცვივდნენ, მაგრამ სულ რაღაც ორიოდე წუთში ტბიდან რაც შეიძლება შორს გარბოდნენ: უკიდურესად მარილიანი წყალი, ტანზე უმცირეს კრილობასთან შეხებითაც კი ძლიერ ტკივილს იწვევდა. რამდენიმე ადამიანმა წყლით პირის დაბანა მოასწრო და თავბღს იწყველიდა — აუტანელმა წვამ მათ

თვალები დაუწითლა.

მკვდარ ზღვაში ბანაობა დღესაც არცთუ ისე უსაფრთხო საქმა. ერთი მხრივ, იქ დახრჩობა შეუძლებელია — მკვრივი წყალი, რომელიც თავისი კონსისტენციით მზესუმზირის ზეთს ჰგავს, ადამიანის სხეულს ფსკერზე ჩაშვების საშუალებას არ აძლევს. მეორე მხრივ კი, შეიძლება ბანაობა საბედისწერო შედეგით დამთავრდეს. ტრაგიკულად დასრულდა ერთი იაპონელის მცდელობა, მკვდარ ზღვაში ჩაეყვინთა, საბრალოდ რამდენიმე სუფრის კოვზი მარილიანი წყალი ჩაყლაპა... ტურისტები იქ აუცილებელ ინსტრუქტაჟს გადიან. მაშველები მკაცრად აღკვეთენ წყალქვეშა ცურვის ყველა მცდელობას. ისინი ურჩევენ მობანავეებს, არ ჩახტნენ წყალში, არ იწუწაონ. იქ ყველაზე კარგი, ზურგზე გაუნძრევლად წოლაა. და კიდევ — ქრისტეს მსგავსად, წყალზე სიარულიცაა შესაძლებელი. ამისთვის საკმარისია უბრალოდ შეხვიდეთ ზღვაში, როცა იგრძნობთ რომ ფსკერი ფეხებქვეშ გეცლებათ, მაინც განაგრძობთ სიარულს — წყლიდან ამოშვერილი ტივტივის მსგავსად.


იმის ცქერა, თუ როგორ შუდის ადამიანი პირველად მკვდარ ზღვაში, ნამდვილად დაუვიწყარი სანახაობაა. ხმაურიანი იტალ-

ამჟამად სოლომონისა და გომორის ადგილას სასტუმროები და სამკურნალო დაწესებულებებია აგებული

„ბატონებო, ჩვენ მსოფლიოს ფსკერზე ვიმყოფებით“ — ჩვეულებრივ, ასეთი სიტყვებით იწყებენ ხოლმე გიდები ექსკურსიას მკვდარი ზღვის სანაპიროზე. დედამიწაზე ყველაზე დაბალი ადგილი მსოფლიო ოკეანის ღონეზე 400 მეტრით დაბლა მდებარეობს. იერუსალიმიდან იქ მისვლას სულ ერთი საათის მგზავრობა სჭირდება. მკვდარ ზღვაში ცოცხალი არაფერია — არც თევზები, არც წყალმცენარეები და არც მოლუსკები. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მის სიღრმეში ბაქტერიები ბინადრობენ. „ჩვენ მათ რატომღაც ვერ ვამჩნევთ! — ზუპრობენ ისრაელის მკვიდრნი. მასში ჩაედინება ლეგენდარული მდინარე იორდანე (სწორედ ის, რომლის შესართავშიც მოინათლა იესო ქრისტე). ის მტკნარწყლიანი ნაკადულებითა და მთის

ფულადი უზრუნველყოფა სიბერეში	კვლევის ნათურა	კარიკატურისტი ფირცხალაევა	ხმელი, ხემეში	ციანფალბალმეკავას მარილი	ფუფალბას სტრფო	ყველაზე გამოსწორანგი კარდის
ინგლისური ხურდო ფული	ყაჩადი ახუ...	იჭავჭავაძის ნაამბობი	...	ებრაული ენა ევროპაში	მღვლის საფოსის ნაწილი	პოეტი პერსი ...

დღის ხანა



ეს მხამიანი ხე დედამიწაზე მხოლოდ ერთ ადგილას – მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ხარობს. მისი ნაყოფი – სოდომის ვაშლი ძალიან საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

ბიბლიაში აღწერილი დრამის კიდევ ერთი დამატკიცებელი ფაქტი არსებობს: სამხრეთ სანაპიროს ერთ-ერთ კლდეზე, უჩვეულო ფორმის მარილის სვეტი დგას. შორიდან ის გაქვავებული ქალის ფიგურას ჰგავს. გადმოცემის თანახმად კი, როცა ანგელოზებს ლოთის ოჯახი სოდომიდან გამოჰყავდათ, სოხოვეს, უკან არ მიეხედათ. ლოთის ცოლმა მათ არ დაუჯერა და მიბრუნდა, რათა კატასტროფა თავისი თვალით ეხილა. ქალი მაშინვე მარილის სვეტად იქცა.

მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ეინ-გედის ოაზისში უნიკალური ხე ხარობს, რომელიც ამ ადგილის გარდა, არსად ქვეყნის ზურგზე არ შეგვხვდება. მის ტოტებზე სოდომის ვაშლი ისხამს ნაყოფს. ის ძალიან საშიშია ადამიანისთვის. ღმერთმა დაიფაროს და, თუ მისი წვენი ადამიანს თვალში მოხვდა – მაშინვე აბრძავებს (როგორ შეიძლება აქ ანგელოზების მიერ დაბრძავებული სოდომელი ცოდვილები არ გაგვახსენდეს?!).

მკვდარ ზღვას სხვა ბიბლიური ამბებიც უკავშირდება. სწორედ იქ, იუდეველთა უდაბნოში, ბავშვობიდან ცხოვრობდა ცნობილი მქადაგებელი, ქრისტეს წინამორბედი – იოანე ნათლისმცემელი. ზოგიერთი მეცნიერი კი დარწმუნებულია (თუმცა ამის შესახებ ახალ აღთქმაში არაფერია ნათქვამი), რომ თავად იესო ქრისტეც 12-დან 30 წლამდე მკვდარი ზღვის სანაპიროზე კუმრის თემში იზრდებოდა. იქ ის საძმრთო წერილებსა და ავაღმყოფების მკურნალობას სწავლობდა.

მკვდარი ზღვის შემადგენლობაშიც მაგნიუმი, ბრომი და სხვა ნივთიერებები შედის. მის სამკურნალო თვისებებს თავის დროზე კლოპატრაც კი იცნობდა. არქეოლოგებმა იმ რაიონში კოსმეტიკური ფაბრიკის მაგვარი რაღაც ობიექტი აღმოაჩინეს, რომელიც ეგვიპტის უკანასკნელ დედოფალს, იულოუს კეისრის საყვარელსა და მარკუს ანტონიუსის მეუღლეს ეკუთვნოდა (რომელიც თავისი არნახული სილამაზით იყო ცნობილი). ამჟამად, ორი ათასი წლის შემდეგ კლოპატრას ნამდვილად გააკვირვებდა იმის ნახვა, თუ როგორ მასშტაბებს მიადწია მკვდარი ზღვის მინერალების საფუძველზე დამზადებული საპნის, კრემის, ლოსიონისა და გელის წარმოება. სწორედ კანზე ახდენს ზღვის წყალი საოცარ ზემოქმედებას: ერთი კვირის ბანაობაც კი საკმარისია, რომ ზრდასრული ადამიანის კანი ახალშობილის კანივით ნაზი და გლუვი გახდეს.

დღეს მკვდარი ზღვის სანაპიროზე თითქმის არ არის დასახლება – 40 გრადუსიან სიცხეში ცხოვრებას ხალხი ძველთაგანვე თავს არიდებდა. სამაგიეროდ, იქ ბევრი სასტუმრო და სამკურნალო დაწესებულებაა, სადაც რემედიაციით, ართრიტით, კანის სნეულებით დაავადებული ადამიანები ჩადიან. ადგილობრივ კლიმატს, ზღვის წყალს, თერმულ წყაროებსა და სამკურნალო ტალახს ნამდვილი სასწაულის მოხდენა შეუძლია.

იქ მზეც კი სხვანაირად ანათებს. ეს დედამიწაზე ერთადერთი ადგილია, სადაც შეიძლება მზის აბაზანები მთელი დღის მანძილზე მიიღო და არ დაიწვა! ულტრაიისფერი სხივების მაგნიტური გავლენას სრულიად ანეიტრალებს დამატებითი 400 მეტრი სისქის ატმოსფერული ფენა.

ზღვისპირა ჰაერი ბრომიტთა გაყვანილი, ეს კი დადებითად აისახება ნერვულ სისტემაზე. ჰიპერაქტიური ხალხიც კი მკვდარ ზღვაზე წყნარდება. იქ ადამიანს მუდმივად ეძინება და თავს დიდი ძალა უნდა დაატანო, დაძინების სურვილს რომ მოერიო.

რამდენიმე ათასწლეულის შემდეგ დედამიწის ყველაზე ცოდვიანი ადგილი დასაწყნარებელ, მშვიდობიან და სამკურნალო ადგილად იქცა. და კიდევ ერთი სიმბოლური ფაქტის შესახებ: მკვდარი ზღვა ამჟამად ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა რაიონად ითვლება. იქ დედამიწის ნებისმიერი ყველა სხვა ადგილისგან განსხვავებით 8 პროცენტით მეტია ჟანგბადის შემცველობა.

იღუბი წყალს „ამაბა მია“-ს ძახილით ენარცხებთან, გერმანელები, დაბნეულები, დიდხანს დგანან ნაპირზე – მათი პედანტური ტვინი ვერ ეგუება იმ აზრს, რომ იქ დახრჩობა შეუძლებელია. ინგლისელები ზღვაში ისეთი სერიოზული სახით შედიან, თითქოს დედოფალთან მიღებაზე იმყოფებოდნენ. მაგრამ ყველა ტურისტი როდი მონაწილეობს ამ ატრაქციონში. ქრისტიანი მომლოცველები არათუ ბანაობენ, არამედ წყალს ახლოსაც არ ეკარებიან – ამას ძალიან დიდ ცოდვად თვლიან, რადგან სწორედ იქ, მკვდარი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ადგილას, ძველი აღთქმის გადმოცემის თანახმად, უბედურებით ცნობილი ქალაქი სოდომი (მასთან ახლოს კი გომორა) მღებარეობდა, რომლის მცხოვრებნიც იმდენად ჩაფვლენ გარყვნილების მორევეში, რომ ღმერთის რისხვა დაიტყბეს თავს – ბიბლიური ისტორია გადმოგვცემს, რომ ქალაქის მოსახლეობისთვის მათი უწმინდური ცხოვრების დასანახებლად, ღმერთმა სოდომში ანგელოზები გაგზავნა. ღმერთის გზავნილები ღამის საათიდან ღამის ოჯახში დაბინავდნენ. ცოტა ხანში სოდომელები მათ შესაცნობად სახლს გარს შემოეხვივნენ. ლოთმა ქალაქის მცხოვრებლებს, ანგელოზთა სანაცვლოდ, თავისი ორი ქალიშვილი შესთავაზა, მაგრამ სოდომელები არ თანხმდებოდნენ და სტუმრებს მოითხოვდნენ. მაშინ ანგელოზებმა სახლის ირგვლივ შემოკრებილნი დააბრძავეს, ლოთი და მისი ოჯახი კი განწირული ქალაქიდან გაიყვანეს. ღმერთმა სოდომსა და გომორას გოგირდის წვიმა, ციდან ცეცხლი მოუვლინა და ეს ქალაქები სრულიად აღიგავა პირისაგან მიწისა.

ბევრი მეცნიერი ვარაუდობს, რომ სოდომი და გომორა რეალურად არსებობდა და ხალხის ხსოვნაშიც იმ საშინელი სტიქიის კვალი შემორჩა, რომელიც იმ რაიონში ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულში მოხდა და რის შედეგადაც გაფურჩქილი მხარე მკვდარი ზღვის წყალში დაფარა. ზღვის სამხრეთი სანაპირო უკლკანური მოქმედების კვალს დღესაც ინახავს.


უწვეურულ- ვაშლი მაშაქაცისი	ქვევრი აქუ ...	ოსური ცაქვა	საკონდიგრო სანგლებელი	ბრუს ...	რუსეთის პრემი- დენტი	ჭადრ- აკი აპ- თურად	იუვენტუსის ურანგი ლევიონ- ერი
მ	ქ	ოს	ს	ა	ჭ	მ	ნ
არე- ლოი ბერა	კასტორი ელები ალამიანი	ვინ წერს თქმებს კრებებზე	არანორმალურად პაგარა განის ადამიანი	დარჩეული კაპალი	ძიულისგებ- ის ოსგაგო- ბის ხრისხი		

შალვა ახალციხელი გამორჩეული მეომარი იყო თამარის მხედრობაში: ერთგული, მამაცი, თავგანწირული. უბადლო მეომრის თვისებები შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფე თამარს! ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ახალციხის მთავრად დანიშნა ერთგული მხედარი. მალე გაითქვა საქვეყნოდ სახელი შალვა ახალციხელმა, ერსა თუ ბერს მისი ხოტბა ეკერა პირზე. შამქორის ბრძოლაში მეომართა რკალში შეიჭრა შალვა და ხალიფას მთავარი დროშა იგდო ხელთ. თბილისში გამართულ გამარჯვების აღლუმზე ეს დროშა ფეხქვეშ გაუფინა მეფე თამარს, შემდგომში კი, ნიშნად ქრისტიანობის უძლეველობისა, ხახულის ღვთისმშობელს შესწირა. ამის მერე მანდატურთუხუცესობა უბოძა და მხედართა შორის მთავრად დაადგინა მეფემ შალვა.

ბასიანის ბრძოლაში უშიშარი შალვა ახალციხელი პირდაპირ რუმის სულთნის – რუქნადინის ბორცვზე აიჭრა ცხენით. გაბედულად დაერია მტრის ამაღას, სეფედროშა აართვა სულთანს და საჩრდილობელი თავზე დაამხო. ამან გადაწყვიტა, ფაქტობრივად, ბრძოლის ბედი. გაიქცა შეშინებული რუქნადინი და მუსულმანთა უზარმაზარი ლაშქარი უკან დაედევნა გაქცეულ მთავარსარდალს.

თამარ მეფის ასულის – რუსუდანის მეფობის დროს უთვალავი ლაშქრით ჯალალედინი შემოიჭრა საქართველოში. ქედზე კაცი იხმო საბრძოლველად რუსუდანმა. საომრად შეკრებილ ქართველობას მოხუცებული იოანე ათაბაგი დაუნიშნა მთავრად. სამოცი ათასი ქართველი და ორასი ათასი მუსულმანი დადგა სოფელ გარნისთან ერთიმეორის პირისპირ. მეწინავე ლაშქრის მეთაურობა იოანე ათაბაგმა შალვა და ივანე ახალციხელებს მიანდო. თვითონ, ძირითად ნაწილთან ერთად, გადამწყვეტი იერიშის მისატანად დარჩა.

უშიშრად შეება თორ-ჯავახელებს მცირერიცხოვანი ლაშქარი მტერს. მამაცურად იბრძოდნენ ძმები ახალციხელები. რამდენჯერმე აფრინა შალვამ კაცი ივანე მხარგრძელთან – დროზე მოგვეშველეთო, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა მხარგრძელი: შურით აივსო მოხუცი სარდლის



«მტერთან ბრძოლა გისდებოდა, უაგლეგო!..»

30 ივნისი წმინდა შალვა ახალციხელის ხსენების დღე

გული. ქართველთა მთავარი ლაშქრით მალღობზე შემდგარიყო და შორიდან უყურებდა, როგორ იხოცებოდნენ თორელ-ჯავახელები მტერთან ბრძოლაში. შემდეგ განსაცდელში მყოფი თანამოძმეები მიატოვა, მთელი ჯარით აიყარა და სამარცხვინოდ გამოიქცა ბრძოლის ველიდან. დამარცხდნენ ქართველები. ოთხი ათასი მებრძოლი დატოვეს ბრძოლის ველზე. ივანე ახალციხელიც დაიღუპა ამ ბრძოლაში, ხოლო შალვა ტყვედ ჩაიგდეს და მიჰკვარეს ჯალალედინს. ჭრილობებიდან წამომსკდარი სისხლი შეუსხამს სახეზე შალვა ახალციხელს – გაფითრებული არ უნდოდა სწვენებოდა მტერს. ჯალალედინმა პატივით მიიღო ქართველი მანდატურთუხუცესი. ქალაქები უბოძა და უფრო მეტს ჰპირდებოდა რჯულის გამოცვლის სანაცვლოდ.

თავად უკან გაბრუნდა დამპყრობელი. საგულდაგულოდ მოემზადა და ოთხი თვის შემდეგ ისევ საქართველოსკენ გამოსწია. განუწყვეტლივ სამშობლოს გა-

დარჩენაზე ფიქრობდა მოძმის ღალატით მტრის ხელში ჩაგარდნილი სარდალი. მტრის ბანაკიდან საიდუმლო წერილებს აგზავნიდა საქართველოში და ჯალალედინის გეგმებს ატყობინებდა. შალვას წერილები ჯაშუშებმა ჩაიგდეს ხელში და თავიანთ მბრძანებელს მიუტანეს.

ქრისტიანობის დათმობა და გათათრება მოსთხოვა სულთანმა შალვა ახალციხელს. სანაცვლოდ დიდ პატივს ჰპირდებოდა, მაგრამ არ ინება გმირმა სამშობლოს ღალატი. „ჭეშმარიტი ღმრთის უარყოფა ჩემგან შეუძლებელ არს, რადგან სურვილმა საღმრთომა განმაწესა მე ქრისტესა“ – მხნედ უპასუხა დამპყრობთა მხედართმთავარს. ჯალალედინმა წამებით სიკვდილი გადაუწყვიტა იმ დროის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ სარდალს... იხარებდე ჰოი, შალვა, რამეთუ ხორცის სამოსელს განიძარცვავ და მარადიულს მიეახლები. დაითმინე, ჰოი, შალვა, სიკვდილი ქრისტესთვის, რომელიც ჯვარს ეცვა კაცთათვის – ამ სიტყვებით იკაჟებდა წამების დროს სულს შალვა ახალციხელი და მოიპოვებდა ღვთის მადლს. მრავალი ტანჯვის შემდეგ, ცოცხალ-მკვდარი მოწამე საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც ნეტარი შალვას სხეული გაეყარა მის სულს.

გააფთრებული ჯალალედინი საქართველოში შემოიჭრა და ღალატის წყალობით, ქალაქი ხელში ჩაიგდო. მეტეხის ტაძართან, მტკვარზე გადებულ ხიდზე 100000-ზე მეტ ქართველ მოწამეს მოჰკვეთეს თავი მისმა ჯარისკაცებმა: 100000-ზე მეტმა ქართველმა არ ინება იმ დღეს დაედგა ფეხი ღვთისმშობლის ხატისათვის და 100000-ზე მეტი ქართველი შეემატა იმ დღეს ქართველ წმინდანთა დასს, რომელთაც ზეციურ ცათა სასუფეველში უკვე ელოდებოდა სული შალვა ახალციხელისა.

„არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“ – ასე ახასიათებს შალვა ახალციხელს მებატიანი. „შავლეგ, შენი შავი ჩოხა, სისხლში გაეხსამებია“... – დღეს რომ ვმღერით ქართველები – ეს სიმღერაც შალვა ახალციხელზე შექმნა ხალხმა.

ინო ტარყაშვილი

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ, მრავალი ღირსეული ქართველი მამულიშვილი აიძულა, საზღვარგარეთ გადახვენილიყო. ზოგმა კვლავ პოლიტიკური მოღვაწეობა განაგრძო, ბევრი მათგანი თავის გადასარჩენად, იძულებული იყო, უცხოეთში მუშაობის გზას დაეკადრებინა. მათი ცხოვრების ეს მონაკვეთი, ტრაგიკულად ერთად, საგმირო, ხშირად ტრაგიკომიკური ეპიზოდებითაც აღინიშნება.



სიმონიკა ბერეჟიანი, ვიქტორ ნოზაძე, დავით მარჯანიშვილი და შალვა მალაქვლიძე

ეკონომიკური ქართული ემიგრანტთა პირველი ტალღის ცხოვრებიდან

ქახა მაისურაძე

ქართველ ემიგრანტთა მუშტი-კრივი პარიზში

ფრანგ ადვოკატთა მისალმების ფორმა — „მონ დიო“ ქართველი ემიგრანტის სასამართლო პროცესიდან წარმოიშვა

1921 წელს ქვეყნის მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეების მიერ სამშობლოს დატოვებას, ახალი ქართული საბჭოთა მთავრობა არცთუ ისე დიდი კეთილგანწყობით შეხვედრია. ცნობილია, რომ ხელისუფლებაში მოსვლიდან, განსაკუთრებით პირველ წლებში, ის აქტიურად ცდილობდა მათ უკანვე დაბრუნებას. ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა 1926 წელს შეიძინა: მაშინ პარიზში ჩავიდნენ საბჭოთა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და ქართულ ემიგრაციას საქართველოში დაბრუნებისკენ მოუწოდეს. თავდაპირველად ამ მოწოდებას ემიგრანტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გამოეხმაურა და საბჭოთა მთავრობისგან მიღებული უსაფრთხოების გარანტიის წყალობით, უკან დაბრუნება გადაწყვიტა. შეთანხმდნენ, რომ შეკრება პარიზის ერთ-ერთ ოტელში მოხდებოდა, სადაც საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებიც მივიდოდნენ და ემიგრანტებსაც საქართველოში გაისტუმრებდნენ. მართლაც თავდაპირველად ყოველივე ხსენებული გეგმის შესაბამისად დაიწყო. პარიზის აღნიშნულ სასტუმროში ემიგრანტთა საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოიყარა თავი, მაგრამ მოულოდნელად მოხდა ინციდენტი, რომელმაც განზრახული საფუძ-

ველშივე ჩაკლა. ამის წამომწყები, პარიზში 1924 წელს ჩამოყალიბებული საქართველოს განთავისუფლების პატრიოტული ორგანიზაცია — „ეთერი გიორგი“ გახდა. ორგანიზაცია გენერალ ლეო კერესელიძის ინიციატივით იყო დაარსებული და თავის რიგებში ემიგრაციის ყველაზე ნაციონალისტურად განწყობილ ნაწილს აერთიანებდა. მისი წევრი ცნობილი ქართველი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის უახლოესი ნათესავი სიმონიკა ბერეჟიანიც იყო. სწორედ სიმონიკა გახდა იმ კონფლიქტის მიზეზი, რომელიც აღნიშნული გეგმის ჩავარდნით დამთავრდა: როდესაც ემიგრანტები დათქმულ დროს წასასვლელად შეიკრიბნენ, დარბაზში სიმონიკა ბერეჟიანის მეთაურობით შეჭრილმა „ეთერი გიორგის“ წევრებმა მათი გარეკვა დაიწყეს. „სიმონიკა ფიზიკურად ღონიერი იყო და ყველანი თხებივით გამორეკა გარეთ. მართლაც ამას არავინ ელოდა. პარიზის პრესა აღშფოთებით აღნიშნავდა „ქართველთა თავხედობამ პიკს მიაღწია, ისინი პირდაპირ საშუალებას არ გვაძლევენ, ჩვენს ქვეყანაში ჩვენივე წესები დაცულ იქნას“. ამიტომ მისცეს პასუხისმგებაში სიმონიკა ბერეჟიანი — შეიარაღებული თავდასხმისათვის. შედგა პროცესი ფრანგული სასამართლოს პირველ ინსტანციაში. ბრალმძებელი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის, მორის ტორეზის ძმა აღმოჩნდა. ბრალმძებელი ეკითხება სიმონიკას: „ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?“ „პცნობ“. ჩაიწერეთ ოქმში — მოითხოვთ ტორეზმა. „შეიარაღებული თავდასხმა მოაწყვეთ?“ „დიახ“. შეიტანეთ ოქმში — ისევ მიმართა ტორეზმა მდივანს. „თქვენ

თუ გქონდათ იარაღი?“ „დიახ“. ჩაიწერეს. „რა იარაღით იყავით შეიარაღებული“. რა იარაღით და ასწია მუშტი სიმონიკამ: „მაღალი ღმერთის სულის ჩაბერვით და ჩემი მარჯვენა ხელით“. „მონ დიო (ღმერთო ჩემო)!“ — დაიყვირა ტორეზმა: ამას რას ამბობსო?! ის ფიქრობდა, სიმონიკა იტყვის — რეკოლვერით ან ხანჯლით ვიყავი შეიარაღებულიო. ეს „მონ დიო“ გადაიტყა შემდგომში ყველა ფრანგი ადვოკატის მისალმების ფორმად, რომელსაც ისეთი ჩახლენილი ხმით წარმოთქვამდნენ, როგორც მაშინ ტორეზმა წარმოთქვა... პროცესი იმით დამთავრდა, რომ მალე გაამართლეს და მოწიწებითაც გაათავისუფლეს ცნობილი ქართველი პატრიოტი, ამავე დროს — მწერალი, პოეტი, კარიკატურისტი სიმონიკა ბერეჟიანი.

შეტაკება „სიცილიურ პოლიციასთან“

ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაღუბვა ფრანგი კომუნისტის გამო

1930 წელს, საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაღუპვასთან დაკავშირებით ბევრი ითქვა და დაიწერა. ეს ამბავი დაწერილებით აქვს აღწერილი ქაქუცას თანამებრძოლს, „შეფიცულთა რაზმის“ წევრს — ალექსანდრე სულხანიშვილსაც, მაგრამ ნაკლებად არის ცნობილი ქაქუცას დაღუპვის გამომწვევი უშუალო მიზეზების შესახებ. თვით სულხანიშვილი ყოველივე ამას, 1924 წლის აჯანყებისას მიღებული ჭრილობების გახსენებას უკავშირებდა, მაგრამ რეალობა სხვა გახლდათ: მას არაფერი საერთო არ ჰქონდა ჭლეტთან, რომელიც ქაქუცას, გარდაცვალებამდე



ქაქუცა ჩოლოყაშვილი (მარჯვნივ) და ელიზბარ ვაჩნაძე



გენერალი გიორგი კვინიტაძე

რამდენიმე ხნით ადრე განუვითარდა. ყოველივე ასე დაიწყო.

20-იანი წლების პარიზში გადახვეწილმა რუსმა ემიგრანტებმა დააარსეს რესტორანი, რომელსაც კერენსკის დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ამბოხებული გენერალი კორნილოვის პატივსაცემად, „კორნილოვი“ უწოდეს. 1924 წლის აჯანყების ჩავარდნის შემდეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილიც „შეფიცულთა რაზმთან“ ერთად, საზღვარგარეთ – ძირითადად, საფრანგეთში ცხოვრობდა. ერთხელაც, საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ, ჩოხაში გამოწყობილი და ხმლით შეიარაღებული ქაქუცა ხსენებულ რესტორანში შევიდა. ხმა გავრცელდა, რომ მობრძანდა „ქართველ პარტიზანთა მეთაური კნიაზ ჩოლოყაშვილი“. ქაქუცას თან ახლდა ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი შალვა ქარუმიძე. შალვას ქეიფი უყვარდა, ქაქუცას ზომ უყვარდა და უყვარდა – და გაიშალა სუფრა. შეთვრა ქაქუცა. მისდა საუბელურად, იმავე რესტორანში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დეპუტატი-პარლამენტარი და ამავე დროს, პარიზის პოლიციის უფროსი კიაფი იმყოფებოდა. იმ დღემ მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და მან ერთ საღამოს პოლიციელები მიუგზავნა ქაქუცას სასტუმროში. პოლიციელები პარიზში, ნაპოლეონიდან მოყოლებული, იმ დრომდე, ძირითადად, წარმოშობით სიცილიელები იყვნენ, რომლებიც დიდი სისასტიკით გამოირჩეოდნენ.

მათ ქაქუცას კარი შეუმტვრიეს, და დანებება მოსთხოვეს. ქაქუცა არ დანებდა, ამიტომ სასტიკად სცემეს. ამ ცემის შედ-

ევად ფილტვები დაუზიანდა, დააკავეს კიდევ, წაიყვანეს და ექვსი თვე ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი. ციხიდან რომ გამოვიდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან შერყეული იყო. სწორედ ამის შედეგად განუვითარდა მას ჭლექი, რომლისგანაც ვერაფერმა იხსნა, თუმცა ბევრი იმკურნალა და საფრანგეთის ცნობილი კურორტის – ოტსაუას სანატორიუმშიც კარგა ხანს დაყო. ასე მუხანათურად, ფრანგი კომუნისტის მიერ ჩადენილი სამარცხვინო აქტის შედეგად გარდაიცვალა სამშობლოსაგან მოწყვეტილი პატრიოტი უცხო მიწაზე, 1930 წლის 29 იანვარს. რუსი ბოლშევიკებისა და კომუნისტების ნაცვლად, მასზე რევანში ფრანგმა კომუნისტებმა აიღეს. ბედისაგან განწირულ საქართველოს ეროვნულ გმირს „ქვა აღმართში დაეწია“...

სიყვარული, რომელმაც ემიგრანტი ჯოჯიაა „დე ჯოჯიაიდ“ აქცია ქართველისა და ფრანგის სიყვარული დაღუპვისაგან აზნაურობამ იხსნა

1921 წლიდან ემიგრაციაში გადახვეწილი მრავალი ქართველი, უძიმეს მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბევრი მათგანი თავის გადასარჩენად იძულებული იყო, საფრანგეთის ქარხნებსა და საწარმოებში მონურად ემრომა ან, უკეთეს შემთხვევაში, რომელიმე შეძლებულ ფრანგს დღიურ მუშად დასდგომოდა. ასეთი ხვედრი ერგო წილად ერთ-ერთ ჩვეულებრივ ემი-

გრანტ ქართველს, გვარად კოკაიას. ის დღიური გასამრჯელოს საფასურად, ერთ-ერთი შეძლებული ფრანგის მამულსა და ვენახს ამუშავებდა. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: კოკაიასა და მეპატრონის ქალიშვილს თავდავიწყებით შეუყვარდათ ერთმანეთი. ბუნებრივია, მამას უპოვარი ქართველისთვის შვილის მითხოვება არ უნდოდა: ვინა ხარ შენ, რას წარმოადგენო?! კოკაიას კარგად ესმოდა, რომ მდაბიური წარმოშობის აღიარებით ვერაფერს მიაღწევდა და უთქვამს: „მე კავკასიაში მემამულე ვიყავი და კეთილშობილი წარმომავლობისა ვარ“.

პარიზში რუსეთის არმიის ყოფილმა ოფიცერმა დიმიტრი (მიტო) ჯორჯაძემ, რომელიც მძლოლად მუშაობდა, რუსების წაბაძვით „ქართველ თავად-აზნაურთა საზოგადოება“ – დააფუძნა. ეს საზოგადოება წარმოშობის დამდასტურებელ მოწმობებს გასცემდა. ჯორჯაძის მოადგილე იყო ფრიდონ წულუკიძე – 1918-21 წლებში ართვინის ოლქის კომისარი. საზოგადოების რიგით წევრებს შორის იყო იმავე პერიოდის თბილისის გენერალ-გუბერნატორი შალვა მალაქელიძეც. მივიდა კოკაია მალაქელიძესთან, ვინაიდან მას შედარებით კარგად იცნობდა და განუცხადა: „ბატონო შალვა, თქვენი ჭირიმი, დამეხმარეთ, რომ ქართველ თავად-აზნაურთა საკრებულომ ცნობა მომცეს, რომ აზნაური ვარ, ჩემს გვარს „დე“ მიუმატონ, „დე კოკაია“ გავხდე, თორემ ფრანგი არ მაძლევს თავის ქალიშვილს. ჯორჯაძესთან ვერ მივალ, ის ერთი ჯიშისი კახელი კაცია და ფრიდონ წულუკიძესთან გამიწიეთ შუამდგომლობა“. შალვა მალაქელიძეც არ დაზარებია და დახმარებია... ერთი აუხედ-დაუხედავს მისთვის ფრიდონს და უთქვამს: წადი შე ვირიშვილო და 500 ფრანკი მოიტანე! მართლაც, წავიდა კოკაია და მართლაც ფრიდონს ქრთამად 500 ფრანკი. ასე გახდა კოკაია „დე კოკაია“ და ფრანგმა სასიამოვნოდ, როგორც იქნა, ქალი გაატანა. ასე გადაარჩინა ქართველი კაცისა და ფრანგის სიყვარული აზნაურობამ...

ემიგრაციაში გვარდიის მეთაური ვალიუო ჯუღელი „რესტორნების მოჩხუბრად“ იქცა

სკანდალი სტამბოლში, რომელიც ჯუღელს ცხენებისა და ქოგრიტის მითვისებისთვის მოუწვევს

ემიგრაციაში, 1918-21 წლების საქართველოს „სახალხო გვარდიის მთავარი

შტაბის უფროსი“ ვალიკო ჯუღელი, ნამდვილ „რესტორნების მოჩხუბრად“ იქცა. იმდროინდელი ქართული ჯარის მთავარსარდალი, გენერალი ვიორჯი კვინიტაძე იგონებდა: „იგი უეცრად ჩამოვარდა სიმაღლიდან და ლამის საქართველოს დიქტატორიდან ჩვეულებრივ ადამიანად გადაიქცა, რომელსაც ვინც კი მოახერხებდა, ყველა ანგარიშს უსწორებდა“ (გენ. გ. კვინიტაძე მოგონებები“, ტ. II, 1999 წ.)

პირველად სერიოზული „ძალის დემონსტრირება“ მან იმდროინდელი ქართული სამხედრო ავტოფარეხის უფროსის, პოლკოვნიკ გოგიტიძის მიმართ ჩაიდინა. გოგიტიძეს არა მარტო ჯუღელი, არამედ მთავრობის მრავალი წევრი ადანაშაულებდა სახელმწიფოს კუთვნილი მრავალი ავტომანქანის მითვისებაში. მათ შორის იყო მთავარსარდლის – გენერალ კვინიტაძის ავტომანქანა „სპაც“. ამ საქმესთან დაკავშირებით, სტამბოლის ქართულ საკონსულოში მთავრობის წევრთა საგანგებო შემადგენლობა შეიკრიბა, რომელსაც უნდა გაერკვია გოგიტიძის დანაშაული, მაგრამ ჯუღელმა არავის აცალა გარკვევა-გამორკვევა: პოლკოვნიკ გოგიტიძეს პირდაპირ მივარდა, თაღლითი, ქურდი, არამზადა უწოდა და არც უშეგერი გამოთქმები დაუკლია. გოგიტიძე ღუმ-ღა. ვალიკო ჯუღელს დაწინარება დაუწყეს, მაგრამ ამან უფრო „გაანახლისა“ და ჯუღელმა ლანძღვა-გინებით, ფიზიკურად გაიწია გოგიტიძეზე. მთავრობის წევრები შუაში ჩადგნენ, მაგრამ ჯუღელი მაინც ცდილობდა, მისწვდომოდა პოლკოვნიკ გოგიტიძეს. ბოლოს ძლიერდობით მოხერხდა მუშტი-კრივის თავიდან აცილება. გოგიტიძემაც, როგორც ჩანს, დანაშაული იგრძნო და მალე ცივად მიატოვა იქაურობა.

თავისი ახირებულობის გამო, მეორე მნიშვნელოვანი ინციდენტი ვალიკო ჯუღელს ერთ-ერთ ქართველ ოფიცერთან მოუვიდა. გოგიტიძისგან განსხვავებით, მან შეურაცხყოფა არ აპატია და ღუელში გამოიწვია. მაგრამ ჯუღელმა უარი განაცხადა: „ჩემი მრწამსის გამო ღუელში არ ვიბრძვი; ოფიცერმა შეხვედრისას მუშტი-კრივი წამოიწყოს და როგორც შევძლებ, ისე ვუპასუებო“. ამგვარი ფსიქოლოგია იმდროინდელი ქართველი სამხედრო წრისათვის გაუგებარი იყო, რამაც, ცხადია, ჯუღელის სახელი მათ რიგებში უკიდურესად შებღალა...

იმავე ხანებში ვალიკო ჯუღელს



გენერალი ლეო კერესელიძე



ვალიკო ჯუღელი

კიდევ ერთი უსიამოვნება შეხვდა: სტამბოლში შეხიზნულმა, საბჭოთა რეჟიმს გამოქცეულმა რუსმა ემიგრანტებმა მას ძველი ცოდვები გაუხსენეს. კერძოდ, 1920 წელს, როდესაც საქართველოს სამხედრო გზაზე ჯუღელის გვარდიელები დენიკინელებს სახელმწიფო ქონებას ართმევდნენ, ეკიპაჟი და ცხენები წაურთმევიათ ვინმე იკაევისათვის, ვისაც განუცხადებია – ეს ჩემი კერძო ქონებააო; მისთვის მიუციათ ხელწერილი, რომლის მიხედვით, ჩამორთმეულ ქონებას ფულით აუნაზღაურებდნენ, მაგრამ თბილისში ჩამოსულ იკაევს დანაშაულები არ შეუსრულეს: გვარდიის მთავარმა შტაბმა კუთვნილ კომპენსაციაზე მას უარი განუცხადა. ვალიკო ჯუღელს პირადად, საფეთქელზე მიუდგია მისთვის რევოლვერი – გაჩუმდი და თავი დაგვანებეო...

როდესაც ერთი წლის შემდეგ ჯუღელიცა და იკაევიც სტამბოლში ერთ ბედ ქვეშ აღმოჩნდნენ, რუსმა ლტოლვილმა ეს შეხვედრა შურისძიების საუკეთესო მომენტად მიიჩნია. მან ჯუღელს სტამბოლის პოლიციაში უჩივლა და მისი, როგორც ბოროტმოქმედის გასამართლება მოითხოვა. პოლიცია ჯუღელის დაპატიმრებას აპირებდა. მაგრამ კრიტიკულ მომენტში „ამხანაგი ვალიკო“ ქართულმა საკონსულომ გადაარჩინა: გენერალურმა კონსულმა გეგელაშვილმა უშუალოდ თავის კაბინეტში მიიწვია პოლიციის წარმომადგენელი და დაითანხმა ხელი აელო ჯუღელის დაკავებაზე.

მეორე სცენა უფრო მშვიდობიანად დასრულდა. იმავე სტამბოლის ქართულ საკონსულოში გამოცხადდა ერთი რუსი ემიგრანტი – ისიც ერთ-ერთი მათთაგანი, ვისაც თბილისში ქონება წაართვეს, და კონსულს სთხოვა, – ჯუღელმა წართმეული ჩემი საკუთარი ძვირფასი ჭოგრიტი დამიბრუნოსო. ჭოგრიტი მართლაც ძვირფასი იყო: „ვალიკო ჯუღელი ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას, ყველა მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ ღონისძიებებზე მას თან ატარებდა და კერავინ ვერ იფიქრებდა, თუ მას იგი ვინმეზე „შეწერილი“ ჰქონდა...“ „ყველამ გაიგონა, როგორ ეუბნებოდა ქართველ კონსულს შავწვერა, სათვალღიანი კაცი: „ისიც სოციალ-დემოკრატია, მეც; ახლა ჭოგრიტი აღარ სჭირდება და დამიბრუნოსო“. გენერალური კონსული გეგელაშვილი ჯუღელს ამ საკითხზე საგანგებოდ ეთათბირა და, ბოლოს და ბოლოს, დაარწმუნა, რომ მას, როგორც რიგით მოქალაქემდე დამცრობილს, აქ, უცხო ცის ქვეშ აღარ შესწევდა ძალა თავისი გაეტანა და ვალდებულიც იყო, ჭოგრიტი პატრონისათვის დაებრუნებინა.

ჭოგრიტი რუს ემიგრანტს დაუბრუნეს. სტამბოლში ჯუღელთან პაექრობაში ეს „შავწვერა, სათვალღიანი კაცი“ კი გამარჯვებული დარჩა. ერთ დროს „რკინის ვალიკო“ ჩვეულებრივ ადამიანად გადაიქცა, რომელსაც მართლაც, ვინც კი მოახერხებდა, ყველა ანგარიშს უსწორებდა...

sikvdilmisjilebs
saxrGobelaze
kideben,
eleqtroskamze
svamen – isini ki
cocxloben. ar
gjeraT? winamdebare
werilSi swored
aseTi SemTxvevebia
aRwerili.



გვიდისნა თუ იღბალი

ქაენყ სვიქყ ქნომჟმცაიგობცყყ

ჩამოხრჩობილი

დევონშირელი წვრილი ფერმერის ვაჟი ჯონ ლი 15 წლისა სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტში იუნგად ჩაეწერა, 5 წლის შემდეგ სამხედრო სამსახური მიატოვა, გადაამდგარ პოლკოვნიკს ბრაუნ ლოუს ლაქიად დაუდგა და სულ მალე სუფრის ვერცხლეულის მოპარვის გამო ჩავარდა. 6 თვიანი პატიმრობის შემდეგ კი დედოფალ ვიქტორიას ყოფილი ფრეილინის, 86 წლის შინაბერა ემა კეისის სახლში მოსამსახურედ მოეწყო. ახალი მსახური დიასახლისის ხშირად ეუხეშებოდა და მოხუცმა მისი დასჯა გადაწყვიტა – ანაზღაურება ორი შილინგიდან და 6 პენსიდან ორ შილინგამდე ჩამოუკლო. ეს გადაწყვეტილება ემა კეისისათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

1884 წლის 15 ნოემბრის დღეს მის კეისის მსახურები დამწვრის სუნმა გამოადვიდა. სახლში ცეცხლი მძვინვარებდა. როცა ხანძრის ჩაქრობა მოახერხეს, მსახურების თვალწინ საზარელი სურათი გადაიშალა. სასადილო ოთახის მაგიდაზე ყელგამოღარული და თავგაჩეჩკილი ქალბატონი იწვა.

ყველა ფაქტი იმაზე მიუთითებდა, რომ ეს საზარელი მკვლელობა ჯონ ლიმ ჩაიდინა. მას ზედა სამოსი სისხლში ამოსვროდა, ხოლო ხელებზე ისევ ასდიოდა პარაფინის სუნი. მსაჯულებს სულ 40 წუთი

დასჭირდათ ვერდიქტის გამოსატანად. ჯონ ლის სიკვდილით დასჯა – სახრჩობელა მიუსაჯეს. მოსამართლემ თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ ის უშფოთველობა, რომლითაც სიკვდილმისჯილმა განაჩენი მოისმინა, მისი გამოუსწორებლობისა და გულქვაობის კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთია. თავად განსაჯელმა კი სიმშვიდის მიზეზი ჟურნალისტებს სულ სხვაგვარად განუმარტა: „მე მჯერა ჩემი ღმერთის, ის კი არ დაუშვებს, რომ უდანაშაულო ადამიანი დაისაჯოს“.

ჯონ ლი ქალაქ ექსტერის ციხეში გაამწყესეს და განაჩენის აღსრულების დღედ უახლოესი ორშაბათი გამოაცხადეს. შაბათს, თანამდებობაზე ახალდანიშნულმა ჯალათმა ჯემს ბერიმ ციხის სახრჩობელა შეამოწმა. ის ციხის ფლიგელში იყო მოწყობილი. ჭერქვეშ გაჭიმული იყო ფოლადის ძელი, რომელზეც მარყუჟს ამაგრებდნენ, იატაკზე კი ამოჭრილი იყო

ნეკნებით ჩამოკიდებისა და მიწაში ცოცხლად ჩამარხვის შემთხვევაში ადამიანის მოკვდინება რამდენიმე დღე გრძელდებოდა

ლიუკი პატარა კარით, რომელიც სპეციალურ დილაკზე ხელის დაჭერით იღებოდა. ჯალათმა ბერიმ სისტემა ორჯერ შეამოწმა. ლიუკის კარი საათივით მუშაობდა.

ორშაბათს, დილის 8 საათზე ციხის ზარმა ჩამოჰკრა. სიკვდილმისჯილი ჯონ ლი ფლიგელში შეიყვანეს. „სანახობაზე“ მიწვეული ჟურნალისტები გააოცა ჯონ ლის სიმშვიდემ. სიკვდილმისჯილი ცნობისმოყვარე გამომეტყველებით ათვალიერებდა სახრჩობელას. ჯალათმა მას ფეხები შეუკრა და კისერზე მარყუჟი ჩამოაცვა. ციხის მოძღვარმა ჯონ პიტკინმა ჯონ ლის რაღაც ჰკითხა, მან უპასუხა: „არა“. შემდეგ ჯალათმა მას თავზე თეთრი კაპიუშონი ჩამოაცვა და დილაკს ხელი დააჭირა.

ლიუკი არ გაიხსნა. ჯალათი კიდევ რამდენჯერმე ღონიერად დააწვა დილაკს, მაგრამ ლიუკი არ იხსნებოდა. სიკვდილმისჯილს კაპიუშონი მოხსნეს, სახრჩობელიდან ჩამოიყვანეს და გვერდით გაიყვანეს. ჯალათი მექანიზმის შესაკეთებლად წავიდა. მაგრამ მექანიზმი მწყობრში იყო. სიკვდილმისჯილის გარეშე ლიუკი იხსნებოდა... ჯონ ლის მეორედ შეუკრეს ფეხები, მარყუჟში თავი შეაყოფინეს და ჯალათმა ისევ დააჭირა დილაკს ხელი. ლიუკი კვლავ არ გაიხსნა. ჯონ ლის ისევ შეუხსნეს ფეხები და ისევ ჩამოიყვანეს სახრჩობელიდან. დილაკს



დააწუნენ და ლიუკი ისევ გაიხსნა. სიკვდილმისჯილი მესამედ შეკრეს, მესამედ ჩამოაცვეს მარყუჭი და ჯალათი კვლავ დააწვა დილაკს. ლიუკი არ იხსნებოდა.

პირველად მოძღვარ პიტკინს უმტყუნა ნერვებმა. მან განაცხადა: „ამ დაცინვას ბოლო უნდა მოეღოს, დღეს მაინც!“ სიკვდილმისჯილი ლი საკანში დააბრუნეს. დილით კი ყველა ინგლისურ გაზეთში დაიბეჭდა შემზარავი რეპორტაჟი განუხორციელებელი სასჯელთაღსრულების შესახებ. საზოგადოებრივი აზრი 180 გრადუსით შემობრუნდა: თუკი აქამდე მოხუცი ქალის მკვლელს ჯოჯოხეთის მოციქულად თვლიდნენ, ახლა ბევრს ეჭვი შეეპარა მის ბრალეულობაში.

მაგრამ ამ ეჭვის გაფანტვას თავად ჯონ ლიმ შეუწყო ხელი იმ წერილით, რომელიც სიკვდილით დასჯის წინ თავის დას მისწერა და სადაც დანაშაულს აღიარებდა. მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრმა – სერ უილიამ ჰარკორტმა სიკვდილით დასჯის განაჩენი მუდმივი პატიმრობით შეუცვალა.

23 წლის შემდეგ, 1907 წლის 7 დეკემბერს სამაგალითო ყოფაქცევითვის ჯონ ლი, პორტლენდის ციხიდან გაათავისუფლეს. ყოველკვირეულმა LLOYD'S WEEKLY NEWS-მა ლისგან იყიდა უფლება მისი ცხოვრების ისტორიის პუბლიკაციაზე. მალე გამოვიდა წიგნიც, სათაურით – „აღამიანი, რომელიც ვერ ჩამოახრჩვეს“. ჯონ ლი შეძლებულ კაცად იქცა, დაოჯახდა და საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა, სადაც ბარმენად მუშაობდა. 1912 წელს კი საყვარელთან ერთად ავსტრალიაში გაიქცა. ცნობილია, რომ იგი 1933 წელს, სიკვდილით დასჯის თარიღიდან 48 წლის შემდეგ, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.


სასწაულის მიზეზი კი მეტისმეტად მარტივი აღმოჩნდა. ციხის ფლიგელში წყალი ჩამოდიოდა. ლიუკის ხის კარი ცოტათი გაჯირჯეპული იყო და როცა მასზე ვინმე დგებოდა, ის იჭედებოდა, ხოლო თუ სიმძიმე არ აწევებოდა, ადვილად იღებოდა. ძველმა ჯალათმა თავისი სახრობლის ეს თავისებურება იცოდა

და მას ადვილად უმკლავდებოდა (დილაკის დაჭერისას, მსჯავრდებულს ფენს აუკრავდა ხოლმე), ახალმა ჯალათმა კი მეტად უხეში შეცდომა დაუშვა – მოწყობილობა სამუშაო რეჟიმში წინასწარ არ შეამოწმა.

დაკრძალული

ბ ა ნ ა ლ უ რ ა დ ჟღერს, მაგრამ ფაქტია: სასიკვდილო განაჩენის წარმატებით აღსრულება დამოკიდებულია ჯალათზე. მაგალითად, 1626 წელს გრაფ ანრი დე შალეს ჯალათმა მხოლოდ 29-ე ცდაზე მოკვებითა თავი, ამასთან, ხმლის მე-20 დარტყმის შემდეგ, გრაფს ჯერ კიდევ სიცოცხლის ნიშნები ეტყობოდა. ინგლისის მეფის ჩარლზ მეორის უკანონო შვილის, მონმუტის ჰერცოგ ჯეიმსის თავის მოსაკვითად ჯალათს ხუთჯერ მოუწია ნაჯახის მოქნევა. თუმცა, მერე თავში ხელი შემორტყეს – გაახსენდათ, რომ ინგლისის ტახტის უიღბლო პრეტენდენტის არც ერთი პორტრეტი არ რჩებოდათ, თავი ადვილზე დააბრუნეს და კარის მხატვარმა სერ გოდფრი ნელერმა სასწრაფოდ დახატა „ნატიურმორტი“.

1723 წელს ედინბურგის შემოგარენის მკვიდრმა, ვინმე მარგარეტ დიქსონმა ორი მცირეწლოვანი შვილი დატოვა და დედების მოსანახულებლად კელსოში გაემგზავრა, სადაც ერთ-ერთი იქაური ფერმერის ოჯახში მოსამსახურედ მოეწყო. ფერმერის ვაჟმა მსახური შეაცდინა. მარგარეტს მისგან შვილი



ბორბალზე გაკერისას აღამიანი რამდენიმე საათში კვებოდა



„ოთხში ამოღება“ ერთ საათში აღასრულებდა სიკვდილით დასჯის რიგუალს

შეეძინა, რამდენიმე კვირის შემდეგ კი მდინარე ტვიდში ახალშობილის გვამი იპოვეს. მარგარეტ დიქსონი იფიცება, რომ ბავშვი მკვდარი დაიბადა, მაგრამ ის მაინც გაასამართლეს და სახრობელა მიუსაჯეს.

1724 წლის 2 სექტემბერს ედინბურგის მოედანზე უამრავი აღამიანის თვალწინ იგი ჩამოახრჩვეს. სხეული ნახევარ საათზე მეტხანს ეკიდა თოვზე, ჯალათმა, იმისათვის, რომ დარწმუნებულიყო მსჯავრდებულის სიკვდილში, რამდენჯერმე ფეხებზეც ჩამოქაჩა ჩამოხრჩობილს. შემდეგ თოკი გადაჭრეს, ცხედარი კუბოში ჩაასვენეს და დასამარხავად წაიღეს. მაგრამ გზაში საზიდარს თავს დაესხნენ მძარცველები, რომლებიც ადგილობრივი ქირურგი-



ელექტროსკამი ადამიანის მოკვდინებას ნახევარ წუთს ანდომებს

ბის დაკვეთით, მიცვალებულებზე ნადირობდნენ. ამ უკანასკნელთ ცხედრები ანატომიური კვლევებისთვის ესაჭიროებოდათ. ქურდები მოიგერიეს, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლაში კუბო მიწაზე დაენარცხა და გატყდა, ხოლო, როცა ის საზიდარზე გადაიტანეს, კენესა შემოესმათ. კუბოს სახურავი ახადეს და დაინახეს, რომ „მიცვალებული“ თითებს ამოძრავებდა. მათ თვალწინ მარგარეტი გავარდისფრდა და გაცოცხლდა.

ჩამოხრჩობიდან ოთხი დღის შემდეგ, იგი გონს მოეგო და ადგილობრივ ეკლესიაშიც კი შეძლო მისვლა. მრევლი გადარჩენილს ალოდისმენტებით შეეგება. ხელისუფალთ სურდათ, მარგარეტი ედინბურგში დაებრუნებინათ და ხელმეორედ ჩამოეხრჩოთ, მაგრამ შოტლანდიური კანონები ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ დასჯას არ ითვალისწინებდა. საყვარლის სასწაულებრივი გადარჩენით აღფრთოვანებულმა ფერმერის ვაჟმა, მარგარეტს ყველაფერი აპატია და ცოლად შეირთო.

მარგარეტ დიქსონის გადარჩენის მიზეზს მედიკოსები დღესაც ვერ ხსნიან.

დენდარტყმული

საზოგადოების განვითარებასთან ერთად, სიკვდილით დასჯის მეთოდებიც ნელ-ნელა იხვეწებოდა. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში სასიკვდი-



ჩამოხრჩობისას ადამიანი რამდენიმე წუთში თავდება

ლო განაჩენის აღსრულება ხდებოდა თავის მოკვეთითა და დეფენესტრაციის (მსჯავრდებულის სიმალლიდან გადმოგდების) გზით. ბორბალზე გაკვრას (ბორბალზე მიბმული დამნაშაულის რკინის კეტებით მისიკვდილება), „ოთხში ამოღებას“ (ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთა) და კოცონზე დაწვას, განსაკუთრებით საშიში დამნაშაულების დასასჯელად იყენებდნენ. თანდათანობით პირველ ადგილზე ყველაზე იაფფასიანმა მეთოდმა — სახრჩობელამ გადაინაცვლა.

მოგვიანებით ტექნიკურმა პროგრესმა სამყაროს ძალზედ საიმედო იარაღი — გილიოტინა, ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ — ელექტროსკამი აჩუქა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი მეთოდი ტრადიციულებზე გაცილებით ცუდად მუშაობდა. სადღეისოდ დაფიქსირებულია ელექტროსკამის გამოყენების ოთხი წარუმატებელი შემთხვევა, თუმცა ამბობენ, რომ ეს გაცილებით ხშირად მომხდარა. მათ შორის ყველაზე განმარტებული, 1946 წელს არასრულწლოვანი მკვლელის ვილი ფრენსისის არშემდგარი სიკვდილით დასჯა იყო.


1944 წლის 8 ნოემბერს ლუიზიანის შტატის ქალაქ მარტინვილში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს აფთიაქის მეპატრონე, 54 წლის ენდრიუ ტომასი. გამოძიებამ დაადგინა დანაშაულის ჩამდენი: ეს გახლდათ აფთიაქის თანამშრომელი — 16 წლის ვილი ფრენსისი, რომელმაც განაცხადა, რომ ტომასი სიცოცხლეს იმიტომ გამოასალმა, რომ ამ უკანასკნელმა სამსახურიდან გააგ-

„ჰუმანური“ გილიოტინა ამოცანას წამებში ასრულებდა

ლო და დასძინა — სრულებით არ ვნანობ ჩემს ნამოქმედარსო. აფთიაქარის მოკვლის შემდეგ ვილი ფრენსისმა მსხვერპლს ამოაცალა საათი, რომელიც მოგვიანებით გაყიდა, და საფულე, რომელშიც ოთხი დოლარი იდო.

სასამართლომ ცინიკოს მკვლელს სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა. 1946 წლის 3 მაისს ვილი ფრენსისი ელექტროსკამზე მიაბეს და ჩამრთველი ჩამოსწიეს. ვილიმ დაიღრიალა: „გამორთეთ, თორემ ვიხრუკები!“ მსჯავრდებული სიკვდილიმისჯილთა საკანში დააბრუნეს და ელექტროსკამს საგულდაგულო ექსპერტიზა ჩაუტარეს. ოფიციალური დასკვნით, სკამის ერთ-ერთი კონტაქტი მწყობრიდან იყო გამოსული.

1946 წლის 9 მაისს ვილი ფრენსისი ხელმეორედ მიაჯაჭვეს ელექტროსკამს და ჩამრთველი ჩამოსწიეს. ამჯერად სისტემამ გამართულად იმუშავა.



აკაკი გეგენაძე

როგორ მოხვდით ბუდაპეშტში

ავტომობილების გერმანიიდან ჩამოყვანამ ისე გამოიტაცა, რომ ორ თვეში ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც დავდიოდი. მეგობრებმა „ტურისტო“ შემარქვეს და მეც ამ ზედმეტსახელს ვამართლებდი: ევროპის გზებზე მივდი-მოვდიოდი და ლამის არის, დავიზებირე ყველა გადასახვევი. თბილისში კი, „გამარჯობის“ ნაცვლად, პირდაპირ მეკითხებოდნენ ხოლმე – როდის ჩამოხვები, ან – სად და როდის მიდიხარო?...

ერთხელ, ჩემი თანაკლასელი მურთაზ ცინისელი შემხვდა. ბავშვობაში კლასელები „შეგვჭამა“ – სულ იმით ტრახახობდა, რომ მამამისმა პირველმა ჩამოიყვანა თბილისში „იკარუსის“ მარკის ავტობუსი. თვითონაც პროფესიონალი ავტობუსის მძღოლი გახდა და შეხვედრისას მითხრა:

– კაკო, ამდენს დადიხარ ევროპაში და ერთი კარგი აზრი უნდა მოგაწოდო. ამ დღეებში ჩემი ავტობუსისთვის „კალენჩატი ვალი“ დამჭირდა, ძლივს ვიშოვე და ძალიან დიდი თანხა გადავიხადე. გზაში უნგრეთს მაინც გადაიხარ და თან წამოიღე – დამიჯერე, კმაყოფილი დარჩები...

– რა მუხლა ლილვი წამოგიღია და რა „მატორი“ – მანქანაში როგორ ჩავტითი? – გავიკვირე.

– არც ისეთი დიდია, შენ რომ გგონია, ნებისმიერი მსუბუქი ავტომობილის სალონში ჩაეტევა... ჩამოიტანე და გასაღებაში მე დაგეხმარები...

თავიდან ამ ინფორმაციას ყურადღება არ მივაქციე. მერე დავფიქრდი და ჭკუაში დამიჯდა. გადავწყვიტე, უნგრეთში გაჩერებულიყავი, ქვეყანაც დამთავალიერებინა და თან „იკარუსის“ ძრავის მუხლა ლილვი წამომეღო...

მცირე ისტორიული მიმოხილვა

ავსტრიის უნაკლო გზების შემდეგ (ამის შესახებ „გზის“ №24-ში მოგიხსნობოდი), უნგრეთში რომ შეხვალთ, უცებ იგრძნობთ დიდ სხვაობას. უნგრეთი „კომუნისტის აშენებდა“ და იქაური გზები ძალიან ჰგავს ჩვენსას... დასახლებული პუნქტები სავსეა „ფიფულებით“, „მოსკვირებით“ და „ზაპოროჟეცებით“.

უნგრეთი ევროპის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ეს ქვეყანა ვაკიანია,



„ნათელი“ უნგრულმა კოლინილიზმა მოახა

მაგრამ გარშემო მთები აკრავს: დასვლეთით – ალპები, ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით – კარპატები, ხოლო სამხრეთით – დინარის მთები. ქვეყნის მთავარი მდინარეებია დუნაი და ტისა. მართალია, უნგრეთი ტბებით მდიდარი არ არის, მაგრამ მთელ მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილია ერთი – ბალატონი. მისი წყალი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა და მის გარშემო მდებარე ტყეც ფილტვებით დაავადებულთა სამკურნალოდ არის სასარგებლო. ჰავა საკმაოდ ზომიერია და აქ ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, ევროპის ქვეყნებიდან უამრავი ადამიანი ჩამოდის.

სანამ უნგრეთში მოხვდებოდი, იქაური ხალხი სლავეები მეგონა. დავრწმუნდი, რომ უნგრული ძირეულად განსხვავდება სლავური ენებისგან. უნგრელები არავითარ პრეტენზიას არ აცხადებენ ძირძველი მოსახლეობის სტატუსზე: მათ კარგად იციან, რომ აქ V-VIII საუკუნეებში, რუსეთიდან – ვოლგისპირეთიდან ჩამოსახლდნენ... როდესაც ჩემს ბუდაპეშტელ მასპინძელს საბუშას ვკითხე, თქვენი ენა რომელს ენათესავება-მეთქი, მიპასუხა: ჩვენი ენა ყველაგან განსხვავდება და ჩვენ გარდა, მხოლოდ სადღაც რუსეთში, მოსახლეობის რაღაც ნაწილი ლაპარაკობსო. მერე რომ დავინტერესდი და უნგრეთის ისტორიის ამსახველ ბროშურას გადავაკე თვალი, დავრწმუნდი, რომ უნგრულთა წინაპრები სამხრეთ რუსეთის სტეპიან ადგილებში, თურქულენოვან ტომებში ცხოვრობდნენ...

რომის იმპერიას ეს ტერიტორიები

რატომდაც არ აინტერესებდა და ყურადღებასაც არ აქცევდა. ამ სიტუაციით უნგრულმა ტომებმა ისარგებლეს, კარპატები გადალახეს და მასობრივად დაიწყეს იქ დასახლება. VIII საუკუნეში უნგრული ტომები გაერთიანდნენ და აქედან იწყება მათი ისტორიული წელთაღრიცხვა...

ფეოდალური უნგრეთი გამუდმებით იყო მოცული შინაომებით, სანამ X საუკუნეში მმართველობა იშტკამ პირველმა არ იგლო ხელთ და თავისი თავი მეფედ არ გამოაცხადა. სამეფო დინასტიამ მხოლოდ 200 წელი იარსება. 1241-43 წლებში მონღოლებმა მთლიანად გაანადგურეს და მიწასთან გაასწორეს უნგრეთი. მართალია, ისინი დიდხანს არ დარჩენილან, მაგრამ ქვეყანა განახევრდა და ფეხზე დადგომას ვერ ახერხებდა. სამეფო დინასტია ვერ აღდგა და ქვეყანას პერიოდულად მდიდარი ფეოდალი თავადები მართავდნენ...

XV-XVII საუკუნეებში უნგრეთი თურქებმა დაიპყრეს, ხოლო XVII საუკუნეში ავსტრიის იმპერიამ განდევნა თურქები და თითქმის XX საუკუნემდე, უნგრეთი ავსტრიის პროვინციად იყო ქცეული... მართალია, უნგრეთი ავსტრიის ნაწილი იყო, მაგრამ თავის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს ინარჩუნებდა, რამაც ქვეყანას განვითარების საშუალება მისცა. მერე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირმა ქვეყანა „გააწილა“. 1990 წელს კი, უნგრეთმა უარყო სოციალისტური წყობილება და კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა.



საბუმა

ჩემდა გასაოცრად, ბუდაპეშტში რომ შევედი, სასურველი სასტუმროს მოძებნა გამიჭირდა. სადაც მივედი, ყველა სასტუმრო პრევატიზებული და ახალი გარემონტებული დამხვდა. ერთი ღამის გათევვა, სულ ცოტა, 50 დოლარი ჯდება. ჩემთვის ეს ძალიან ძვირი იყო, მაგრამ მანქანაში დაძინების დიდი სურვილიც არ მქონდა... ძველი ხერხი გამახსენდა და ინფორმაციისთვის ტაქსის მძღოლებს მივმართე. არც ერთ კაბიტალისტურ ქვეყანაში ისე აშკარად არ გევაჭრებიან, როგორც ყოფილ სოციალისტურ სივრცეში. უნგრეთიც არ წარმოადგენს გამონაკლისს.

– თუ შეიძლება, იაფფასიანი სასტუმრო მიმასწავლე, – რუსულად მივმართე ქერა უნგრელს, რომელიც „ვიგულის“ მარკის ავტომობილთან იდგა და სიგარეტს აბოლებდა. უნგრეთში რუსული მოსახლეობის ნახევარზე მეტმა იცის.

– გააჩნია, რამდენს გადამიხდი? – მითხრა მან და სიგარეტის კვამლით რგოლების გაშვებას მიჰყო ხელი.

– რამდენი გინდა? – არ მესიამოვნა მისი პასუხი, მაგრამ მაინც ვკითხე.

– მინიმუმ, 50 დოლარი, „ზატო ვსიო ბუდეტ ვ აჟურე“, – ტაქსისტს იმედი მოეცა, რომ „გებებოდი“.

– მამაშენს კიდევ ჰყავს შენისთანა ჭკვიანები?! – ზურგი შევაქციე და სხვა მძღოლებისკენ ავიღე გეზი.

– რას იზამ, ინფორმაცია ფული ღირს... – მომადანა ზურგში გაწბილებულმა უნგრელმა. მართლაც, სხვა მძღოლებმაც ინფორმაციისთვის ფული მომთხოვეს. იბულებული გავხდი, 20 დოლარად მეყიდა საჭირო ცნობა და ერთ-ერთ მძღოლს გავყოლოდი. მან კი, ჩვენში რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საერთო საცხოვრებლები იყო, იმის მაგვარ

შენობასთან მიმიყვანა და მითხრა:

– აი, აქ შეხვალ... სტუდენტები არადაგებზე არიან წასულები და ღირექტორს მოელაპარაკები... – მერე ხელი ჩამომართვა და დამემშვიდობა.

ფოიეში ახალგაზრდა კაცი შემხვდა. მას საბუმა ერქვა და საერთო საცხოვრებლის სამეურნეო ნაწილის უფროსის მოვალეობას ასრულებდა. როდესაც ჩემი მოსვლის მიზეზი

აუხსენი, გვერდზე გამიყვანა და მითხრა:

– ღირექტორი ერთი ღამის გათევვაში 10-15 დოლარს გამოგართმევს, მე კი აქვე ვცხოვრობ და შემიძლია ჩემი სახლი დაგიტოვო: დღე-ღამეში 5 დოლარს თუ მომცემ, მადლობელი დავრჩები... თავიდან ეჭვის თვალით შეხვდეთ – რაიმე შარს არ გადავყვარო-მეთქი, მაგრამ სიიაფემ თავისი ქნა და დავთანხმდი.

საბუმა ორმოცდახუთი წლის კაცი იყო. მთელი ცხოვრება რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა ბუდაპეშტის ერთ-ერთ სკოლაში. 1990 წლიდან უნგრეთში ყველაფერი სოციალისტური და რუსულ ენაც ერთსულოვნად უარყვეს, ბევრი მასწავლებელიც შექცირებაში მოჰყვა, განსაკუთრებით – რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები. საბუმაც უმუშევარი დარჩა. ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემები გამწვავდა, სამსახურის შოვნა გაჭირდა. სამი წლის შესვენების შემდეგ, ნაცნობებმა სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში დააწყბინეს მუშაობა: მცირე შემოსავალს იძლეოდა, მაგრამ სტაბილური იყო და სულ არაფერს სჯობდა.

ჩემი მასპინძლის სამოთახიან ბინაში, რომელიც ე.წ. „სრუშოკის“ ტიპისა იყო, ერთი კვირა ვიცხოვრე. საბუმა მარტო ცხოვრობდა და მთელი დღე შინ არ იყო. საღამოობით ცოტა „გადაკრულში“ მოდიოდა ხოლმე, მოიტანდა ერთ ბოთლ არაყს, ძეხვს, მჟავე კიტრს და მაგიდასთან მიმიპატიჟებდა. მეც ჩემებურად, რამეს დავუმატებდი და გვიანობამდე ერთმანეთს მეგობრობას ვეფიცებოდით... ცოტა რომ გავუმნაზურდი, თავს ნება მივეცი და საბუმას ვკითხე:

– საბუმა, როგორ უძლებ ყოველდღიურ სმას?...

– თავს რომ არ ვიკლავ, ის უნდა

გავიკვირდეს... ბოლმა მახრჩობს, ბოლმა, მაგრამ რა ვქნა – მაინც მაქვს რალაცის იმედი... – სულიერი ტკივილისგან სახე დაემანჭა.

– ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ მაინც, ასეთი რა მოგივიდა?

საბუმა ერთხანს გაჩუმებული იჯდა, აშკარად ეტყობოდა – ვერ გადაეწყვიტა, ეპასუხა ჩემს კითხვაზე თუ არა. ბოლოს მაინც დაიწყო:

– 21 წლის ვიყავი, სიყვარულით ცოლი რომ მოვიყვანე. ორი შვილი შეგვეძინა. გოგო ახლა 17 წლისაა, ბიჭი 10-ის. ჩემი ცოლი ექთანია იყო. ასე იყო თუ ისე, ოჯახს ვუვლიდით... ჩემზე ბუნდური კაცი არ მეგულებოდა ამ ქვეყანაზე. როცა უმუშევარი დავრჩი, ყველაფერს ვაკეთებდი, რომ როგორმე ოჯახს არაფერი მოჰკლებოდა, მაგრამ ძალიან მიჭირდა. მთელ ქვეყანას უჭირდა და მომავალს იმედის თვალთ ვუყურებდი, ყოველ შემთხვევაში, არ მოვშვებულვარ... ცოლმა ბუნდუნს მოუხშირა, უნიათოს და უძღურს მეძახდა. ჩემი მატერიალური შესაძლებლობები არ აკმაყოფილებდა და თითქმის ყოველდღე მეჩხუბებოდა... ერთ დღეს სახლში მოსულს წერილი დამხვდა, რომელშიც ეწერა: ასე აღარ შემიძლია, უნდა დავშორდეთ – ასე აჯობებს ჩვენთვისაც და ჩვენი შვილების მომავლისთვისაც... ვიღაც ამერიკელი ტურისტია გაუცენია და იმას გაჰყოლია. გოგო თან წაიყვანა, ხოლო ბიჭი, რომელიც დღეაჩემთან ცხოვრობდა, შარშან, ჩემგან მალულად გააპარა...

უხერხული სიტუაცია ჩამოვარდა, არ ვიცოდი, რა მეთქვა. ისევ საბუმა დარღვია ღუმილი:

– ცოლი გყავს?

– კი, ერთი წელია, რაც მოვიყვანე... – ვუპასუხე.

– ჰოდა, ჭკვიანურად მოიქეცი, რომ უბედურებაში არ ჩაგაგდოს... – დამარიგა მან.

– ქართველი ქალები... – დავიწყე მე, მაგრამ საბუმა გამაწყვეტინა.

– ქალი ქალია – გინდ იაპონელი იყოს და გინდ ქართველი... ბავშვები მეცოდებიან, თორემ მე რომ მკითხო, ყველა ქალი ღუნაიშია გადასაგდები... – ეს თქვა და გვარიანად შეიკურთხა...

ბუდაპეშტი და მუხლა ლილვზე „ჩალიჩი“

დღევანდელი ბუდაპეშტის ადგილას ძველ დროში სამი დამოუკიდებელი ქალაქი იყო: აბუდა, ბუდა და პეშტი. 1873 წელს ისინი ერთმანეთს შეერწყა

და ასე დაიბადა ერთიანი უნგრეთის დედაქალაქი. დუნაის ნაპირზე, პეშტის რაიონში რომაელთა ციხესიმაგრეები იდგა. მათი ნანგრევები დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. ფეოდალიზმის ხანაში ბუდაპეშტი სავაჭრო და საბაჟო ცენტრად იქცა. ხომალდებს, რომლებიც დუნაის სერავდნენ, საბაჟო გადასახადი უნდა გადაეხადათ. ქალაქის ძირითადი შემოსავალი ეს გადასახადი იყო... თურქების ბატონობის პერიოდში ქალაქი ევროპულ განვითარებას ჩამორჩა, მაგრამ ავსტრიელების შემოსვლის შემდეგ, კვლავ სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა.

ბუდაპეშტი გერმანელმა ფაშისტებმა, 1945 წელს მიწასთან გაასწორეს, სილამაზით განთქმული ყველა ხიდი ააფეთქეს... გავიდა წლები და ქალაქი კვლავ აშენდა... თითქმის ყველა ძველებური სასახლე და ღირსშესანიშნავი შენობა მდინარე დუნაის სანაპიროზე განლაგებული, რაც ულამაზესი სანახავია. დღეს ბუდაპეშტი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია მთელ მსოფლიოში.

სამწუხაროდ, მისი დათვალიერება კარგად ვერ მოვახერხე. მუხლა ლილვის შოვნაზე ზრუნვამ იმდენი პრობლემა შემიქმნა, რომ თავებდს ვიწყველიდი, საერთოდ რომ განვიზრახე მისი ყიდვამეთქი... თბილისიდან ერთი უნგრელი კაცის ტელეფონის ნომერი მქონდა, ვინც ლილვის შეძენაში უნდა დამხმარებოდა. პირველად რომ დავურეკე, მეორე დღისთვის, ერთ-ერთი სასტუმროს პირდაპირ მდებარე სკვერში დამითქვა შეხვედრა. ორი საათი ვუცადე და არ მოვიდა. საღამოს რომ დავუკავშირდი, მობილიზმა და მეორე დღეს, იმავე ადგილას დამიბარა. ისევ არ მოვიდა. გავლიზიანდი, დარეკვას და მის კარგად გამოლანძღვას ვაპირებდი, მაგრამ ისე მოისაწყლა თავი და ისეთი ხმით მობილიზმა, რომ ვეღარ შევჯორე... ისევ იმ ადგილას დამიბარა. შინაგანი ხმა მეუბ-



ნებოდა, რომ არ მივსულიყავი, მაგრამ გავითურდი და მაინც მივედი... იმ ტიპის ნაცვლად, თავზე პოლიციელი დამადგა: თქვენი საბუთები მიჩვენეთო — ზრდილობიანად მომმართა. პასპორტი გაუწოდე. პოლიციელმა შეათვალიერა და მკითხა:

- აქ რას აკეთებთ?
- ველოდები...
- ვის?... - ვიფიქრე, ახლა ამას ხომ არ დაუწევებ „იკარუსებზე“ და ლილვებზე ლაპარაკს-მეთქი და მოვატყუე:
- ქალს...
- მერე რა ქალია ამისთანა, სამი დღე რომ ელოდები?... - მითხრა და — განყოფილებაში წამომყვითო, მითხრა...

უცხოეთში პოლიციელებთან კონტაქტი კი მქონია, მაგრამ ასეთ საეჭვო მდგომარეობაში არასოდეს ვყოფილვარ. განყოფილებაში საფუძვლიანად გამოკითხეს. ყველაფერზე ვუპასუხე, სრული სიმართლე ვუთხარი, მაგრამ სატრანზიტო ვიზის დარღვევისთვის ჯარიმა მაინც გადამხდევინეს. უნგრეთში სატრანზიტო ვიზით 72 საათის განმავლობაში შევიძლია ისარგებლო, მე კი ხუთი დღე დავრჩი. მართალია, ჯარიმა გადამხდევინეს, მაგრამ არ ვიცი, სიმართლა დავიმსახურე რამით თუ სხვა რამეში იყო საქმე, — ერთკვირიანი ვიზა გამიფორმეს

და ისიც მიმასწავლეს, სად უნდა შემიძინა მუხლა ლილვი...

საბუშას ეს ამბავი რომ მოუყევი, გულიანად იცინა და დააყოლა:

- აბა რა გეგონა, პოლიცია ჩვენ გვიცავს!..

მეორე დღეს თვითონ წამომყვა „იკარუსის“ ავტობუსების ქარხანაში, რომელიც ბუდაპეშტიდან 150 კილომეტრით არის დაშორებული. პოლიციის განყოფილებაში მიღებული ამომწურავი ინფორმაციის წყალობით, ქარხნის საფირმო მალაზიაში, საკმაოდ კარგ ფასში ორი მუხლა ლილვი შევიძინე... კარგ გუნებაზე ვიყავი... მაგრამ უეცრად პრობლემა გამიჩნდა: მუხლა ლილვი ჩემს „ფოლკსვაგენში“ არ ეტეოდა. რა მელონა, არ ვიცოდი. ბევრი ვიჭყელიტე ტვინი... ბოლოს, უკანა სავარძლები ამოვიღე და რის ვაი-ვაგლანით ლილვები სალონში ჩავტყე. ამოვისუნთქე, მაგრამ ახალი პრობლემა გამიჩნდა: მანქანაში საბუშას ადგილი აღარ დარჩა... საბუშას გულითვის ლილვებს ვერ ამოვიღებდი, ამიტომ ბოდიში მოვუხადე და ქალაქში მე მანქანით დავბრუნდი, სოლო ჩემი უნგრელი მეგობარი — ავტობუსით.

ასე თუ ისე, „სდელკა“ კარგად დამეწყო. რა ქართველი ვიქნებოდი, ეს რომ არ „დამესველებინა“?! საბუშა რესტორანში დავპატიჟე და დილაძე ვიქეიფეთ... მეორე დღეს კარგად გამოვიძინე, გულანაბალი ავიკარი და თბილისისკენ ავიღე გეზი...

1997 წელი



დასაწყისი იხ. „გზა“
№22-25

ნინოს გამოღებულ სარკმელში მაგიდა ჰქონდა მიდგმული და ზედ თეთრეულს აუთოებდა.
— თამარ! — სარკმლიდან შალვას თავი გამოჩნდა.

— რა იყო, შალვა? — გამოეხმაურა თამარი მეზობელი ოთახიდან.

— ქვევით, ვენახში ჩავალ, დავხედავ.

— წადი, თვალს წყალი დააღვინე, — შეუქო განზრახვა მაგიდასთან მისულმა თამარმა.

შალვა ეხოდან გავიდა და ჭიშკარი გაიხურა.

— ნინო, — მიუბრუნდა ოთახში დარჩენილ შვილს თამარი. — არ დამიძალო, რა სჭირს მამაშენს?

— რა უნდა სჭირდეს? ავად არის. რატომ მეკითხები? — გაიოცა ნინომ.

— იმიტომ გეკითხები, რამე რომ მოუვიდეს, რა გვეშველება?! მაგ კაცზე ვართ დამოკიდებულები, თორემ შენი ხელფასი პურის ფულადაც არ გვეყოფა.

— ამაზე რატომ ფიქრობ?

— ღმერთმა ნუ ქნას და, რამე რომ მოხდეს, წლისთავამდე ხომ არ გათხოვდები! მამ, მარტოკები უნდა ვეყარნეთ? ვინ იქნება ჩვენი მომხედავი?

— სჯობს, იმაზე ვიფიქროთ, ფეხზე როგორ დავაყენოთ.

— პირდაპირ გეტყვი და მომიხმინე, — თავისკენ შემოაბრუნა ქალიშვილი თამარმა. — ისე შენი მტერი დადგეს ფეხზე, როგორც მაგი დადგება. მეზვირიშვილები რომ არ გვეხმარებოდნენ, აქამდეც ვერ გაატანდა ეგ კაცი.

— მეზვირიშვილებმა გითხრეს, არაფერი ეშველებათ?

— ... რატომ, მეზვირიშვილებმა?!

— წამოწითლდა ტყუილზე გამოჭერილი ბავშვივით თამარი. — წამლებზე წავიკითხე...

შეშფოთებულმა ნინომ თავზე წაივლო ხელები და იქვე, ტახტზე ჩამოჯდა.

— არ მჯერა, ამის მერე, ხელის სათხოვნელად კიდევ ბედავენ მოსვლას?

— ნინო, გაიგე, მამაშენს უკურნებელი სენი სჭირს. სიცოცხლეში



ნიკო აშპარელი

ბედისწერა

გაახარე, შეილო, დაანახე შენი ბედნიერება, დაშვიდებული რომ წავიდე ამ ქვეყნიდან. დათოს შენ უყვარხარ და მისი მშობლებიც შენს და ჩვენს სასიკეთოდ აკეთებენ ყველაფერს.

— დედა! — ენერგიულად წამოღვა ნინო. — მე ახლა მივდივარ და მხოლოდ მაშინ დავბრუნდები, როცა მამაჩემს დავჭირდები.

— სად მიდიხარ? — შეკრთა თამარი.

— არ ვიცი, შეგატყობინებთ. ან მამიდასთან წავალ, ან უფრო შორს. წავალ, ვისესხებ, დავიჩოქებ, ვიმათხოვრებ, შევაგროვებ და მეზვირიშვილების დასაყვედრებლად არ გავხდი ჩვენს საქმეს.

— რას ამბობ, რას? — თავში ხელი შემოიკრა თამარმა. — ვინ რას მოგცემს?! ხალხი შიმშილით იხოცება! შე უბედურო, კარს მომდგარ ბედსა ჰკრავ ხელს? სად წახვალ? ისევ აქ დაბრუნდები, ცარიელ-ტარიელი.

— გარემო, ჩემი საქმისა მე ვიცი, პატარა გოგო აღარა ვარ და შენი თითის ქნევაზე აღარ ვივლი, — აღშფოთებულმა ნინომ ტანსაცმლის გამოცვლა დაიწყო.

— წადი, სადაც გინდა, იქ წადი. იმ ხალხს კიდევ, მე ვიცი, რასაც

ვეტყვი...
— რაც გინდა, ის უთხარი, დედა, მე დათოს არ გავყვები. მე დათო არ მიყვარს და ეს თვითონაც იცის.

— ელოდე, ვინც გიყვარს, იმას ელოდე, ის ცინეშა ჩაგდებული! — მიაძახა თამარმა კარში გასულ ნინოს.

ნინო უცებ გაშეშდა, მერე უცებ შემობრუნდა და გახევებული მზერით შეხედა დედას:

— ეგ საიდანაა იცი?

— უუჰ, ახალი ამბავი! მთელმა რაიონმა იცის. კომისარიატში მოსულა ცნობა. მთელი სოფელი ყაყანებს, შენ ვერაფერს ვერ ხედავ, თორე... ნინო ჩუმად შეტრიალდა, კარი გაიჯახუნა და წავიდა.

თამარი წამოხტა, კარი გააღო და ნინოს მიაძახა:

— ბოლო დღეები არ გაუშვარო კაცს, დღესვე მობრუნდი უკან!

ნინო რაიონის ავტოსადგურის ბაქანზე სოფელში მიმავალ ავტობუსს ელოდა. საღამო ჟამი იდგა, არც მგზავრები ჩანდნენ და აღარც ავტობუსები. ფიქრებში წასულ ნინოს ქეთისთან გამართული დიალოგი გაახსენდა...

— დიდი მადლობა, ქეთი. ნულარ დამელოდები, წავედი, — ეუბნებოდა ნინო მეგობარს და მადლიერი თვალებით უყურებდა.

— მაპატიე, მეტი ვერ შევძელი.

— ნუ ბოდიშობ, რაც შევაგროვე, იმის შესამედის იმედიც არ მქონდა... ცოტა ხანს მაინც გვეყოფა წამლებზე... მოგვიანებით გადავიხდი.

— არც იფიქრო! — გააწყვეტინა ქეთიმ. — ერთი-ორი დღე კიდევ მოგეცადა... შენც დაისვენებდი...

— რა დამასვენებს, ერთი კვირაა წამოსული ვარ სახლიდან...

ნინო ქეთის გამოემშვიდობა და ავტობუსში ავიდა.

— ნინო! ნინო! — ხმამაღლმა დახილმა გამოარკვია. თავდაპირველად ვერც კი გაიგო, საიდან ეძახდნენ.

მის გვერდით თეთრი „ვოლგა“ გაჩერდა, საიდანაც მოღიმარი ვახტანგი გადმოვიდა.

— გამარჯობათ, ნინო. შორიდანვე გიცანიო. ძალიან გამეხარდა თქვენი

ნახვა. საით? — მიაყარა ვახტანგმა.
— გაგიმარჯვოთ, ვახტანგ. სოფელში, სახლში მივდივარ და აი, ავტობუსს ველოდები.

— ამ დროს სადღაა ავტობუსი? მეზავრები აღარ არიან და საწვავი არა აქვთ. მოდი, მე წაგიყვან.

— იქით მიდიხარ? — სასხვათაშორისოდ იკითხა ნინომ და თავპატიფი აღარ გამოუდგია.

ვახტანგმა ნინოს მოზრდილი ხელჩანთა უკანა სავარძელზე მოათავსა და წინა კარი გამოუღო. თვითონ საჭეს მიუჯდა და სანამ დაქოქავდა, თანამგზავრს მოციმციმე თვალები შეანათა.

— შენი გულისთვის, ნინო ექიმო, ჯოჯოხეთში წავალ!

ნინოს პასუხი არ გაუცია, სოფლის გავერანებულ ვენახებსა და მოუხნავ, მოუვლელ ადგილებს აკვირდებოდა.

— გაუჭირდა ხალხს, — თავისთვის ჩაილაპარაკა.

— ასეთი დროა... — ვაჟის პასუხმა შეაერთო ნინო — არ ეგონა, მისი სიტყვები ვინმეს თუ ესმოდა.

— ახლა ცოტა მაგრად თუ არ დადექი, წასულია შენი საქმე, — განაგრძობდა საუბარს ვახტანგი. — მე მაინც დროზე გავიგე, რაც მოგველოდა. სახლ-კარი გაემართე, მანქანა ვიყიდე. მიწები მქონდა არენდით, შარშან-შარშანწინ კარგი მოსავალი იყო, მოგება ვნახე. წელს აღარც მაგაში ყრია რამე. თავი უნდა გავანებო. რუსეთში მეგობრები მეძახიან, შენ ოღონდ ჩამოდიო... „ცეხები“ აქვთ, კარგად ცხოვრობენ. ჩავალ, ერთი ათი ათას დოლარს გავიყვალ.

— შენ რა გიჭირს... — ამოიხრა ნინომ.

— ეჰ, ნინო, ნინო. არაფერი მიჭირს, მაგრამ ქალი ვეღარ ვნახე, შევეყვარებოდი, ცოლად გამომყოლოდა.

— რატომ? არ უნდა გავჭირვებოდა, — გაიკვირა ნინომ.

— რა ვიცი, — სიცილი აუტყდა ვახტანგს. — ვინც მომეწონა, ის ზედ არ მიყურებს, ვისაც მე მოვეწონე, ის მე არ მეხატება გულზე... მე რომ ცოლი მყავდეს, რუსეთში რა მინდა?! აქედან ფეხს არ მოვიცვლიდი. ვიცხოვრებდი და ვაცხოვრებდი, მეყვარებოდა ცოლი და ვიქნებოდით ტკბილად და თბილად.

— იქნება ეგვიც...

— როდისღა? 28 წლისა ვხდები!
— მამაკაცისთვის 28 წელი არაფერია, — დაამშვიდა ნინომ.

— ნინო, — თითქოს აღარაფერი ესმოდა ვახტანგს.

— რა?

— ჩემისთანა ბიჭს გაჰყვებოდი?

— რა გაქვს ჩემისთანას დასაწუნი? — გაეცინა ნინოს.

— სერიოზულად გეკითხები.

— სერიოზულად მე სხვა მიყვარს...

— ეგრეც ვიცოდი, — სიმწრით გაიცინა ვახტანგმა.

მალე სოფელშიც შევიდნენ. ნინოს სახლის წინ ორი მანქანა იყო გაჩერებული.

— ვაიმე, დედა, მამაჩემს ხომ არაფერი შეემთხვა? — შეშფოთდა ნინო, ხელის სწრაფი მოძრაობით მანქანის კარი გამოაღო და ეზოში შურდულივით შევარდა. კიბე აირბინა, სასტუმრო ოთახის კარი გააღო და დაფეთებულმა მიიხედა-მოიხედა. დაღლილი და დასუსტებული მამა სავარძელში იჯდა. ტახტზე რუსულანი და დათო, მაგიდასთან კი — დათოს მამა, გურამი და კიდევ, ნინოსთვის უცნობი ორი მამაკაცი იჯდა. თამარი მაგიდაზე ხილს ალაგებდა.

— აი, ნინოც მოვიდა! — შესძახა აღტაცებით თამარი. — გენაცვალოს დედა, შენს ლოდინში დაგვაწყდა თვალები.

— მამა, როგორ ხარ? — არავისთვის მიუქცევია ყურადღება ნინოს.

— რა მიჭირს, შეილო, — დაღლილი ხმით უპასუხა შალვამ და გაუღიმა, — არა მიშავს.

— გენაცვალოს დედა, სტუმრები ვერც შეამჩნიე, — მოიბოდიშა თამარი შვილის მაგივრად. — ახლავე გამოიცვლის ჩემი გოგო და მოვალთ.

თამარიმა ხელი მოჰკიდა ნინოს და მეორე ოთახში გაიყვანა.

— როგორ მოგვანატრე, შეილო, თავი, — მიეფერა აფორიაქებულ გოგოს.

— რა უნდათ? — არ უპასუხა მოფერებაზე ნინომ.

— არაფერი, შენი კარგად ყოფნა! — უპასუხა თამარი. — ბორჯომის საგზური მოუტანა გურამმა მამას. ძალიან ყურადღებიანი ხალხია. შენზე უფროსი — მამიდასთან გავეუფი-მეთქი

დასასვენებლად. მამიდაშენს რომ სინდისი ჰქონდეს, ახლა აქ არ უნდა იყოს, თავის ძმასთან?..

— მამიდაჩემმა ძროხა გაყიდა, აი ფული, — ნინომ ჩანთა გახსნა და ფული ამოიღო. — დედა, ახლა რომ მაგათმა ქორწილზე ხმა ამოიღონ, ყველას დავიფრენ, — მუქარით თქვა გოგომ.

თამარიმა კოპები შეკრა.

— ჭკუით იყავი და ნორმალურად მოიქეცი! ჩვენ უკვე ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. თვის ბოლოს ეგ საქმე უნდა მოვათავოთ.

— მაშ ასე, უჩემოდ გადაწყვიტეთ, არა?! — გამწარდა ნინო.

— წინ რა გვიდგას? — შეეცადა მდგომარეობის შერბილებას თამარი. — ჩვენ ჩვენი ვუთხარით. შენ კი, ჭკვიანად მოიქეცი. დედა ვარ და უნდა დამიჯერო.

თამარი, თუმცა ცდილობდა, დაყვავებით ელაპარაკა შეილთან, თავის გადაწყვეტილებაში ჯიუტი და შეუვალი იყო.

— მაშ ასე, ხომ? კარგი. ახლავე მოვალ! — ნიშნისმოგებით უპასუხა ნინომ და ოთახიდან გავიდა.

— ჭკვიანად, დედა გენაცვალოს! — თამარიმა ვერც შეილის შეჩერება მოასწრო, ვერც მისი მოქმედების აზრი გაიგო.

ვანო ქუჩაში უცდიდა ნინოს და წასვლას არ ჩქარობდა.

ნინომ ენერგოულად გამოაღო მანქანის კარი და გვერდით მიუჯდა.

— როგორ არის მამაშენი? — ჰკითხა ვანომ.

— კარგად, — მიუგო ნინომ და წამით დაფიქრდა. — ვანო, ჩემისთანა გოგოს ცოლად მოიყვანდი?

— რა სჭირს შენისთანა გოგოს ჩემი დასაწუნი? — მოულოდნელ კითხვაზე პასუხის გაცემა ხუმრობით სცადა ვანომ.

ნინოს ტუჩები აუთრთოლდა.

— მე სერიოზულად გეკითხები.

— სერიოზულად? შენისთანა ცოლზე მხოლოდ ოცნება თუ შემეძლო!

ყელში გაჩხერილი ნერწყვი ძლივს გადაყლაპა ვაჟმა.

ნინომ ვაჟი ხელკავით შემოიყვანა სტუმრებთან და კარებშივე წარუდგინა მათ:

— დედა, მამა, ბატონებო, დათო, რუსულან მასწავლებლო! აი, ეს არის ვახტანგი. ვახტანგ უნდილაშვილი.

ჩემი ქმარი!

ოთახში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

თამარს პირკატა ეცა. ვახო თავჩაღუნული იდგა და უხერხულად იმ-მუშნებოდა.

— რას ამბობ! გაგიჟდი?! — გონს მოეგო თამარი.

— ვახო, ეს დედაჩემია, ეს მამა. ესენი ჩვენი ახლობლები არიან. გულშემატკივრები, დედას და მამას მეგობრები, — დემონსტრაციულად წარუდგინა ნინომ ოთახში მყოფნი.

ვახომ თავი დაიქნია.

— შენ რა, ხელი მოაწერე? — იკითხა გაფითრებულმა თამარმა.

— არა, ჯერ არ მოგვიწერია, მაგრამ სხვა მხრივ ჩვენ უკვე ცოლქმარი ვართ. თვის ბოლოს ხელს მოვაწერთ, — მოკლედ მოჭრა ნინომ.

ყველაზე ადრე დათო გამოერკვა, ადგა და ნინოსთან მივიდა. გაღიმებას შეეცადა:

— გილოცავ! — თვალებში შეხედა ნინოს.

ნინომ მზერა ვერ გაუსწორა.

დათომ ხელი გაუწოდა ვახტანგს. ვახტანგმაც ჩამოართვა. დათომ მარცხენა მხარზე დაარტყა.

— ყოჩაღ, ბიჭო, ასე უნდა, აბა რა! კაციც შენა ყოფილხარ... ღმერთმა გაგიმარჯოს...

დათო დანარჩენებს მიუბრუნდა.

— მე უნდა წავიდე. ბოდიში... ველარ ღავრჩები. კარგად მენახეთ. მამა, არ მოდიხარ?

დათომ ნინოს და ვახოს შუაში გაუარა და ოთახიდან გავიდა.

— ჩვენი წავალთ. ხელს აღარ შეგიშლით, — მხრები აიჩეჩა რუსუდანმა და წასასვლელად მოემზადა. — ისედაც შეგაწუნეთ.

გურამმა ხელები გაშალა:

— აბა, კარგად იყავით, ღმერთმა კარგად გამყოფოთ...

ოთახში სავარძელში მოთენთილად მჯდარი შალვა და მის გვერდით მდგარი თამარი, კარებთან კი — უხერხულად გაშეშებული ვახო და ნინო დარჩნენ.

ნინომ მამასთან მიიბრინა და ფეხებთან, იატაკზე ჩამოუჯდა.

— მაპატიე, მამა. — ვედრებით სავსე თვალებით შეხედა.

შალვამ მძიმედ დაადო ხელი თავზე.

— ეჰ, შეილო... — მერე ვახოს შეხედა და თქვა: — რაც არის, არის,

ოღონდ, ყველაფერი წესისამებრ გააკეთოთ. მშობლები გყავს?

— მყავს, — უპასუხა ვახტანგმა.

— ჰოდა, ეგრე...

— რაც გინდათ, ის ქენით, თავში ქვა გიხლიათ! — წამოიძახა თამარმა. — ეგ ჩემი შვილი აღარ არის, მკვდარია ჩემთვის! — გაგულისებული გავიდა ოთახიდან და კარი გაიჯახუნა.

— თავი შეი-

კავე, დედაკაცო!

— გაჯავრება-

სცადა დასუს-

ტებულმა შა-



ლვამ, მერე ვახოს მიუბრუნდა: — ახლა წადი და მშობლები გამოგვიგზავნე: მოვილაპარაკოთ, დავთქვათ, რა და როგორ...

— როდისთვის მოვიდნენ?

— როცა გინდა. ნულარ გადადებთ.

— ხვალ რომ მოვიდეთ?

— ხვალ იყოს.

ვახო ერთხანს კიდევ შეეყოვნდა. უნდოდა, ნინიკოსთვის ორიოდე სიტყვა ეთქვა, მაგრამ გოგოს მისთვის არ ეცალა — მამის მუხლებზე ელო თავი და ტიროდა.

— კარგით, — ესლა თქვა და წავიდა.

ახალი დაღამებული იყო, ვახო რომ მანქანით მოადგა სახლს. შინ მარტო ნინო დახვდა. ქალი მაგიდასთან იჯდა და ავადმყოფობის ისტორიებს წერდა. ქმრის შემოსვლისას თავი ასწია. ვახტანგმა გაუღიმა, მთვრალი იყო.

— როგორ არის ჩემი ნინო?

— არა მიშავს, — უპასუხა ქალმა.

— ჩვენები სად არიან?

— სტუმრად წავიდნენ.

— შენ კი ყველამ მიგატოვა, არა?

— საქმე მქონდა, ვერ გავეყვი. ვახო ნინიკოსთან მივიდა და თავზე ხელი გადაუსვა.

— მოიწყინე?

ნინომ ოდნავი მოძრაობით გასწია თავი და ვახოს ხელი მოიშორა.

— არა, არ მომიწყინია.

— მაპატიე,

ცოტა დავთ-

ვერი. ნეტა

წამეყვანე.

ამის შემ-

დეგ წავიყვან ხოლმე, — დაიხარა და კოცნა დაუპირა.

ნინომ ტუჩები მოარიდა.

— ნინო!

— ჰო, — მორჩილად უპასუხა ქალმა.

— ადრე აბა, აბა ადრე, ტახტზე ჩამოვჯდეთ. რაღაც უნდა გკითხო.

ვახომ თითქმის ძალით ააყენა ქალი და ტახტზე გადასვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— აბა, მითხარი, — გამომწვევად შეხედა თვალებში ქალს.

— რა? — გაიოცა ნინომ.

— რა ხდება? როგორ თუ რა? — გაღიზიანებულმა ჰკითხა.

ნინომ თავი ჩაღუნა და მხრები აიჩეჩა. ვახომ ნიკაპზე მოჰკიდა ხელი და თავი აუწია.

— რა ხდება-მეთქი?

ნინომ თავის გაწვევა სცადა, მაგრამ ქმარმა არ დაანება:

— გეკითხები და მიპასუხე — ხარ თუ არა ჩემი ცოლი?

— ვახო...

— რა ვახო, რა ვახო? ვერ გაიგე, რა გკითხე?! — ამღვრეული თვა-

ლებით შეაჩერდა ვახტანგი.

– ვახო, მთვრალი ხარ.

– შენთვის რა მნიშვნელობა აქვს მაგას?... მთვრალი ვარ თუ რაცა ვარ... ხარ თუ არა მთვრალი ვახოს ცოლი? – არ მოეშვა ვახტანგი.

ნინომ არაფერი უპასუხა.

– იცი, რა გითხრა? – გაცხარდა ვახო. – მე კაცი ვარ და კაცი მქვია. მინდა ვიცოდე, მყავს თუ არა ცოლი! ერთი თვეა აქა ხარ. ცალკე გიძინავს. ჩემი ცოლი ჩემთან უნდა იწვეს. თუ არა და – ჩემი ცოლი არ უნდა ერქვას!

ნინომ თვალზე ხელი აიფარა.

– როდემდე იქნები ცუდად, მიპასუხე? – ცხარობდა ვაჟი. – ან როდის მოხვალ ხასიათზე? ცოტა დაგითმე? ცოტა მოვითმინე? – მერე ერთბაშად იფეთქა და მიახალა:

– იქნებ შენი თავის იმედი არ გაქვს?

ნინო ერთბაშად შეკრთა:

– რას ამბობ?

– რაც გაიგე! – უკმუნად უპასუხა ქმარმა. – იქნებ არცა ხარ ქალიშვილი? პირდაპირ მითხარი და მერე მე ვიცი, რასაც ვიზამ...

– რამ გაფიქრებინა?! – აკანკალდა ნინო.

– იცი რა? ნურაფერს მიმაღავ, სანამ მე თვითონ მივხვდებოდე. ან ხარ ჩემი ცოლი, ან არა და, „ახვიე“ აქედან! დღესვე ჩაგიყვან მამაშენთან.

– ღმერთო ჩემო, გეფიცები... – ცრემლი მოაწვა ნინოს.

– რად მინდა შენი ფიცი?! – დაურიალა ვახომ. – მე ხომ არ გამოგკიდებივარ, ძალას ხომ არ გატანდი – გამომყევ-მეთქი! შენ თვითონ არ... შენ თვითონ არ... მე არავის არ ვათქმევინებ, შეეტენაო...

– გაჩუმდი, გევედრები! – კანკალვდა და ჩურჩულებდა ნინო.

– მე გავჩუმდე? – მკლავში ხელი ჩაავლო და შეაჯანჯლარა კაცმა. – მე გავჩუმდე? ჩემი ცოლი ხარ, შენ ჩემი ცოლი ხარ, გაიგე?

ნინოს ცრემლები ღაპაღუპით მოსდიოდა.

– მესმის, ნუ მიყვირი, გემუდარები!

– ხარ? – უფრო მძლავრად შეაჯანჯლარა კაცმა აქვითინებული ქალი.

ნინო შიშმა აიტანა. მთვრალი

კაცის ამღვრეულ თვალეში დაუფარავი მუქარა გამოსჭვიოდა, ქალი ტიროდა და თავს უქნევდა.

უცებ ვახო წამოდგა და ქალიც წამოაყენა. ნელა-ნელა დამშვიდდა. ხელები წელზე და კისერზე შემოჭვია. კისერი და ყელი დაუკონა პერანგის ღილები გაუსხნა და მკერდზე მიეაღერსა. შემდეგ პერანგი სულ გაუსხნა.

ტახტზე დააწვინა. სულმოუთქმენლად შემოახია საცვალი, გააშიშვლა ქალი და დაეუფლა...

ნინოს ცრემლი ახრჩობდა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო, ბოლოს და ბოლოს, ნინოს რომ არ უყვარდა, ეს ხომ მისი ბრალი არ იყო...

მერე ვახო ერთბაშად მოითენთა, უფრო ზრდილობისთვის აკოცა ცოლს და გვერდით გადაწვა. მკერდზე ხელი დაადო და ასევე ჩაეძინა.

მთელი ღამე ქვითინში გაატარა ნინომ.

სოფლის დათოვლილ გზაზე ავტობუსი გაჩერდა, საიდანაც სამხედრო ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა. ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო. დახედა. მიიხედ-მოიხედა და გზაჯვარედინს გაუყვა.

გაჩერებაზე მდგარმა ახალგაზრდებმა ინტერესით გააყოლეს თვალი.

– ვინ არის, ბიჭო? – იკითხა ერთმა.

– რა ვიცი, სამხედროა.

– ნეტა ვისთან მიდის?

– რუსი ჩანს.

იგორმა ერთხანს ისე იარა, არაფერი უკითხავს. მერე ისევ ამოიღო ქაღალდი და დააცქერდა. გზად ქალი შეხვდა. ვედროთი წყალი მოჰქონდა.

– ბოდიში, – მიმართა იგორმა რუსულად.

ქალი შეჩერდა და ღიმილით ჩახედა თვალეში.

– ჰო?

– ხომ ამ ქუჩაზე ცხოვრობს ნინო? ნინო მინდიაშვილი? – შეეკითხა იგორი.

– ნინო? ნინო ექიმი? – გაიმეორა ქალმა. – ჰო, მაგრამ ახლა სახლში არ იქნება, – უპასუხა ქალმა „დამტვრეული“ რუსულით.

– სად იქნება? მისი ნახვა მინდა.

– არა, ახლა აქ არ ცხოვრობს, – გაჭირვებით აუხსნა ქალმა. – ხშირად არის ხოლმე აქ, მაგრამ ახლა არ არის.

იგორმა ვერაფერი გაიგო და ისევ შეეკითხა:

– ახლა სად იქნება?

– ახლა თავის სახლში იქნება. ქმრის სახლში, სხვა სოფელში, – უპასუხა ქალმა.

– ქმრის სახლში? – გაიოცა იგორმა. – ქმარი ჰყავს?

– ჰო, მაშ! დედამისი იქნება სახლში. – ქალი დასაძახებლად მეზობლის სახლისკენ მიბრუნდა.

– მე ნინოზე გეკითხებით, ნინო მინდიაშვილზე, – დააზუსტა დაბნეულმა იგორმა. – ნინიკოზე.

– ჰო, ჩვენი ნინიკო, ახალგაზრდა ქალი. 26-27 წლისა იქნება, – კვერი დაუკრა ქალმა.

– ჰო – დაეთანხმა იგორი.

– მამა რომ მოუკვდა.

– მამა მოუკვდა? – შეცბა იგორი.

– ჰო, გასულ ზაფხულს.

– ნინო მინდიაშვილი. ნინიკო... – ისევ აზუსტებდა იგორი. ის ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, რომ ქალიც იმავე ნინიკოს გულისხმობდა.

– ჰო! – საბოლოოდ დაარწმუნა ქალმა იგორი.

– სად არის ახლავ, რა ბრძანეთ?

– მეზობელ სოფელში, გათხოვდა და აქ აღარ ცხოვრობს.

იგორმა კეფა მოიქექა.

– დიდი ხანია, რაც გათხოვდა?

– ერთ წელზე მეტიც არის.

– კარგი, რას იზამ, გმადლობთ, – იგორმა კეფა კიდევ ერთხელ მოიფხანა.

– დედამისი სახლში იქნება... თამარა დეიდა! – შეუძახა ქალმა მეზობელს.

– არა, არ გინდათ, – გააჩერა იგორმა. – მოგვიანებით ვინახულებ.

ქალმა, – როგორც გენებოთო, უპასუხა, დაკვირვებით შეათვალიერა ოფიცერი და თავისი გზა განაგრძო.

იგორმა ფურცელს დახედა და გიგია პაპას სახლისკენ გასწია.

გაგრძელება იქნება

მონიკა ბელუჩი

პროფესიონალი პაპიანი



ადიარებული რეჟისორის მიერ შექმნილ ამერიკულ ბლოკბასტერში გადაღება ბევრი ევროპელი მსახიობის ოცნებაა. თუ ამას ისიც დაემატება, რომ პარტნიორი ცნობილი ვარსკვლავი აღმოჩნდება, მაშინ ფილმმა ნანატრი წარმატებაც შეიძლება მოიპოვოს. მონიკა ბელუჩიმ ეს ეტაპი ჯერ კიდევ კინოკარიერის დაწყებამდე გაიარა.

1992 წელს გამოგნებული სილამაზის იტალიელი ფოტომოდელი ფრენსის ფორდ კოპოლას „დრაკულაში“ ეპიზოდურ, მაგრამ დასამახსოვრებელ როლში მოგვევლინა. მან ვამპირი ქალი განასახიერა, რომელიც კიანუ რივზის პერსონაჟს აჯადოებს.



„მე პირველად მოვხვდი გადასაღებ მოედანზე – იხსენებს ბელუჩი – ეს ძალიან საინტერესო იყო. კიანუს რცხვენოდა და წითლდებოდა, როცა მე და კიდევ ორი გოგონა კამერის წინ ვეაღერებოდით. ამ გადაღებებმა დამარწმუნა, რომ კინოვარსკვლავები ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები არიან, როგორებიც ჩვენ“.

ეს აღმოჩენა მას მოგვიანებით გამოადგა, როცა დაბერებულმა იტალიელმა მანქანის დინო რიზიმ მონიკას ფოტოსურათი ნახა და ნამდვილი კინოკარიერის შექმნაზე ფიქრი ურჩია.

„დინომ შემომთავაზა, სინჯებში მიმეღო მონაწილეობა, – ჰყვებოდა შემდგომ ბელუჩი. – როცა ჩემი თავი ეკრანზე პირველად ვიხილე, სადემონსტრაციო დარბაზიდან გაქცევა მომინდა – ისეთი მოუქნელი და შებოჭილი ვიყავი! მიჩვეული ვარ პოზირების დროს გაუნძრევლად დგომას, კამერის მოძრაობას კი დროულად ვერ მივყვებოდი. კინოობიექტივის წინ თავს უფრო შიშვლად ვგრძობდი, ვიდრე ფოტოსურათებზე“.

მაგრამ მონიკას აზრადაც არ მოსვლია კინოკარიერაზე უარის თქმა. პირიქითაც კი მოხდა – რაც უფრო მეტი სირთულე აღიმართა მის წინ, მით უფრო მეტი ინტერესით ეკიდებოდა საქმეს. მონიკა ბელუჩი ბავშვობიდან მიეჩვია დასახული მიზნის მიღწევას.

მომავალი კინოვარსკვლავი იტალიის ცენტრში – პატარა ქალაქ პერუჯოში გაიზარდა. „ჩვენს კვარტალში ყველა ერთმანეთს იცნობდა – იხსენებს მონიკა. – როცა გავიზარდე, ვამჩნევდი, რომ მუდმივად მიცქერდნენ: მამაკაცები – სხვანაირი თვალით, ქალები კი – სულ სხვაგვარად“.

ბავშვობაში მონიკას მოჭარბებულად ჰქონდა განვითარებული სამართლიანობის გრძნობა. ის ოურისტობაზე ოცნებობდა და სკოლის დამთავრების შემდეგ, ოურიდიულ ფაკულტეტზე ჩასაბარებლად რომში გაემგზავრა. მშობლების დახმარებაზე გოგონამ კატეგორიული უარი განაცხადა. „18 წლამდე დამოუკიდებლობაზე ვოცნებობდი, 18 წლის ასაკში კი მივიღე კიდევ“.

ბელუჩი თვლიდა, რომ სწავლასა და მუშაობას ერთმანეთს შეუთავსებდა, ამიტომ დედაქალაქში ჩასულმა პირველ რიგში, სამოდელიო სააგენტოს მიაკითხა. ულამაზესმა პროვინციელმა გოგონამ თამამად განაცხადა, რომ არაფერი იცოდა, მაგრამ მზად იყო ესწავლა. ის მიიღეს. მონიკამ მაკიაჟის ხელოვნების, ვარცხნილობის, განსაკუთრებული, სასცენო სიარულის – დეფილეს შესწავლა დაიწყო... უნივერსიტეტში სწავლის საკითხი თავისთავად მოიხსნა.

გავიდა სამი წელი. ბელუჩი მსოფლიოს საუკეთესო ფოტოგრაფებთან მუშაობდა, პოლიუმზე კი ცნობილი იტალიელი მოდელიერების ტანსაცმლით გამოდიოდა. მას მოსწონდა მატერიალური დამოუკიდებლობა, მოგზაურობის შესაძლებლობა, ხიბლავდა მოდის სამყარო. რომ არა კოპოლას შემთხვევითი შეთავაზება, მონიკა მსახიობი არასოდეს განდებოდა.

კოპოლასა და რივზის გაცნობის შემდეგ მონიკამ, სამსახიობო ხელოვნების კურსებზე დაიწყო სიარული, სულ მალე კი მწარე აღმოჩენის წინაშე დადგა: იტალიაში მსახიობებს საქმე არ ჰქონდათ.

„იტალიური კინო დღეს პრაქტიკულად არ არსებობს, – განაცხადა მან 2001 წლის დასაწყისში, როცა ბერლინის კინოფესტი-

ვალზე თავისი იტალიური ფილმი „მალენა“ წარადგინა, — ამას მე სიმწრითა და სიბრაზით ვაღიარებ, რადგან ადრე ჩვენ უდიდესი კინემატოგრაფი გვკონდა. დღესაც ძალიან ბევრი ნიჭიერი ხალხი გვყავს. მაგრამ საქმე ეკონომიკასა და პოლიტიკაშია. ახალგაზრდა მსახიობებს იტალიაში მომავალი არ აქვთ“.

როგორც კი ეს მწარე რეალობა გაითავისა, ბელუჩიმ მაშინვე ინგლისური და ფრანგული ენების შესწავლა დაიწყო. ნახევრად სამოყვარულო იტალიურ ფილმებში მონაწილეობდა და თან კინოსინჯვებზე პარიზში ჩასვლასაც ახერხებდა. 1996 წელს მას გაუმართლა: მიიღო როლი ფრანგულ ფილმში „ბინა“. მართალია, ეს ფილმი მის კინოკარიერაში მოვლენა ვერ გახდა, სამაგიეროდ, მას პირად ცხოვრებაში გაუმართლა — ფილმის გადაღებებზე ფრანგი მსახიობი ვენსან კასელი გაიცნო.


ცნობილი მსახიობის ჟან-პიერ კასელის ვაჟს, ვენსანს ყველა კინოწვეულებასა და შეკრებაზე ჰქონდა შესვლის უფლება. ის უგულებელყოფდა ოფიციალურ კინოს, სწავლობდა საცირკო სასწავლებელში, გატაცებული იყო ბალეტით, დროდადრო გადაღებებში მონაწილეობდა — ისიც, იმ შემთხვევაში, თუ პროექტს სკანდალის სუნი ასდიოდა. როცა მას ფილმში „ბინა“ რომანტიკული როლი შესთავაზეს, თავიდან უარის თქმას აპირებდა, მაგრამ როგორც კი მომავალი პარტნიორი — მონიკა ბელუჩი იხილა, მიხვდა, რომ მისი გაცნობის უკეთესი შანსი აღარ მიეცემოდა.

სულ მალე ბელუჩი პარიზის მე-19 ოლქში მდებარე მის „ბუნაგო“ გადასახლდა. ერთ წელიწადში ვაჟის ხელში მძაფრი ბოევიკის — „დობერმანი“ სცენარი იხილა და მაშინვე ყრუ-მუნჯი განგსტერი ბომაქალის როლის შესრულების სურვილით აინთო.

რეჟისორი ჟან კუნენი შოკში ჩავარდა, როცა ბელუჩიმ საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა: „მონიკა, შენ ანგელოზის სახე გაქვს — როგორ შეძლებ ბანდიტისა და მკვლელის როლის შესრულებას?“ მაგრამ სინჯების ჩატარებაზე მანც დაეთანხმა.

სამ დღეში ბელუჩიმ ყრუ-მუნჯების შესრულება ათთვისა — იმ სცენისთვის, რომელშიც სინჯები უნდა გაეკლო. გადაღების წინ შავი ტყავის პიჯაკი ჩაიცვა, სახე ქუჩის ქალივით შეიღებდა და მთელი დღე არ უჭამია, რათა მძიერ და გაავებულ ადამიანად ეგრძნო თავი. როგორც კი კუნენმა ასეთი მონიკა იხილა, როლის შემსრულებლის ბედიც მაშინვე გადაწყდა. „დობერმანი“ 1997 წლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სკანდალური ფილმი გახდა. მონიკა ბელუჩი და ვენსან კასელი კი თავისდა უნებურად, ახალგაზრდების ახალი კერაპეი გახდნენ.

მას შემდეგ ისინი დაქორწინდნენ და ერთად ითამაშეს ფილმში „მგლის საძმო“. მართალია, სიუჟეტის მიხედვით, ბელუჩის



სასიყვარულო სცენა აქვს არა საკუთარ ქმართან, არამედ მის პარტნიორთან — სემუელ ლე ბიანთან, მაგრამ ქალი ირწმუნება, რომ ვენსანს ამის გამო ძალიან არ უნერვიულია.

„ჩვენ ხომ გამოცდილი მსახიობები ვართ! სემუელმა მითხრა: „მთავარია, ტექსტი არ დაგაუწყველს!“ ვენსანი კი კამერის უკან დადგა და გადაღების წინ განაცხადა: „მე თქვენი სუფლიორი ვიქნები!“ ორი წლის წინ ბელუჩი ცდილობდა, მიეღო როლი ამერიკულ თრილერში „ეჭვმიტანილი“ და სინჯების გასაველეად ლოს-ანჯელესში საკუთარი ხარჯითაც კი გაემგზავრა. რა თქმა უნდა, როლი მონიკას ერგო.

საცხოვრებლად იგი პარიზს ამჯობინებს, მუდამ ცდილობს, ისაუბროს ფრანგულად, რათა პრაქტიკის წყალობით, უკეთ დაუფლოს ენას.

ცოტა ხნის წინ ბელუჩის ჰკითხეს — ხომ არ თვლის, რომ სილამაზე მის კარიერას ხელს უშლის? — მან კი უპასუხა: „სილამაზე ხელის შემშლელი მაშინ შეიძლება გახდეს, თუ ადამიანს მხოლოდ მისი იმედი აქვს. სილამაზე — ფარდობითი ცნებაა. ეს არის ახალგაზრდობა, სიჯანსაღე, ჯანმრთელობა და ქალმა სილამაზე არასოდეს არ უნდა აღიქვას ხელის შემშლელ ფაქტორად, რაღაც მიზნის მიღწევის გზაზე“.

გლობალისებრი საავტომობილო ამერიკის ახალი სახე

შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში 17,4 მლნ ახალი მსუბუქი ავტომანქანა გაყიდეს და კიდევ 6,4 მლნ გამოუშვეს. ერთი შეხედვით, შეშფოთების საბაზი ნაკლებად თუ მოიძებნება, მაგრამ ანალიტიკოსები სინარჯის უფლებას არავენ აძლევენ: მათი პროგნოზების თანახმად, უკვე მიმდინარე სეზონში რეალიზაცია 2 მლნ მანქანით შემცირდება, 2004 წლისთვის კი მოთხოვნა 20%-ით დაიკლებს. ეს კი ძალიან გაართულებს მდგომარეობას, რადგან გამოთქმა – „ის, რაც კარგია GENERAL MOTORS-ისთვის, მთელ ამერიკას წაადგება“, ლიტონი სიტყვები არ არის – თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საავტომობილო წარმოებაში დასაქმებული თითოეული კაცი მომიჯნავე დარგის 14 ადამიანს უზრუნველყოფს სამუშაოთი. ამიტომაც, ამერიკელები წინასწარ ემზადებიან „ძნელბედობისთვის“, რათა დანაკარგები მინიმუმამდე დაიყვანონ და კარგადაც გამოსდით ეს საქმე.

სამიოდე წლის წინ ე.წ. დიდმა სამეულმა და ჩრდილოეთ ამერიკაზე ორიენტირებულმა ექსპორტიორებმა თადარიგადად მიჰყვეს ხელი, ასე ვთქვათ, გარდამავალი პერიოდის კონცეფციების დემონსტრირებას. უკვე იმ დროისთვის ნათელი გახდა, რომ ავტოწარმოების ამერიკული სკოლა დიდხანს „ინარშებოდა საკუთარ წვენიში“ და ახალი, მაცოცხლებელი იდეების საჭიროებას განიცდიდა. ახალმა კონცეფციებმა მისი განვითარების პერსპექტიულ მიმართულებებს დაუღო სათავე.

თუმცა, გარდამავალი პერიოდი მოკლე ხანში დასრულდა. ახლა სულ სხვაგვარი სიტუაციაა. და ეჭვი არ არის, რომ 2002 საოდელლო წელს, რომელიც სექტემბერში დაიწყება, ბაზარზე ბევრი საინტერესო სიახლე გაჩნდება.

საუკუნეთა მიჯნაზე საერთო სტრატეგიის ძირითად მი-

მართულებად აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი საავტომობილო მოდელები – უმთავრესად, „ყველგანმავლები“ იქცა. ე.წ. SUV კლასის (SPORT UTILITY VEHICLE, რომლის რამდენიმე სახეობის შესახებაც „გზის“ ა.წ. №21-ში ვწერდით) მთავარ სიახლედ JEEP LIBERTY ითვლება, რომელიც CHEROKEE-ის შეცვლის (თუმცა, ევროპაში თავდაპირველად, მაინც ძველი სახელით შემოვა). ეს არის სრულიად ახალი ავტომობილი, რომელსაც ერთიანი ძარა, წინა დამოუკიდებელი საკიდარი და 154-დან 210 ცხ. ძალამდე სიმძლავრის ძრავა ექნება და 26.000 დოლარამდე ელირება. 200 ათასიანი ტირაჟი იმის გარანტიას იძლევა, რომ მანქანა ევროპაშიც მალე გამოჩნდება.

„ჯენერალ მოტორსის“ წამყვანი მოდელია ოთხადგილიანი 345 ცხ. ძალიანი პიკაპი CADILLAC ESCALADE EXT, რომელსაც საშინაო ბაზრისთვის აწარმოებენ, თუმცა ის იმდენად ეფექტურად გამოიყურება, რომ შესაძლოა, საზღვარგარეთაც გაიყიდოს ცალობით. აი, პლასტმასის გარე პანელებით დამშვენებული, კომპაქტური მინი-ვენის მსგავსი „ყველგანმავალი“ SATURN VUE, ამერიკელთა ვარაუდით, ევროპაში ნაკლები მოთხოვნილებით ისარგებლებს, რადგან ამ კლასის ავტომობილები იქ საკმარისზე მეტია.

„ფორდს“ წლეულს დიდად არ უაქტიურია. საუცხოო MERCURY MOUNTAINEER-ი მაინც, EXPLORER-ის „გაკეთილშობილებული“ ვარიანტი უფროა. თვით „ექსპლორერი“ კი, რომლის სამკარიანი ვარიანტი ცოტა ხნის წინ დამზადდა, ბევრად არ განსხვავდება წინამორბედისგან.

სამაგიეროდ, იაპონელები „სრულამძრავიან“ პროგრამაზე მუშაობენ. ACURA MDX-ი აშშ-ში „წლის ჯიპად“ არის დასახელებული, მას BMW XS-მაც ვერ გაუწია კონკურენ-



DODGE VIPER RT-10



CHRYSLER PT CRUISER



ACURA MDX



JEEP CHEROKEE



MERCURY MOUNTAINEER



CADILLAC



FORD THUNDERBIRD



CHRYSLER SEBRING CONVERTIBLE



INFINITI Q45

ცია. მართალია, ეს მოდელი მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ უკვე მზად არის იმავი სახელის და ტექნიკურად მისი იდენტური (V6, 3,5 ლ, 243 ცხ. ძ-იანი) HONDA, რომელიც უთუოდ დაიკავებს ღირსეულ ადგილს ევროპაში მოძრავ რესპექტაბელურ კლასებს შორის.

უპირველესად ამერიკული და იაპონური ბაზრებისთვის არის განკუთვნილი სოლიდური ISUZU AXIOM-ი, რომელსაც 3,5 ლ, 233 ცხ. ძალიანი V6 ექნება. შთამბეჭდავი ცხვირის მქონე, თითქმის 5 მ სიგრძის ეს ავტომობილი მხოლოდ გარეგნობით როდი გამოირჩევა. საინტერესო ის არის, რომ ISUZU „ჯენერალ მოტორსს“ ეკუთვნოდა (სწორედ აქედან მომდინარეობს ბოლო ამერიკული კონცეფციების სტილში გაფორმებული ცხვირი), ჩვენში კარგად ცნობილი OPEL FRONTERA კი, იგივე ISUZU RODEO გახლავთ.

ოკეანისგალმური კრიტიკიუმებით, SUV-ის კატეგორიას მინი-ვენებიც განეკუთვნება. ტექნიკური თვალსაზრისით, ეს მთლად გამართლებული არ არის, მაგრამ იდეოლოგიურად სავსებით მართებულია – განსაკუთრებით, კომპაქტურ მოდელებთან მიმართებაში. თავისი ეკლექტურობით დიდად გახმაურებული CHRYSLER PT-ი, რომელიც ოკეანის ორივე მხარეს დიდი მოთხოვნით სარგებლობს, აშშ-ში „წლის ავტომობილად“ არის დასახელებული. აი, მის მეორე „თანაკლასელთან“ დაკავშირებით, ამერიკელები ნამდვილად შეცდნენ: PONTIAC AZTEC-ის დაგეგმილი წლიური 75 ათასიდან მხოლოდ 11 ათასი გაიყიდა!


მსუბუქ ავტომანქანებს შორის ნაკლები სიახლეა, მაგრამ თითოეული მათგანი იმით არის საინტერესო, რომ პრაქტიკულად მთლიანად თავსებადია, როგორც ამერიკული, ისე ევროპული ბაზრის მოთხოვნებთან. ერთადერთი სამწუხარო გამონაკლისია INFINITI Q45, რომელსაც 4,5 ლ, 340 ცხ.ძ. V8 ძრავა აქვს. ეს შესანიშნავი სედანი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება S კლასს, მხოლოდ აშშ-სა და საამიროებისთვის არის განკუთვნილი. სამაგიეროდ LEXUS IS300 SPORT CROSS-მა, რომელიც 215 ძალიანი ძრავით არის აღჭურვილი, უკვე აღნიშნა თავისი ევროპული დებიუტი.

ამერიკულ ავტომობილებს შორის განსაკუთრებულ ინ-

ტერესს იწვევს CHRYSLER SEBRING-ი, რომლის ოფიციალური მიწოდება ევროპაში უკვე დაიწყო. ის არაფრით ჩამოუვარდება ბიზნეს-კლასის ევროპულ სედანებს, კაბრიოლეტი კი გაცილებით ეფექტურია: ოთხადგილიან ღია მანქანებს მომხმარებელს მხოლოდ BMW და MERCEDES-BENZ-ი სთავაზობდნენ, „კრაისლერი“ კი მათ მხოლოდ იმიჯით ჩამოუვარდება – მაშინ, როდესაც ისინი ნახევარ ფასად ყიდიან თავიანთ ავტომობილს.

აღსანიშნავია VIPER RT-10, რომელიც პრაქტიკულად არაფრით ჩამოუვარდება „ფერარისა“ თუ „პორშეს“: V10, 8,3 ლ, 506 ცხ. ძ., 4,5 წამი 100 კმ/სთ-მდე „დიდი ტურიზმისთვის“ საჭირო კომფორტი და ფასი – სულ რაღაც 60.000 დოლარი, რაც წარმოდგენელია „ფერარისთვის“.

დაბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო მოდელი: 50-იანი წლების სტილში გაკეთებული ორადგილიანი FORD THUNDERBIRD-ი, რომელიც V8 ტიპის 256 ცხ. ძალიანი ძრავით არის აღჭურვილი. დეტროიტში ამ მოდელმა სენსაცია მოახდინა: ჩვეულებრივ ინერტული ამერიკელი ჟურნალისტები ერთმანეთს არ აცლიდნენ ამ მანქანის სტენდთან მისვლას. ამდენად, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ევროპელებს დიღხანს მოუწევთ ამ სიახლის ლოდინი: ამერიკაში ამ მოდელს ერთწლიანი რიგი აქვს გარანტირებული.



1950 წლის 29 მაისს იაკობ ნიკოლაძეს მეგობრები ეწვივნენ. ხელოვანი იუბილარი იყო. ამ დღეს მას 75 წელი შეუსრულდა. უკიდურესად მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ის სასადილო ოთახში მწოლიარე იღებდა სტუმრებს და თვალცრემლიანი ესაუბრებოდა მათ. დიდი ნაღველი და ტკივილი იგრძნობოდა მოქანდაკის ყოველ ფრაზაში. მან კარგად იცოდა, რომ სიკვდილი ახლოს იყო, ძალიან ახლოს...

სიცოცხლის მოცხვიაღეს განუყრელ მეგობრად სიკვდილი ახლა...

უკანასკნელად ეს უთხრა თავის მეგობრებს: „ყველაზე დიდი სილამაზე და სინარული სიცოცხლე ყოფილა, ალბათ მეც ამიტომ დავეძებდი მას უსიცოცხლო თინასა და ქვის ცივ ლოდებში. მათ ვაცოცხლებდი და ახლა მე თვითონ ვკარგავ სიცოცხლეს... ყველანი, ყველანი ლამაზები ხართ, ვინც ცოცხლობთ, მეტად ლამაზები...“

ეს სიტყვები თქვა ადამიანმა, რომლის სიცოცხლე დაღდასმული იყო უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანების დაკარგვით. მის ოჯახს ბენდიერს ვერ დაარქმევდით. დედამისი – ნატალია, ცამეტი შვილისაგან თორმეტის სიკვდილს მოესწრო... მამა – ივანე ადრე გარდაიცვალა... პატარა იაკობს კარგად დამახსოვრებია მამის სიკვდილი. დიდი დარბაზი მოფენილი იყო ხალიჩებით, დაბალ ტახტზე, ბალიშებში იჯდა თმაგაშლილი, შავებში ჩაცმული დედა და ხმამაღლა ტიროდა. მეორე ოთახში კი, რომელშიც პატარა იაკობს არ უშვებდნენ, რაღაც ხდებოდა. ბავშვს მიუბრუნებია კართან და ჭუჭყურტანაში რომ შეუხედავს, დაუნახავს: მის პირდაპირ სკამზე ზის თვალდახუჭული კაცი, რომელსაც სურათს უღებენ. ფოტოგრაფია მაშინ ის-ის იყო შემოდიოდა და ივანე ნიკოლაძეს სიცოცხლეში ვერ მოესწრო სურათის გადაღება. ამიტომ ნათესავებს გადაუწყვეტიათ, მკვდარი აღებეჭდათ „სამახსოვრო ფოტოზე“.

1886 წელს იაშა (ასე ეძახდნენ იაკობს) გიმნაზიის პირველ კლასში ჩაირიცხა. დაიწყო მისი წამება. ბავშვს ძალიან უჭირდა რუსული ენის შესწავლა. პირველ მეოთხედში ასეთი ნიშნები დაუწერეს: საღვთო სჯული – 2, სუფთა წერა



იაკობ ნიკოლაძე პარიზში

– 1. პატარას უფროსი და ეხმარებოდა სწავლაში, ოღონდ იაშას პირველი მასწავლებელიც იყო და მოსიყვარულე, ალერსიანი დაიკოც... ოღონდ გიმნაზია დაამთავრა და გამოსაშვებ მეჯლისზე მთელი საღამო იცეკვა, თურმე. შემდეგ გახურებული სუფთა ჰაერზე გავიდა, გაცივდა. ჯერ ფილტვების ანთება დაემართა, მერე ჭლექი. ოღონდ ამ დაავადებას ემსხვერპლა. იაკობი თითქოს ხელახლა დაობდა. ყურადღება მოაკლდა, სწავლა ისევ უჭირდა, ამიტომ გიმნაზიიდან გამოიყვანეს და ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში გააგრძელებინეს სწავლა.

ერთხელ ბათუმში მასთან სანახავად ჩასულა უფროსი ძმა – ილიკო, რომელიც სორონის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს... ბათუმის სანაპიროზე სეირნობ-

და. იქვე ისვენებდა მოსამართლეც. ილიკოს მიუახლოვდა პოლიციელი და უთხრა: ბატონო, მოსამართლე გიბრძანებთ, წახვიდეთ აქედან, აქ სეირნობა არ შეიძლება, აქ ქალების პლაჟიაო. ილიკო გაჯავრებულა: მოასწენე შენს ბატონ მოსამართლეს, რომ მას შეუძლია ბრძანება გასცეს თავის საგარძელში და არა აქო! ილიკო მაშინვე დააპატიმრეს. რამდენიმე დღის შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. საკნის კარი რომ გააღეს, ილიკო ოთხზე იდგა, ბლაოდა და ყფოდა. ასე დაავადდა შავი მელანქოლიით, ბოლოს კი თავი რიონში დაიხრჩო... ესეც სიცოცხლეზე შეყვარებული იაკობ ნიკოლაძის კიდევ ერთი მძაფრი ტკივილი იყო სიკვდილთან დაკავშირებული.

მართალია, სწავლა უჭირდა, მაგრამ საოცრად ხელმარჯვე იყო. ერთხელ მღვდელი კლასში მსოფლიო წარღვნაზე მოუთხრობდა. იაშა უნდობლად უსმენდა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჰკითხა: თუ მართლა იყო მსოფლიო წარღვნა, როგორღა მოხვდნენ ადამიანები ამერიკაშიო? ეკ, იაშა, – უთხრა მღვდელმა სინანულით, – ხელები შენთვის ღმერთს ოქროსი მოუცია, შუბლი კი – სპილენძისაო.

ნიჭიერი იაკობი ოდესის ფერწერისა და ქანდაკების სასწავლებელში შევიდა. აქ ქანდაკებას მას წარმოშობით გარიბალდელი ლუიჯი იორინი ასწავლიდა. მალე დიდი ხნის ოცნების ზორცმესხმა დაიწყო. ოდესის სკოლაში მოწაფეობისას წარმოადგინა შოთა რუსთველის 30-35 სმ სიმაღლის ესკიზი. იაკობის ხელოვნებას დიდად გულშემატკივრობდა ქუთაისელი ვანო მამაჯანოვი. მის მალაზიაში ნიკოლაძემ მოწაფეობის დროინდელი ნამუშევრები გამოფინა. მათ შორის შოთა რუსთველის ესკიზიც... ნიკოლაძე იხსენებდა: მოვინახულე ჩემი მეგობარი თავის მალაზიაში და შევაძმინე, ჩემი ესკიზი აღარ იყო ვიტრინაზე. როცა ვკითხე, რა იქნა ესკიზი-თქო, გაიყიდაო, მითხრა. მეწყინა. ამ ესკიზის გაყიდვა არ მინდოდა. მამაჯანოვმა დამამშვიდა: ესკიზი შეიძინა ფლორენციაში მცხოვრებმა ვინმე ზუბალაშვილმაო. მეორე დღეს იაკობი და ზუბალაშვილი ერთმანეთს შეხვდნენ. ფლორენციელ ქართველს უთქვამს: მეტად მოხარული ვარ, რომ საქართველოში მოქანდაკე გამოჩნდაო.

1899-1900 წლებში იაკობ ნიკოლაძე პარიზშია. იქ შექმნა მან 20 სმ სიმაღლის ხევისურის ბიუსტი და როცა მუშაობა დაამთავრა, კარზე ზარის ხმა გაისმა. მოქანდაკეს მხატვარი ალექსანდრე მრეველიშვილი ესტუმრა. მორიდებულმა ახ-

აღგაზრდამ ხელი დაავლო ხევსურის ბიუსტს, თიხის ყუთში ჩაგდება მოუნდომა. სამა ხელში სწავდა: რას სჩადი! მაჩვენე ერთი... შენ თუ არ გინდა, მე მაჩუქეო. ნიკოლაძემ სიამოვნებით აჩუქა. ეს ბიუსტი მრევლიშვილმა საქართველოში ჩამოიტანა. ყველა აღფრთოვანდა. მაშინ კი მოუნდა ავტორს, ხევსურის ასლი მაინც ჰქონოდა. მრევლიშვილმა უარი უთხრა ბიუსტის თხოვებაზე: გამიფუჭებ, დამიმტკვრევო... მხოლოდ მხატვრის სიკვდილის შემდეგ დაუბრუნეს იაკობ ნიკოლაძეს ეს ნამუშევარი, რომელსაც სიყვარულით „ბუმერანგი“ შეარქვა ავტორმა.

იაკობ ნიკოლაძე დიდ მოქანდაკესთან, როდენთანაც მუშაობდა. სხვათა შორის, როდენი ძალიან ჭირვეული იყო მოწაფეების შერჩევაში. ბევრს იწუნებდა, იაკობ ნიკოლაძის ნამუშევარი კი მას ძალიან მოსწონებია. ქართველი ხელოვანი — როგორც ქანდაკების საიდუმლოს ასწავს, ისე იხსენებდა როდენის ერთ მითითებას. დიდოსტატმა იაკობს მწერალ დორეველის ბიუსტის გაკეთება დაავალა და უთხრა: გააკეთე ისე, როგორც არის, ოღონდ, ვითომ შენ უფრო ხმამაღლა მღერო...

როდენთან გატარებული წელიწადი წიგნში „ერთი წელი როდენთან“ აღწერა. თურმე ამ წიგნის გამოცემა საოცრად გაუჭიანურეს. როცა იაკობ ნიკოლაძეს ეკითხებოდნენ: როდის გამოვა წიგნიო, ხუმრობით პასუხობდა: ჩქარა გამოვა, ოღონდ შეცვლილი სათაურით — „ერთი წელი როდენთან და სამი წელი გამომცემლობაში“...

ახლა მოქანდაკის პირველ სიყვარულზე, ლილიზე ვიამბობთ... ის ფრანგი იყო და ქართველ საქმროს ჟაკს ეძახდა... თავდავიწყებით უყვარდა იაკობს, თითქმის ერთი თვე აქანდაკებდა მარმარილოში. ყველაფერი ქორწინებით უნდა დამთავრებულიყო... მაგრამ იაკობმა ვერ აპატია ლილის ის, რომ მაშინ შეუსწრო ოთახში, როცა გოგონა და მისი მამინაცვალი კონიაკს სვამდნენ! ალბათ ლოგიკური კითხვა დაიბადება: მხოლოდ ამისთვის როგორ დაშორდნენო... რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, ასეა. როგორც ჩანს, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილმა იაკობ ნიკოლაძემ კონიაკის მსმელი ქალის რეპუტაცია შებღალულად ჩათვალა...

პარიზზე საბოლოოდ აიცრუა გული. „აღვირახსნილი“ ქალაქი, ამბობდა. როდენის თანამემწე — იაკობს დიდი სიმდიდრე, უზრუნველი ცხოვრება ელოდა, ის კი ყველაფრის მიტოვებას, თბი-

ლისში დაბრუნებას აპირებდა: „თქვენ ბევრს ჰკარგავთ, კარგად მოიფიქრეთ, მუსიე ჟაკ... თქვენ ახლა ხდებით ცნობილი მხატვარი“, უთხრეს ნიკოლაძეს. მაგრამ მას ვერაფერი დააკავებდა, ისეთი ძლიერი იყო საშობლოს ძახილი...

საქართველოში დაბრუნდა. ოჯახი შექმნა. მუშაობდა და თითქოს ბედნიერიც იყო.

და ისევ უიღბლობა, ისევ სიკვდილი... 1922 წელს ერთადერთი ვაჟი — ირაკლი გარდაეცვალა, ორი წლის შემდეგ მეუღლეც მოუკვდა... დიდხანს ინახავდა გულმოკლული მამა ირაკლის ხელით დახატულ შპალერის ნაჭრებს, რომლებიც კედლებიდან შვილის სახსოვრად ამოეჭრა...

იმ სიცოცხლის სიყვარულმა, რომელზეც წერილის დასაწყისში ვსაუბრობდით, იაკობ ნიკოლაძეს კიდევ ერთი ცდის ძალა მისცა. მან მეორედ იქორწინა და ტყუილ გოგონები შეეძინა: ნესტანი და ასმათი... 1926 წელს ერთი, ხოლო 1928 წელს მეორე გოგონაც გამოეცალა ხელიდან. კანკალით აულია სასოწარკვეთილ მამას ნიღბები გარდაცვლილი შვილების სახეებიდან. ამ ნიღბებს თავის სახელოსნოში ინახავდა, როგორც ძვირფას რელიკვიას.

ღიახ, სიკვდილი თითქოს განუყრელ მეგზურად ექცა... 1937 წელმა მეგობრები — ტიცინი და პაოლო წაართვა. მისი შთაბეჭდილებების „ოქროს წიგნს“ კი შემორჩა მათი ლექსები, იაკობისადმი მიძღვნილი.

იაკობ ნიკოლაძის პირველი მონუმენტური ნაწარმოები იყო ილიას საფლავის ქანდაკება. 1913 წლის 5 მაისს შედგა ძეგლის გახსნა (კურთხევა). ძეგლს ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. გამოჩნდა აკაკი. მან ათრთოლებული ხელით ჩამოხსნა ფარდა. ხალხის თვალწინ აღიმართა ბრინჯაოდქეული ქართველთა გლოვა. აკაკიმ ამ მონუმენტს „გვირგვინი მწუსარებისა“ უწოდა.

მის მიერ შექმნილი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ჩახრუხადის ქანდაკებები ჩვენს კულტურის სიმბოლოდ იქცა.

სამხატვრო აკადემიის ემონი




იაკობ ნიკოლაძე სახელოსნოში

მისი ნამუშევრები ინახება მოსკოვში, რომში, პარიზში, ბერლინში, მელბურნში.

ნამდვილად ტრავიკული ბედი ჰქონდა, მაგრამ მისმა ძლიერმა ნებისყოფამ, პიროვნულმა ღირსებამ ბოლომდე სიცოცხლის მოტრფიალედ დატოვა. მაშინაც კი, როცა სიკვდილის აჩრდილი თავად მას აედევნა, შეეძლო ეხუმრა... და ხუმრობდა კიდევ... წოლა არ უყვარდა. როცა ექიმები ეუბნებოდნენ: აუცილებლად უნდა დაწვიო, პასუხობდა: „ჰო, ყველა წევს — მიქელ-ანჯელოც, ლონატელიც, ლეონარდო და ვინჩი — დარჩა ერთი ნიკოლაძე და იმასაც აწვენენ“.

სიცოცხლის მოტრფიალემ ქვაში აჟღერებული უკვდავი ჰიმნი დატოვა ისევ და ისევ სიცოცხლისათვის...



თუ გასუქება გინდათ



თამარ მამასაშვილი

ჭარბწონიანებთან შედარებით მეტისმეტად გამხდარი ადამიანების რაოდენობა მცირეა, მაგრამ ასეთი პრობლემაც არსებობს.

წონის ნაკლებობა ნაწილობრივ, მემკვიდრეობით შეიძლება იყოს განპირობებული, მაგრამ რაციონალური კვების ფაქტორიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ასეთ დროს ადამიანის ორგანიზმი მიღებული ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების რაოდენობის

გაზრდას საჭიროებს. რაც შეეხება ვიტამინებსა და მინერალურ ელემენტებს, ორგანიზმი უზრუნველყოფილიც რომ იყოს მათი საკმარისი რაოდენობით, „ცილოვან-კალორიული“ უკმარისობის პირობებში, მაინც შეიძლება განვითარდეს ნივთიერებათა ცვლის დარღვევა. მისი აღდგენისათვის, პირველ რიგში აუცილებელია, გავზარდოთ მოხმარებული ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების რაოდენობა, მარტივად რომ ვთქვათ, – უფრო მეტი უნდა ვჭამოთ.

თუ წონაში მომატება გინდათ, გაითვალისწინეთ რამდენიმე რჩევა:

- ყოველი ჭამის შემდეგ, როდესაც უკვე დანაყრებული ხართ, სანამ სუფრიდან ადგებით, შეეცადეთ, კიდევ ერთი-ორი ლუქა მიირთვათ. ამ პროცედურას სისტემატურად მიმართეთ;

- დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის გაფორმებული კერძები, როგორ

არის გაწყობილი სუფრა. ლამაზად გაფორმებული კერძის დანახვა ხშირად ახალდანიყრებულ ადამიანსაც ალუძრავს მადას;

- შეეცადეთ, რომ თქვენი კვების რაციონი რაც შეიძლება მრავალფეროვანი იყოს;

- საქმის კეთებისას ნუ შეჭამთ ერთ-ორ ლუქას – შეიძლება, მალე გაიფუჭოთ. ისაღიღეთ მშვიდად და აუჩქარებლად, გაწყობილ სუფრასთან;

- ხილუელობიდან უპირატესობა მიანიჭეთ ლეღვს, ყურძენს, მსხალს, ხურმას.

ჩვენი წინაპრები გასასუქებლად შემდეგ ხერხს მიმართავდნენ: ათი დღის განმავლობაში, ყოველ დღით უზმოზე, თითო ცერცვის მარცვალს ყლავებდნენ.

თუკი ჩვენი რჩევებისა და თქვენი მონდომების მიუხედავად, წონაში მაინც არ იმატებთ, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს, რადგან წონის ასეთი არაუხებრივი ნაკლებობა შესაძლოა, რაიმე სერიოზული, ფარული დაავადებით იყოს გამოწვეული. ■

C ჰეპატიტი

მსოფლიოში C ჰეპატიტი დაავადებული 200 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის 4 მილიონი – აშშ-ში. რუსეთში ბოლო წლებში ავადობის დონემ მკვეთრად იმატა. 1994 წლის მონაცემებით, 100000 კაცზე ინფიცირების 3 შემთხვევა მოდიოდა, ხოლო 1999 წელს – 19. საქართველოში ანალოგიური მონაცემები არ მოგვეპოვება, მაგრამ C ჰეპატიტის შემთხვევა რომ საკმაოდ გაზვიადდა, ეს უდავოა.



კეთდება, C ჰეპატიტისგან დამცველი ვაქცინა ვერაფერობით არ არსებობს, თუმცა მუშაობა მის შესაქმნელად მიმდინარეობს. სამაგიეროდ, ბოლო დროს შემუშავდა მკურნალობის ახალი, უფრო ქმეითი სქემა – კრძიდ, ანტივირუსული პრეპარატების – ინტერფერონის და რიბავირინის ქმეითი კომბინაცია. ქრონიკული C ჰეპატიტის დროს მკურნალობის კურსი 6-12 თვე გრძელდება. ■

C ჰეპატიტი სრულიად ახალი დაავადებაა. მისი ვირუსი 1989 წელს აღმოაჩინეს. ძალიან ხშირად იგი უსიმპტომოდ მიმდინარეობს. მხოლოდ პაციენტთა ნაწილს აღენიშნება ტემპერატურის მომატება, ლებინება, ტკივილი მუცელში, სიყვითლე. ამასთან C ჰეპატიტი საკმაოდ აგრესიულია – შემთხვევათა 60-75%-ში ქრონიკულ ფორმაში გადადის და ავადმყოფთა 25-50%-ს 15-20 წლის შემდეგ უვითარდება ღვიძლის ციროზი ან კიბო. ზოგჯერ ციროზი უფრო სწრაფად – 8-10 წელიწადში ვითარდება. დაავადება შეიძლება აღინიშნოს სხვა ორგანოთა დაზიანებით, კერძოდ: თირკმლების, ფილტვების, სახსრების, სისხლის სისტემის და სხვა.

C ჰეპატიტის გადადება არასტერილური საინექციო ნემსით შეიძლება, ამიტომ იგი ხშირია ნარკომანებში. C ჰეპატიტის შემთხვევა ხშირდება ნარკომანიის ზრდასთან ერთად და, რაც ყველაზე მეტად საწყენია, დაავადებულთა შორის ძალიან ბევრი ახალგაზრდაა. ვირუსი გადადის აგრეთვე სქესობრივი გზით და დედიდან შვილზე, მუცლადყოფნის პერიოდში. დასნებოვნება ხდება ავადმყოფის სამართებლის, მაკრატლის გამოყენებით, სისხლის გადასხმით (თუმცა ამჟამად ყველა დონორის სისხლი მოწმდება C ვირუსზე). ახალგაზრდებში მოდარ ქვეული ტატუირება და პირსინგიც არანაკლებ საშიშია ამ თვალსაზრისით.

A და B ჰეპატიტისგან განსხვავებით, რომლის წინააღმდეგ, აცრები

ჰეპატიტის სახე	გადაცემის გზები	ბრძოლის მეთოდები	თავისებურებები
A	ფეკალურ-ორალური (დაბინძურებული წყლით, ჭუჭყიანი ხელებით)	ვაქცინაცია	ქრონიკულში არ გადადის
B	სისხლის გზით და სხვა სეკრეტებით. სქესობრივი გზით, დედიდან შვილზე, ორსულობისას.	ვაქცინაცია. მკურნალობა – ანტივირუსული თერაპია	ქრონიკულში გადადის 10-15%-ში, 35-40% - ში ვითარდება ციროზი, იშვიათად, კიბო
C	სისხლის გზით, ნაკლებად – სქესობრივი კონტაქტის გზით და დედიდან შვილზე	ვაქცინა არ არის. მკურნალობა – ანტივირუსული თერაპია	ქრონიკულში გადადის 65-75%-ში, 20-30% - ს უვითარდება ციროზი, ხშირია კიბო

აქიჩის რჩევები მძღოლებს

ავტომანქანის მძღოლთა ფსიქოლოგიური მდგრადობის პრობლემა სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს. დღეს, ისედაც დაძაბულ ყოველდღიურობაში, მძღოლებს კიდევ უფრო მეტად მოთხოვრებათ ფსიქიკის მობილიზება, რათა თავიდან ავიცილოთ მათ მიერ დაშვებული შეცდომების მოსალოდნელი შედეგები. გაითვალისწინეთ ჩვენნი რჩევები და გარკვეულწილად მინც, შეამცირებთ უსამოვნებათა ალბათობას:

1. ნუ გახვალთ დილით შინიდან მშვიდი – ერთი ფინჯანი ყავისა და ბუტერბროდის იმედოდ. მშვიდი კუჭის მქონე ადამიანი უფრო ხშირად ამჟღავნებს აგრესიას და ადვილად იღებს წინდაუხედავ გადაწყვეტილებებს. ნუ იტყვიით უარს სრულფასოვან საუზმეზე, მაგრამ, ამავე დროს, ნუ დაჯდებით საჭესთან, ნოყიერი სადილის მირთმევის უძალად.

2. ყელზე მსუბუქად მოჭერილმა საყელომაც კი შეიძლება მოგვევაროთ ძილის სურვილი (საძილე არტერიაზე ზეწოლის გამო). ამიტომ საჭესთან დაჯდომისას ნუ ჩაიცვამთ მოჭერილსაყელოვან პერანგს, აუცილებლად მოუშვით ჰალსტუხის კვანძი, ყურადღება მიაქციეთ, რომ ფეხსაცმელი და ტანსაცმელი მაქსიმალურად კომფორტული იყოს.

3. ჩვენში დღეს უკვე იშვიათია ხანგრძლივი სამანქანო „საცობი“, მაგრამ თუ მინც მოხვდით მსგავს სიტუაციაში, გაითვალისწინეთ, რომ დიდი გამონახობა გეზე-

ბით მოწამვლის საშიშროება. მისი სიმპტომებია: გულისრევა, თავბრუს ხვევა, ქოშინი, პირის სიმშრალე და გაძლიერებული ოფლიანობა. „საცობში“ მოხვედრისას, მანქანის ფანჯრები მთლიანად უნდა ჩაკეტოთ. შეწყვიტეთ სიგარეტის მოწევა. განსაკუთრებით საშიშია „საცობი“ მიწისქვეშა გვირაბებში, რომლებიც ცუდად ნიადაგს.

4. ხშირად გაანიავეთ და გაასუფთავეთ მანქანის სალონი. სარკეზე ჩამოკიდებული სხვადასხვა მოძრავი საგანი ფანტავს თქვენს ყურადღებას და უარყოფითად მოქმედებს პერიფერიულ მხედველობაზე, ამიტომ ჩამოსწიეთ ის.

5. სიფრთხილე გამოიჩინეთ წამლების მიმართ. თუ ექიმი ახალ პრეპარატს გინიშნავთ, გააფრთხილეთ, რომ თქვენ მანქანას მართავთ და დააზუსტეთ – შეიძლება თუ არა ეს პრეპარატები მძღოლისათვის. გახსოვდეთ, რომ დაუმუშებელი უშუალოდ საჭესთან დაჯდომის წინ ისეთი უვნებელი დამამშვიდებელი საშუალებებიც კი, როგორცაა კატაბალასა (ვალერიანი), კუნელი.


6. მრავალ პრეპარატს აქვს მძღოლებსათვის საშიში გვერდითი მოქმედება. მათ რიცხვს წნევის დამწვევი (ჰიპოტენზიური) საშუალებები განეკუთვნება; ასევე ანტიალერგიული (ანტიჰისტამინური) პრეპარატები – სუპრასტინი, დემედროლი, ტავეგოლი. ტრანკვილიზატორები, რომელიც ემოციურ



დაძაბულობას ამცირებს (ნოზეპამი, ტაზეპამი, სელექსინი) მიუღებელია მძღოლებისათვის, რადგან იწვევს თავბრუს ხვევას, მოთენთილობას, ყურადღების მოღუნებას, რეაქციის დაქვეითებას. ასეთივე ზემოქმედება აქვს საძილე პრეპარატებს, კერძოდ – ლუმინალს, ნოქსირონს. სულფანილამიდების (ბისეპტოლი, სტრატოციდი) მიღების შედეგად, შესაძლოა განვითარდეს მხედველობის სიმახვილის დაქვეითება და ფერთა აღქმის დარღვევა. უნდა გაითვალისწინოთ, რომ მრავალი პრეპარატის მოქმედების ხანგრძლივობა 24 საათზე მეტია, ხოლო გვერდითი მოვლენები, შესაძლოა, რამდენიმე დღის შემდეგაც გამოვლინდეს.

ნუ მიიღებთ თქვენთვის უცნობ პრეპარატს პირველად საჭესთან დაჯდომის წინ. ■

ნარბები



სახის გამოძეტყველება ბევრად არის დამოკიდებული წარბების ფორმასა და ფერზე, ამიტომ ქალები ცდილობენ, თავიანთი გემოვნების შესაბამისად შეცვალონ მათი ფორმა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ესთეტიკური დანიშნულების გარდა, წარბები მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ როლსაც ასრულებს – იცავს თვალს სხვადასხვაგვარი უსამოვნებისაგან.

წარბის ფორმა და ფერი დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდის, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს რაიმე შინაგანი დაავადებით, კანის დაავადებით, ასაკით ან სხვადასხვა გარემო ფაქტორის ზემოქმედებით. მაგალითად, ფარისებრი ჯირკვლის მოქმედების მოშლამ შეიძლება წარბების შეთხელება ან მთლიანად დაცვენა გამოიწვიოს.

წარბები, უფრო ხშირად, მამაკაცებს უთითრდებათ, ხოლო ქალებში ასაკობრივი ცვლილებები მის შეთხელებას იწვევს. წარბებზე უარყოფით ზეგავლენას ასდენს ხანგრძლივი მზის აბაზანები, თმის საღებავის ხშირი გამოყენება, ცუდი ხარისხის საღებავი, წარბის ფორმის ხშირი კორექტირება.

უნდა აღინიშნოს, რომ წარბის ფორმის მკვეთრი შეცვლა არ არის რეკომენდებული. ხშირად შეხვდებით ქალს, რომელსაც ბუნებრივი მსხვილი წარბები თითქმის განახევრებული აქვს – შეცვლილია

სახის გამოძეტყველება. ამ დროს სახე იღებს გოცებულ ან შემინებულ გამოძეტყველებას. ამიტომ სასურველია, მინიმუმამდე დავიყვანოთ სახის ნაკეთების კორექტირება და მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ბუნებრიობა – ეს ყოველთვის უფრო მომგებიანია.

არ არის რეკომენდებული წარბის შეღებვა თმის საღებავით. ამისათვის უმჯობესია, კოსმეტიკური ფანჯარი გამოვიყენოთ.

წარბების მოსავლელად ნებისმიერ ცხიმოს იყენებენ. კარგ ეფექტს იძლევა მკვებავი საცხი. თუ წარბებს დაკარგული აქვს ბზინვარება და გამოშშრალია, კარგია თბილი ზეთოვანი საფენების დადება. შეათბეთ ნებისმიერი მცენარეული ზეთი, გაუღინეთოთ ზეთით ბამბის ტამპონები, შემდეგ კარგად გაწურეთ და დაიფინეთ წარბებზე. ზემოდან თბილი პირსახოცი დაიფარეთ. 10-15 წუთის შემდეგ საფენები მოიხსენით.

ყოველ დილით, პირის დაბანის შემდეგ, წარბები უნდა დავიფარცხოთ სპეციალური პატარა ჯავრისით – ჯერ თმის ზრდის საწინააღმდეგო მიმართულებით, შემდეგ – ზემოთ და ბოლოს – თმის ზრდის მიმართულებით. მოვლილი წარბები ყოველთვის მშვენივრად გამოიყურება და სახეს სასიამოვნო ელფერს აძლევს.

P.S. ჩვენ ვცდილობთ, მკითხველისთვის რაც შეიძლება სასარგებლო და საინტერესო სამედიცინო თემებს შევუხებთ. მაგრამ არის რიგი საკითხებისა და კითხვებისა, რომელიც თქვენ განსაკუთრებით გაელევათ. მოგვწერეთ და ვცდებით, რაც შეიძლება ვერცხლად გიპასუხოთ. თქვენ ბარათები „ვიკის პალიტრის“ საფოსტო ყუთების მეშვეობით შეგიძლიათ გამოგივზავნოთ. ■

ამერიკაში ძალიან პოპულარულია ნიგნი — „ფრენკ სინატრა — მითი და ადამიანი“, რომელიც ლეგენდარული მომღერლის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ამ ნიგნში უამრავ სხვა საინტერესო ამბავთან ერთად, სინატრასა და მერილინ მონროს რომანიც არის აღწერილი. მათი ურთიერთობა იმ დროს დაწყებულა, როცა მერილინი ჯო დი მაჯოს დაშორდა. მონრო სიაში ჩავარდა, მას დასვენება და გართობა ესაჭიროებოდა. ამ მიზნით ქალმა სინატრას სტუმართმოყვარე სახლი აირჩია — ისინი კარგი მეგობრები იყვნენ. ერთ მშვენიერ დილას ფრენკი სამზარეულოში გავიდა და იქ სრულიად შიშველი მერილინი დახვდა. „ქალღმერთი“ მისთვის საუზმეს ამზადებდა. მონროს საუცხოო სხეულის დანახვამ სინატრას თავბრუ დაახვია...



სინატრა და მისი მეოთხე, უკანასკნელი მეუღლე ბარბარა მარქსი

დიადი და ცოდვილი ფრენკ სინატრა

მათი რომანი მგზნებარე და საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა, თუმცა კი რამდენიმეწლიანი პაუზებითაც ხასიათდებოდა. მერილინის ნერვოზულობა დროდადრო ღლიდა სინატრას. 1962 წელს მან მანც გადაწყვიტა ქალზე დაქორწინება. სინატრას წინადადებას მერილინმა ორაზროვანი პასუხი გასცა: „ნუ იღარდებ, მე აქ დიდხანს არ დავრჩები“. ნეტავ მაშინ მიმხვდარიყო ფრენკი, რას ნიშნავდა მერილინის სიტყვები! სინატრამ და მონრომ შესანიშნავი უქმეები გაატარეს ჩრდილოეთ კალიფორნიის მდიდრულ სასტუმროში. ერთი კვირის შემდეგ კი მერილინი დაიღუპა. „როგორ მწყდება გული, რომ მისი გადარჩენა ვერ მოვასწარი“ — ეს აზრი სინატრას დიდხანს არ აძლედა მოსვენებას.



გინში ჩადებული ცხენის მოჭრილი თავი რად ღირს?!..

უმადური

19 წლის ლამაზმანს დოლი გარანტეს 20 წლის მოკრივესთან მარტინ სინატრასთან ჰქონდა რომანი გაჩაღებული. ქალს არ აღეგებდა, რომ მისი რჩეული უწიგნური, სრულიად უპერსპექ-

ტივო სპორტსმენი იყო და ასთმაც აწუხებდა, სამაგიეროდ, ის სიცილიელი იყო. ამიტომ სულ მალე ის დოლის ბავშვის მამაც გახდა. მშობიარობა იმდენად მძიმედ წარიმართა, რომ ექიმებმა დოლის აუწყეს: „თქვენ ბავშვის გაჩენას ვეღარ შეძლებთ“. ახალშობილს ფრენკის ალბერტ სინატრა დაარქვეს.

მის ბავშვობას მძიმე ვერავინ უწოდებდა. დედა მთარგმნელად მუშაობდა, ზემეტ ფულს კი ექიმბაშობით შოულობდა (ყოველი „იატაკექემა“ აბორტისთვის გასამრჯელოდ 25-დან 50 დოლარამდე იღებდა). საყვარელი ვაჟიშვილისთვის ქალი კარგ სათამაშოებსა და ძვირფას ტანსაცმელს ყიდულობდა. ერთხელ კი მთელი ეზოს ბეისბოლის გუნდს კოსტიუმები აჩუქა. ფრენკი დედის სიკეთეს სრული უმადურობით პასუხობდა.

ბიჭს სწავლა არ უყვარდა, ხული-გნობდა და, ბოლოს და ბოლოს, მშობლიური ქალაქის — ჰობოკენის სკოლიდან გარიცხეს. დოლიმ ის პატარა გაზეთში კურიერად მოაწყო, თუმცა რამდენიმე კვირის შემდეგ სინატრა იქიდანაც გამოაპანლურეს. მაშინ ფრენკიმ, რომელიც ყველა იტალიელის მსგავსად, მთელი დღეები

მღეროდა, გადაწყვიტა, თავისი მუსიკალური მონაცემები საზოგადოებისთვის გაეცნო და ადგილობრივი ტრიოს მსახიობები დაითანხმა, რომ მათთან ერთად გამო-სულიყო. მას უბრალოდ სადმე მოწყობა სურდა, მაგრამ ტრიოსთვის ნამდვილი განძი აღმოჩნდა: ფრენკი ისე მღეროდა, რომ მალე ჯგუფმა დიდი წარმატებით მოაწყო ტურნე მთელ ამერიკაში. ახალ-გაზრდა სინატრას კი პირველი თაყვან-ისმცემლები გამოუჩნდა.

ამერიკული ოცნების განსახიერება

გასტროლებიდან შინ დაბრუნებულმა სინატრამ ჯერსი-სითიში მცხოვრები ნენსი ბარბატო გაიცნო. მორცხვი გოგონა დოლიმ თავისი სათაყვანებელი ვაჟიშვილისთვის იდეალურ საცოლედ ჩათვა-ლა და სულ მალე ახალგაზრდებმა ქორ-წილი გადაიხადეს. მოლოდინის მიუხე-დავად, ქორწინებამ სინატრას აფორიაქე-ბული ცხოვრება კალაპოტში ვერ მოაქ-ცია. ის თითქმის არასოდეს იყო შინ, არც ოჯახის მატერიალურ უზრუნველყ-ოვანზე ზრუნავდა.

ფრენკს ისევ გაუმართლა: ის შემდგომ-ში ლეგენდად ქცეულ ტომი ღორსის ორკესტრში მოხვდა. სწორედ ტომიმ დაიწყო აფიშებზე პირველ ნომრად სი-ნატრას სახელის ბეჭდვა. ამომავალ ვარ-სკვლავს იქ უკვე ნამდვილი შრომა დასჭირდა. ახალ კოლექტივში მუშაობა კი უშფოთველი არ აღმოჩნდა. ფრენკს ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი კოლექტთან. ერთხელ საქმე იქამდეც მივიდა, რომ დასარტყამ ინსტრუმენტებზე დამკვრელ ბადი რიჩის ფრენკმა თავზე მასიური შუშის გრაფინი დაამსხვრია, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, მეგობრები გამხდარიყვნენ მომავალში.

ტომი ღორსის კი სინატრამ 1940 წელს შეძენილი გოგონას მონათვლაც კი სთხოვა.

ბავშვის დაბადების შემდეგ სინატრა ჰოლივუდში გადავიდა. იქ მან თავის პირველ დიდ ფილმში მიიღო მონაწი-ლეობა და ქერათმიან ახალგაზრდა მსახ-იობს ელორა გუდინგს შეხვდა. „მის ნომერში ხომ არ გადავსულიყავი?!“ – გაიფიქრა ფრენკი. გაიფიქრა და აღას-რულა კიდევ. ლამაზმანმა გუდინგმა ამერიკის ქალების ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მამაკაცის „დათრევა“ შეძ-ლო. თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელე-ბულა. სამაგიეროდ, მათი ხანმოკლე რო-მანის შესახებ მთელი „ოცნებების ფაბ-

რიკა“ ჭორაობდა.

1941 წელს 26 წლის სინატრა წლის საუკეთესო მომღერლად აღიარეს. იმ დროისათვის ფრენკმა გადაწყვიტა, რომ დამოუკიდებელი ვოკალისტის კარიერის დაწყების დრო დაუდგა და ტომი ღორ-სის ორკესტრის მიტოვება განიზრახა. კომპანია „ემ-ჯი-ემი“ მომღერალს წე-ლიწადში 60 ათას დოლარს დაჰპირდა, ამასთან, წარმატებულმა პრესაგენტმა ჯორჯ ევანსმა სინატრას თავისი სამსახ-ური შესთავაზა. ევანსმა კარგად იცოდა საქმე, იმ დროისთვის მან უკვე მოუტანა წარმატება ისეთ ვარსკვლავებს, როგორე-ბიც იყვნენ დიუკ ელინგტონი და დინ მარტინი. მან ახალგაზრდა გოგონები იმისათვის დაიქირავა, რომ სახალხოდ გამოეხატათ აღტაცება, სკოლის მოსწავ-ლეებს კი უფასო ბილეთები დაურიგა. ხალხით სავსე დარბაზი და კონცერტის წარმატება სინატრას გარანტირებული ჰქონდა. მოკლე დროში ევანსმა მთელი ქვეყნის მასშტაბით მომღერლის 250 ფან-კლუბი დააარსა. თვით სინატრამ კი გადაწყვიტა, უარი არ ეთქვა მაფიის თავკა-ცებთან ურთიერთობაზე: ის ზომ იტალ-იელი იყო, მაფიოზები კი მისით უკვე ამყოზდნენ. საერთოდაც, ფრენკს ძალიან მოსწონდა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ კატეგორიის ხალხთან კავშირების გაბმა, თუნდაც ეს დამნაშავეთა სამყარო ყო-ფილიყო. ის მაფიოზთა ცხოვრების განუყ-ოფელ ნაწილად ქცეულ კრივის მატჩებ-საც ესწრებოდა და თანდათანობით ცნო-ბილ, სახელგანთქმულ, იდუმალ – ერთი სიტყვით, ნამდვილ მამაკაცად იქცა. იანკე-ბისთვის კი ახალი ვარსკვლავი ამერიკუ-ლი ოცნების ჭეშმარიტი განსახიერება გახდა.

ფინჯანი ჩაი პრეზიდენტთან ერთად

დადგა დრო, როცა ფრენკს მოკრძა-ლებული საცხოვრებელი კალიფორნია-ში მდებარე სახლზე უნდა გადაეცვალა. იქ ფრენკი ნენსისთან და ოჯახთან ერ-თად (ოჯახში მატება იყო – სინატრებს ვაჟი შეეძინათ, რომელსაც სახელოვანი მამის სახელი დაარქვეს) გადავიდა. 1944 წლის 28 სექტემბერს კი ის აშშ-ის პრეზიდენტმა რუზველტმა ფინჯან ჩაიზე მიიპატიჟა. მომღერლის ცხოვრებაში გან-საკუთრებული დღე დადგა. მაგრამ სი-ნატრა პრესამ ათვალწუნა. გაზეთებში წერდნენ, რომ მომღერალმა ორჯერ აარ-იდა თავი არმიამი სამსახურს. მაშინ ფრენკი მოქმედ ჯარში – იტალიაში



სინატრა და მისი მეორე მეუღლე ავა გარდნერი



სინატრა და მისი მესამე მეუღლე მია ფეროუ

ჯარისკაცების წინაშე სამღერად გაემგ-ზავრა და რომის პაპის აულიენციასაც ეღიარა.

1946 წელს სინატრამ სტუდია „ემ-ჯი-ემთან“ გააფორმა კონტრაქტი. მისი ფირფიტები ათმილიონიანი ტირაჟით ვრცელდებოდა, საგრიმიოროს კედელზე კი სტუდიის იმ ლამაზმანთა სია იყო გაკრული, რომლებმაც ფრენკის ყურა-დლება მიიპყრეს. ის ნამდვილი თავზეხ-ელალებული მამაკაცი იყო, რომელსაც საერთაშორისო მაფიის ყველა შეკრებასა და ყრილობაზე იწვევდნენ, მათი ყველაზე სახელოვანი წარმომადგენელი ბავსი ზიგე-ლი კი მომღერლის მეგობრად ითვლებო-და და ნაცნობთა შორის თვით ალ კაპონეს ნათესავი – ჯო ფიშტიცი კი იყო.

ცოლს ფრენკი იშვიათად ხედავდა, თუმცა მათ მეორე შვილი – კრისტინა შეეძინათ. მიუხედავად ამისა, სინატრა მეო-ჯახე კაცად ვერა და ვერ იქცა, პირიქი-



▲ ფრენკ სინატრა სამუდამოდ გამარჯვებულად დარჩა! პოლიველის ბულვარზე ფრენკ სინატრას ვარსკვლავის გახსნა

▲ სინატრა ამერიკული ოცნების სორცმესხმად იქცა

თაც კი მოხდა: 40-იანი წლების ბოლოს მომღერლის გული საბოლოოდ დაიპყრო არაჩვეულებრივმა ავა გარდნერმა.

ავა მაშინ პირველი რიგის ვარსკვლავად ითვლებოდა. ერთხელ ფრენკმა ქალი ღამის ნიუ-იორკის გასართობ ადგილებში გასასეირნებლად წაიყვანა. გზად თავზეხელაღებულია წყვილმა გართობის მიზნით ადგილობრივი მაღაზიის ვიტრინები ტყვიებით დაცხრილა. გასეირნება სავალალო შედეგით დასრულდა: სინატრამ ადამიანი გაიტანა და, რა თქმა უნდა, გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ციხისგან თავის დაღწევა მან მაინც შეძლო, დაზარალებული ადვილად გადარჩა — მან მხოლოდ სხეულის მცირე დაზიანებები მიიღო.

შშ-ში ავას სინატრასთან რომანის გაჩაღებამდე უკვე მოესწრო ორი ქმრის — მიკი რუნისა და არტი შოუს გამოცვლა და გარკვეულწილად, თავის ახალ თავყვანისმცემელს ხასიათით წააგავდა კიდევ. შეყვარებულებს შეეძლოთ, დაუსრულებლად ესეირნათ მანქანით ქალაქში, ან შინ მჯდარიყვნენ და ვისკის უზომო სმით გართულებოდნენ. სინატრას გატაცება სერიოზულ სიყვარულში გადაიზარდა და მან ნენსისთან გაყრა გადაწყვიტა, კანონიერმა მეუღლემ წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა ეს სულაც არ უშლიდა ხელს სინატრას,

საზოგადოებაში საყვარელთან ერთად გამოჩენილიყო. მაგრამ ამ დროს მას ძლიერი დარტყმა „ემ-ჯი-ემმა“ მიაყენა: სტუდიამ მსახიობთან კონტრაქტი გაწყვიტა, რამაც ფრენკი საკმაოდ რთულ დღეში ჩააგდო. ავას კი, რომელიც ხარების ბრძოლის მეზენბარე მოყვარული იყო, ახალი გატაცება — ახალგაზრდა ესპანელი ტორერო გამოუჩნდა. გარდა ამისა, მომღერალს ხმასთან დაკავშირებითაც გაუჩნდა პრობლემები. ამასობაში ნენსი საბოლოოდ დათანხმდა გაყრაზე, წყვილი 1951 წელს განქორწინდა, რასაც სინატრას და გარდნერის ნიშნობა მოჰყვა, მაგრამ სულ მალე მსახიობი დარწმუნდა, რომ დიდი სისულელე ჩაიდინა, ცოლი რომ მიატოვა. თავნება ავა ქმარს არ ემორჩილებოდა და მასზე ბევრად მეტ ფულსაც შოულობდა. სანამ ავას აფრიკაში, ფილმში — „კილიმანჯაროს თოვლიან მთას“ იღებდნენ, სინატრას ამ დროს შტატების რომელიღაც მეორეხარისხოვან სასაუზმეში დამპალებოსტენულს ესროდნენ.

მას თავის მოკვლაც უცდია

ერთობლივი ცხოვრების პირველი წლისთავი სინატრამ და გარდნერმა ნარობიში აღნიშნეს. ფრენკმა საყვარელ ცოლს ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი აჩუქა და არც კი უთხრა, რომ საჩუქარი ავას

საკრედიტო ბარათიდან მოხსნილი ფულით იყო შეძენილი. მალე ფრენკი ფილმში — „ამიერიდან და სამუდამოდ“ გადასაღებად მიიწვიეს. ამას გრანდიოზული წარმატება მოჰყვა — სინატრა ამ როლით „ოსკარზეც“ კი წარადგინეს. ამ დროს ხმაც დაუბრუნდა და კვლავ შეეძლო სიმღერა. სინატრამ ბალადების ჩაწერა დაიწყო. მის ირგვლივ თავყვანისმცემელთა ახალი კოჰორტა შეიკრიბა. ფრენკი ძველებურად უხეში, ქედმაღალი იყო და რეგულარულად ჰქონდა ურთიერთობა მაფიასთან. ეს ავას არ მოსწონდა. 1953 წელს მათ ქორწინებას ბოლო მოელო. გარდნერთან განშორება სინატრას სამყაროს დასასრულად მოეჩვენა და მან ვენები გადაიჭრა... მაგრამ გავიდა დრო, სულიერი ტკივილი მოუშუშდა და ფრენკმა მსახიობი ლორენ ბეკოლი გაიცნო, რომელმაც სინატრას მომხიბლაობას ვერ გაუძლო და რომანიც გაჩაღდა. მათ სულ უფრო ხშირად ხედავდნენ ერთად, ბოლოს და ბოლოს, ქალს შეუღლებაც შესთავაზა, თუმცა შემდეგ კარგად რომ დაფიქრდა... გადაიფიქრა. იმ დროისთვის მას უკვე გაფორმებული ჰქონდა საოცარი პირობების კონტრაქტი: სამი წლის მუშაობისთვის მომღერალს 3 მილიონ დოლარს უხდიდნენ.

ფრენკს ძალიან უყვარდა პოლიტიკოსები, მათ ირგვლივ ტრიალს ესწრაფოდა. ის კენედების ოჯახთან მეგობრობდა და ახალგაზრდა პრეზიდენტის — ჯონის ინაუგურაციისაღმდეგ მიძღვნილი საზეიმო კონცერტის ორგანიზებაც კი ითავა. აღნიშნულ შოუში ელა ფიტცჯერალდი, ბეტი დევისი და სხვა ვარსკვლავები მონაწილეობდნენ. თუმცა, ამის შემდგომ თეთრ სახლში მას აღარ იწვევდნენ. ამის მიზეზი ჟაკლინ კენედი გახდა: პირველმა ლედიმ იცოდა, რომ მისი ქმარი და მერილინ მონრო ერთმანეთს სინატრამ გააცნო. შეიძლება, თეთრ სახლში ფრენკს პრეზიდენტის მმა რობერტი არ აჭაჭანებდა, რადგან აშშ-ში დანაშაულთან სერიოზული ბრძოლის გაჩაღება ჰქონდა განზრახული.

მომღერალი ძალიან განაწყენდა, როცა გაიგო, რომ ჯონ კენედი მის სახლს აღარ ესტუმრებოდა — პრეზიდენტისთვის მას სპეციალური ფლიგელი ჰქონდა აგებული. სინატრამ ჯავრი ჯონ კენედის ახლო ნათესავზე — მსახიობ პიტერ ლოუფორდზე იყარა და საბრალო პიტერი ყველა იმ ფილმიდან იქნა განდევნილი, რომლებშიც იმ დროს სინატრა მონაწილეობდა. და მაინც, პრეზიდენტის მკვლელობამ ფრენკს თავზარი დასცა.

მალე კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს — ვაჟიშვილი მოსტაცეს. მიუხედავად იმისა, რომ რობერტ კენედიმ, რომელსაც მაშინ გენერალური პროკურორის პოსტი ეკავა, ძიებაში მაშინვე ყოვლისშემძლე ძიებათა ფედერალური ბიურო ჩართო, ფრენკმა გამოსასყიდი მაინც გადაიხადა და უმცროსი სინატრა გაათავისუფლეს. გამტაცებელთა ვინაობა დაადგინეს და მეორე დღით დააკავეს, ფული კი სინატრას დაუბრუნეს. ამ დროს სინატრა-ფროსის ცხოვრებაში ახალი გატაცება — 19 წლის ოქროსთმანი მიაფეროუ აკაიფდა. ორი კვირის განმავლობაში მია მსახიობის წინაშე შოკისმომგვრელი სამოსით ჩნდებოდა და თავისას მიღწია — ფრენკმა ის შეამჩნია და დესერტზე დააპატიჟა. მოკლე ხანში 50 წლის სინატრამ და ნორჩმა მამამ „ქალაქსა და მსოფლიოს“ თავისი სიყვარულის შესახებ ამცნეს. სინატრამ ფეროუს ბეჭედი 4 ივლისს — ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს მიართვა, მეორე დღით კი ჯვრისწერა შედგა. მოქილიკეები, რომლებმაც სასიძო ამოიღეს მიზანში, მალე დაისაჯნენ კიდევ. ფრენკმა ხალხი დაიქირავა და მათაც დავალება სანიშნოდ შეასრულეს: ახალი კავშირის მისამართით პრესაში გამოთქმული პრაქტიკულად ყველა გამოხდომის ავტორი, ან ტვინის შერყევით, ან მსუბუქი ნაჭრილობებით მაინც დაისაჯა. კომიკოსი ჯეკი მისონი კი, რომელმაც ახალდაქორწინებულები სახალხოდ გააქილიკა, თავში მოხვედრილი რკინის ბლაგვი საგნით მიყენებული ტრავმით საავადმყოფოში მოხვდა და კარგა ხნის მანძილზე მაყურებელთა წინაშე არ გამოჩენილა.

მაგრამ ეს ქორწინება დიდხანს მართლაც არ გაგრძელდებულა. მის არჩევანი კარიერასა და ოჯახს შორის უნდა გაეკეთებინა. ფრენკს არ სურდა, რომ მის ფილმებში მიეღო მონაწილეობა, მათ შორის რამდენიმე ხმაურიანი „გარჩევა“ გაიმართა და ურთიერთობაც დაიძაბა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისინი კვლავ ერთად ცხოვრობდნენ, თუმცა ფრენკი დროს ძირითადად ბარებში ატარებდა, მია კი იოვათი იყო დაკავებული. ბოლოს და ბოლოს, სინატრამ განქორწინება გადაწყვიტა. მია დათანხმდა და ქმრის მიერ შეთავაზებულ უზარმაზარ ალიმენტზე უარიც კი განაცხადა — ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე!.. 1975 წლამდე სინატრა მარტო ცხოვრობდა, მაგრამ 60 წლის იუბილის აღნიშვნა ახალი ქორწინებით გადაწყვიტა. ამჯერად მისი არჩევანი მასზე

14 წლით უმცროს, მომხიბლავ ბარბარა მარქსზე შეჩერდა. ახალ მეუღლეს თავისი რჩეული თავდავიწყებით შეუყვარდა და მის ყოველ ასირებას უსიტყვოდ ასრულებდა.

ეროვნული გმირი

1976 წელს სინატრამ ცნობილი შლაგერი — „ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი“ შეასრულა, საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობას მიჰყო ხელი და შედეგად, 1981 წელს რონალდ რეიგანმა თავისი ინაუგურაციის ცერემონიაზე მიიწვია. მას კვლავ მიიღებენ თეთრ სახლში!.. ნენსი რეიგანი სინატრას დახურულ მიღებებზეც კი იწვევდა. 1983 წელს ფრენკმა დედოფალ ელისაბედ მეორის ვიზიტთან დაკავშირებით კონცერტი გამართა. 1984 წელს კი კვლავ მიიღო მონაწილეობა რეიგანის საპრეზიდენტო კამპანიაში და ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — თავისუფლების საპრეზიდენტო მედალი თავად ქვეყნის მეთაურმა გადასცა...

სინატრა თითქოს არ ბერდებოდა. 1993 წელს ახალი ფირფიტა — „დუეტები“ ჩაწერა, რომელშიც თავისი ცნობილი სიმღერები "P2"-ის სოლისტთან, — ბონოსთან, ბარბარა სტრაიზანდთან, შარლ აზნავურთან და სხვა ვარსკვლავებთან ერთად შეასრულა. ფირფიტისთვის მას „გრემის“ პრემია მიენიჭა. ერთი წლის შემდეგ ლაიზა მინელისთან და ენტონი ჰოპკინსთან ერთად მდიდრულ „ბევერლი-ჰილზ ოტელის“ გახსნაში მიიღო მონაწილეობა.

სინატრას არ ივიწყებენ. 1995 წლის დეკემბერში გაუხუნარ ვარსკვლავს 80 წლის იუბილეს მთელი ამერიკა ულოცავდა. ამ თარიღის აღსანიშნავად ნიუ-იორკში გრანდიოზული მიღება გაიმართა, პრესა კი სინატრას ყველა ენაზე დითირამბებს უმღეროდა. 83 წლის ასაკში, 1998 წლის 14 მაისს გარდაცვლილი ფრენკ სინატრა სამუდამოდ გამარჯვებულად რჩება!



ფრენკ სინატრა და ბარბარა მარქსი ერთ-ერთ მიღებაზე



ფრენკ სინატრას 80 წლის იუბილე მთელი ამერიკისთვის შეიმადიქცა



ზღვის ნაპირთან ერთმანეთსა და იპოლიტე

ანუ გუნებრივი რეაქცია

ალბათ გახსოვთ ეს ფოტოსურათი. იგი იპოლიტე ზვიჩიას ფოტოარქივიდან გახლავთ და ერთხელ უკვე დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე – როცა მსახიობი, მთელი თავისი კურიოზული ცხოვრება-შემოქმედებით გავიხსენეთ.

იპოლიტეს ცხოვრებაში კი მთავარი კურიოზი მისი ერთი „სუსტი წერტილი“ ანუ „ფუშფუშა“ ქალების ფიგურა გახლდათ...

ცუდად ნუ გავიგებთ... ცხონებულ მსახიობს ქალის სხეულისა და მისი ცალკეული, „მეტყველი ნაკეთების“ ცქერა უყვარდა. ეს ახლობლებმაც კარგად იცოდნენ და დღემდე დიმილით იხსენებენ ამ თვისებასთან

დაკავშირებულ მხიარულ ამბებს.

„განსაკუთრებით, ზღვაზე იყო კარგი სანახავი მამაჩემი, – იგონებს იპოლიტე ზვიჩიას ქალიშვილი, ქალბატონი ნუნუ, – წყალში ჩასულიც და ნაპირზე ამოსულიც ოდნავ მოჭუტული მზერით თვალს არ სწყვეტდა ხოლმე საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილ ქალებს და ვერც აფიქსირებდა, რომ ჩვენ, მისი შემხედვარენი, სიცილით ვიგუდებოდით. აი, ეს სურათიც მაშინ არის გადაღებული, როცა ზღვიდან ამოსული იპოლიტე სულაც არ ჩქარობს ტანის გამშრალებას და კისერ-მოდრეცილი მისჩერებია ქალებს“.

ყველას გემახსოვრებათ ეპიზო-

დი ფილმიდან „თოჯინები იცინიან“: თბილისის ზღვის სანაპიროზე გასული მისი პერსონაჟი – სტომატოლოგი მელიტონ ბელთაძე, თავის ვაჟს დაეძებს. ამდენი ნახევრად შიშველი ქალის შემყურე, დაბნეულია, მაგრამ როგორც კი უმშვენიერეს გოგონას მოჰკრავს თვალს, გაიჭიმება, წელში გაიმართება და ლამის ფეხის წვერებზე დადგეს, რათა ერთიორად გაიზარდოს და ქალის ყურადღება მიიპყროს... ამ ეპიზოდში სულაც არ თამაშობდა იპოლიტე – სინამდვილეშიც ასეთივე რეაქციას ამჟღავნებდა ხოლმე მსგავს სიტუაციაში...

მარინა ბაბუნაშვილი


კვირის (2 - 8 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი

პირნიპი - 22/VI-22/VI




ოთხშაბათამდე ყველა მნიშვნელოვან საქმეს მოაგვარებთ. კვირის მორე ნახევარში შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ ადამიანებთან ურთიერთობაში. ზედმეტმა ლაპარაკმა ზიანი შეიძლება მოგიტანოთ, და დაელოდეთ პარასკევს: ამ დღეს ახალი, ძალზედ მნიშვნელოვანი მიზანი გაგიჩნდება.

ღობი - 23/VI-23/VI



კვირის პირველ დღეებში ისეთი შერბნება გექნებათ, თითქოს წრიულად მოძრაობთ. აზრების თავმოყრასა და ახალი გზის განსაზღვრაში ბავშვებთან კონტაქტები დაგეხმარებათ. ამის შედეგად, ენერგიულად განაგრძობთ გზას - იმდენად ენერგიულად, რომ უქმეებში, დასვენების დროსაც ძალზედ აქტიური იქნებით.

ქალწული - 24/VI-23/IX



ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება დაგეხმარებათ იმაში, რომ უკეთ გაერკვეთ, რისკენ ისწრაფვით და როგორ უნდა მიაღწიოთ დასახულ მიზანს. კვირის შუა პერიოდში დიდი ენერჯის მოზღვაგებას იგრძნობთ და იქიდან მოყოლებული, წარმატებებისა და მიღწევების პერიოდი დაგეყვებათ.

სასწორი - 24/IX-23/X



ნაცნობთა წრის გაფართოების საშუალება მოგეცემათ. ნებისმიერი პარტნიორული ურთიერთობა თქვენთვის სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს, სრულიად მოულოდნელი რჩევა კი, წარმატების მომტანი იქნება. გაითვალისწინეთ, რომ ამ პერიოდში არანაირ წინადადებაზე დაუფიქრებლად არ უნდა თქვათ უარი: თქვენი შანსი თქვენთან ახლოს არის.

ღრინაპალი - 24/X-22/XI



სავსებით შესაძლებელია, რომ ამ კვირაში სამსახურში, თქვენთვის სასიამოვნო სიახლე მოხდეს. ეს ან დაწინაურება იქნება, ან გასამრჯელოს გაზრდა. ნათელია, რომ ამგვარი რამ ახალი მიღწევებისთვის განაწილებს. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ძირითადად ბავშვებსა და ნათესავებზე ზრუნვით იქნებით დაკავებულნი.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



შეიძლება, ამბიციების მოძალება იგრძნოთ და უმაღლესი საყოველთაო პატივისცემის მოსახვეჭად დაიწყოთ ქმედება. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ იცოდეთ, რომ ასეთ დროს შეცდომის დაშვებაც ძალიან ადვილია. ნუ ესწრაფვით ლიდერობას - შეიძლება, ეს არ გამოგივიდეთ. და საერთოდ, უმჯობესია საუცხოო ხელქვეითი იყოთ, ვიდრე უნიათო ხელმძღვანელი.

თხის რქა - 22/XII-20/I



ეს კვირა ძალზედ ხელსაყრელია ზოგადად, ყოველგვარი ახალი წამოწყებისა და კერძოდ, სამსახურებრივი ცვლილებებისთვის. ამასთან, წარმატებას მოგიტანთ ნებისმიერი საქმე, რომელიც იურისპრუდენციასთან ან პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. კვირის შუა პერიოდში ურიგო არ იქნება, თუ დროს სპორტსაც დაუთმობთ.

მერწყული - 21/I-19/II



ადამიანების გავების საოცარ უნარს გამოამყარებთ, თუნდაც მათ კარგად არ იცნობდეთ. შედეგად, ძალზედ სანდომიან ურთიერთობებს დაამყარებთ, რომელიც თქვენი მიზნების მისაღწევად გამოგადგებათ. ოღონდ, საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ზნეობასთან კომპრომისზე ნუ წასვალთ.

თევზები - 20/II-20/III



დროა, შვებულებაზე იფიქროთ. ოღონდ, გზას ორშაბათს ნუ გაუდგებით: ამ დღეს, რომელიც ნებისმიერი საქმის მოსაგვარებლად არის ხელსაყრელი, ბევრი წვრილმანი შეიძლება გამოგრჩეთ, თანაც, დასახული გეგმებიც შეიძლება აგერიოთ. ამიტომ, სჯობს, ყველა საქმე მოაწესრიგოთ და ამის შემდეგ გაემუროთ ბილეთების შესაძენად.

მშვილდი - 21/III-20/IV



ყველა გარემოება თქვენს სასარგებლოდ „იმუშავებს“: კვირის დასაწყისში თავისუფლად გაუმკლავდებით ნებისმიერ საქმეს. კვირის ბოლოსთვის გამორიცხული არ არის სიურპრიზები და შეხვედრები მნიშვნელოვან პერსონებთან. რაც მთავარია, თქვენ თავად მოწოდების სიმალლეზე იქნებით.

მშვილდი - 21/IV-21/V



კვირის დასაწყისში თქვენთან ურთიერთობა ძალიან იოლი და სასიამოვნო იქნება, სამაგიეროდ, შრომისუნარიანობა ძალიან დაგიკვეთილებათ, მაგრამ ამას ნუ დიდრდებთ: ოთხშაბათიდან სიტუაცია მკვეთრად შეიცვლება და თუმცა სიძნელეებს ვერ გაექცევით, ყველა ამოცანას წარმატებით მოაგვარებთ. რაც შეეხება უქმეებს - ძალიან სასიამოვნო და სიცოცხლით სავსე იქნება.

მარცხობი - 22/V-21/VI



საკმაოდ კონფლიქტური და ემოციურად დატვირთული კვირა გექნებათ. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, პაექრობიდან გამარჯვებული გამოხვალთ, კვირის მეორე ნახევარში კი მოულოდნელი შემოსავალიც შეიძლება გაგიჩნდეთ.



როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

ქვემოთ მოცემულია ათი პუნქტი. თითოეულ პუნქტში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია გამოთქმული. ამ ორი პუნქტიდან ერთ-ერთი ამოირჩიეთ:

- 1) ა) თუ თქვენი ტელევიზორი გაფუჭებულია ან ცუდად არევენებს, გამოიძახებთ ხელოსანს და მშვიდად ელოდებით მის მოსვლას, გადაცემებს კი ვერ უყურებთ - 2;
- ბ) მაშინვე პოულობთ საშუალებას, რომ ტელევიზორი სასწრაფოდ შეაკეთოთ, ტელეგადაცემების გარეშე ერთ დღესაც ვერ ძლებთ - 0.
- 2) ა) შეგიძლიათ უცებ დაასახელოთ სამი წიგნი, რომელიც უახლოეს წარსულში წაიკითხეთ, ან ახლო მომავალში აპირებთ წაკითხვას - 2;
- ბ) არ იცით, რას წაიკითხავთ ხვალ, რადგან წინასწარ განსაზღვრული

- გეგმა არ გაგაჩნიათ - 0.
- 3) ა) გაქვთ ჰობი - აგროვებთ მარკებს, გიტაცებთ ფოტოგრაფია ან სხვა რამ - 2;
- ბ) თქვენი საყვარელი საქმიანობა დივანზე კოტრიალი ან უახლოეს კაფეში დროის გატარებაა - 0.
- 4) ა) გიყვართ ბუნება, ტყეში სეირნობა, ექსკურსიაზე ან ლაშქრობაში წასვლის მცირე შესაძლებლობასაც არ უშვებთ ხელიდან - 2;
- ბ) ფეხით სიარული არანაირ სიამოვნებას არ განიჭებთ, გირჩევნიათ სადმე მანქანით ან ავტობუსით გაემგზავროთ - 0.
- 5) ა) მთელი წელიწადი

- კარგად იშრომეთ, თავდაუზოგავად აკეთებდით საქმეს და როცა შვებულება გეწყებათ, სიამოვნებით ისვენებთ, ყოველგვარ საქმეს ეთიშებით და დივანზე ხართ წამოწოლილი - 0;
- ბ) შვებულების დროს მოგზაურობას, ახალი ადგილების თვალიერებას ანიჭებთ უპირატესობას - 2.
- 6) ა) თუ უეცრად თავისუფალი დღე გამოგიჩნდათ, იმის პრობლემა არ გაწუხებთ, რა აკეთოთ - საქმე თავზე საყრელი გაქვთ - 2;
- ბ) არ იცით, თავისუფალი დღე როგორ გაატაროთ: თქვენ ზომ ის დაგეგმილი არ გქონდათ - 0.

7) ა) კვირა დღეს მნიშვნელოვან სატელეფონო ზარს ელთი და სანამ დარეკავენ, ტელევიზორს მიშტერებიხართ ან რადიოს უსმენთ - 0;

ბ) დარეკვის მოლოდინში დროს უქმად არ კარგავთ - მაგალითად, ბინას ალაგებთ - 2.

8) ა) შინ ყოფნისას გიყვართ კოლექტიური თამაშებით - ჭადრაკით, დომინოთი, ნარდით გართობა - 2;

ბ) სახლში არც ერთი არ გაქვთ, მაგრამ სულ აპირებთ მათ შექმენას - 0.

9) ა) შინაური ცხოველების მოყვარული ადამიანების მიმართ არავითარ ემოციას არ განიცდით - 0;

ბ) შეგიძლიათ გაუგოთ მას, ვისაც ძალიან უყვარს შინაური ცხოველები და გატაცებულია მათი მოვლით - 2.

10) ა) თავისუფალი დრო თქვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ბევრი სხვადასხვა ინტერესი გაქვთ და არც კი იცით, პირველ რიგში, რით დაკავდეთ - 2;

ბ) თავისუფალი დრო არ გიყვართ, არასოდეს იცით, რით გაერთოთ და მუდამ ნატრობთ, რომ დასვენების დღეები მალე დამთავრდეს - 0.

დააჯამეთ მიღებული ძულეზი

0-8 ქულა: თავისუფალ დროს ძალიან ერთფეროვნად ატარებთ. გართობის საშუალებას არ ეძებთ, განსაკუთრებული ინტერესი კი არაფრის მიმართ არ გაგაჩნიათ. უფრო ხშირად, კინოში დადიხართ ან ტელევიზორის ცქერით ერთობით. და მინც, საჭიროა დროდარო მეტი გასაქანი მისცეთ საკუთარ სურვილებს. მეგობართაგან ვერავის გაახარებთ, თუ კითხვაზე - როგორ გირჩევნიათ უქმე დღეების გატარება, - უპასუხებთ, რომ თქვენთვის ეს სულერთია.

10-14 ქულა: საყვარელში ჯდომა და წიგნის კითხვა დროის ტარების საუკეთესო ფორმა არ არის.


უმჯობესია მისდით სპორტს, რადგან ეს ცხოვრებას გაგიმრავალფეროვნებთ. ექსკურსიის, ლაშქრობის ან სპორტული თამაშის შემდეგ, წიგნის კითხვა და მუსიკის მოსმენა მეტ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

16-20 ქულა: ყოველი თავისუფალი წუთის გონივრულად გამოყენება შეგიძლიათ, ყოველთვის ბევრი საქმე გაქვთ. სიტყვა „მოწყენილობა“ თქვენთვის უცნობია. თუ ზუსტად 20 ქულა დააგროვეთ, კიდევ ერთხელ დაფიქრდით - გრჩებათ თუ არა დრო ოჯახისა და სამსახურისათვის, თუ გამუდმებით გართობისა და დროს ტარებისკენ გიჭირავთ თვალი?



ლოხმეცედა ციცქნა

ეს მშვენიერი არსება, რომელიც თავად ჰგავს სათამაშოს, თურმე სათამაშოების ყლაპვის დიდი მოყვარული ყოფილა. ბოლო 6 თვის მანძილზე ტერიერ ალექს პლასტმასის ჟირაფი, სათამაშო მანქანები, ჯარისკაცები და უამრავი ქინდერ-სიურპრიზი აქვს შესანსლული და ამის შედეგად, თორმეტი ოპერაციაც გადატანილი. მიუხედავად ამისა, ალექსი კვლავ ნადირობს სათამაშოებზე და ამის გამო, დიდ ყურადღებას საჭიროებს. თუმცა, მის პატრონებს უყურადღებობას ნამდვილად ვერ დასწამებ: მათ უკვე დიდძალი თანხა დაახარჯეს საყვარელი ტერიერის მკურნალობას, რომელიც ბოლო დროს განსაკუთრებულ ინტერესს თოჯინა ბარბისადმი იჩენს...



ჯაცოც ამას ჰქვია!

ხნიერმა იაპონელმა არა მარტო თავისი ცოლები, არამედ მართლმსაჯულებაც გააბრიყვა. მართალია, კამბოჯის (სადაც ის ახლა ცხოვრობს) პოლიციამ 68 წლის ტოსიროს მიაგნო, მაგრამ მის დასჯას ვერაფრით ახერხებს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ჭარბაგმა კაცმა ბოლო 6 წლის მანძილზე სულ ცოტა, 40 ადგილობრივ ქალბატონთან შეუღლება მოახერხა, ზოგიერთი მონაცემის თანახმად კი, მისი ქორწინების რაოდენობა 60-საც აღწევს. მიუხედავად ამისა, მრავალცოლიანობისთვის ტოსიროს გასამართლება ვერაფრით მოხერხდება: ის ადგილობრივი რელიგიური წესჩვეულებების შესაბამისად მოქმედებდა და არც ერთი ქორწინება ოფიციალურად არ დაურეგისტრირებია. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მასთან შეუღლების მომენტისთვის არც ერთი საპატარძლო 18 წლისაც არ ყოფილა.

უცნაუხი ჯონსტეხუციის სათვადე

სად, თუ არა კალიფორნიაში შეიძლება გამოევინათ ესოღენ ორიგინალური სათვალე?! პოლივუდის მახლობლად მდებარე კომპანია OAKLEY-ის მესვეურებმა ჩაფხუტის მაგვარი ეს „მოწყობილობა“ უმჩატესი მასალისგან დაამზადეს და ყოველი კონკრეტული ადამიანის ქალას მორგეს, სათვალის მინები არც ტყდება და არც გამოსახულებას ამახინჯებს, რაკუთხითაც არ უნდა გაიხედოთ მასში. OVERTHETOP-ი ძირითადად, სპორტსმენებისთვის არის განკუთვნილი.



სიცმაზის ეტაღონი ქიხეგმა შექმნა

მწვანეთვალეა ჟულიანა დორნელეს ბორჟესი, რომელმაც „მის ბრაზილია-2001“-ის კონკურსში გაიმარჯვა, ამის უპირველესად, თავის ქორურგს უნდა უმადლოდეს: 22 წლის ლამაზმანმა 19 პლასტიკური ოპერაცია გადაიტანა და პრაქტიკულად, სახისა თუ ტანის არც ერთი ადგილი არ დარჩენია ხელუხლებელი: მან სილიკონით „დაიბერა“ მკერდი, ზედმეტი ქონის ფენა მოცილა, სახეზე კი უამრავი ნაკვთის შეცვლაც განიზრახა: დაიმრგვალა ყვრიმალეები და ნიკაბი, ტუჩები გაისქელა, ხოლო ყურები... დაიპატარავა.



ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

ვულოცავთ ბატონ ედუარდს და ვუსურვებთ წარმატებებს!

დაბერსა ზღარბო?... _____

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (3 ივლისის) 13 საათამდე.



„ვანტაჟი“
დაგვიჩვენა ფლავორი?...



„ვანტაჟიორებს
მკითხველი“
ვანტომასი

**მონიკა
ბელუჩი**

**სექსუალური
ვაიბირი**

